ირაკლი ყანდაშვილი

მედიაცია

დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება

პრაქტიკული სახელმძღვანელო

ირაკლი ყანდაშვილი

მედიაცია

(დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება)

პრაქტიკული სახელმძღვანელო

თბილისი

2022

ირაკლი ყანდაშვილი

მედიაცია

(დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება)

სამეცნიერო რედაქტორი – **ზურაბ ძლიერიშვილი**

თსუ, იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი,
სამართლის დოქტორი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატის მოსამართლე

დამკაბადონებელი **მაკა ცომაია**

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE

© Irakli Kandashvili

ISBN 978-9941-8-4719-6

გამოხმაურებები და შეფასებები სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

თანამედროვე ტექნოლოგიების, საბაზრო ეკონომიკის განვითარების, ახალი სამართლებრივი თუ ყოფითი ურთიერთობების ჩამოყალიბების კვალდაკვალ უფრო და უფრო თვალშისაცემი ხდება ცალკეულ ინდივიდებს შორის წარმოშობილი დავების, კონფლიქტების და, შესაბამისად, სასამართლოში განსახილველი საქმეების მზარდი ტენდენცია.

სასამართლოში საქმის განხილვის ხანგრძლივი მოლოდინი, ურთიერთდაპირისპირებაზე დახარჯული რესურსი, სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან მხარეთა მოლოდინის არათანხვედრა, როგორც წესი, გარდაუვალად იწვევს პროცესის მონაწილეთა უკმაყოფილებას და ვერ უზრუნველყოფს კონფლიქტის მშვიდობიან დასრულებას.

ვფიქრობ, რომ ამ წინააღმდეგობების დაძლევის საუკეთესო საშუალებად უნდა განვიხილოთ მედიაცია -„მომავალზე ორიენტირებული პროცესი“- როგორც მას ხშირად უწოდებენ იურიდიულ ლიტერატურაში. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის სწრაფი, ეფექტური, იაფი და ფორმალური მოთხოვნებით ნაკლებ დატვირთული შესაძლებლობა, დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში უკვე იქცა ერთ-ერთ ფართოდ აღიარებულ და მოთხოვნად მეთოდად.

საქართველოში მედიაციის შესახებ კანონი ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვრიდან, რამაც ბიძგი მისცა მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების დანერგვას, თუმცა, ამ ეტაპის-

თვის კვლავაც პრობლემად რჩება ინსტიტუტის ცნობადობა და საზოგადოების მოთხოვნა მედიაციაზე.

მითითებული პრობლემის შეფასების პროცესში ხშირად დომინირებს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში ხდება ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის დანერგვა, რაც მოითხოვს დროს. ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ქართული სამართლის ისტორიის განვითარების სხვადასხვა პერიოდისთვის უცხო არაა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების არსებობა. მაგალითისთვის შეიძლება მოვიხმოთ მე-19 საუკუნის ძეგლი„საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, სადაც მედიაციის ინსტიტუტის მსგავს მოდელად უნდა განვიხილოთ ბჭე-მედიატორის ინსტიტუტი. საგულისხმოა, რომ დაცულია თავად მედიატორთა განჩინებები. აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლის ისტორია არ შემოიფარგლება მედიაციის იურიდიული კატეგორიით და ცნობს მორიგების ინსტიტუტის ისეთ ნაირსახეობებს, როგორიცაა: მახვში - სვანეთში, ხევისბერი - ფშავ-ხევსურეთში, უხუცესთა საბჭო, თემი, სოფლის თავკაცი და ა.შ. შესაბამისად, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მე-3 პირის ჩართულობით კონფლიქტის მოგვარების ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის.

ამდენად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება ჩვენი ქვეყნისთვის არის მხოლოდ დავიწყებული წარსული, რაც, ვფიქრობ, მეტად კანონზომიერს ხდის საქართველოში მედიაციის, როგორც ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივას.

მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრების და ინსტიტუციონალური განვითარების პროცესის სწორად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია მოდავე მხარეებს შორის სწორი კომუნიკაციის და თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება, მედიაციის სფეროში მოღვაწე პირების, პრაქტიკოსი იურისტების თეორიული სიახლეებით და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა, რაც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტის ერთიან სამართლებრივ სივრცესთან ორგანულ შერწყმას.

ვფიქრობ, რომ მედიაციის მიმართ მზარდი ინტერესის არსებობის პირობებში, წინამდებარე სახელმძღვანელო იქნება საუკეთესო

გზამკვლევი მედიაციის პროცესით დაინტერესებული ყველა პირისთვის. სახელმძღვანელო მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პოპულარიზაციის პროცესში. იგი დაეხმარება არა მხოლოდ ქართველ სტუდენტებს და იურისტებს, არამედ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, უკეთ გაეცნოს მედიაციის კონცეფციას, მის დადებით მხარეებს და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ვაფასებ ავტორის ძალისხმევას და მივიჩნევ, რომ ნაშრომი გაამდიდრებს მედიაციის შესახებ არსებულ არცთუ უხვ სამართლებრივ ლიტერატურას, გაზრდის საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის მიმართ ინტერესს, რითაც ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების პრაქტიკაში აქტიურად და ეფექტურად დანერგვას.

ლადო ჭანტურია

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
მოქმედი მოსამართლე საქართველოდან**

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, მზარდი პოპულარობით სარგებლობს. საქართველოც ცდილობს ხელი შეუწყოს მედიაციის დამკვიდრებას. მედიაციის საკანონმდებლო საფუძვლების არსებობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობას და მოსახლეობისთვის მედიაციის უპირატესობების დემონსტრირებას. ირაკლი ყანდაშვილის წინამდებარე სახელმღვანელო ამ თვალსაზრისით უდავოდ შეუწყობს ხელს მედიაციის პოპულარიზაციას როგორც იურისტებში, ისე მედიაციით დაინტერესებულ პირებში.

მედიაციის მრავალი საკითხი განხილულია დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან შედარებით და ნაჩვენებია მედიაციის ეფექტიანობისა და მოქნილობის წინაპირობები. რა თქმა უნდა, მედიაცია არ გამორიცხავს სასამართლოში მიმართვის კონსტიტუციურ უფლებას, მაგრამ დავის მონაწილეებს სთავაზობს სასამართლოში საქმის განხილვის რთული პროცესის დაწყებამდე მოლაპარაკებას, ინფორმაციის გაცვლას და დავის გადაწყვეტის შესაძლებლობას მედიატორის მონაწილეობით. სახელმძღვანელოში თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი განსხვავებები მედიაციასა და დავის გადაწყვეტის სხვადასხვა საშუალებებს შორის.

ცხოვრებაში მედიაციის გამოყენების თვალსაზრისით საყურადღებოა მედიაციის პრინციპები, როგორიცაა ნებაყოფლობითობა, მხარე-

თა თვითგამორკვევა, კონფიდენციალობა, მხარეთა თანასწორობა და ა.შ. ყველა ეს პრინციპი განხილულია მრავალრიცხოვანი ლიტერატურული წყაროებისა და შედარებით-სამართლებრივი მასალის საფუძველზე. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მედიატორის დამოუკიდებლობა, მისი რეპუტაცია და პიროვნული უნარ-ჩვევები. მედიაციის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მედიატორზე, მის პროფესიულ თვისებებსა და გამოცდილებაზე.

სახელმძღვანელოს უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს მედიაციის პროცესის, მის მომზადებასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური ანალიზი. დეტალური საპროცესო რეგულაციების არარსებობის პირობებში მედიაციის პროცესის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული მედიატორის მიერ სათანადო წესების განუხრელ დაცვაზე. ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობითა და მედიაციის პრაქტიკის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე სახელმძღვანელო მეტად ღირებულ ინფორმაციასა და მასალას შეიცავს. უნდა დავეთანხმოთ ავტორს მედიაციის უპირატესობის შეფასებაში, რომ მხარეებს თავად აქვთ საშუალება ყოველგვარი სამართლებრივი მნიშვნელობის ტერმინების და დატვირთვის გარეშე ესაუბრონ ერთმანეთს. არაფორმალური გარემო და პროცესის მოქნილობა მედიაციის უმთავრესი მახასიათებელია, რაც მას დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებისგან აშკარად გამოარჩევს.

სახელმძღვანელო დაწვრილებით იხილავს მედიატორის შერჩევისა და მისი კვალიფიკაციის წინაპირობებს, ამ სფეროში მოქმედ საერთაშორისო სტანდარტებს. ცალკეა გამოყოფილი ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მედიაციის მნიშვნელობა.

მედიაციის წინამდებარე სახელმძღვანელო უდავოდ დიდი შენაძენია ქართული იურიდიული ლიტერატურისათვის და დარწმუნებული ვარ, რომ დაინტერესებული მკითხველი დიდი სიამოვნებით მიიღებს ამ ფუნდამენტურ ნაშრომს მედიაციის სფეროში.

2022 წლის აგვისტო

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმდომარე

მედიაციას და მოლაპარაკების ხელოვნებას საქართველოში მდიდარი ისტორიული ტრადიციები აქვს და მოიცავს ბევრად მეტს ვიდრე კლასიკური სამართალწარმოებაა.

დავის ტრადიციული მეთოდებით გადაწყვეტისგან განსხვავებით, მედიაცია ადამიანურ ურთიერთობებზე და სოციალურ ფასეულობებზე დამოკიდებული პროცესია და გადაწყვეტილებაც, მხარეთა ინტერესებსა და ნებაზეა დაფუძნებული, შესაბამისად მედიაციის პროცესში არ არსებობს წაგებული მხარე.

ადვოკატებს, მედიაციის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, ვიანიდან მედიაციის წარმატება დიდწილად სწორედ ადვოკატის სწორ პოზიციონირებასა და მედიაციის პროცესისადმი მათ ნდობაზეა დამოკიდებული.

მედიაციამ მაღალი ეფექტიანობა სწორედ იმ უცხოურ იურისდიქციებში აჩვენა, სადაც ადვოკატის პროფესიამ პოზიტიურად მიიღო ახალი ინსტიტუტი, გაითავისა სწრაფი მართლმსაჯულების სიკეთეები და კონკურენტ საქმიანობად არ მიიჩნია მედიაციის პროცესი.

სასამართლოს სისტემის დღეს არსებული გამოწვევების ფონზე, როცა სასამართლოთა გადატვირთულობა და საქმეთა გაჭიანურება გავრცელებული მოვლენაა, მედიაცია შეიძლება იქცეს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის და ეფექტიანი სამართალწარმოების განხორციელების კარგ მექანიზმად. ამისათვის საჭიროა ამ მექანიზმის პრინციპებისა და მახასიათებლების ფართოდ სწავლება, მისი თავი-

სებურებების სწორად აღქმა და გააზრება, რაც განაპირობებს საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის შემდგომ წარმატებას.

ქართული ადვოკატურა მედიაციის ინსტიტუტის აქტიური პროპონენტია. ამ მიმართებით არაერთი პროექტი გვაქვს განხორციელებული და მომავალშიც გავაგრძელებთ მედიაციის პროცესის პრაქტიკაში სწორად დანერგვის მხარდაჭერას.

მინდა მივულოცო ავტორს და მთლიანად იურიდიულ პროფესიას აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა. მჯერა, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მედიაციის ინსტიტუტის სანდოობის გაზრდას ჩვენს ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს სახელმძღვანელო გახდება ერთგვარ გზამკვლევი ადვოკატებისთვის, პრაქტიკოსი იურისტებისთვის, მომავალი მედიატორებისა და სხვა დაინტერესებული პირთათვის.

თამარ ზარანდია

**სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი**

ადამიანების ურთიერთობას ბუნებრივად ახლავს კონფლიქტი, დავა. დავის გადაწყვეტის გზა – სასამართლოა, რადგან იგი დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი, იმანენტური შემადგენელია. მოსამართლის ფუნქცია იმგვარი გადაწყვეტილების მიღებაა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა შორის კონფლიქტის დეესკალაციას და მეორე მხრივ, დავაში ჩართულ მხარეებს დაუტოვებს სამართლიანობის განცდას. თუმცა სადავოა, რამდენად შესაძლებელია ყველა დავის ამგავრი დასრულება, იმ პირობებში, როდესაც შესაძლოა თავად მხარეებსაც კი ხშირად არა აქვთ ბოლომდე გაცნობიერებული რისი მიღება სურთ ამ დავისგან და რა არის მათი რეალური ინტერესი. ასეც რომ არ იყოს, სასამართლოში წასული მხარეები, როგორც წესი, წლობით ელოდებიან დავის გადაწყვეტას, შედეგად კი. ვიღებთ გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეებს.

სწორედ ამ მოცემულობის შესაცვლელად მნიშვნელოვანია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, როგორც ადამიანის სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე წვდომის ნაწილის, დანერგვა და პოპულარიზება. ეს არის საუკეთესო საშუალება, კონფლიქტის მონაწილე თითოეულმა სუბიექტმა გაიაზროს რა არის მისი რეალური ინტერესი, თავადვე აიღოს პასუხისმგებლობა არსებული უთანხმოების მოგვარებაზე, დაინახოს მედიაციის პროცესის უპირატესობა – რომ ამ მოლაპარაკებაში არ იქნება გამარჯვებული და დამარცხებული მხა-

რე, განსაზღვროს, საერთოდაც, უნდა თუ არა პროცესის მორიგებით დასრულება და ეძიოს ალტერნატივები, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის არა იმწუთიერ ჩაცხრომას, არამედ მის საბოლოო, სიღრმისეულ მოგვარებას. მედიაციის პროცესში მხარეები მედიატორის, როგორც პროცესის ფასილიტატორის დახმარებით მიდიან სიღრმეში დამალულ იმ პრობლემამდე, რომელსაც რეალურად მოჰყვა კონფლიქტის ესკალაცია და რომელიც, შეიძლება, საერთოდ არ ახსოვდეთ მხარეებს. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ მედიაციის პროცესის მთავარი ღირებულება მისი კონფიდენციალურობა და დავის დროულად მოგვარების შესაძლებლობაა. სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ გამოვლინება თუ მისი საჯაროობაა, რაც გულისხმობს მიღებული გადაწყვეტილების საჯარო სხდომაზე გამოცხადებას, მედიაციაში, როგორც კონფიდენციალურ, სანდო პროცესში, მხარეები თავიდან ბოლომდე თავად განსაზღვრავენ რა მოცულობით, ვისთვის და რა ფორმით შეიძლება იყოს მათი შეთანხმება ხელმისაწვდომი.

მედიაციის კურსის თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე დანერგვის დღიდან, მისი მიზანი, გარდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული და შეიძლება ითქვას, ახალი საშუალების პოპულარიზებისა, დიალოგის კულტურის ჩამოყალიბება იყო. წარმოუდგენელია პრაქტიკოსი იურისტის საქმიანობის ერთი დღეც კი ამ უნარის გარეშე. თუმცა, ამასაც რომ თავი დავანებოთ, იგი ყოველი ჩვენგანის, თითოეული ადამიანის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის აუცილებელი ელემენტი - უნარი და შესაძლებლობაა.

მეორეს მხრივ, აღნიშნული სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბდეს მოლაპარაკების ან/და მედიაციის პროცესისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები. უნარები, რომელიც უნდა ჰქონდეს - გონიერ მომლაპარაკებელს, რომელსაც განზრახული აქვს მედიაციის პროცესში წასვლა; წარმომადგენელს/იურისტს/ადვოკატს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თავისი კლიენტის ინტერესების კვლევას და მოამზადოს იგი მედიაციის პროცესისთვის. თავის მხრივ, თავადაც ჰქონდეს გააზრებული რა პროცესში მიდის და გვერდით გადადოს შეჯიბრებითი პროცესის „მანტია“; თავად მედიატოს, რომლის მთავარი ფუნქცია ეთიკურად დაბალანსებული პროცესის წარმართვაა, აღნიშნული პასუხისმგებლობის მხარეებთან გაზიარებით.

მედიაციის წარმოდგენილი სახელმძღვანელო, შეიძლება ითქვას, ქართული იურიდიული სამეცნიერო ბრუნვისთვის სიახლეს წარმოადგენს. მსგავსი ნაშრომი, რომელიც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას გაეცნოს პრაქტიკული პროცესის თეორიულ ასპექტებს, უნიკალურია. ყველასთვის გასაგებია, რაოდენ რთულია ცოცხალი პროცესის, რომელშიც მედიატორი თავისი ოსტატური სიმარჯვით, მოქნილობით, სისხარტით განსაზღვრავს პროცესის მიმდინარეობას, არჩევს ლექსიკას მოლაპარაკების მხარეებთან სასაუბროდ, თეორიულ სახელმძღვანელოდ ჩამოყალიბება. მთავარი კი ისაა, რომ სახელმძღვანელო ეკუთვნის მედიატორთა ასოციაციის ხელმძღვანელსა და პრაქტიკოს მედიატორს - სამართლის დოქტორ ირაკლი ყანდაშვილს. ეს ყველაფერი კი ერთი-ორად ზრდის აღნიშნული სახელმძღვანელოს ღირებულებას. დარწმუნებული ვარ, წინამდებარე მედიაციის სახელმძღვანელო წაადგება მედიაციის პოპულარიზაციის საქმეს და მას მკითხველი არ მოაკლდება.

JAMES SOUTH

Chief Executive,
Centre for Effective Dispute Resolution (CEDR)

CEDR was extremely honoured when Professor Irakli Kandashvili, a CEDR Trained Mediator and friend, asked us to provide a foreword to this important manual on Mediation.

We were particularly pleased as it has been CEDR's pleasure to have been involved with the establishment of mediation in Georgia for the last decade. This has included the training of mediators (some of the 9,000 we have trained globally) and also creating mediation trainers in Georgia. Without a doubt, the bonus of this for CEDR has been to be able to work with the people of Georgia – whether we were delivering sponsored programmes funded by development banks or just by having day-to-day interactions, the experience of dealing with the Georgian people,

ჯეიმს საუთ

აღმასრულებელი დირექტორი,
დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი (CEDR)

CEDR-ისთვის ძალიან დიდი პატივი იყო, როდესაც პროფესორმა ირაკლი ყანდაშვილმა, CEDR-ის დატრენინგებულმა მედიატორმა და მეგობარმა, გვთხოვა, მოგვეწოდებინა წინასიტყვაობა მედიაციის შესახებ ამ მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოსთვის.

ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვიყავით, რადგან ბოლო ათწლეულის განმავლობაში CEDR-ი სიამოვნებით იყო ჩართული საქართველოში მედიაციის ჩამოყალიბებაში. ეს მოიცავდა მედიატორების ტრენინგს (ზოგიერთი იმ 9000-დან, რომელიც ჩვენ დავატრენინგეთ გლობალურად) და ასევე მედიაციის ტრენერების შექმნას საქართველოში. ეჭვგარეშეა, რომ CEDR-ისთვის ამის ბონუსი იყო ქართველ ხალხთან მუშაობა – მიუხედავად იმისა, ვახორციელებდით დაფინანსებულ პროგრამებს, რომლებიც დაფინანსებულია განვითარების ბანკების მიერ, თუ უბ-

and especially with Georgian mediators, has been a privilege.

CEDR first visited Georgia in 2013 for a conference on international mediation, at which point an early study project had been underway for a couple of years. Much of the discussion at that time was around the importance of the correct legal and regulatory framework for mediation rather than some of the practicalities of how mediation functions. It is critical to get people to come to mediation and any rules that support this are therefore extremely valuable. However, mediation truly flourishes when there is belief from lawyers, the government, the judiciary and most importantly the users of mediation that it can and does work.

In the last decade some in Georgia have come to experience and importantly believe that mediation can make a difference for those experiencing disputes whether private individuals or companies. Whether it is an argument between siblings over ownership of land that has progressed to the point of litigation, or an insolvency dispute with the bank, or a disput-

რალოდ ყოველდღიური ურთიერთმოქმედებით, ქართველ ხალხთან და განსაკუთრებით ქართველ მედიატორებთან ურთიერთობის გამოცდილება პრივილეგია იყო.

პირველად CEDR საქართველოს 2013 წელს ეწვია საერთაშორისო მედიაციის კონფერენციაზე, რა დროსაც ადრეული სასწავლო პროექტი რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. იმ დროს მსჯელობის დიდი ნაწილი ეხებოდა მედიაციის სწორი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს მნიშვნელობას და არა მედიაციის ფუნქციონირების ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხებს. ძალზე მნიშვნელოვანია ხალხის მოქცევა მედიაციაზე და ამიტომ ნებისმიერი წესი, რომელიც ამას მხარს უჭერს, ძალზე ღირებულია. თუმცა, მედიაცია ნამდვილად ყვავის, როდესაც არსებობს რწმენა იურისტების, მთავრობის, სასამართლო ხელისუფლების და რაც მთავარია მედიაციის მომხმარებელთა მხრიდან, რომ მედიაციას შეუძლია და მუშაობს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ზოგიერთმა მიიღო გამოცდილება და, რაც მთავარია, სჯერა, რომ მედიაციას შეუძლია ცვლილებების შეტანა მათთვის, ვინც დავას გამოცდის, იქნება ეს კერძო პირები თუ კომპანიები. იქნება ეს და-ძმებს შორის კამა-

ed insurance claim, mediation can and has provided successful resolution in these matters in Georgian and other countries of the world. It is a testament to the hard work of the mediators of Georgia in conveying this message that mediation is now increasingly becoming a significant feature of the dispute resolution landscape.

The key to building belief in anything is to help build understanding and a key component of doing this is through education. That is why it is important that books on mediation such as this manual are produced and read by those that can make a difference – the mediators, lawyers and even the businessmen of the future. Therefore, CEDR truly hopes that all who read this book will improve their understanding of mediation and become the believers that will help drive the success of mediation further for Georgia.

London,
August 2022

თი მიწის საკუთრებაზე, რომელიც სასამართლო პროცესამდე მივიდა, ან გადახდისუუნარობის დავა ბანკთან, ან სადავო სადაზღვევო მოთხოვნა, მედიაციას შეუძლია და უზრუნველყო ამ საკითხების წარმატებული გადაწყვეტა საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. საქართველოს მედიატორების შრომისმოყვარეობის დასტურია ამ გზავნილის გადმოცემა, რომ მედიაცია ახლა სულ უფრო და უფრო ხდება დავის მოგვარების მნიშვნელოვანი მახასიათებელი.

რაიმეს მიმართ რწმენის ჩამოყალიბების გასაღები არის გაგების ხელშეწყობა და ამის მთავარი კომპონენტი არის განათლება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მედიაციის შესახებ წიგნები, როგორიცაა ეს სახელმძღვანელო, მომზადდეს და წაიკითხონ ისინი, მათ ვისაც შეუძლიათ ცვლილებების შეტანა – მედიატორებმა, იურისტებმა და მომავლის ბიზნესმენებმაც კი. ამიტომ, CEDR-ს ნამდვილად აქვს იმედი, რომ ყველა, ვინც წაიკითხავს ამ წიგნს, გააუმჯობესებს მედიაციის შესახებ ცნობიერებას და გახდება ის მორწმუნე, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსთვის მედიაციის წარმატების შემდგომ განვითარებას.

ლონდონი,
2022 წლის აგვისტო

ავტორის წინასიტყვაობა

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და რა თქმა უნდა საქართველოს მაგალითზეც, მოდავე მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება, რაც ასევე საერთაშორისო სტანდარტებით დაცული და უზრუნველყოფილი, გარანტირებული უფლებაა.

სასამართლო საუკუნეებია დამკვიდრებულია, როგორც მხარეებს შორის არსებული დავის ბუნებრივი გადაწყვეტის ადგილი; თუმცა საუკუნეების მანძილზე სასამართლო საქმისწარმოების გამოყენების გამოცდილებამ საზოგადოება და სასამართლო საქმისწარმოების სერვისის მომხმარებლები დაარწმუნა მსგავსი ფორმით და საშუალებით დავის გადაწყვეტის არაეფექტურობაში, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო წარმოების დროში გახანგრძლივებულობით და პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯებით; ისევე როგორც სასამართლოში დავის ინიცირებით მხარეები რეალურ კონტროლს კარგავენ და ხელიდან უშვებენ სადავეებს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის, განურჩევლად მისი ხასიათისა და სირთულისა, სასამართლოსთვის მინდობა, რიგ შემთხვევაში გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც თავისთავად იწვევს საჭიროებას სასამართლოს ალტერტნატიული ეფექტური მექანიზმების გაჩენისა პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი როგორიც არის სასამართლოს წინაშე საქმისწაროება ან თუნდაც საარბიტრაჟო საქმისწარმოება, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს, რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს

შორის, მათ შორის დაბალი ღირებულების და საზღვართშორისი დავების მატების ფონზე. მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობიექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ფინანსური ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, ხოლო საზღვართშორისი მედიაციის შემთხვევაში მხარეების ნაკლები ცოდნა და ნდობა დავის წარმოების ადგილის იურისდიქციისა, შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი.

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში, რომელსაც ახასიათებს მესამე დამოუკიდებელი, მიუკეროებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით, კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში, კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის აღქმის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

მედიაციის სწორედ გააზრებისთვის მნშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის მორიგებით დასრულების. შესაბამისად მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი, თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა. ლიტერატურაში მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად, რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს; მაშინ როდესაც სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე

მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება, ხშირ შემთხვევაში, მოჩვენებითი.

აღნიშნული წიგნი წარმოადგენს მცდელობას სახელმძღვანელოს ფორმატში შეეთავაზოს ახალგაზრდა თაობას მედიაციის, როგორც დავის რეგულირების ეფექტური მექანიზმის თაობაზე სრული ინფორმაცია, რათა მოემზადონ პრაქტიკულ ცხოვრებაში მათ წინაშე მდგარი კონფლიქტური სიტუაციების ეფექტური მართვისთვის, თუნდაც ყოველდღიურ ცხორებაში მედიაციის ცხოვრების წესად და დიალოგის კულტურის დანერგვისათვის ჩვენს ქვეყანაში.

აღნიშნული ნაშრომის შექმნას განსაკუთრებით შეუწყო ხელი Freie Universität Berlin -ს იურიდიული ფაკულტეტის მიერ მოცემულმა შესაძლებლობამ 2022 წლის ზაფხულში მეწარმოებინა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა აღნიშნული უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ პირს, ვინც აღნიშნული შესაძლებლობა რეალობად აქცია.

დაბოლოს, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ოჯახს, რომელიც ერთი მხრივ, იყო სტიმული ჯერ კიდევ 2018 წელს სადისერტაციო - მონოგრაფიული კვლევის განხორციელების მედიაციაში, უდიდესი მხარდამჭერი და მამოძრავებელი ძალა დასახული გეგმის წარმატებით განხორციელების საქმეში, ხოლო მეორე მხრივ, უპირობო სტიმული კვლევის გაგრძელების და წინარე სახელმძღვანელოს შექმნის.

წიგნი მინდა ჩემს შვილებს მივუძღვნა და ვუთხრა: იქონიეთ მიზნები და მიაღწიეთ მათ.

იმედს ვიტოვებ აღნიშნული სახელმძღვანელო გახდება კიდევ ერთი წინაპირობა საქართველოში მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმის, რეალურად დამკვიდრებისა და წიგნი ხელს შეუწყობს მედიაციისადმი კიდევ უფრო მეტი ინტერესის გაჩენას და პოპულარობას ქართულ საზოგადოებაში.

ირაკლი ყანდაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი.
სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ თავმჯდომარე
ბერლინი - 2022

სარჩევი

გამოხმაურებები და შეფასებები
სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე v

ლადო ჭანტურია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
მოქმედი მოსამართლე საქართველოდან viii

დავით ასათიანი
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმდომარე x

თამარ ზარანდია
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი xii

JAMES SOUTH
Chief Executive,
Centre for Effective Dispute Resolution (CEDR) xv

ჯეიმს საუთ
აღმასრულებელი დირექტორი,
დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი (CEDR) xv

ავტორის წინასიტყვაობა xviii

აბრევიატურა xxiv

თავი I
მედიაციის არსი და მნიშვნელობა 1

თავი II
მედიაციის პროცესის არსობრივი მახასიათებლები 17

2.1. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის
ეფექტური ალტერნატიული საშუალება. 19
2.2. მედიაცია, როგორც ADR -ს ერთ-ერთი ფორმა და მისი შედარება
დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან 20
2.2.1. მოლაპარაკება 29
2.2.2. კონსილიაცია 34
2.2.3. საარბიტრაჟო და სასამართლო საქმისწარმოება 37
2.3. მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორია საერთაშორისო
სივრცეში და წარმატების განმაპირობებელი მიზეზები 44
2.4. მედიაციის რეგულირების ინსტიტუციური მოდელები. 49

2.5. მედიაციის უპირატესობები და შესაძლო ნაკლოვანებები 54
2.6. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის პრინციპის ახლებური ინტერპრეტაცია XXI-ე საუკუნეში 61
2.7. მედიაციის წინაშე არსებული გამოწვევები 65

თავი III
მედიაციის პრინციპები 71
3.1. ნებაყოფლობითობა 81
3.2. მხარეთა თვითგამორკვევა 84
3.3. კონფიდენციალურობა 86
3.4. მხარეთა თანასწორობა. 92
3.5. ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა 93

თავი IV
მედიაციის პროცესი 99
4.1. მომზადება 105
4.2. მედიატორისა და მხარის გახსნითი სიტყვა 106
4.3. ინტერესების გამოკვლევა. 113
4.4. მოლაპარაკების პროცესი მედიაციაში 115
4.5. შეთანხმება და მისი აღსრულება 116
4.5.1. სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი ქართულ კანონმდებლობაში 122
4.6. მედიაციის პროცედურული წესები და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმები. 124
4.6.1. საერთო და ინდივიდუალური შეხვედრების მნიშვნელობა მედიაციის პროცესში. 124
4.7. ალტერნატივების შეუზღუდავობა. 128
4.8. პროცესის მოქნილობა და არაფორმალური გარემო 129

თავი V
მედიაციის მონაწილე სუბიექტები 133
5.1. მედიატორი და მისი როლი მედიაციის პროცესის წარმართვაში 135
5.2. მედიატორის პროფესიული უნარები და სახელმძღვანელო პროცედურული მექანიზმები 146
5.2.1. შეკითხვის დასმის ტექნიკა 149
5.2.2. აქტიური მოსმენის უნარი. 150
5.2.3. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია 151
5.2.4. პროცესის კონტროლის უნარი. 151
5.2.5. ჯგუფური მუშაობის უნარი 152
5.2.6. მედიატორის მიერ პროცესის წარმართვის სტილი 153
5.2.7. მედიაციის წარმოების ინოვაციური ფორმები (მოძრავი მედიაცია, ონლაინ მედიაცია) 159
5.3. მედიატორის პროფესიული განათლება და სერტიფიცირების სტანდარტები. 173
5.4. მედიატორის შერჩევის ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები. 178
5.5. მხარეები და მათი წარმომადგენლები მედიაციის პროცესში 179
5.5.1. მედიაციის პროცესში მხარეთა უშუალოდ მონაწილეობის მიზანშეწონილობა და უპირატესობები 179

5.5.2. წარმომადგენლის როლი, მონაწილეობის ფარგლები და ეთიკური საფუძვლები მედიაციის პროცესში 186
5.5.3. მესამე პირები 204
5.5.4. სამედიაციო ცენტრები, როგორც მედიაციის სუბიექტები 205

თავი VI
მედიაციის ინსტიტუტის რეგულირება უნიფიცირებულ აქტებსა და ევროპის საბჭოს სამართალში - გავლენა წევრი ქვეყნებისა და ასოცირებული წევრების შიდა კანონმდებლობაზე 207
6.1. UNCITRAL როგორც მედიაციის რეგულირების უნიფიცირებული ფორმა. 210
6.2. მედიაციის ევროპული რეგულირების ფორმები - ევროკავშირის დირექტივები 213

თავი VII
მედიაციის წარმოების ფორმები და ევროპის ქვეყნების გამოცდილება 223
7.1. მედიაციის წარმოების ფორმები: სასამართლო, სასამართლოსთან არსებული და კერძო მედიაცია 225
7.2. მედიაციის ფორმების საკანონმდებლო მოწესრიგების ევროპული გამოცდილება 235

თავი VIII
მედიაციის ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში 271
8.1. მედიაცია ქართულ ისტორიულ წყაროებში 273
8.2. მედიაციის თანამედროვე ინსტიტუციური მოდელი მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში 277
8.2.1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი 277
8.2.2. სასამართლო და კერძო მედიაციის ინსტიტუტი საქართველოში . . . 279
8.2.3. მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ეთიკური სტანდარტები 283
8.2.4. საქართველო და მედიაციის შესახებ გაერო-ს (სინგაპურის) კონვენცია. 285

თავი IX
მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ახალი ინსტიტუტის, შემდგომი განვითარების საჭიროებების ანალიზი საქართველოში 287
9.1. სასამართლოს როლი მედიაციის განვითარებაში 294
9.2. ზოგადი განათლების სისტემის, სამართლის სკოლების როლი საქართველოში მედიაციის სწავლების, კვლევის ხელშეწყობის და დავის გადაწყვეტის კულტურის განვითარებაში 297
9.3. პროფესია ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში 299

ბიბლიოგრაფია 307

საკანონმდებლო აქტები 323

ელექტრონული მასალები / ინტერნეტ წყაროები 324

აბრევიატურა

ქართულ ენაზე:

ინგ.	ინგლისურად
გერ.	გერმანულად
იხ.	იხილე
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
მაგ.	მაგალითად
თბ.	თბილისი
ტ.	ტომი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

უცხოურ ენებზე:

ADR	Alternative Dispute Resolution
EU	European Union
EC	European Council
UNCITRAL	United Nations' Commission on International Trade Law
UNIDROIT	International Institute for the Unification of Private Law
Art.	Article
CEDR	Center of Effective Dispute Resolution
USA	United States of America
UK	United Kingdom
Ed.	Edition
Eds.	Editors
Hsrg	Herausgeber
BGB	Bűrgerliches Gesetzbuch, Code of Civil Law
ZPO	Zivilprozessordnung, Code of Civil Procedure
EGZPO	Einfűhrung der Zivilprozeßordnung, Introduction to the Civil Procedure Code
No.	Number
Para.	Paragraph
Vol.	Volume

თავი I

მედიაციის არსი და მნიშვნელობა

„უთხარით ყველას, თუ როგორ არის ნომინალური გამარჯვებული ხშირად ნამდვილი დამარცხებული - გადასახადებში, ხარჯებში და დროის კარგვაში“.

„განა მე არ ვანადგურებ ჩემს მტრებს, როცა მათ ჩემს მეგობრად ვაქცევ?“

აბრაჰამ ლინკოლნი

დღეისათვის მედიაცია წარმოადგენს ყველაზე სწრაფად განვითარებად დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას მსოფლიოში[1], რომელსაც ახასიათებს მესამე[2] დამოუკიდებელი, მიუკეროებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით[3], კონფიდენციალური და სტრუქტურირებული პროცესის ფარგლებში[4], კონფლიქტის მხარეებისათვის დავის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დელეგირება, რაც მედიაციის ევროპული[5] და არამხოლოდ აღქმის მთავარი მახასიათებელი თვისებაა. მედიაცია კონფლიქტის რეგულირების ეფექტურ ალტერნატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს[6], რადგან ამ პროცესში მესამე ნეიტრალური პირ(ებ)ი კონფლიქტის მხარეებს მათ ინტერესებზე მორგებული შეთანხმების მიღწევაში ეხმარება[7].

1. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.
2. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 144.
3. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 50.
4. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 191.*
5. EU-Mediationsrichtlinie 2008, Art. 3a.
6. *Berkel G.,* Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift fűr Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, Kőln, 2018, 61.
7. *Germund R.,* Außergerichtliche Streitbeilegung durch Co-Mediation, Pro Business GmbH, Berlin, 2012, 3.

მედიაციის დამკვიდრების მთავარი მიზანია მხარეებს მიეცეთ შესაძლებლობა მათი ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებით დაასრულონ დავა და აღმოფხვრან კონფლიქტი საკუთარი ხელით[8], რა დროსაც უბრალოდ კი არ ასრულებენ მეორე მხარესთან დავას, არამედ ქმნიან წინაპირობას მხარესთან საქმიანი თუ პირადი ურთიერთობის სამომავლოდ ცივილურ ფორმებში გაგრძელების, რაშიც მედიაცია რეალურად ეხმარება მხარეებს[9], რადგან მედიაციის დროს ის კი არ უნდა გაირჩეს თუ ვინ რა გააკეთა წარსულში, არამედ მხარეებმა უნდა საუკეთესო გამოსავალი მოიძიონ არსებული ჩიხური სიტუაციიდან, რათა გაგრძელდეს სამომავლო ურთიერთობა მათი ინტერესების შესაბამისად[10]; მედიაცია ეხმარება მხარეებს თვითგამორკვევაში, მოდავე მხარეების ერთმანეთისადმი მოთხოვნების რეალური მიზეზების და მიდგომის ამოცნობაში[11]. ხშირად შეხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც მედიაცია „მომავალზე ორიენტირებული პროცესის[12]“ სახელით მოიხსენიება[13]; მედიაცია იძლევა საშუალებას მხარეებმა ხანგრძლივვადიანი[14] შედეგი მიიღონ პროცესის წარმატებით წარმართვის და დასრულების შემთხვევაში, მით უფრო რომ მედიაციის გამოყენება კონფლიქტში მყოფ მხარეებს დავის ნებისმიერ ეტაპზე შეუძლიათ, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო ადრეულ[15] სტადიაზე მოხდება მედიაციის ინიცირება მით უფრო მაღალია დავის შეთანხმებით დასრულების პერსპექტივა[16].

მედიაციის მეშვეობით მხარეები ცდილობენ საკუთარი სიმარ-

8. *Greger R., Unberath H.,* MediationsG: Recht der Alternativen Konfliktlosung, Kommentar, C.H.BECK, Műnchen, 2012, 97.
9. *Jones G., Pexton P.,* ADR and Trusts: an International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, 2015, 33.
10. *Wode M., Rabe C.S.*, Mediation, Springer, Berlin, 2014, 27.
11. *Alexander N.,* Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 10.
12. *Trossen A.,* Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Műhlberg, 2014, 470.
13. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 188.
14. *Kaiser P., Gabler A.M.,* Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 6/2014, 180.
15. *Fenn P.,* Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017, 68.
16. *Roberts M.M.,* Mediation in Family Disputes, Ashgate Publishing Ltd, Burlington, 2014, 180.

თლე შეათანხმონ ერთმანეთთან[17], რათა სამართლის ნორმებმა არ გადაწყვიტოს ის, რაც მათ მიაჩნიათ რომ არის სწორი, რადგან კარგად მოეხსენება ყველას, რომ რიგ შემთხვევაში სამართლიანობა და კანონიერება არ არის თანხვედრი თეზები, შესაბამისად, მედიაციის გამოყენებით მხარეები სწორედ საკუთარი სიმართლის დაფიქსირებას ცდილობენ შეთანხმების გზით, ხოლო რამდენად არის ეს სამართლიანი[18] ორივე მხარისთვის, ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება მხარეების მიერ არის მისაღები, ზოგადად სამართლიანობა მედიაციის ცნების მახასიათებელი სტანდარტია[19].

მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულების. შესაბამისად მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი შედეგი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და იცის თუ როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია, რაც ამ პროცესმა მისცა მას[20]. ხშირია ლიტერატურაში, როდესაც მედიაციას ახასიათებენ ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად (win-win Lősung[21]), რადგან მედიაციის სწორი და ეფექტური გამოყენებით ორივე მხარეს შეუძლია საკუთარი ინტერესების სასარგებლო შეთანხმებას მიაღწიოს[22]; მაშინ როდესაც სასამართლო საქმისწარმოების თუ საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანა-

17. *Wendland* M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 216, 217.
18. *Windisch K.,* Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 2/2015, 55.
19. *Steffek F., Unberath H., (eds), Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.,* Regulating Dispute Resolution ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Oxford and Portland Oregon, 2013, 17.
20. *Ahmed M.,* An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, intersentia,Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.
21. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 21.
22. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბ, 2017, 14.

ხარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი[23].

ყველა დროის საზოგადოებაში[24] ადამიანურ ურთიერთობებს ახასიათებს დავა[25] და კონფლიქტი[26]. დავა საზოგადოების ყველა ფენას ეხება, განურჩევლად სოციალური კუთვნილებისა, დავა ყოველდღიური რეალობაა სამეწარმეო სუბიექტებს თუ მათი საქმიანობიდან გამომდინარე სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის[27].

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებით მიდრეკილია დავებისადმი, რაც ავტომატურად იწვევს სასამართლოს გადატვირთულობას სარჩელებით, განაპირობებს გახანგრძლივებულ და დროში გაჭიანურებულ მართლმსაჯულების სისტემას და მოდავე მხარეების ფინანსურ დანახარჯებს[28]. დავის მახასიათებელი დაძაბულობის, ნერვიულობის, ფიზიკური და ემოციური დესტაბილიზაციის, დავასთან დაკავშირებული დროის და ფინანსების დანახარჯის გათვალისწინებით საზოგადოება და სამეწარმეო სუბიექტები მუდამ ფიქრობდნენ და დღესაც ფიქრობენ თუ როგორ და რა მექანიზმებით მოახერხონ მათი მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციის განეიტრალება, დაძაბულობის კერების ეფექტური ჩახშობა მესამე პირის მეშვეობით[29] და იმის მოხერხება, რომ ურთიერთობები კონფლიქტის მეორე მხარესთან გაგრძელდეს[30] ჰარმონიულად.

ამ მიზნით საზოგადოება მუდამ ძიებაში იყო დავის გადაწყვეტის ეფექტური გზების, რომელიც ყველაზე მეტად დააკმაყოფილებდა მათ საჭიროებებს და მოერგებოდა მხარეთა რეალურ ინტერესებს, მსგავ-

23. *Bevan A.,* Alternative Dispute Resolution, Sweet & Maxwell, London, 1992, 1.
24. *Wode M., Rabe C.S.,* Mediation, Springer, Berlin, 2014, 1.
25. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 35.
26. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 1.
27. *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 3, 5.
28. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.
29. *Fritz R., Pielsticker D.,* Handbuch zum Mediationsgesetz, Luchterhand Verlag, Wolters Kluwer, 2020, 12
30. *Glaβer U., Klowait J.*, Mediationsgesetz, Handkommentar, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2018, 33

სი ძიება და დაგეგმარება ავტომატურად სამართლებრივ გზებამდე მიდის და ამ მიმართულებით მათ შორის მთავარი არის სახელმწიფოს სამართლებრივი პოლიტიკა ემთხვეოდეს საზოგადოების ინტერესს და საჭიროებას და თანმდევად პასუხობდეს იმ ინტერესს, რაც სახელმწიფოს მთავარ შემადგენელს - მოქალაქეებს აქვთ და ესაჭიროებათ.

საერთაშორისო პერსპექტივიდან მარტივი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა არის დღევანდელი საჭიროება[31].

შესაბამისად, კონფლიქტში ჩართული მხარეები მუდამ ცდილობდნენ მოეძიებინათ ის გზები და საშუალებები[32], რაც მათ კონფლიქტს, ნაცვლად გახანგრძლივებული პროცესისა და დამატებითი ფინანსური რესურსის ხარჯვისა, უფრო ეფექტურად გადაწყვეტდა და მათ შორის შეამცირებდა რისკებს[33], დავის მხარეებს შეუნარჩუნებდა ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობის გაგრძელების შესაძლებლობას[34], რაც როგორც წესი შეუძლებელია გახანგრძლივებულ და არაპროგნოზირებადი სასამართლო საქმისწარმოების დროს[35], თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, ამ ეტაპზე ვაღიაროთ, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის უფრო გავრცელებული ფორმა სასამართლო საქმისწარმოებაა, ვიდრე მისი რომელიმე ალტერნატიული საშუალებით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის მცდელობა[36].

აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფრის ფონზე სახელმწიფოებრივი ინტერესიც თანხვედრი იყო და არის იმ საჭიროებისა, რაზეც ზემოთ არის საუბარი, რადგან ერთი მხრივ, მსგავსი შესაძლებლობების განვითარებით, სასამართლო ხელისუფლებას ეძლევა საშუალე-

31. *Carvalho J.M., Carvalho C.,* Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016, 245, 246.
32. *Fritz R., Pielsticker D.,* Handbuch zum Mediationsgesetz, Luchterhand Verlag, Wolters Kluwer, 2020, 12.
33. *Poon G.P.*, The Corporate Counsel's Guide to Mediation, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 9.
34. *იქვე,* 100.
35. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 1.
36. *Pfisterer T.,* Einigung und Mediation in Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlosung im Konsens, Schiedsgerichtbarkeit, Diversion, Mediation, Leykam BuchVerlag, Graz, 2010, 78.

ბა ერთგვარი განმუხტვის მასთან აკუმულირებული და მიმდინარე საქმისწარმოებების, ხოლო მეორე მხრივ, სრულდება დიდი სოციალური ფუნქცია, როდესაც მხარეები სასამართლოს ნაცვლად, სხვა კანონიერი გზებით დავის ამოწურვის მცდელობისას უფრო მეტად ინარჩუნებენ ერთმანეთთან ურთიერთობის რესურს, რადგან ამ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მხარეებს შორის მოგებული და წაგებული მხარის სინდრომი მათ არ ეუფლებათ, რაც უადვილებთ საზოგადოების წარმომადგენლებს და ბიზნესს, ორმაგად, კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან გააგრძელონ თანაცხოვრება თუ საქმიანი ურთიერთობის ქონა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როგორც სახელმწიფოს ინტერესშია მაკრო დონეზე, ასევე თითოეული დავის მხარის ინტერესშია მიკრო დონეზე[37] გამოინახოს დროის და ფინანსების კუთხით ეფექტური დავის გადაწყვეტის ისეთი მექანიზმი, რომელიც მისცემს მხარეებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს, რესურსების რეალურად დაზოგვის საშუალებას და იქნება სოციალური მშვიდობის წინაპირობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მოქალაქეებს შორის თუ პირებს შორის არსებული სამართლებრივი დავის კანონიერი აღმოფხვრის სისტემის შექმნა სახელმწიფოს ვალდებულებაა. შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შექმნა, (რაც ერთგვარი კრებსითი[38] სახელწოდებაა სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმისა), ორგანიზება და ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფოს მიერ[39] ორკესტრირებული პროცესი უნდა იყოს ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში, შესაბამისად, მარტივია ლოგიკა, რადგან სახელმწიფო წარმოადგენს დავის ალტერნატიული საშუალებების სერვისების რეალურ მიმწოდებელს მომხმარებლებისთვის, სასამართლო, თავის მხრივ, როგორც სახელმწიფო ხელისუფალი ვალდებულია იმ სამართლებრივი პოლიტიკის გატარებაზე, რაც არის დაკავშირებული დავის ალტერნატიული საშუალებების გამართულ საქმიანობას შეუწყოს

37. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.
38. *Genn H.,* Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 80.
39. *De Palo G., Trevors M.B.,* Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, 2007, 15.

ყოველმხრივ ხელი[40], თუმცა ეს არ უნდა გახდეს სასამართლოსთვის მიმართვის და სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარანტირებული და აღიარებული უფლების ხელის შემშლელი[41].

ზემოაღნიშნული საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით სავსებით ლოგიკური და შედეგობრივად პროგნოზირებადი იყო და არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, რომლებიც რეალურად წარმოადგენენ სოციალური[42] დაძაბულობის და საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების შედეგიანი აღმოფხვრის ეფექტურ მექანიზმებს, ფართო გავრცელება და გამოყენება საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, ისევე როგორც სახელმწიფოების, მათ შორის საერთაშორისო დონეზე მათი პოლიტიკური თუ სამართლებრივი გაერთიანებების მყარად გამოვლენილი ნება ხელი შეეწყოს მედიაციის მაგალითზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას ყოველდღიურობაში[43], რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების[44] ჩათვლით. ამ კუთხით ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ ქვეყნებს ისტორიულად მოსდევთ მედიაციის მეთოდიკით ან მსგავსი ფორმებით დავების გადაწყვეტის გამოცდილება, რაც, როგორც წესი, დადებით როლს თამაშობს ამ ინსტიტუტის დღევანდელ სამართლებრივ სისტემაში ინტეგრირების თვალსაზრისით[45]. მედიაცია განიმარტება, როგორც

40. *Caponi R.*, „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79.Jahrgang 2015, 121.
41. *Deixler-Hűbner A.,* Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 105.
42. *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, *Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A.*, Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.
43. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Springer, Vol. 6, 2015, 2.
44. *Jeong S.,* Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 831.
45. *Creutzfeldt N.*, Vertrauen in Außergerichtliche Streitbeilegung, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2016, 15.

პროცესი[46], რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს თავად აღმოფხვრან სადავო საკითხები.

მედიაცია არის კონფიდენციალური პროცესი, რომელშიც ნებაყოფლობითობის[47] საფუძველზე მხარეები მესამე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შუამავალი პირის ჩართულობით[48], რომელსაც რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია, ცდილობენ სასამართლოს გარეშე მიაღწიონ მათი ინტერესებისთვის მისაღებ შეთანხმებას[49], კერძოდ, გამონახონ ერთმანეთის ინტერესების[50] გათვალისწინებით ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების პირობები.

თუმცა ამ პროცესს თავისი კონკრეტული შემადგენელი აქვს და აუცილებელია ეს მდგენელი ფიგურირებდეს, რათა მედიაციას, როგორც სპეციალური უნარებით აღჭურვილი, გამოცდილი მესამე ნეიტრალური[51] პირის ჩართულობით, მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკების პროცესს[52], მიეცეს რეალურად ფართო არეალი თვითდამკვიდრების და პრაქტიკაში გამოყენების[53]:

ა) საჭიროა საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება მედიაციის შესახებ, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალების არსებობის, კონკრეტული უპირატესობების მითითებით თუ რას იძლევა მედიაცია და რატომ უნდა ანდოს მხარემ საკუთარი კონფლიქტის გადაწყვეტა სასამართლოს ნაცვლად მედიატორს;

46. *Trossen A*., Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Műhlberg, 2014, 37, 49.
47. *Hirsch G.,* Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Műller Verlag, Heidelberg, 2017, 64.
48. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1162.
49. *Hirsch G.,* Alternative Streitbeilegung: ein neuer Zugang zum Recht, Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Műller Verlag, Heidelberg, 2017, 69.
50. *Bäumerich M.,* Gűterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 23.
51. *Hale T.,* Between Interests and Law, Cambridge University Press, Cambridge, 2015, 54.
52. *Willis T.,Wood W.,* Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015, 72.
53. *Moore C.W*., The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 467.

ბ) საჭიროა მედიაციის შესახებ სასწავლო კურსების საუნივერსიტეტო თუ საშუალო განათლების სისტემაში სწორი და სრულფასოვანი ინტეგრირება, რაც წინაპირობაა მისი ახალი თაობის მხრიდან ინფორმირებული გამოყენების, რადგან სწორედ მომავალი დავის მხარეები სკოლის მერხთან და საუნივერსიტეტო კედლებში იღებენ იმ პირველად განათლებას აღნიშნულის შესახებ და მეტად მომზადებულ მოდავე მხარეებს წარმოადგენენ პოტენციურად;

გ) საჭიროა მედიაციის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება, რაც მის მკაცრად პროცედურულ ჩარჩოებში ჩასმას არ გულისხმობს, არამედ მისი ოფიციალური სახით გამოყენების სამართლებრივი წინაპირობების და აღსრულების მექანიზმების რეგულაცია მოიაზრება.

დ) საჭიროა მედიაციის მეცნიერული კვლევა და დარგის მეცნიერული განვითარება, რაც წინაპირობაა საკითხის მეცნიერული დამუშავების და კიდევ უფრო მაღალ რანგში აყვანის.

ე) ინსტიტუტს ესაჭიროება ინსტიტუციონალიზაცია და მისი სისტემური გამართვა მომხმარებლის მხრიდან ნდობის მოპოვებისთვის და მოხმარების გაადვილების მართვის კუთხით.

ვ) საჭიროა სამედიაციო ინსტიტუციების განვითარება, და მათთვის ფინანსური რესურსის მოზიდვა სახელმწიფო და ბიზნეს სექტორიდან.

ზ) საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს მედიაციის პროცესში ჩართული მხარეების რეალური დამოუკიდებლობა და არ მოხდეს ერთ-ერთი მხარის გავლენის ქვეშ[54] მეორე მხარის მოქცევა, მედიაციისთვის გარე თუ თვით მედიაციის შიგნით არსებული საკითხებიდან გამომდინარე.

თ) გასააზრებელია თუ რა არის მედიაციის დანერგვისთვის ამ ეტაპზე უპრიანი, კერძოდ, რა სტანდარტით უნდა ხდებოდეს მედიატორის სტატუსის მინიჭება და ვის მიერ, იყოს აღნიშნულის გადამწყვეტი სახელმწიფო ცალსახად ან/და როგორ განვსაზღვროთ მედიაციის დანერგვისთვის ორი უმნიშვნელოვანესი

54. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 107.

რგოლის: სასამართლო და ადვოკატთა პროფესიის როლი ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის გაწერის კუთხით.

ი) აქვე აღსანიშნავია, რომ დიდი მნიშვნელობა ექცევა იმას ზოგადად მედიაცია წარმოადგენს იურიდიულ საქმიანობას თუ არის ჩვეულებრივი მომსახურება, რადგან იმ შემთხვევაში თუ სახეზე იქნება იურიდიული მომსახურების კუთხით მედიატორის საქმიანობის მიკუთვნება, მაშინ პროცესში მონაწილე წარმომადგენელ ადვოკატზე მისი პროფესიული ეთიკის სტანდარტი უნდა გავრცელდეს[55].

კ) და ბოლოს მედიაციის გამოყენების არეალის შექმნა და მოძიება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მედიაციის რეალური პოპულარიზაციის და დამკვიდრების, რაშიც მოიაზრება კონკრეტული დავათა კატეგორია, რომელიც დამტკიცდება, რომ ყველაზე ეფექტურია მომხმარებლებისთვის სწორედ დავის აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმით დარეგულირებისთვის.

აქტუალურია საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად რეგულირების ჩარჩოებს და ნორმებს უნდა მოვარგოთ მედიაცია[56], რამდენად მკაცრ საკანონმდებლო დონეზე გაწერილი წესების გავლენის ქვეშ უნდა მოექცეს მედიაცია, პროცესი და ტექნიკა მხარეებს შორის დავის ალტერნატიული ფორმით გადაწყვეტის მექანიზმი. აღნიშნულთან დაკავშირებით ცალსახა და ერთგვაროვანი პასუხი არც ფართო იურიდიულ საზოგადოებაში მოიპოვება მსოფლიოს მასშტაბით და ყველა ქვეყანას საკუთარი მიხედულობის შესაბამისად მოუწევს აღნიშნულზე პასუხის გაცემა.

ამ ეტაპზე ძირითადად შეინიშნება სამი მოდელი, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რეგულაციების სპექტრს გვთავაზობენ: ერთი ეს გახლავთ ავსტრიული მოდელი, სადაც მედიაცია დაქვემდებარებულია დეტალურ სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ, მკვეთრად გამიჯნულია ის იურიდიული საქმიანობისგან

55. *Hartung A.M.,* Weder Sozietät noch Bűrogemeinschaft des Anwalts mit Mediator oder Berufsbetreuer, Neue Juristische Wochenschrift (NJW), C.H.BECK, Műnchen, 2018, (5April, #15) 1102.

56. *Steffek F.*, Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1164.

და კანონით სამოქალაქო მედიაციის შესახებ გათვალისწინებულია თითქმის ყველა პროცედურული თუ მედიაციის ინსტიტუციონალური რეგულირების საკითხები, ისევე როგორც მედიატორთა ეთიკის, სტატუსის მინიჭების და შემდგომი პროფესიული განათლების სტანდარტები. მეორე, ეს გახლავთ ინგლისის და ჰოლანდიის მაგალითი, სადაც მედიაციას სამართლებრივი ჩარჩო რეგულაციებით არ ზღუდავენ, მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით ხარჯების საკითხი არის გაწერილი, ხოლო ყველა სხვა საკითხი აბსოლიტურად მედიაციის სფეროში მოქმედი კერძო სამართლის სუბიექტების და სამომხმარებლო ბაზრის რეგულირებას არის მინდობილი და მესამე ჯგუფი ქვეყნების, სადაც შეინიშნება მცდელობა ერთგვარი შუალედური რეგულაციის ზემოაღნიშნულ ორ მოდელს შორის, რათა დაცული იქნეს მედიაციის მომხმარებელთა უფლებები და უზრუნველყოფილ იქნეს პროცესის ნებაყოფლობითობის პრინციპი.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ვეცდებით მიმოვიხილოთ ძირითადი ტენდენციები დანერგილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, შევაფასოთ ამ ეტაპზე არსებული წარმტატებული გამოცდილება და ჩამოვაყალიბოთ ხედვა ქართული რეალობის მიზნებისთვის რა იქნებოდა კარგი და მიზანშეწონილი საქართველოში მედიაციის ეფექტურად დანერგვის და ამოქმედებისთვის საჭირო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე პირის ჩართულობით კონფლიქტის მოგვარების ტრადიცია საქართველოში საუკუნოვან ისტორიას ითვლის, თანამედროვე მედიაციის აღქმა და სამართლებრივი რეგულირება ჯერ კიდევ ჩანასახოვან სტადიაზეა, კერძოდ, მხოლოდ 2019 წლის სექტემბრის თვეში იქნა მიღებული კანონი „მედიაციის შესახებ“, რომელიც 2020 წლის 01 იანვრიდან ამოქმედდა, შესაბამისად, რა თქმა უნდა ამ ეტაპზე ყველამ ერთად უნდა განვავითაროთ მედიაცია და ყოველდღიურ გამოყენებაში დავხვეწოთ პრაქტიკული საჭიროებები.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მედიაციის დანერგვის საწყის ეტაპზე, თუ საჭირო გახდა უცხო ქვეყნის რიგი ნორმების ქართულ სამართლებრივ სივრცეში რეცეფციის განხორციელება მედიაციის

მიმართულებით, უპრიანია ეს მოხდეს ეროვნული თავისებურებების[57] გათვალისწინების კუთხით[58], რათა მედიაციის რეფორმა წარმატებული გამოდგეს, ხოლო ევროპული სტანდარტები მჭიდროდ იყოს ჰარმონიულ კავშირში შიდა სამართლებრივ სისტემასთან[59] და მათ შორის გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება მედიაციის საკანონმდებლო დანერგვასთან დაკავშირებით[60], თუმცა არა უცხოური ნორმების პირდაპირი გადმოტანით ქართულ კანონმდებლობაში, არამედ აღნიშნული თეზების მეცნიერული შესწავლის და ანალიზის ხარჯზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მედიაციის დანერგვის პროცესი ფაქტობრივ მიმდინარეობს, ამოქმედდა კანონი „მედიაციის შესახებ“, შეიქმნა სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, რომელიც გახდა მედიაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო, ისევე როგორც ყველა მედიატორისთვის ე.წ. „ქოლგა ორგანიზაცია“ და ყველა ვრწმუნდებით, რომ ამ ინსტიტუტის განვითარება სასარგებლოა, როგორც მართლმსაჯულების სისტემისთვის ერთობლიობაში, ასევე კონფლიქტში მყოფი მხარეების ინტერესებისთვის, მეტად მნიშვნელოვანია კარგად იქნეს შესწავლილი მედიაციის სისტემა და ფორმები მეცნიერული თვალსაზრისით და ქართული მოდელის განვითარება განხორციელდეს მსოფლიოს წარმატებული მაგალითების საფუძველზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის თანამედროვე მოდელი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება აბსოლიტური ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ რეალობაში, მისი შესწავ-

57. *Burduli I.,* Nekrorezeption in Transformationsgesellschaften, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrift fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 8.
58. *Steffek F.,* Rechtsvergleichende Erfahrung fűr die Regelung der Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 880.
59. *Chanturia L*., Die Europäisierung des georgischen Rechts – bloβer Wunsch oder groβe Herausforderung?, Rabels Zeitschrift, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 180.
60. *Hopt K.J*., Mediation – Eine Einfűhrung, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 724.

ლა ერთდროულად მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო წრეების, ასევე ქართველი პრაქტიკოსი იურისტებისათვის, რომელთაც კიდევ უფრო აქტიურად მოუწევთ მედიაციის პროცესში ჩართვა მედიატორისა თუ მხარის წარმომადგენლის ფუნქციით, შესაბამისად, ნაშრომს აქვს მათ შორის დატვირთვა შეასრულოს ის მნიშვნელოვანი როლი, რასაც წარმოადგენს თემით დაინტერესებული იურიდიული საზოგადოების და მომავალი იურისტების აღჭურვა ახალი მეცნიერული კვლევით მედიაციის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში გამოყენებულია ჰამბურგის მაქს-პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის შედარებით-სამართლებრივი ინსიტიტუტის და ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მედიაციის საკითხებზე არსებული უახლესი კვლევითი რესურსები და სამეცნიერო ლიტერატურა[61].

61. ავტორი ნაშრომზე მუშაობის მიზნით, DAAD-ს სამეცნიერო სტიპენდიით იმყოფებოდა მაქს პლანკის სახელობის საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის შედარებით-სამართლებრივ ინსტიტუტში, ისევე როგორც ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში.

თავი II

მედიაციის პროცესის არსებრივი მახასიათებლები

2.1. მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება

ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში და რა თქმა უნდა საქართველოს მაგალითზეც, მოდავე მხარეებს უზრუნველყოფილი აქვთ სასამართლოსათვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება[62], რაც ასევე საერთაშორისო სტანდარტებით[63] დაცული და უზრუნველყოფილი, გარანტირებული უფლებაა. სასამართლო საუკუნეებია დამკვიდრებულია[64], როგორც მხარეებს შორის არსებული დავის ბუნებრივი გადაწყვეტის ადგილი[65]; თუმცა საუკუნეების მანძილზე სასამართლო საქმისწარმოების გამოყენების გამოცდილებამ საზოგადოებას და სასამართლო საქმისწარმოების სერვისით მომხმარებლებს დაარწმუნა მსგავსი ფორმით და საშუალებით დავის გადაწყვეტის არაეფექტურობაში, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია სასამართლო წარმოების დროში გახანგრძლივებულობით და პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯებით; ისევე როგორც სასამართლოში დავის ინიცირებით მხარეები რეალურ კონტროლს კარგავენ და ხელიდან უშვებენ სადავეებს საქმის მიმდინარეობასა და შედეგზე[66]. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი სამართლებრივი დავის, განურჩევლად მისი ხასიათისა და სირთულისა, სასამართლოსთვის მინდობა, რიგ შემთხვევაში გაუმართლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რაც თავისთავად იწვევს საჭიროებას სასამართლოს ალტერტნატიული ეფექტური მექანიზმების გაჩენისა პრაქტიკაში. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი როგორიც არის სასამართლოს წინაშე საქმისწაროება ან თუნდაც საარბიტრაჟო საქმისწარმოება, აღარ წარმოად-

62. იხ. საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლი.
63. იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლი.
64. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ, 2017, 13.
65. *Wendenburg F.*, Differenzierte Verfahrensentscheidungen in zivilrechtlichen Konflikten, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2013, 21.
66. *Trenczek T.M.A.,Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 35.

გენს ეფექტურ მექანიზმს, რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს შორის, მათ შორის დაბალი ღირებულების და საზღვართშორისი დავების მატების ფონზე[67].

მედიაციის ფართოდ გავრცელებას და დამკვიდრებას აქვს ობიექტური მრავალი წინაპირობა, თუმცა ყველაზე მეტად გავრცელებულ საფუძვლებს[68] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ამ ფორმის დანერგვისა წარმოადგენს მისი თვალშისაცემი უპირატესობა ხარჯების და დროის დანახარჯის კუთხით, ხოლო საზღვართშორისი მედიაციის შემთხვევაში მხარეების ნაკლები ცოდნა და ნდობა დავის წარმოების ადგილის იურისდიქციისა[69], შესაბამისად, ნამდვილად არ არის გასაკვირი, რომ მედიაცია იმკვიდრებს თავს, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ინსტრუმენტი[70].

2.2. მედიაცია, როგორც ADR -ს ერთ-ერთი ფორმა და მისი შედარება დავის გადაწყვეტის სხვა მექანიზმებთან

ბოლო ორმოცი წლის მანძილზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები (ADR) საგრძნობლად განვითარდა და წარმატებით დამკვიდრდა[71] იურიდიულ საზოგადოებაში[72], დღეს ის უკვე ნაწილია იურიდიული პრაქტიკის და აზროვნების. ბოლო დროს ვრცელდება მოსაზრებებიც, რომ ADR არის არა ალტერნატივა მართლმსაჯულების, არამედ არის ალტერნატიული მართლმსაჯულება[73], თუმცა მთავარია რომ ამ ფორმის გამოყენებით დავის მხარეებმა მიიღონ კონკრეტუ-

67. *Cortes P.,* The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 101.
68. *Rashda R.,* Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 3.
69. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 2.
70. *Berkel G.,* Deal Mediation: Erfolgsfaktoren professioneller Vertragsverhandlungen, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2015, 4.
71. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 9.
72. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 1.
73. *Lindblom P.H.,* Progressive Procedure, Iustus, 2017, 405.

ლი შედეგი. დავის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით დავის გადაწყვეტის სტატისტიკა სამართლის თითქმის ყველა მიმართულებით დღითიდღე მატულობს[74].

ევროპის კავშირის ეგიდით ხდება დავის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ სპეციალური დირექტივების მიღება[75], რაც ევროპის მასშტაბით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების კიდევ უფრო დამკვიდრების წინაპირობაა[76].

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც ტერმინი გამოიყენება როგორც ზოგადი ფრაზა, რომელიც იგივდება კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესთან, რომელიც თავისი ბუნებით არის არაფორმალური პროცესი, დავაში ჩართული მხარეებისათვის აბსოლიტურად მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი მესამე პირის ჩართულობით (შესაძლებელია ასეთი პირი იყოს ერთზე მეტი), რომელიც მხარეებს მათ შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრაში ეხმარება, იმაზე უფრო არაფორმალური ფორმით და საშუალებებით, ვიდრე ეს სასამართლო საქმისწარმოებას ახასიათებს[77], მარტივად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება განიმარტება, როგორც არასასამართლო მექანიზმით დავის გადაწყვეტა[78], ხოლო მსგავსი ფორმა დავის გადაწყვეტის წარმოადგენს სასამართლო საქმისწარმოების ალტერნატიულ[79] მექანიზმს.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიმართ დიდია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად დემოკრატიულ ქვეყნებში, რადგან იმ უპირატე-

74. *Carvalho J.M., Nemeth K.,* Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 81.
75. იხ. <http://eur-lex.europa.eu/eli/dir/2013/11/oj>. [15.05.2018]
76. *Steffek F.,* The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016, 51. <http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>. [15.05.2018]
77. *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 2.
78. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 4.
79. *Ferz S., Lison A., Wolfart E.M.,* Zivilgerichte und Mediation, Universitätsverlag, Wien, 2004, 28.

სობების გათვალისწინებით (დროის ნაკლები დანახარჯი, ფინანსების ნაკლები დანახარჯი, ნაკლებ შეჯიბრებითი პროცესი), რაც ADR-ს გააჩნია, მისი სერვისის გამოყენების ინტერესი დავაში მყოფ მხარეებს შორის სულ უფრო იზრდება[80]; ADR მომხმარებელს სთავაზობს იაფ, დროულ და კიდევ უფრო ხელმისაწვდომ დავის გადაწყვეტის მექანიზმებს, ვიდრე ეს სასამართლოს წინაშე საქმისწარმოებაა[81].

ეს ტერმინი ერთგვარი „ქოლგა დასათაურებაა"[82], რომელიც თავის თავში რამდენიმე არაფორმალურ მექანიზმს მოიაზრებს, რომლებიც ფორმით და მნიშვნელობით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა ყველა მათგანს აქვს ერთი მნიშვნელოვანი მსგავსება და კერძოდ, ყველა ეს საშუალება და მექანიზმი წარმოადგენს ალტერნატივას სასამართლო საქმისწარმოების გზით მხარეებს შორის დავის გადაწყვეტისა, როდესაც სასამართლოს გარეთ, დამოუკიდებლად მიმდინარე წარმოებაში ხდება საკითხის გადაწყვეტა ან უშუალოდ კონფლიქტში ჩართული მხარეების მხრიდან საკუთარი დავის შესახებ შეთანხმების მიღწევის მცდელობა, რა დროსაც მხარეები ორიენტირებულნი არიან მიაღწიონ შეთანხმებას და აქცენტირება ხდება მათ საერთო ინტერესებზე, ხოლო მოთხოვნები და სამართლებრივი არგუმენტაცია მეორეხარისხოვანი ხდება. აღნიშნული პროცედურების წარმოება მაინცდამაინც სასამართლო წარმოების დაწყებამდე ან მის დასრულებამდე არ ხდება, არამედ ეს ყველაფერი შესაძლებელია მიმდინარეობდეს სასამართლოს საქმისწარმოების პარალელურადაც. რიგ შემთხვევაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს ლიტერატურაში დავის „მეგობრულად" (`amicable`[83]) დასრულების საშუალებასაც უწოდებენ, რადგან ამ ალტერნატიული საშუალებების მთავარი მიზანი სწორედ მხარეებისთვის ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება წარმოადგენს.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პოპულარიზა-

80. *Kumar A.,* Alternative Dispute Resolution System, Global And National Perspective, K.K. Publications, 2016, 55.
81. *Pinto-Ferreira J.P., Carvalho J.C., Consumer ADR in Portugal,* EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 89.
82. *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 3.
83. იქვე, 3.

ცია და გამოყენებადობა დიდწილად დამოკიდებულია საზოგადობის, ბიზნეს სექტორის მხრიდან ამ შესაძლებლობის და მისი ფორმების შესახებ ცნობადობის გაზრდაზე[84]. მნიშვნელოვანია, რათა ხდებოდეს კონკრეტული საქმეების მაგალითებზე დავის ალტერნატიული საშუალების ფორმების პრაქტიკული გამოყენება, რაც შექმნის ამ ინსტიტუტის მიმართ სანდოობას. მეორე მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვანია უშუალოდ მართლმსაჯულების მხრიდან, იგულისხმება სასამართლო ხელისუფლება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიმართ მხარდამჭერი სასამართლო პოლიტიკის გატარება, განსაკუთრებით ასეთი ახალი ინსტიტუციების დანერგვის სტადიაზე, რადგან საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც გააჩნია ნდობა სასამართლოსადმი, ამ უკანასკნელის პოზიციას ენიჭება გარკვეული დატვირთვა, თუმცა სასამართლომ ამ ყველაფერს წმინდა პრაგმატული კუთხით, რომ შეხედოს, საქმეთა ნაკადის შემცირების თვალსაზრისით სასამართლოებისთვის ნამდვილად სასარგებლოა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ფართო გამოყენებადობა საზოგადოების მხრიდან[85]. მექანიზმის საკანონმდებლო დონეზე მყარი და სტრუქტურიზებული ინსტიტუციონალიზაცია დამატებითი წინაპირობაა მისდამი ნდობის მოპოვებისა.

დავის გადაწყვეტის არასასამართლო მექანიზმების გამოყენება მხარეთა ავტონომიურობის პრინციპზეა დამყარებული, რადგან მათ თავად, საკუთარი ნებით, კონსენსუსის[86] გზით უნდა აირჩიონ დავის გადაწყვეტის ეს ფორმა, შესაბამისად მექანიზმი მათთვის გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ცნობილი, უნდა იყოს სანდო და ეფექტური. ამასთანავე გასათვალისწინებელია დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური დანახარჯი[87], რაც დავის გადაწყვეტის ალტერნა-

84. *Lord Justice Jackson.,* New Approach to Civil Justice: From Woolf to Jackson., Conference on Civil Justice Reform:What Has it Achieved?., Hong Kong., 15 April 2010.
85. *Kwan Lun M.I.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge., 2017, 24.
86. *Kathy M*., Court Referral to ADR: Criteria and Research. 2003, para.6.6., <www.aija.org.au>. [15.05.2018]
87. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.

ტიული მექანიზმების გამოყენების ფონზე სასამართლო საქმისწარმოებასთან შედარებით გაცილებით იაფი[88] და მომხიბვლელია[89].

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი მიდგომა ტერმინი „ADR"-ს მიმართ საერთაშორისო იურიდიულ საზოგადოებაში არ შეინიშნება[90], კერძოდ, ბევრი ფიქრობს რომ სიტყვა ალტერნატიულის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, თუმცა მეორე და უფრო ფართოდ გავრცელებული ხედვით სიტყვა „ალტერნატიულის" გამოყენება მართებულია ყველა იმ პროცესისადმი, რომელიც მხარეებს სთავაზობს სასამართლოსა და სახელმწიფო სერვისებისგან ალტერნატიულ მექანიზმს დავის გადაწყვეტისა, თუმცა რიგ შემთხვევაში ტერმინი მათ შორის მოლაპარაკებების და თავად სხვა არასასამართლო მექანიზმების ალტერნატივადაც აღიქმება ხოლმე[91]. ფაქტია, რომ აღნიშნული აკრონიზმის (ADR) გამოყენებაზე ავტორიტეტული ორგანიზაციებიც სხვადასხვა პოზიციებზე არიან, მაგალითად საერთაშორისო სავაჭრო პალატა ნაცვლად ალტერნატიულისა ხმარობს ტერმინს „მეგობრული" (Amicable), მსოფლიოში აღიარებული მედიაციის ორგანიზაცია CEDR (დავის ეფექტურად გადაწყვეტის ცენტრი) სიტყვა ალტერნატიულის ნაცვლად სიტყვა „ეფექტურს" ამჯობინებს, ისეთი ინსტიტუცია, როგორიცაა ევროპის იურიდიული კომისია სიტყვა „პროპორციულს" (Proportionate) ანიჭებს უპირატესობას, ისევე როგორც გამოყენებაშია ტერმინი „შესაბამისი[92]" (appropriate[93]), მათ შორის ლიტერატურაში შეგვხვდება შემთხვევები, როდესაც გამოიყენება „ინოვაციური დავის

88. *Alexander N.*, Four Mediation Stories from Across the Globe, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 734.
89. *Tunay K.,* Contract Management&Dispute Resolution in International Construction Business, BILGE, 2016, 182.
90. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 2.
91. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 2.
92. *Menkel-Meadow C.,* Developments in `A`DR in the United States, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 4/2013, 126.
93. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 3.

გადაწყვეტის მექანიზმის სახელით[94]", თუმცა გამოყენებადობის სიხშირე და პოპულარიზაცია ინტერნეტ საძიებო სისტემა Google-ს მეშვეობით რომ გავზომოთ აკრონიზმი ADR-ს გამოყენება დაახლოებით 7 მილიონამდე შედეგს მოგვემს, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენ შემთხვევაში რამდენიმე ათასი იქნება შედეგი ტერმინის გამოყენების[95]. საბოლოო ჯამში არ აქვს დიდი მნიშვნელობა თუ როგორ ხდება დავის ალტერნატიული საშუალების მოხსენიება, მთავარია ყველა თანხმდება იმაზე, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები და განსაკუთრებით მედიაცია კერძო დავებზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე განვითარებული ბიზნეს დავების გადაწყვეტის სფეროში[96].

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები წარმოადგენს მოქნილ ფორმებს მხარეთა შორის კონფლიქტის აღმოფხვრის, როდესაც მხარეები თავად ირჩევენ დავის ალტერნატიული საშუალების კონკრეტულ მექანიზმს, თავად არჩევენ ინსტიტუციას თუ პიროვნებას ვინც იქნება შერჩეულ ალტერნატიულ საშუალებაში ჩართული, როგორც არბიტრი, მედიატორი ან ნებისმიერი სხვა ფორმით, თავად მხარეები არჩევენ კანონმდებლობას და მათი ჩართულობის ფორმას კონფლიქტის მოგვარებაში, კერძოდ, იქნებიან წარმოდგენილნი ადვოკატით თუ უშუალოდ მიიღებენ პროცესში მონაწილეობას[97].

აკრონიზმი ADR-ს მეორე ნაწილი - დავის - მიმართ ასევე არის მრავალფეროვანი მიდგომა იურიდიულ ლიტერატურაში და იურიდიულ წრეებში; ალბათ ყველას კარგად მოგვეხსენება თუ რა არის დავა, მიუხედავად იმისა ამ ტერმინის აღწერილობითი ნაწილის მიმართ რა მოსაზრებაც არ უნდა არსებობდეს, როგორც ლორდი

94. *Kwan Lun M.I.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge., 2017, 14.
95. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 3.
96. *Schonewille M.A., Fox K.H.,* Moving beyond `Just' a Deal, a Bad Deal or No Deal in Ingen-Housz A., ADR in Business, Vol. II, Wolters Kluwer Law&Business, the Netherlands, 2011, 82.
97. European Commission, Green Paper on Alternative Dispute Resolution in Civil and Commercial Law (2002), <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX-:52002DC0196&from=EN>.[15.05.2018]

სკრუტონი[98] იტყოდა: მე შეიძლება ვერ აღვწერო სპილო, თუმცა დანამდვილებით ვიცი რომ მას ვუცქერ, როცა დავინახავ სპილოს.

თუმცა სამართლებრივი მნიშვნელობისთვის უპრიანია გვქონდეს ნათელი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, თუ როდის გადაიზრდება მხარეთა შორის შეუთანხმებლობა დავაში, მათ შორის სახელშეკრულებო დათქმის დეფინირებისას, როდესაც მხარეები თანხმდებიან მათ შორის არსებული დავა განიხილოს ამა თუ იმ ინსტიტუციამ, იყოს გაწერილი თუ შეუთანხმებლობის რა სტადია და ეტაპი წარმოადგენს დავას, რათა მართებულად ამოქმედდეს სახელშეკრულებო დათქმა და მოხდეს ხელშეკრულებით შეთანხმებული ინსტიტუციის მიერ საჩივრის თაობაზე წარმოების ინიცირება ან პირიქით უარის თქმა იმაზე მითითებით რომ დავის ფაქტობრივ სახეზე არსებობას არ აქვს ადგილი და შემხებლობა გვაქვს მხარეთა შორის შეუთანხმებლობასთან[99]. რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით ეს ყოველივე ძაან თეორიული სახის მატერებელია, თუმცა სიღრმეებში თუ ჩავალთ, თეორიულ ნაწილში არის პრაქტიკული რეალობის ამსახველი მარცვალი.

ყოველ დავაში მონაწილე მხარეებს აქვთ თავისი კონკრეტული ინტერესი[100], უფრო მეტიც, დავის სამართლიანი გადაწყვეტის წინაპირობას რიგ შემთხვევაში მხარეების კონკრეტული უფლებები განაპირობებს, თუმცა მხარეებს გააჩნიათ თავისი ძალაუფლება და გავლენა ერთმანეთის მიმართ; დავის დროს მხარეების ინტერესები, უფლებები და ძალაუფლება წარმოადგენს სამ ძირითად ელემენტს ნებისმიერი დავისთვის მახასიათებელს. შესაბამისად, დავაში მხარეები ცდილობენ გაატარონ საკუთარი ინტერესები, გაარკვიონ ვინ არის მართალი და დაადგინონ თუ ვინ არის უფრო ძალამოსილი.

ინგლისურ სასამართლოებს აქვთ დაგროვილი სასამართლო პრაქტიკა, როდესაც ტერმინი „dispute“ განუხილიათ ისეთ შემთხვევებთან კავშირში, როდესაც მხარეებს ჰქონდათ შეთანხმება სწორედ

98. იხ. https://en.wikipedia.org/wiki/Thomas_Edward_Scrutton
99. *Brown H., Marriott A.,* Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 1.
   იქვე, 3.
100. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 17.

დავის წარმოშობისას მიემართათ არბიტრაჟისთვის, ხოლო ნებისმიერ სხვა საკითხზე, რომელიც მაგალითად ხელშეკრულების ამა თუ იმ ნორმის შესრულებას ეხებოდა მიუმართავთ სასამართლოსთვის, რადგან მხარეს მიაჩნდა, რომ სახეზე დავა, როგორც ასეთი არ ყოფილა.

საქმეში Ellerine Bros Pty Ltd v Klinger[101] იყო ხელშეკრულება რომლის თანახმად დავის (dispute) წარმოშობის შემთხვევაში მხარეებს უნდა მიემართათ არბიტრაჟისთვის. მოპასუხე მხარემ სახელშეკრულებო ვალდებულება თანხის გადახდისა არ შეასრულა, თუმცა არ მიაჩნდა რომ სახეზე იყო დავა, მანამდე სანამ არ მიიღო მოთხოვნა თანხის თაობაზე. აღნიშნულ დავაზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „დუმილი არ ნიშნავს თანხმობას" და აღნიშნა, რომ ფაქტი იმის შესახებ რომ მოპასუხე არც უარყოფს დავალიანებას და არც ადასტურებს, არამედ დუმს, და არის უმოქმედოდ, არ ნიშნავს დავის არ არსებობას, დავა არსებობს იმ სტადიამდე სანამ მოპასუხე აღიარებს დავალიანებას[102].

შესაბამისად მნიშვნელოვანია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის თეზის სწორედ აღქმისთვის მოვახდინოთ ერთმანეთისგან „დავის" (dispute) და „კონფლიქტის" (conflict) განსხვავება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს და პირიქით, კერძოდ, დავას ახასიათებს მათ შორის კონფლიქტის ნიშნები და კონფლიქტს ცალსახად ახასიათებს დავის ნიშნები. თუმცა კონფლიქტი ადამიანური ქცევის განუყოფელი ნაწილია და პიროვნების განვითარება ამ მოვლენის გარეშე არ ხდება[103].

აკრონიზმი ADR -ს ბოლო ნაწილი დავის „გადაწყვეტა"-ს შეეხება, რაც შინაარსობრივად დავის მართვას მოიცავს თავის თავში (dispute management), რადგან რიგ შემთხვევაში ADR-ს ამა თუ იმ ფორმის გამოყენებისას რეალურად ხდება ამა თუ იმ დავის, კონფლიქტური სიტუაციის მართვა, თუმცა ყოველთვის მისი გადაწყვეტა როდი

101. [1982] 1 W.L.R. 1375 CA (Civ Div).
102. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 4.
103. *Acland A.F.*, A Sudden Outbreak of Common Sense: Managing Conflict through Mediation, (London: Random House Business Books, 1990), 69.

არის შესაძლებელი, თუმცა ერთი ფაქტია, როცა შემხებლობა გვაქვს დავასთან, კონფლიქტთან, მიზანი არის მისი გადაწყვეტა[104].

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიტყვა სიტყვითმა მნიშვნელობამ არ უნდა მოახდინოს ტერმინის მნიშვნელობის დავიწროება, რადგან **ADR იძლევა უფრო** ფართო შესაძლებლობებს, ვიდრე ამ აკრონიზმის სიტყვა სიტყვითი მნიშვნელობა შეიძლება გულისხმობდეს თავის თავში.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების დაფუძნების არსი და საჭიროება გამომდინარეობდა იქიდან, რომ მხარეებს მიეცეთ საშუალება თავიდან აირიდონ სასამართლოში სიარული და ოფიციალური პროცედურების გავლით ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მხარეებს შორის შესაძლო შემდგომი თანამშრომლობის და ურთიერთობის ყველა რესურსის გამორიცხვა, ისევე როგორც სასამართლო საქმისწარმოების შედეგის წინასწარ გათვლა შეუძლებელია, შესაბამისად ის არის შედეგობრივად ორივე მხარისათვის სარისკო, და ამასთანავე სასამართლო საქმისწარმოება შესაძლოა იყოს გარკვეული რეპუტაციული საფრთხის მომტანი მხარეებისათვის[105]. სწორედ ამ რესურსის შენარჩუნებას და არა მხოლოდ უნდა მოემსახუროს დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება. ADR ფართოდ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დავის მხარეებს არანაირი პირადი ურთიერთობა არ აკავშირებთ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა იმ მხარეებს შორის, რომელთაც ერთმანეთთან პირადი თუ ხანგრძლივი ბიზნეს ურთიერთობა აკავშირებთ, მათთვის ADR-ს გამოყენება მიზანშეწონილი ნაბიჯია[106], მით უფრო, რომ ამ ალტერნატივას ახასიათებს ისეთი უპირატესობა, როგორიცაა მხარეების დროის, ფინანსების დაზოგვა და დავიდან გამომდინარე შესაძლო რისკების შემცირება[107].

104. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 9.
105. *Eileen C., Mackie K.*, International Mediation –The Art of Business Diplomacy, 2nd edition, Kluwer Law International, Tottel Publishing, 2006, 35.
106. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 35.
107. *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 85.

2.2.1. მოლაპარაკება

მოლაპარაკებები წარმოადგენს კონფლიქტის გადაწყვეტის პირველად[108] მექანიზმს, ის აღწერილია, როგორც „პროცესი, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, რათა დავიკმაყოფილოთ ჩვენი საჭიროებები, როდესაც ვინმე სხვა აკონტროლებს[109] იმას რაც გვსურს რომ მივიღოთ[110]". მოლაპარაკება ზოგადად ჩვენი ყოფიერების განუყოფელ ნაწილად არის აღქმული[111] და ბევრი მსგავსება აქვს მედიაციასთან, ხშირად მედიაციას ე.წ. „მხარდაჭერილ, ფასილიტირებულ" მოლაპარაკებასაც, მესამე ნეიტრალური პირის ჩართულობით მოლაპარაკების პროცესს უწოდებენ[112], თუმცა მედიაცია საკმაოდ განსხვავდება მოლაპარაკებისგან[113].

დავის გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებულ[114] ფორმას წარმოადგენს მოლაპარაკება[115], რაც არის ჩართული მხარეების პირდაპირი[116] დიალოგის, კონტაქტის ფორმა. სხვა ფორმებთან შედარებით, სადაც მესამე პირი ერთვება ურთიერთობაში მოლაპარაკების დროს მხარეებს თავად აქვთ სრული შესაძლებლობა ყველას გარეშე გაარკვიონ ერთმანეთთან ურთიერთობა[117], თუმცა თუ მხარეები ხედავენ რომ უჭირთ შეთანხმების მიღწევა, მათ მუდამ შეუძლიათ ჩართონ პროცესში მესამე პირი, რითაც მაინც არ კარგავენ ბერკეტს გადაწყვეტილების მიღებაზე.

108. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 72.
109. *Frascogna X.M., Hetherington H.L.,* The Lawyer's Guide to Negotiation, Second Ed., American Bar Association, Chicago, 2009, 93.
110. *Maddux R.,* Successful Negotiation, 2nd Ed, Kogan Page, London, 1999, 5.
111. *Fisher R., Ury W.,* Patton, 1993, 15.
112. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 26.
113. *Lee J., Lim M.*, Contemporary Issues in Mediation, World Scientific Publishing, 2016, 17.
114. *Давыденко Д.Л.*, Примирительные процедуры в европейской правовой традиции, infotropic media, Moscow, 2013, 9.
115. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 1.
116. *Kajkowska E.,* Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 6.
117. *Tunay K.,* Contract Management&Dispute Resolution in International Construction Business, BILGE, 2016, 188.

მოლაპარაკებასა და მედიაციას შორის არის ბევრი მსგავსება და საერთო[118], რადგან ორივე ფორმა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებისა მოიცავს თავის თავში მოლაპარაკების ტექნიკას, თუმცა მედიაცია წარმოადენს მოლაპარაკების ფორმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოლაპარაკება, მაშინ როდესაც მოლაპარაკება კონკრეტული ფორმის გამოყენების გარეშე მხარეების ერთმანეთთან საუბარს წარმოადგენს, რამაც შეიძლება რიგი ფაქტორების გათვალისწინებით შედეგი არ მოიტანოს. მოლაპარაკებისგან განსხვავებით მედიატორი ორიენტირებულია ორივე მხარის მხრიდან მათი საერთო ინტერესების გამოკვეთაში დაეხმაროს მხარეებს, სპეციალური უნარების და ტექნიკის გამოყენებით, და ამ საერთო ინტერესებზე შეთანხმების შესაძლებლობები დაანახვოს ორივე მხარეს, რაც მესამე პირის ჩართულობით ხშირ შემთხვევაში უადვილებთ კონფლიქტის მხარეებს რეალური შესაძლებლობების სწორ ანალიზს და შეთანხმებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა მოლაპარაკებას და მედიაციას შორის ბევრი არის საერთო, ორივე მექანიზმი უშუალოდ დავის მხარეებს ანიჭებს სრულ შესაძლებლობას მიიღონ კონფლიქტის ამა თუ იმ ფორმით დასრულების ან გაგრძელების შესახებ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ორივე დროს მხარეებს შორის გაცვლილი ინფორმაცია შესაძლებელია დაემორჩილოს კონფიდენციალურობის სტანდარტს, თუმცა მთავარი განმასხვავებელი გარემოება ამ ორ ფორმას შორის არის ის ფუნდამენტური ფაქტორი, რომ მედიაცია წარმოებს მესამე დამოუკიდებელი და ნეიტრალური პირის ჩართულობით, რომელიც დამატებითი მექანიზმია, მისი სპეციალური ცოდნის და უნარების გამოყენებით იმისა, რათა მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას და სრულად ამოწურონ კონფლიქტური სიტუაცია, თუმცა მეორე მხრივ, მედიაცია მოლაპარაკებებთან შედარებით ფორმალური პროცესია, რადგან მესამე ნეიტრალური პირის ფასილიტაციის ქვეშ მოქცეული პროცესი მაინც გარკვეულ წესებს ემორჩილება, რაც მათ შორის მედიაციის შესახებ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით და

118. *Spencer D., Brogan M.*, Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 22.

რიგ შემთხვევაში უშუალოდ მედიატორის მიერ ნაკარნახევი წესია, რაც სრულიად არ ითვლება მედიაიციისთვის უარყოფით მხარედ, პირიქით, მოლაპარაკებასთან შედარებით ეს შეიძლება ერთგვარ უპირატესობადაც ჩაითვალოს, რადგან მოლაპარაკებების წარმოებაში გაწვრთნილი და სპეციალური უნარებით აღჭურვილი პირი უწევთ მხარეებს ფასილიტაციას, რათა მათ მიაღწიონ შეთანხმებას[119]. თუმცა მედიაციისგან განსხვავებით მოლაპარაკებებში მესამე ნეიტრალური პირის ფიგურერება, რომელიც მხარეებს რეალურად ეხმარება შეთანხმების მიღწევაში არ ფიქსირდება, ისევე როგორც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მედიაციაში მიღწეული შეთანხმებისგან განსხვავებით მოლაპარაკების ფარგლებში მიღწეული შედეგის რეალური აღსრულების შესაძლებლობა, და რა თქმა უნდა მედიაციას ახასიათებს უფრო სტრუქტურული ფაზები და სტადიები პროცესის წარმოების ვიდრე ეს მოლაპარაკებაში შეინიშნება[120].

მოლაპარაკების წარმოების მრავალი ფორმა არსებობს თუმცა ძირითადად გამოყოფენ ორ მთავარ მიმართულებას, კერძოდ, ინტერესზე დაფუძნებული პრობლემის გადაჭრის ფორმა (an interest –based problem-solving approach) და შეჯიბრებითი ფორმა (competitive approach) მოლაპარაკების.

ინტერესზე დაფუძნებული მოლაპარაკების ფორმა ძალზედ პრაქტიკულია და ორიენტირებულია კონსენსუსის ძიებაზე, მას ხშირად ინტეგრირებულ (integrative) მოლაპარაკებასაც უწოდებენ, რადგან ალბათობა იმისა რომ მხარეების ინტერესების ერთმანეთში ინტეგრირება განხორციელდეს მაღალია. ამ ტიპის მოპალარაკებიდან ორივე მხარე მიდის კონკრეტული შედეგით საკუთარი თავისთვის. აღნიშნული მოლაპარაკების ნაირსახეობა ემყარება შემდეგ პრინციპებს[121]:

- ერიდები პოზიციონირებას, უფრო მეტად ხარ კონცენტრირებული მხარის ინტერესებზე;
- იღებ პრობლემის გადაჭრის მიდგომას და პიროვნულ დაპირისპირებას დებ გვერდზე;

119. *Rana R.*, Alternative Dispute Resolution, Lexis Nexis, 2014, 85.
120. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 26, 27.
121. *Fisher R., Ury W.*, Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In, 2nd Ed, 1981.

- სანამ იღებ გადაწყვეტილებას, კარგად აანალიზებ ყველა იმ დაგროვებულ ოფციას, რაც პროცესმა მოგცათ მხარეებს;
- ადგენ ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს საკითხის გადაწყვეტის, რაც ორივე მხარის ინტერესს შეესაბამება და არ იღებ გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნული პრინციპების გამოყენებით, იგივე BATNA[122] (best alternative to a negotiated agreement) -ს კონცენფიაზე[123] დაყრდნობით მხარეების ეძლევათ საშუალება, ამ მეთოდის გამოყენებით, სრულად ნახონ თუ რა პირობები პასუხობს მათ მოთხოვნებს, თავად დასახონ საკითხის გადაწყვეტის საუკეთესო ალტერნატივები და შეთანხმდნენ[124].

ინტერესზე დაფუძნებული მოლაპარაკების პროცესში მნიშვნელოვანია მხარეებმა ხაზი გაუსვან იმ საჭიროებებს, რაც თითოეულ მათგანს რეალობაში გააჩნია, რადგან მოლაპარაკება შედეგის მომტანია, როდესაც ორივე მხარეს მოლაპარაკებისადმი ინტერესი გააჩნია[125], რა დროსაც რეალურად იქმნება ერთობლივი ღირებულება ანუ ორივე მხარისათვის კონკრეტული შედეგი[126].

როდესაც საუბარია ე.წ. შეჯიბრებით მოლაპარაკებებზე მას ზემოაღ-

122. *Lax D., Sebenius J.,* 3-D Negotiaion: Powerful Tools to Change the Game in Your Most Important Deals, Boston, Harvard Business School Press, 2006, 23, 256. (ხშირია როდესაც ამ ტერმინის ნაცვლად გამოიყენება no-deal option, რომ არ მოხდეს ბიზნეს საზოგადოების დაბნევა)
123. *Englert K., Franke H., Grieger W.*, Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006, 244.
124. *Haynes J., Haynes G.,* Mediating Divorce, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 1989, 11. ჯონ ჰეინსმა განავითარა BATNA-ს ალტერნატიული კონცეფცია WATNA (Worst Alternative to a Negotiated Agreement), რაც მოლაპარაკების მხარეებს ეხმარებათ დაინახონ თუ რა იქნება ის უარესი შედეგი რასაც მიიღებენ თუ მოლაპარაკებებით არ შედგება შეთანხმება.
125. *Ury W.*, The Power of a Positive No: How to say No and Still Get to Yes, Bentam Dell Publishing Group, 2007, 4.
126. მაგ: როდესაც სახეზეა კომპანიაში პარტნიორებს შორის კონფლიქტი, რა დროსაც გამორიცხულია ერთობლივად საქმიანობის გაგრძელება და ორივე მხარეს უნდა ერთმანეთის წილის შესყიდვა თუმცა ვერ თანხმდებიან, გამოსავლის სახით შესაძლებელია ორივეს გააჩნდეს ინტერესი კომპანია გაიყონ და გადაინაწილონ ის სფეროები რაც მათ ინტერესებში შედის.

ნიშნული ფორმისგან რიგი განმასხვავებელი ნიშნები ახასიათებს, ხშირად ამ ფორმას მოლაპარაკებისა პოზიციონერულ ფორმასაც უწოდებენ, რადგან მასში ჩართული მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებებს რომელიც მიზნად ისახავს მოლაპარაკების შედეგად „მოგებას“ პოზიციის, რაც მხარეებისგან საჭიროებს ხისტი მომლაპარაკებლის უნარებს[127]. შეჯიბრებითი მოლაპარაკების დროს მეორე მხარისადმი კეთილგამწყობილი მიდგომა, შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც მხარის სისუსტე[128], თუმცა ამ ფორმას აქვს თავისი რისკები, კერძოდ, მოლაპარაკება მოიცავს კონფრონტაციულ მიდგომას, რა დროსაც უფრო მეტი აქცენტირება კეთდება მანიპულაციაზე და შეფარულ „მუქარაზე“ ვიდრე ორმხრივი ინტერესის ძიებაზე, რამაც შეიძლება შედეგი არ მოიტანოს, რა დროსაც პროცესი შეიძლება შევიდეს ჩიხში.

მოლაპარაკებების წარმოებისას კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის საჭიროება განსხვავებულად არის აღქმული, კერძოდ, Civil Law ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია როგორც წესი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა (*good faith*), მაშინ როდესაც Common Law სისტემის ქვეყნებისთვის აღნიშნული პრინციპის დაცვა არ წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხს, უფრო მეტიც ინგლისის ლორდთა პალატამ ის სტანდარტიც დაადგინა, რომ შეჯიბრებითი პროცესისთვის, მათ შორის მოლაპარაკების წარმოებისთვის, რომელიც მიმართული უნდა იყოს ორივე მხარისთვის ინდივიდუალურად თავის სასარგებლო შედეგის დადგომისკენ, მსგავსი პრინციპის დაცვა ხელისშემშლელი ფაქტორია[129]. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მსგავსი ორმაგი მიდგომაა მათ შორის მედიაციის კონფიდენციალურობის პრინციპის მიმართ, რიგ ქვეყნებში მედიაციის კონფიდენციალურობას არ განიხილავენ მნიშვნელოვან პრინციპად, რაც უნდა იქნეს დაცული[130] (ე.წ. mediation privilege).

მოლაპარაკებასა და მედიაციას შორის მთავარ განმასხვავებელს

127. *Murray J.S.*, Understanding Competing Theories of Negotiation, 1986, 179.
128. *Kennedy G.*, Everything is Negotiable: How to Negotiate and Win, 4th Edition, 2008.
129. *Lord Ackner* in Walford v Miles [1992] 2 A.C. 128 [1992] 2 W.L.R. 174 HL at 181.
130. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 140.

წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოლაპარაკებაში ერთმანეთს ხვდებიან უშუალოდ მხარეები და თავად ცდილობენ კონფლიქტის მოგვარებას, მაშინ როდესაც მედიაციაში იგივე მხარეები ხვდებიან, თუმცა კონფლიქტის მოგვარებას ცდილობენ მესამე ნეიტრალური პირის – მედიატორის ჩართულობით, რომელიც თავად არ იღებს რაიმე სახის გადაწყვეტილებას, თუმცა ფასილიტაციას უწევს მხარეების მოლაპარაკების პროცესს[131].

2.2.2. კონსილიაცია

დავის გადაწყვეტის კიდევ ერთ არასასამართლო მექანიზმს წარმოადგენს ე.წ. კონსილიაციის პროცესი[132]. კონსილიაციასა და მედიაციას შორის მკვეთრი განსხვავების დაჭერა შედარებით რთულია[133], რადგან ამ ორივე მექანიზმის მაგალითზე პროცესში ჩართული მესამე პირი არ არის აღჭურვილი უფლებამოსილებით[134] მიიღოს რაიმე სახის მბოჭავი გადაწყვეტილება მხარეებს შორის მიმდინარე კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით[135].

კონსილიაცია თავისი ბუნებით არის „დავის გადაწყვეტა სასამართლო საქმისწარმოების გარეშე[136]“, როდესაც დავაში ჩართულ მხარეებს შორის დისკუსია და მოლაპარაკება კონსილიატორის მეშვეობით მიმდინარეობს. კონსილიაცია წარმოადგენს მხარეებს შორის მოლაპარაკების ფორმას, როდესაც პროცესში ჩართულია მესამე ნეიტრალური პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებას[137].

131. *Nelson M.R.*, Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 57.
132. The Arbitration and Conciliation Act, 1996.
133. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.
134. *Brand J., Steadman F., Todd C.,* Commercial Mediation, Second Ed., JUTA, Cape Town, 2016.
135. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.
136. *Warrier V.S.,* Arbitration, Conciliation and Mediation, Lexis Nexis, 2015, 5.
137. *Steffek F., Unberath H., Genn H., Greger R., Menkel-Meadow C.,* Regulating Dispute Resolution: ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Portland, 2013, 110.

ამ პროცესს ასევე ახასიათებს ნებაყოფლობითობა, მხარეები აბსოლიტურად თავისუფალნი არიან პროცესის დაგეგმარებაში; პროცესი როგორც წესი არ არის საჯარო, არის კონფიდენციალური[138] და ორიენტირებულია მხარეთა კონკრეტული ინტერესების გათვალისწინებაზე, რა დროსაც შესაძლებელი ხდება შეთანხმების მიღწევა. კონსილიაცია მედიაციასთან შედარებით უფრო ფორმალური პროცესია, რომელიც ხშირ შემთხვევაში გაცილებით ძვირი პროცესია ვიდრე მედიაცია შეიძლება იყოს მხარეებისათვის[139].

მედიაციის კონსილიაციასთან (conciliation) შედარებისას დავინახავთ, რომ ე.წ. შერიგების პროცესისთვის მახასიათებელია, რომ ჩართული მესამე პირი გაცილებით აქტიური[140] უფლებამოსილებით აღჭურვილია[141] ვიდრე მედიატორი, და რიგ შემთხვევაში სთავაზობს მხარეებს კონკრეტულ შეთანხმების პირობებს[142], თუმცა როგორც მედიაციის მაგალითზე, რაიმე სახის მბოჭავი გადაწყვეტილების მიღება არც ამ შემთხვევაში ხდება[143]. კონსილიატორის შერჩევის რაიმე ოფიციალური კრიტერიუმები გაწერილი არ არის, პრაქტიკით დაინერგა მიდგომა, რომ მხარეები როგორც წესი, დავის საგნიდან გამომდინარე დარგში გამოცდილების და პროფესიული ცოდნის მიხედვით მათთვის მისაღებ პირს არჩევენ, რა დროსაც მხარეებს მათ შორის უწევთ კონსილიატორის ენობრივი, კულტურული და მრავალი სხვა პირადი უნარების შესახებ ასევე სწორი გადაწყვეტილების მიღება და ამის შესაბამისად პირის შერჩევა[144]. ხშირია შემთხვევა,

138. *Warrier V.S.,* Arbitration, Conciliation and Mediation, Lexis Nexis, 2015, 168.
139. იქვე, 5.
140. UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation.
141. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.
142. Conciliation Rules of UNCITRAL, the United Nations Commission on International Trade Law, 1980. [კონსილიაციის პროცესში კონსილიატორს აქვს უფლებამოსილება მხარეებს გაუკეთოს კონკრეტული შეთავაზება დავის შეთანხმებით დასრულების პირობის შესახებ. მსგავსი შეთავაზებები უნდა იყოს წერილობით ფორმით შესრულებული და არგუმენტირებული]
143. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 74.
144. *Warrier V.S.,* Arbitration, Conciliation and Mediation, Lexis Nexis, 2015, 168.

როდესაც მედიაციას და კონსილიაციას სინონიმების[145] სახით იყენებენ[146] რიგ იუსრისდიქციებში[147], რადგან მათ შორის ძალზედ დიდია მსგავსება, და მკვეთრი სხვაობის გავლება ამ ორ ფორმას შორის რთულია, რადგან ორივე შემთხვევაში მესამე ნეიტრალური პირის მიერ არ ხდება საკითხზე საბოლოო მბოჭავი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა კონსილიატორის შემთხვევაში ამ უკანასკნელს მეტად აქვს ლიდერის[148] ფუნქციის შესრულების შესაძლებლობა და რიგ შემთხვევაში არამბოჭავი კონსილიაციის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტის შეთავაზებაც შეუძლია მხარეებისთვის[149]. კონსილიატორი აქტიურად არის ჩართული მხარეების მოსაზრებების ანალიზში, ტრანსფორმირებაში და თავისი მხრივ ალტერნატიული შეთანხმების პირობების შეთავაზებაში[150]. აღსანიშნავია ასევე რომ ისეთ ევროპულ ქვეყნებში, როგორიც არის ჩეხეთი[151] და საბერძნეთი[152] მედიაციასა და კონსილიაციას შორის მკვეთრი ზღვარი დღემდე არ არის გავლებული.

145. ესეთი ქვეყანაა ირლანდია: Reinhard Ellger in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.11, A (2)(c), 636; ესეთი ქვეყანაა საფრანგეთი: Katrin Deckert in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective,Ch.7,A(2)(b)(iii), 459; ესეთი ქვეყანაა იაპონია: Harald Baum in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.20, A(2)(d), 1033, 1034. ესეთი ქვეყანაა ჩინეთი: Knut B. Pissler in Hopt& Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.19, A(2), 965.
146. ესეთი ქვეყანაა საფრანგეთი, სადაც მედიაციის შესახებ ევროდირექტივის მიღებამდე, სინონიმად გამოიყენებოდა ეს ორი ტერმინი.
147. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 42.
148. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.
149. კანადის მაგალითი: *Ellger R.,* Mediation in Canada: One Goal –Different Approaches to Mediation in a State with Federal and Provincial Jurisdictions, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 914.
150. *Warrier V.,* Arbitration, Conciliation and Mediation, Lexis Nexis, 2015, 170.
151. *Pauknerova M., Brodec J., Pfeiffer M.*, Czech Republic, in C.Esplugues, J.L.Iglesias and G.Palao, supra n.156, 102.
152. *Kourtis V., Sivena E.,* `Greece` in Esplugues C., Iglesias J.L., and Palao G., supra 156, 194, 196.

2.2.3. საარბიტრაჟო და სასამართლო საქმისწარმოება

მედიაცია, როგორც კონფლიქტის კონსენსუსის გზით გადაჭრის მექანიზმი[153] მძლავრად იმკვიდრებს თავს ისეთი ფართოდ დამკვიდრებული დავის გადაწყვეტის მექანიზმების პარალელურად, როგორიც არის სასამართლოს მეშვეობით მხარეების მორიგება და დავის ალტერნატიული საშუალება არბიტრაჟის სახით[154]. მედიაცია ამ ორივე ფორმისგან მისი შინაარსით და პროცესში ჩართული მედიატორის, მესამე ნეიტრალური პირის როლით და დანიშნულებით განსხვავდება. ყველა სხვა ზემოაღნიშნული პროცესისგან განსხვავებით მედიაციაში გადაწყვეტილებას იღებენ და მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან თავად კონფლიქტის მხარეები[155]. საარბიტრაჟო საქმისწარმოებისას, რა თქმა უნდა არბიტრი ორივე მოდავე მხარეს უქმნის თანაბარ პირობებს[156], თუმცა წარმოების დასასრულს მას გამოაქვს მაინც საბოლოო გადაწყვეტილება და ეს კონკრეტული სამართლის ნორმებზე დაყრდნობით ხორციელდება, რადგან არბიტრაჟი წარმოადგენს მსგავსად სასამართლო რგოლისა დავის გადაწყვეტის ისეთ მექანიზმს, სადაც მესამე პირს გამოაქვს გადაწყვეტილება მხარეთა დავის შესახებ[157], მაშინ როდესაც მედიაციაში სამართლებრივი შინაარსის რაიმე სახის გადაწყვეტილებას მედიატორი არ იღებს[158]. რა თქმა უნდა არბიტრაჟი, მსგავსად მედიაციისა წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, თუმცა ეს უკანასკნელი კონფლიქტის ამოწურვას ემსახურება მრავალი მიმართულებით, და არა მხოლოდ მხარეებს შორის დავაზე გადაწყვეტილების

153. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyse, Tectum Verlag, 2008, 12.
154. *Duve C., Haft F.,* Der Rechtsanwalt als Verhandlungs-und Konfliktmanager, 2003, 109, 113.
155. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 13.
156. *Effer-Uhe D*., Schiedsrichterliche Unabhängigkeit bei wissenschaftlichen Äuβerungen in SchiedsVZ (Zeitschrift fűr Schiedsverfahren/German Arbitration Journal), Verlag C.H.Beck, Műnchen,16.Jahrgang,Heft 2, März/April 2018, 75.
157. *Schiffer J*., Mandatspraxis Schiedsverfahren und Mediation, Carl Heumanns Verlag, Koln, 2005, 11.
158. *Tochtermann P.,* Die Unabhängigkeit und Unparteilichkeit des Mediators, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008, 40.

მიღებით[159]. მედიაციაში მყოფ მხარეებს უადვილდებათ[160] ნეიტრალური[161] მესამე პირის წინაშე მათი რეალური ინტერესების და პოზიციების ფიქსირება, ესმით რა რომ ეს კონფიდენციალური პროცესია და რომ მედიატორი ვერ იღებს საქმეზე რაიმე სახის გადაწყვეტილებას, მაშინ როდესაც სასამართლოს შიგნით მორიგების პროცესში, როდესაც მოსამართლის წინაშე მხარეებს უწევთ შეთანხმების მიზნით პოზიციების ფიქსირება, ეს ერთგვარ დისკომფორტს უქმნით მოდავე მხარეებს, რადგან აანალიზებენ იმ გარემოებას, რომ შეუთანხმებლობის შემთხვევაში, იგივე მოსამართლე რომელსაც აქვს უკვე ინფორმაცია მხარეების მორიგების მიზნით დაფიქსირებული პოზიციების და მათი წინაპირობების შესახებ, იქნება ის პირი რომელსაც მოუწევს შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტილებით დასრულება, რა დროსაც მოსამართლის შინაგანი რწმენა შესაძლოა გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს, როდესაც მორიგების მიზნით ისმენდა მხარეების გულწრფელ მოსაზრებებს[162]. კიდევ ერთი განმასხვავებელი გარემოება რაც მედიაციას სასამართლო მორიგებასა და საარბიტრაჟო საქმისწარმოებისგან ნათლად განასხვავებს, არის ის გარემოება, რომ სასამართლო მორიგების პროცესი და დავის გადაწყვეტის კიდევ ერთი ალტერნატიული საშუალება, საარბიტრაჟო[163] საქმისწარმოების პროცესის სახით, ორივე კანონით დადგენილ ჩარჩოებს ემორჩილებიან[164] და მხარეების შესაძლო ერთ შემთხვევაში მორიგების შესაძლებლობა, ხოლო მეორე შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღების შესაძლო მიმართულება სამართლის[165] კონკრეტული ნორმების გავლენის ქვეშ ექცევა და

159. *Malacka M.,* Mediation als Appropriate Dispute Resolution im Tschechischen und Slowakischen Rechtssystem in Osteuropa Recht Zeitschrift, Nomos, Baden-Baden, 2018, 91.
160. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 13.
161. *Alexander N*., International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 26, 27.
162. *Eidenmüller H.,* Verhandlungsmanagement durch Mediation, in Henssler L.K (Hrsg) Mediation in der Anwaltspraxis, Deutscher Anwaltverlag, 2.Aufl, 2004, 62.
163. *Olakanmi J*., Alternative Dispute Resolution, cases&materials, Panaf Press, Abuja, Nigeria, 2013, 28.
164. *Duve C.,* Forum des Internationalen Rechts, 1998, 8.
165. *Alexander N*., International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 28.

პროცესი არ იძლევა მხარეთა შემოქმედებითად საკითხისადმი მიდგომის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც მედიაციის პროცესში სამართლის როლი და მნიშვნელობა არ ბოჭავთ მხარეებს, მედიაციის დროს ორივე მხარე შეუზღუდავია მათ კრეატიულ მიდგომებში იმაზე მიაღწიონ შეთანხმება, რაც მათ ინტერესებში თავსდება, ერთადერთი მნიშვნელოვანია ეს ინტერესები ორივე მხარისთვის იქნეს მისაღები, რაზეც რეალურად იხარჯება კიდეც მედიაციაში რესურსი, რათა ორი მოდავე მხარის პოზიციების დაახლოება მოხდეს[166], მაშინ როდესაც საარბიტრაჟო საქმისწარმოებისას, რა თქმა უნდა მხარეებს თავისი ინტერესები ამოძრავებთ[167], თუმცა მათ ინტერესების გატარება კონკრეტული სამართლის ნორმებზე დაყრდნობით უნდა მოახდინონ და ეს უნდა არბიტრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამყარდეს. მარტივად რომ ითქვას, სასამართლო და საარბიტრაჟო საქმისწარმოება სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით წარმოებული პროცესია[168], მათ შორის სავალდებულო მბოჭავი გადაწყვეტილების მიღებით სრულდება, მაშინ როდესაც მედიაციის მაგალითზე რაიმე სახის სამართლებრივი ნორმებით მხარეების მიერ საწარმოებელი პროცესი მკაცრად კანონით შეზღუდული არ არის და ის შეთანხმებაც, რომელიც საბოლოოდ რა თქმა უნდა აღსრულებადი აქტი უნდა იყოს, მხარეთა ნებაზე დაფუძნებული შეთანხმებაა და არა სხვა გარეშე პირის მიერ მიღებული მხარეებისთვის სავალდებულოდ აღსასრულებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად განსხვავება ძალზედ თვალშისაცემია, რადგან სასამართლოსა და არბიტრაჟის დროს მოსამართლე და არბიტრი სამართალშეფარდების და საქმის განხილვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები არიან, მაშინ როდესაც მედიატორს მსგავსი უფლებამოსილება არ გააჩნია[169].

166. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 13.
167. *Schűtze R.A*., Die Bestimmung des schiedsrichterlichen Verfahrens, insbesondere bei Anwendung dem deutschem Prozessrecht unbekannter Beweisformen in SchiedsVZ (Zeitschrift fűr Schiedsverfahren/German Arbitration Journal), Verlag C.H.Beck, Műnchen,16.Jahrgang,Heft 2, März/April 2018, 103.
168. *Brown J.H., Marriott A*., Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 121.
169. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation: Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.

არბიტრაჟის მედიაციასთან შედარებისას თვალშისაცემია ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს სახეზე გვაქვს იგივე სასამართლო[170], რომელიც თავისი ფორმით თუ განსხვავდება სასამართლოსგან, სხვა მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რიგ იურისდიქციებში საარბიტრაჟო საქმისწარმოება სასამართლოს ალტერნატიულ ფორმად არც განიხილება (რიგ შემთხვევაში გარკვეული კატეგორიის დავებს მხოლოდ არბიტრაჟის მეშვეობით წყვეტენ მოდავე მხარეები საერთო სამართლის ქვეყნებში, მაგ: სამომხმარებლო დავები[171]), ხოლო გაერთანებულ სამეფოში უკვე მკვიდრდება მიდგომა, რომ ADR ძირითადად მედიაციას და მის ფორმებს მოიაზრებს, რომელსაც მესამე ნეიტრალური პირი ანხორციელებს, ხოლო არბიტრაჟი განიხილება, როგორც სასამართლოს „ახლო ბიძაშვილი[172]", რომელიც რამდენიმე ნიშნით თუ განსხვავდება სასამართლოსგან. დღეისათვის უკვე ღიად აღიარებენ, რომ საარბიტრაჟო საქმისწარმოება გახდა ძალზედ ფორმალური და უფრო დაემსგავსა სასამართლო საქმისწარმოებას, ისევე როგორც დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმი გაცილებთ ძვირი ხდება და მეტ დროს მოითხოვს ვიდრე ეს მედიაციას ახასიათებს[173].

ADR-ს მჭიდრო კავშირი აქვს სასამართლო საქმის წარმოებასთან, ერთი მხრივ, მისი ალტერნატივაა, რომელიც გაცილებით უფრო ეფექტურ და ნაკლებხარჯიან პროცესს სთავაზობს მხარეებს, თუმცა სასამართლო მედიაციის მაგალითზე (court –attached mediation/ court-annexed, court related, court-linked) კარგად ვლინდება, რომ ალტერნატიული საშუალება კავშირშია სასამართლოსთან[174], რომე-

170. *Horton D.*, Arbitration about Arbitration, Stanford Law Review, Stanford, California, Volume 70, #2, February 2018, 387.
171. *Nehf J.P.* The Impact of Mandatory Arbitration on the Common Law Regulation of Standard Terms in Consumer Contracts, The George Washington Law Review, Volume 85, No 6, 2017, 1710.
172. *Willis T.,Wood W.,* Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015, 72.
173. *Kreindler R., Wolff R., Rieder M.S.,* Commercial Arbitration in Germany, Oxford University Press, Oxford, 2016, 16.
174. *Brown H., Marriott A.*, Adr Principles and Pracice, third edition, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 75.

ლიც თავის მხრივ მეტი დროის და ფინანსების საჭიროებას იწვევს, ხშირად შევხვდებით იურიდიულ ლიტერატურაში მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ „რაც გვიან მიაღწევენ მხარეები სასამართლო დავაზე შეთანხმებას, მით უფრო ძვირი უჯდება ეს ორივე მხარეს[175]". სასამართლო მედიაციის მაგალითზე ევროპული ქვეყნების გამოცდილებით შეინიშნება მოდელები, როდესაც მხარეებს მესამე დამოუკიდებელი ნეიტრალური პირის ჩართულობით შეუძლიათ მედიაციის პროცესის წარმოება და არის შემთხვევები, სადაც უშუალოდ მოსამართლე[176] ანხორციელებს მედიაციას (მაგ: გერმანია, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია) რომელიც დავის გაგრძელების შემთხვევაში დავის განმხილველ მოსამართლედ არ მოგვევლინება (რიგ შემთხვევაში დავათა კატეგორია არის საოჯახო კატეგორიის და მცირე ქონებრივი შინაარსის დავები), მსგავსი მოსამართლეები ხშირად სამოსამართლეო კარიერის შემდგომ აგრძელებნ მედიატორის საქმიანობას[177], თუმცა უშუალოდ მოსამართლის მიერ მედიაციის ჩატარებას გარკვეული თანმდევი რისკები გააჩნია, რადგან მოსამართლე თავის მხრივ უნდა იყოს პირდაპირი და თამამი მიდგომებში, მაშინ როდესაც მედიაციაში ის მსგავსი ფუნქციებით ვერ იქნება აღჭურვილი, რაც სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობასა და ნეიტრალიტეტზე საზოგადოების აღქმადობაში შეიძლება შექმნას ცრუ შთაბეჭდილება[178], თუმცა რეალურად ემსახურებოდეს საზოგადოების საჭიროებებს, როგორც მედიაცია[179].

175. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 37.
176. *Otis L., Reiter E.H.*, Mediation by Judges: A New Phenomenon in the Transformation of Justice, Pepperdine Dispute Resolution Law Journal 351, 2006, 6.
177. Sir Laurence Street, Mediation and the Judicial Institution, 1997, 71 Australian Law Journal 794.
 სერ ლოურენს სტრიტმა, სამხრეთ უელსის უზენაესი სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ, სამოსამართლეო პრაქტიკის დასრულების შემდეგ თქვა: სისტემა რომელიც მოსამართლეს აძლევს მედიატორად ფიქსირების საშუალებას საფრთხეს უქმნის სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობას.
178. *Limbury A.*, Why judges shouldn't be mediators' and `mandatory mediation` – an Australian perspective, 2006, 11(1).
179. *Otis L., Reiter E.H.,* Mediation by Judges, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, 351, 2006, 6.

სასამართლო მედიაციის ფორმების კუთხით, ხშირია ტენდენცია, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე მედიაციაში მონაწილეობის მიუღებლობა საბოლოო გადაწყვეტილებით სასამართლოს მხრიდან თუნდაც ეს იყოს მოგებული მხარე ფინანსურ სანქციას ითვალისწინებს, ამ მხრივ ფუნდამენტურია Halsey-ს საქმეა, რომელი გადაწყვეტილებაც სასამართლოს მხრიდან ADR-ს მხარდაჭერის მაგალითია[180], როდესაც მხარეს დაეკისრა ფინანსური სანქცია მედიაციაში მონაწილეობაზე უარის გამო.

ამ ყველაფრის მიუხედავად გვმართებს დაფიქრება, თუ რამდენად შეიძლება დაირღვეს ადამიანის უფლებები სასამართლოს მხრიდან, როდესაც ხდება ADR-ს გამოყენების სავალდებულოობაზე აქცენტირება, კერძოდ, ვგულისხმობ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიმართებაში ადამიანის უფლებების დარღვევას[181].

აღნიშნულ არგუმენტაციასთან დაკავშირებით არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმად სავალდებულო მედიაციის ეტაპის გავლა არ წარმოადგენს ადამიანის უფლებების მე-6 მუხლის დარღვევას, კერძოდ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დარღვევას, რადგან მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში არაფერი ზღუდავს მხარეებს მიმართონ სასამართლოს[182], ისევე როგორც უშუალოდ მედიაციის პროცესში მონაწილეობა მხარეთა აბსოლიტურ ნებაზე არის დამოკიდებული და არა სავალდებულო.

მედიაცია სთავაზობს მხარეებს მათ ინტერესებზე მორგებული სტრუქტურირებული მოლაპარაკებების[183] წარმოების შესაძლებ-

180. Halsey v Milton Keynes General NHS Trust [2004] EWCA (Civ) 576; [2004] 1 W.L.R. 3002. სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლე ლორდმა დისონმა თქვა: ADR-ს ღირებულება და მნიშვნელობა დადგენილია. იურიდიული პროფესიის ყველა წარმომადგენელს, ვინც ანხორციელებს სასამართლოში წარმომადგენლობას, მართებს თავის კლიენტებს კარგად აუხსნას თუ რამდენად შესაბამისია მათი საქმე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიზნებისთვის“.
181. იხ. ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.
182. Professor Hazel Genn, Professor Paul Fenn, Marc Mason, Andrew Lane, Nadia Bechai, Lauren Gray & Dev Vencappa, Twisting arms: court referred and court linked mediation under judicial pressure, Ministry of Justice Research Series 1, 2007.
183. *Schiffer, J.,* Mandatpraxis Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 6.

ლობას, რა დროსაც სასამართლოსა[184] და არბიტრაჟისგან განსხვავებით საქმეზე გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები და არა მედიატორი[185], სწორედ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პირდაპირი შესაძლებლობა და ვალდებულება მოსამართლის და არბიტრის მიერ, რაც სასამართლოს შემთხვევაში და არბიტრაჟის ფარგლებში დავის გადაწყვეტას გულისხმობს, არის ის მთავარი განმსახვავებელი ნიშანი, რაც მედიაციას გააჩნია არბიტრაჟთან, როგორც დავის გადაწყვეტის ასევე ალტერნატიულ საშუალებასთან და სასამართლოსთან შედარებით[186]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მედიაციაში განსხვავებით სხვა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისგან, ეს იქნება სასამართლო თუ არასასამართლო ფორმები, არ დგება ოქმი[187] და რაიმე წერილობითი დოკუმენტი, გარდა იმ საბოლოო შეთანხმებისა, რასაც მედიაციის პროცესში მხარეები მიაღწევენ შეთანხმების სახით. ბოლო პერიოდია საარბიტრაჟო საქმისწარმოება გაცილებით ფორმალური ხდება და ემსგავსება სასამართლო საქმისწარმოებას, მაშინ როდესაც ის ტრადიციულად რეალურად წარმოადგენდა სასამართლოს ალტერნატივას და არაფორმალურ და ხელმისაწვდომ დავის გადამწყვეტ საშუალებას[188], თუმცა დროთა გასვლასთან ერთად საარბიტრაჟო საქმისწარმოებისთვის სულ უფრო მახაისათებელი ხდება დროის და ფინანსების ხარჯვის საჭიროება; სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, მედიაცია რეალურად კონკურენტუნარიან გარემოს უქმნის საარბიტრაჟო საქმისწარმოებას და გაცილებით მიმზიდველი ფორმა ხდება დავის გადაწყვეტის.

ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ხშირია შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟი და მედიაცია კომბინირებულად არის მოდავე მხარეების მიერ გამოყენებული, რიგ შემთხვევაში მსგავსი დათქმები კანონის

184. *McLaren H.R., Sanderson J.,* Innovative Dispute Resolution: The Alternative., Thomson Carswell, 2006, 4-1.
185. *von Schubert M., Haase M.,* in Schiffer, J., Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 249.
186. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 16.
187. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, xix
188. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution: Beyond the Adversarial Model, Second Ed., Aspen Publishers, New York, 2011, 110.

დონეზეც არსებობს, ხოლო მხარეები იმაზე თანხმდებიან ჯერ სინჯონ მედიაცია[189] და შეუთანხმებლობის შემთხვევაში გააგრძელონ არბიტრაჟში დავა[190] (ე.წ. med-arb), თუ პირიქით, დაიწყონ საარბიტრაჟო პროცედურები იმის შესაძლებლობით რომ გააგრძელონ ურთიერთობა მედიაციის (ე.წ.arb-med / arbitration-connected mediation) პროცესში შეთანხმების მიღწევის მიზნით.

2.3. მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის ისტორია საერთაშორისო სივრცეში და წარმატების განმაპირობებელი მიზეზები

იურიდიული საზოგადოება საერთაშორისო მასშტაბით თანხმდება იმაზე, რომ მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან და განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში მედიაცია ფართოდ მკვიდრდება და მისი პოპულარიზაცია ყოველდღიურად იზრდება. მედიაციის პოპულარიზაციას და მასზე მოთხოვნის ზრდას ძირითადად აქვს შემდეგი წინაპირობები[191]:

- დამკვიდრებულია მოსაზრება, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს რეალობას, რომ სასამართლო საქმისწარმოება არის გაუთვლელი, მისი შედეგის კონტროლი მხარეებს არ შეუძლიათ და ვერასდროს იქნებიან დარწმუნებული თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც მხარეებს აიძულებს დაფიქრდნენ ისეთი დავის გადაწყვეტის მექანიზმებზე, რაც მისცემთ მათ საშუალებას მეტად აკონტროლონ პროცესის შედეგი;
- მედიაციაში მესამე დამოუკიდებელი პირის მეშვეობით მხარეებს უწევთ შეთანხმების იმ სახის ალტერნატიული პირობების გენერირება და მათზე მუშაობა, რაზეც მანამდე, დამოუკიდებ-

189. *Berg H.,* Mediation in New Zealand: Widely Accepted and Successful, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1105.
190. *Roth M., Gherdane D.,* Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 287.
191. *Neil A.*, Andrews ---on Civil Processes, Arbitration&Mediation, Volume II, Intersentia, Cmabridge, 2013, 13.

ლად არ უფიქრიათ, შესაბამისად მედიაცია აძლევს მათ ახალ შესაძლებლობებს დაგეგმონ დავის აღმოფხვრის გზები და მომავალი[192];

- სასამართლო საქმისწარმეობა, მისი ყველა ეტაპის გავლა დაკავშირებულია დიდი დროის ხარჯვასთან, ფინანსების ხარჯვასთან და დაძაბულობასთან; პროცესის დასაწყისში მხარეებს არ ეცოდინებათ, თუ რა დრო და ფინანსები იქნება მათი მხრიდან გასაწევი საქმისწარმოების სრულად დასრულებისათვის, რადგან სასამართლო საქმისწარმოების მიმდინარეობამ შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი დამატებითი ხარჯების გაწევის საჭიროება და გაგრძელდეს იმაზე მეტი დრო, ვიდრე იყო მოსალოდნელი, თუმცა არც ისე უნდა იქნეს გაგებული, რომ მედიაცია მხოლოდ სასამართლოს საქმისწარმოების გადატვირთულობის ხარჯზე იხვეჭს პოპულარობას, არამედ ეს პროცესი თავად არის მოქნილი და მომხიბვლელი და უზრუნველყოფს მხარეების მეტ დაინტერესებას უშუალოდ მისთვის მახასიათებელი უპირატესობების ხარჯზე[193];
- სასამართლო საქმისწარმოების დროში გახანგრძლივების კუთხით აღსანიშნავია ის გარემოება რომ რიგი სასამართლო პროცესები დავის შინაარსიდან გამომდინარე ხშირად დაკავშირებულია ამა თუ იმ სახის საექსპერტო კვლევის ჩატარებასთან, რაც თავის მხრივ პროცესის მხარეებს აძლევს საშუალებას ითხოვონ ალტერნატიული საექსპერტო კვლევის[194] ჩატარება და მსგავსი პროცესუალური კანონიერი საშუალებებით პროცესი ავტომატურად ჭიანურდება, რაც დამატებითი არგუმენტია მედიაციის სასარგებლოდ, როდესაც მხარეებს აქვთ საშუალება

192. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 49.
193. *Zalar A*., Managing Judicial Change Through Mediation – Part 1, ADR Bulletin, Vol.6, No.8, 2004, 1.
194. *Deguchi M.,* Das flexible Streitbeilegungsmodell zwischen Zivilprozess und ADR in Japan, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 824.

საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების წინა პლანზე წამოწევის გარეშე მოახდინონ მათთვის სასარგებლო ინტერესებზე აქცენტირებით ერთმანეთთან შეთანხმების მიღწევა, რაც მათ შორის ამ აბზაცში მოცემული საქმისწარმოების აბსოლიტურად კანონიერი გზით გახანგრძლივების შესაძლებლობას ასევე აირიდებს თავიდან, იგულისხმება ამ კანონიერი გზის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური ხარჯის დაზოგვის უპირატესობაც;

- სასამართლო საქმისწარმოება უშუალოდ მხარეების ჩართულობით საკითხის მათთვის სასარგებლოდ გადაწყვეტის ფართო შესაძლებლობას არ იძლევა და წარმოება შეზღუდულია სამართლებრივი ჩარჩოებით, შესაბამისად, მხარეებს ყოველთვის ურჩევნიათ მეტად იყვნენ პროცესის მსვლელობასა და დაგეგმარებაში ჩართული, რადგან შედეგი უნდათ, რომ იყოს გათვლადი და საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცეული;
- მედიაციას აქვს პოტენციალი იმუშაოს ისეთ სიტუაციებში, სადაც ორი მხარე მესამე დამოუკიდებელი პირის გარეშე მოლაპარაკებების ჩიხში შევიდა, ანუ მედიაციით უმჯობესდება მოლაპარაკების პერსპექტივა[195];
- სასამართლო საქმისწარმოების შედეგად საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, როგორც წესი მხოლოდ ერთი მხარისთვის არის მისაღები და ისიც რიგ შემთხვევაში შეიძლება არც-ერთი მხარისთვის არ იყოს მისაღები, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ საქმეზე გაწეული ფინანსური და დროის დანახარჯი აღმოჩნდება ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის არაგონივრულად გაწეული ხარჯი;
- სასამართლოში საქმისწარმოება არის ღია და საჯარო, რაც როგორც ასეთი დადებითი მოვლენაა მართლმსაჯულების მიზნებისთვის, თუმცა კონფლიქტის მონაწილე მხარეების ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი საჯარო, ღია პროცესზე ხდებოდეს მათი პი-

195. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 18.

რადი თუ ბიზნეს ინტერესის მატარებელი დავის განხილვა და წარმოება, რაც აბსოლიტურად გონივრული მიდგომაა მოდავე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე;

- სასამართლო საქმისწარმოება არის ერთგვარი სამართლებრივი „ბრძოლა“ მხარეებს შორის, „ბრძოლისთვის“ მახასიათებელი თავისი შედეგებით, რაც ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში მხარეების ინტერესებს და შემდგომ ურთიერთობას დადებით შედეგს ვერ მოუტანს, რის გამოც ყველა მომავალზე და შედეგზე ორიენტირებული მხარე ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს წარუმატებლობის და უპერსპექტივობის რისკი;
- მედიაცია იძლევა შესაძლებლობას კონფლიქტის მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის შეთანხმებული პირობებით შედგეს შეთანხმება, ანუ გადაწყვეტილება საკითხის გარშემო იყოს მხარეების წინასწარ შეთანხმებული პროდუქტი[196], რაც წარმოუდგენელი და ხელმიუწვდომელი შესაძლებლობაა სასამართლო და საარბიტრაჟო საქმისწარმოების შემთხვევაში;
- მედიაციის შესახებ მხარეების ინფორმირების შემთხვევაში მოტივაცია დავის აღნიშნული ალტერნატიული საშუალების გამოყენების იზრდება, რადგან მედიაცია ერთდროულად სთავაზობს მხარეებს ნაკლები ფინანსური დანახარჯით, ნაკლები დროის დანახარჯით, პროცესის და მისი წესების სრული კონტროლის მხარეებისათვის შეთავაზებით, კონფიდენციალური პროცესის ფორმატში, მხარეებმა მომავალზე ორიენტირებულ შეთანხმებას მიაღწიონ[197].

მედიაციის პრინციპების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ძალზედ სასარგებლო და შედეგის მომტანია, რაც დამატებითი წინაპირობაა მისი ფართოდ საზოგადოებაში გავრცელების და პოპულარიზაციის, უფრო მეტიც, მას ხშირად მიმართავენ გლობალურ

196. *Willis T.,Wood W.*, Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015, 73.
197. *Blake S., Browne J.,Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 21, 22.

პოლიტიკაშიც[198], რისი გამორჩეული მაგალითი[199] ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები თეოდორე[200] რუზველტი[201], ჯიმი კარტერი[202] და მათ შორის ბილ კლინტონი[203] არიან, რომლებიც თავს მედიატორად და აქტიურ მომლაპარაკებლად მიიჩნევდნენ[204].

ის მხარდაჭერა რაც მედიაციას დღეს აქვს მოპოვებული და მიღებული საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა საკანონმდებლო ინსტიტუციების მხრიდან გვაფიქრებინებს, რომ ის დღესდღეობით მართლაც ხდება დავის გადაწყვეტის ყველაზე პოპულარული ფორმა და მექანიზმი, თუმცა ის დღეს გზაგასაყარზე მდგომი ინსტიტუციაა, რომელიც ერთდროულად დიდი შესაძლებლობების და საფრთხეების

198. *Groß M.*, IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013, 1.
199. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 539.
200. *Morris E.*, Theodore Rex, Random House Inc, New York, 2001.
201. 1902 წელს პრეზიდენტი რუზველტი საზოგადოებას მოევლინა ამერიკის საბადოების მუშათა გაფიცვის პროცესის მედიატორად, კერძოდ, 1902 წლის მაისის თვეში 147,000 ნახშირის საბადოს მუშა, პენსილვანიის შტატში გაიფიცა ხელფასების გაზრდის და პროფესიული კავშირის შექმნის უფლების მიღების მოთხოვნით. აღნიშნულმა პროცესმა მიიღო ფართო მასშტაბი და გამოიწვია მთლიანი შტატის პარალიზება. პროცესის სოციალური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით პრეზიდენტ რუზველტს და მის ადმინისტრაციას პირადად მოუწიათ კერძო დავაში ჩართვა, რადგან პროცესი იმ დროისათვის ატარებდა უპრეცენდენტო ხასიათს და მისი შესაძლო შედეგები სავალალოდ შეიძლება გამხდარიყო მთელი სახელმწიფოსთვის. შესაბამისად, 1902 წლის ოქტომბერში, პრეზიდენტი რუზველტი უშუალოდ ჩაერთო გაფიცულებსა და დამსაქმებელს შორის მოლაპარაკებებში, რათა მხარეები შეეთანხმებინა და მოახლოებული ზამთრისთვის დამატებითი კრიზისი თავიდან აერიდებინა. უშუალოდ პირველადი მოლაპარაკებები არ გამოდგა წარმატებული, თუმცა საბოლოოდ მათ შორის ბანკირი J.P.Morgan-ს პროცესში ჩართვის ხარჯზე კონფლიქტი განიმუხტა და როგორც კომპრომისის ერთ-ერთი პირობა შეიქმნა მენახშირეთა საგაფიცვო კომისია.
202. პოლიტიკაში „ჯიმი კარტერის მედიაცია Camp David-ში“ სახელით ცნობილი მოვლენაა, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა, რომელიც თავს აქტიურ მომლაპარაკებელს და მედიატორს უწოდებდა მოლაპარაკებების წარმოების მიზნით მედიატორის ფუნქცია იტვირთა და ამერიკაში მიიწვია იმდროინდელი ისრაელის პრემიერი ბეგინი და ეგვიპტის პრეზიდენტი სადათი, რათა მხარეებს შორის მშვიდობის დამყარების შესახებ შეთანხმება შემდგარიყო. მოლაპარაკებები ორ რაუნდად ჩატარდა: დაიწყო 17.09.1978წ და დასრულდა 1979 წლის 26 მარტს. ჯიმი კარტერი 2002 წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით იქნა დაჯილდოებული.
203. ბილ კლინტონი ცნობილია ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიზნით ჩატარებული არაერთი მედიაციისთვის პოლიტიკურ დონეზე.
204. *Fritz R., Pielsticker D.,* Handbuch zum Mediationsgesetz, Luchterhand Verlag, Wolters Kluwer, 2020, 13

წინაშეა, რათა არ გაიზიაროს ერთ დროს ყველაზე პოპულარული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის – არბიტრაჟის ბედი[205].

მართლმსაჯულების პოლიტიკის მიზნებისთვის[206] მნიშვნელოვანია, რათა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული, უკვე კანონის დონეზე რეგულირებული მეზანიზმი, საზოგადოებრივი ინტერესის და გამოყენების საგანი გახდეს, რა მიმართულებით ყველა სახელმწიფოს მოუწევს კიდევ უფრო მეტად ეფექტური ნაბიჯების გადადგმა.

2.4. მედიაციის რეგულირების ინსტიტუციური მოდელები

მედიაციის განვითარების ისტორიას რომ გადავხედოთ ევროპულ ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, თვალშისაცემია მედიაციის რეგულირების ორი ძირითადი მოდელის არსებობა[207]: ქვეყნები სადაც მედიაციის პროცესი ვრცელ (ე.წ. extensive regulation) რეგულირებას ექვემდებარება და ქვეყნები, სადაც მედიაციის პროცესი ვიწრო (ე.წ. restrained regulation) რეგულირების საგანია; თუმცა ყველა შემთხვევაში მედიაციის პროცესი მედიაციის მთავარ არსს წარმოადგენს[208].

აქვე აღსანიშნავია რომ მედიაციის სამართალთან შემხებლობა ყველა ქვეყანაში დაბალანსებულად უზრუნველყოფილია შიდა რეგულაციებით[209], კერძოდ, მედიაციის უმრავლეს შემთხვევაში, უშუალოდ მისი პროცესი ზედმეტად სამართლებრივი რეგულაციებით შებოჭილი არ არის, მაშინ როდესაც თავად მედიაციის არსი და კანონმდებლობის დონეზე არსებობა გარანტირებულია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო ან სპეციალური კანონებით.

205. *Esplugues C., Barona S.*, Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 40.
206. *Bamberger H.G.*, Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3.Auflage, 2016, 242.
207. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 17.
208. *Golann D.,* Mediating Legal Disputes, American Bar Association, Chicago, 2009, 51.
209. *Glasser U.*, Mediation und Beziehungsgewalt, NOMOS, 2008, 109.

ა. ვრცელი რეგულირების მოდელი

ქვეყნები, სადაც მედიაცია დაქვემდებარებულია ვრცელ, დეტალურ რეგულირებას ძირითადად მიღებულია იმ ტიპის საკანონმდებლო რეგულაცია კანონის სახით მედიაციის შესახებ, რომელიც ფართოდ მიმოიხილავს შესაძლო საკითხებს დაკავშირებულს მედიაციის პროცესთან, მათ შორის ავლებს მკვეთრ ზღვარს მედიაციასა და სხვა იურიდიულ პროფესიებსა და სერვისებს შორის.

მსგავსი მოდელის ყველაზე კარგი მაგალითი არის ავსტრიის მაგალითი[210], სადაც სამოქალაქო საქმეების მედიაციის შესახებ მიღებულია ცალკე კანონი „სამოქალაქო სამართლის მედიაციის აქტი[211]", ისევე როგორც ცალკე რეგულირების სახით არის მიღებული „სამოქალაქო სამართლის მედიაციის მედიატორთა ტრეინინგ რეგულაციები[212]", სადაც დეტალურად არის გაწერილი მედიატორთა ტრენინგ საჭიროებები და უშუალოდ პროცესი. ავსტრიამ აირჩია სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით ძაან დეტალური რეგულირების მოდელი და ისეთი საკითხიც კი, როგორიც არის საზღვართშორისი[213] მედიაციის ასპექტები, ცალკე კანონით რეგულირდება, რასაც „ევროკავშირის მედიაციის აქტი[214]" დაარქვეს.

ცალკე რეგულირება აქვს დათმობილი სამოქალაქო საპროცესო ნორმებს, რაც გამოიყენება მედიაციაში, და ნორმებს, რაც არეგულირებს ნოტარიუსების და ადვოკატების მიერ მედიაციის წარმოების წესებს, ისევე როგორც ცალკე კოდექსი აქვთ მიღებული, რითაც მედიატორის ეთიკური სტანდარტები არის გაწერილი[215].

მედიაციის ვრცლად რეგულირების ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება ასევე საფრანგეთი[216], იმ განსხვავებით, რომ ფრანგული რე-

210. *Roth M., Gherdane D.,* in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.4, A (3), 253.
211. Zivilrechts-Mediations-Gesetz
212. Zivilrechts-Mediations-Ausbildungsverordnung
213. ე.წ.cross-border mediation
214. Bundesgesetz uber bestimmte Aspekte der grenzuberschreitenden Mediation in Zivil und Handelssachen in der Europaischen Union (EU-Mediations-Gesetz-EU-MediatG), BGBl.I 2011/21.
215. <http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf >. [15.05.2018]
216. *Deckert K.,* Mediation in France: Legal Framework and Practical Experiences, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 461.

გულირების მაგალითზე ნაცვლად მედიაციის მარეგულირებელი რამდენიმე კანონის მიღებისა, საკითხების ინტეგრირება მოხდა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და შრომის სამართლის კოდექსში.

ბ. ვიწრო რეგულირების მოდელი

ვიწრო რეგულირების მომხრე ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მათ აირჩიეს შემდეგი მიდგომა: მედიაციის ინსტიტუტი არ არის საკმარისად განვითარებული და გავრცელებული, რათა მოხდეს მისი ფართო რეგულირება და გაწერა კანონმდებლობაში[217].

აღნიშნულ მიდგომას ძირითადად ხსნიან ორი ფაქტორით[218], კერძოდ, ერთი, რომ ზედმეტი რეგულაციებით შეიძლება ხელი შეეშალოს ინსტიტუტის შემდგომ განვითარებას, და მოხდება მისი ჩარჩოებში მოქცევა, მაშინ როდესაც დასაწყის ეტაპზე ამის საჭიროება არ დგას და მეორე მხრივ, მედიაციას განიხილავენ, როგორც სამოქალაქო საპროცესო რეგულირებიდან გამოსულ მოვლენას[219] და მისი ჩარჩოში მოქცევა განიხილება, როგორც პროცესის შეზღუდვა.

ამ ტიპის რეგულაციის ფონზე ქვეყნები არ ადგენენ მედიაციის პროცესუალურ წესებს და არც მედიატორთა ტრენინგ ვალდებულებებს, რაც კერძო ინიციატივების რეგულირების საგანს წარმოადგენს. მსგავსი ქვეყნები[220] თავის მხრივ ერევიან მხოლოდ მედიაციის წარმოების პროცესუალური ხარჯების რეგულირების ნაწილში, რითაც

217. *Schmiedel L., Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation,* in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 702.
218. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 19.
219. *Kumpan C., Bauer-Bulst C.,* Mediation in Switzerland: A new Approach in a Conciliation-oriented Tradition, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 1207.
220. *Scherpe J.M., Marten B.,* Mediation in England and Wales: Regulation and Practice, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 370.

ბაზრის რეგულირების საგნად აქცევენ მედიაციის გამოყენებას და მის მოხმარებადობას საზოგადოებაში[221].

რიგი ქვეყნები, მეტწილად ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახის წარმომადგენლები[222], დავის ალტერნატიული საშუალებებისთვის ინსტიტუციონალური სტატუსის მიცემის კუთხით, საკუთარ კანონმდებლობაში, დავის გადაწყვეტის აღნიშნულ მექანიზმებს უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოების დაწყებამდე ანიჭებს პრიორიტეტულად მხარეთა მხრიდან მონაწილეობის ვალდებულებას,

221. ინგლისი და ნიდერლანდები წარმოადგენენ იმ სახელმწიფოთა თვალსაჩინო მაგალითებს, სადაც მედიაცია ფართოდ გამოყენებული ინსტიტუტია დავების მოგვარების და საზოგადოება, ბიზნესი აქტიურად მოიხმარს მედიატორთა სერვისს. ორივე სახელმწიფოს მაგალითზე ქვეყნები მოერიდნენ მედიაციის პროცესის კანონმდებლობის დონეზე მკაცრ რეგულირებას, გარდა ხარჯების ნაწილში სტანდარტების გაწერისა. ინგლისში არსებობს სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი, თუმცა კერძო სექტორის წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებული სამოქალაქო მედიაციის საბჭო (Civil Mediation Council), რომელიც მედიაციაში მოქმედ კერძო ასოციაციებს და ინსტიტუციებს მათთან დანერგილი ხარისხის მოთხოვნებიდან გამომდინარე მოთხოვნის შემთხვევაში გადასცემს ე.წ. „ხარისხის ბეჭედს“.

222. მაგ ინგლისში სასამართლომდე საქმის წარმოების პრაქტიკის და ქცევის კოდექსის თანახმად (Practice direction on pre-action conduct:<www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/pdf/practice_directions/pd_pre-action_conduct.pdf) >. [15.05.2018] პოტენციური მოსარჩელე ვადლებულია თავისი მოთხოვნების შესახებ აცნობოს პოტენციურ მოპასუხეს, ჩააყენოს საქმის კურსში და შესთავაზოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი სასამართლო საქმისწარმოების დაწყებამდე. პოტენციური მოპასუხის ვალდებულებას წარმოადგენს მოსარჩელეს აცნობოს საკუთარი პოზიცია თუ რამდენად მისაღებია მისთვის შემოთავაზებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, და თუ არ არის მისაღები მიუთითოს მიზეზები და დასაბუთება, ისევე როგორც შესთავაზოს მისთვის მისაღები მექანიზმი (იხ.კოდექსის 4.2(4) პუნქტი) ან თუ არც-ერთი ამ ფორმის გავლა მხარეს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ესეც უნდა დასაბუთებული პასუხის საფუძველზე მოსარჩელეს აცნობოს პოტენციურმა მოპასუხემ. იმ შემთხვევაში თუ დავა გადაინაცვლებს სასამართლოში, სასამართლო ამოწმებს მხარეების მხრიდან წინასასამართლო პროცედურების გავლის ეტაპებს და მათ შორის ითხოვს პასუხს ორივე მხარისგან ამ პროცედურების გაუვლელობის მიზეზებთან დაკავშირებით, მსგავსი პრაქტიკა აქვს ავსტრალიასაც. ის მხარე, რომელიც დაუსაბუთებლად აცხადებს პროცედურაში მონაწილეობას შეიძლება გახდეს სასამართლოს მხრიდან ფინანსური სანქციის მსხვერპლი და მას დაეკისროს მეორე მხარის მიერ გასაწევი სასამართლო ხარჯიც. სასამართლოსადმი წარსადგენ სარჩელის ფორმულარებში ადვოკატის მხრიდან არის შესავსები სპეციალური ნაწილი, სადაც ადვოკატი უთითებს, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ აცნობა კლიენტს, მისცა რჩევა და მათ შორის გააფრთხილა მასში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში შესაძლო ფინანსურ სანქციებზე. მსგავსი პროცედურა არის გათვალისწინებული უმრავლეს ამერიკის შტატში (მაგ: კალიფორნიის შტატი), და კანადაში.

რაც თანაბრად ეხება მხარეს და მის იურიდიულ მრჩევლებსაც[223]. სავალდებულო მედიაცია, როგორც სასამართლოსადმი მიმართვის წინაპირობა[224] უკვე გამოიყენება რამდენიმე ქვეყანაში[225], რაც ძირითადად ხარჯის და დროის შემცირების მიზნით არის დასაბუთებული.

მსგავსი მიდგომა და პრაქტიკა არ შეიმჩნევა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში[226], სადაც მხარეებს არ მოეთხოვებათ სავალდებულო სახით, სასამართლოსთვის მიმართვამდე, მოახდინონ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება[227].

ასეთ ქვეყნებში მედიაცია არის ინსტიტუციური კუთხით საპროცესო კანონმდებლობასა და ცალკე აქტად ინტეგრირებული ქვეყნის ნორმატიულ სისტემაში[228] და მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ასეთი ინტერესის შემთხვევაში გამოიყენონ დავის ალტერნატიული საშუალება[229].

223. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 23.

224. იქვე, 25.

225. იტალიასა და ონტარიოში (კანადა) მსგავსი მიდგომა გამართლდა საქმეთა ნაკადის მართვის მიზეზით. იტალიაში თავდაპირველად იყო მიდგომა, როდესაც ყველა სახის დავა დაუქვემდებარეს სამედიაციო პროცედურებს, თუმცა შემდგომ კანონმა გააკეთა საქმეთა ჩამონათვალი, როდესაც მედიაცია სავალდებულო სახით უნდა გაიარონ მხარეებმა: დავები დაკავშირებული მიწის საკუთრებასთან, სასესხო დავები, სამედიცინო დავები, სახელშეკრულებო, საბანკო, სადაზღვევო, ამხანაგობების დავები, ავტოავარიასთან დაკავშირებული დავები და სასოფლო სამეურნეო დავები. გერმანიაში სავალდებულო ხასიათი მედიაციას მიენიჭა ფედერალური სასამართლოს დონეზე 750 ევრომდე არსებულ დავებს, სამეზობლო და დეფიმაციური კატეგორიის დავებს. ნორვეგიაში სავალდებულო მედიაციას ექვემდებარება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საოჯახო დავები. აშშ-ში მსგავსი პრაქტიკა კიდევ უფრო მდიდარია, მაგ: ფლორიდაში საოჯახო და სადაზღვევო დავები სავალდებულო მედიაციას არის დაქვემდებარებული.

226. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 24.

227. ავსტრია, ბულგარეთი, ნიდერლანდები, საბერძნეთი, შვეიცარია

228. მაგ: გერმანიაში მედიაციის შესახებ კანონსა და ადვოკატთა შესახებ კანონში პირდაპირ არის გაწერილი ადვოკატის ვალდებულება კლიენტს რჩევა მისცეს დავის ალტერნატიული საშუალებების შესახებ დავის დაწყებამდე. იტალიაში კლიენტს აქვს შესაძლებლობა ადვოკატთან დადებული იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გააუქმოს თუ დადგინდა, რომ ადვოკატმა შესაბამისი რჩევა და განმარტებები არ მისცა კლიენტს დავის ალტერნატიული საშუალებების შესახებ. პოლონეთში მსგავსი პრაქტიკა დაინერგა, როდესაც ადვოკატები მათ შორის ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად ვალდებული არიან კლიენტს მიაწოდონ სრული და ამომწურავი ინფორმაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების თაობაზე.

229. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 24.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ქვეყნებიდან რამდენიმე მათგანში[230] სასამართლოს აქვს პირდაპირი ვალდებულება საპროცესო კანონმდებლობით, რათა ინფორმაცია მიაწოდოს მხარეებს მედიაციის შესახებ, მისცეს განმარტებები მედიაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, და ასევე შეუძლია მოსამართლეს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია თუ რამდენად მიმდინარე დავა შეიძლება შეესაბამებოდეს მედიაციით გადაწყვეტის საუკეთესო პრაქტიკას, თუმცა რაიმე სახის დავალდებულება მხარეების მიიღონ მონაწილეობა მედიაციაში სასამართლოს არ შეუძლია[231]. იშვიათ გამონაკლის წარმოადგენს ნორვეგია[232], სადაც სასამართლო თუ დარწმუნდა, რომ დავა მედიაციის ფორმატში უნდა გადაწყდეს, მხარეების წინააღმდეგობის მიუხედავად მოსამართლეს შეუძლია საქმე გადასცეს მედიაციას. დაახლოებით მსგავსი მოდელი ამოქმედდა გერმანიაში[233] მედიაციის შესახებ ახალ კანონში, რომლის თანახმად სასამართლოს აღარ აქვს უფლება მიმდინარე დავა გარე მედიაციას გადასცეს, თუმცა ე.წ. სასამართლო მედიაციას“ (Guterichter) შეუძლია დაუქვემდებაროს მის წარმოებაში არსებული დავა.

2.5. მედიაციის უპირატესობები და შესაძლო ნაკლოვანებები

მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტი იძლევა იმის საშუალებას მოხდეს ურთიერთობის კრიტიკული მომენტების იდენტიფიცირება[234], რაც დაძლევის შემთხვევაში კიდევ უფრო წარმატებული

230. ავსტრია
231. ნიდერლანდები: სასამართლოში კანონის დონეზე შექმნილია მოხელის თანამდებობა, რომელიც სასამართლოს რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში მხარეებს აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მედიაციის შესახებ და სურვილის შემთხვევაში აკავშირებს მხარეებს მედიატორთან.
232. *Anneken S.K.*., Mediation in Norway: Faster, Cheaper and more Friendly, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1144.
233. *Tochtermann P.*, Mediation in Germany: The German Mediation Act – Alternative Dispute Resolution at the Corossroads, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 538.
234. *Ulrich H.,* in Klowait J., Gläβer U., MediationsGesetz, Handkomentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 469

შემდგომი ურთიერთობის წინაპირობაა, რაშიც მედიაცია დადებით როლს ასრულებს. ლიტერატურაში ხშირად ხდება მითითება იმაზე, რომ მედიაციის პროცესის მონაწილე მხარეებს პროცესის შემდგომ უადვილდებათ საკითხის ანალიზი, რადგან მათ ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ მხარის არგუმენტაცია მოესმინათ[235], არა სამართლებრივი დასაბუთებები, არამედ მხარისეული „სიმართლე", რადგან როგორც ცნობილია „მედალს ორი მხარე აქვს[236]" და მხარეებს სწორედ მეორე მხარის სიმართლე ეხმარებათ საკითხის სრულყოფილ ანალიზში, თუმცა მთავარია მხარეებს ჰქონდეთ შეთანხმების მიღწევისთვის სათანადო რესურსი, რაც ყოველთვის გამოიძებნება თუ მოდავე მხარეების პირველად ინტერესს[237] დავის აღმოფხვრა წარმოადგენს.

მედიაციის დამკვიდრებას და დანერგვას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს, მათ შორის უმთავრესი თავად სასამართლოების და საარბიტრაჟო ინსტიტუციების ბიუროკრატიული ბუნება, დროში გახანგრძლივებული პროცედურები და ხარჯია, რაც ამ წარმოებებს უკავშირდება, შესაბამისად „წესრიგი კანონის გარეშე[238]" და მისი გამოყენებადობის პერსპექტივა ავტომატურად ფეხს იკიდებს თითქმის ყველა იურისდიქციაში[239]. ისევე როგორც მხარეების რეალური ინტერესი, რათა მიაღწიონ კონფლიქტის დასრულებას და ერთმანეთში შეთანხმების მიღწევას, ხშირია როდესაც მედიაციაში მხარეები მათ სამართლებრივი სახის მოთხოვნების უკან არსებულ რეალურ ინტერესებს[240] ააშკარავებენ და სწორედ მათი მიღწევის კონკრეტულ გზებზე და საშუალებებზე უთანხმდებიან ერთმანეთს.

მედიაცია დავის მონაწილე მხარეებს სთავაზობს ლავირებად

235. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 36.
236. *Bhatt J.N.*, A Round Table Justice through Lok-Adalat (People's Court) –A vibrant –ADR- in India, 2002, 1.
237. *von Maik B.,* Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker &Humblot, Berlin.2015, 21.
238. *Ellickson R.C.,* Order Without Law: How Neighbours Settle Disputes, Harvard University Press, Cambridge MA, 1991.
239. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 5.
240. *von Maik B.,* Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker &Humblot, Berlin.2015, 22.

(ფლექსიბელურ[241]) ალტერნატიულ საშუალებას თუ როგორ გადაწყდეს კონფლიქტი, ნაკლები დროის[242], ნაკლები ხარჯის[243] გაწევის სანაცვლოდ და მათ შორის სასამართლო საქმისწარმოების გადატვირთულობის შემცირებით. მედიაციის დადებითი მხარეა ის რომ პროცესში შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს ყოველთვის რჩებათ შესაძლებლობა დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს[244]. მედიაცია ორიენტირებულია მხარეთა ინტერესებზე მეტად, ვიდრე მათ სამართლებრივ უფლებებზე, რა დროსაც მედიაციაში მიღწეული შეთანხმება ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მხარეების კომერციულ კომპრომისს[245], ვიდრე სამართლებრივად უფლებების კუთხით მიღებულ გადაწყვეტილებას; ეს არის პროცესი, რომელიც ხელს უწყობს მოლაპარაკებას[246].

მედიაციის მეშვეობით[247] მხარეებს აქვთ კარგი საშუალება მოახდინონ ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის დეფინირება, გაერკვნენ ერთმანეთთან არსებული პრობლემის არსში, ჩაწვდნენ დაპირისპირების რეალურ მიზეზებს[248], დაარეგულირონ აღნიშნული კონფლიქტი მშვიდობიანად, მართონ კონფლიქტი, დარჩეს ორივე მხარე მოგებული[249] (ე.წ. win-win situation[250]), ისევე როგორც მოახდინონ კონფლიქტის შემდგომი გაღვივების პრევენცია და შეინარჩუნონ ურთიერთობა[251], მათ შორის ქრისტიანული მოძღვრებაც ადამიანებს

241. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, V.
242. *Malacka M.,* Mediation als Appropriate Dispute Resolution im Tschechischen und Slowakischen Rechtssystem in Osteuropa Recht Zeitschrift, Nomos, Baden-Baden, 2018, 91.
243. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.
244. *Lindblom P.H.,* Progressive Procedure, Iustus, 2017, 422.
245. *Kajkowska E.,* Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 10.
246. *Stephen W.J.,* Principles of Alternative Dispute Resolution, West Academic Publishing, 2016, 7.
247. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998.12.16.
248. *Kumar A.,* Alternative Dispute Resolution System, K.K. Publications, 2016, 233.
249. იქვე, 233.
250. *Haft F., von Schlieffen K.G.,* Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 85.
251. *Englert K., Franke H., Grieger W.,* Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006. 242.

ურჩევს კონფლიქტი აირიდონ თავიდან[252]. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი მხარეებს მოუწოდებს კონფლიქტის აღმოსაფხვრელად გამოიყენონ მედიაცია[253] (არაბულად Sulh).

მედიაცია კარგი საშუალებაა მხარეებმა მოახდინონ ერთგვარი თვითგამორკვევა[254], ნაცვლად სასამართლო პროცედურებისა, სადაც ამ ფუნქციით მოსამართლე არის დაკავებული ანუ „მედიაცია ეხმარება მხარეებს თავად გადაწყვიტონ საკუთარი საქმე, ხოლო სასამართლო და არბიტრაჟი მხარეების საქმეში „ერევა“, რათა გადაუწყვიტოს მათ საქმე[255]“.

დღევანდელი აღქმით მედიაცია წარმოადგენს ერთგვარ საშუალებას, რათა მიიღწეს მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი[256], ის არის საკმაოდ ძლიერი ინსტრუმენტი თუმცა ჯერ კიდევ ნაკლებად გამოყენებადი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება[257]. მედიაციის მიზანია მხარეებს შორის შეთანხმება შედგეს[258], ხოლო მოდავე მხარეებს შორის ურთიერთობა მაშინ დამშვიდდება, როდესაც დავის შეთანხმებით გადაჭრა ხელს შეუწყობს მათი სამომავლო ურთიერთობების შემდგომ გაგრძელებას, რა დროსაც მედიაციის მიზანი მიიღწევა[259]. მეორე მხრივ, მედიაციას ახასიათებს, როდესაც ის შეთანხმებით ვერ სრულდება, თუმცა მხარეები მედიაციის პროცესში არკვევენ ერთმანეთისადმი პოზიციებს და რეალურ ინტერესებს, რაც ასევე შეიძლება გახდეს წინაპირობა იმისა, რომ მედიაციაში კონკრეტული შეთანხმების მიუღწევლად მხა-

252. *Roebuck D.*, Mediation and Arbitration in the middle Ages (England 1154-1558), Holo Books, The Arbitration Press Oxford, 2013, 51.
253. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 97.
254. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 224.
255. *Meyer A.S.*, Chairman, New York State Mediation Board, 1969, 164.
256. *Eidenmuller H, Wagner G.,* Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 7.
257. *Filler E.,* Commercial Mediation in Europe, Wolters Kluwer, 2012, 277.
258. *Goodman A.,* Basic Skills for the New Mediator, Solomon Publications, 2nd Ed, Maryland, 2005, 20.
259. *Glenewinkel W.*, Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, ibidem-Verlag, 1999, 44.

რეებმა ან არ გააგრძელონ ერთმანეთთან სამართლებრივი დავა ან არ მოახდინონ სამართლებრივი დავის ინიცირება, რაც საბოლოო ჯამში ნამდვილად დადებით შედეგად[260] უნდა შეფასდეს და მედიაციის კონკრეტულ შედეგად.

მედიაციის, ისევე როგორც დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებების ფართო გამოყენების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა, ისევე როგორც მართლმსაჯულების მხრიდან მათი ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელისშეწყობა იმით არის განპირობებული, რომ მათი გამოყენებით შესაძლებელი უნდა გახდეს სასამართლოების განმუხტვა[261] გადატვირთული საქმეთა ნაკადისგან, რაც მათ შორის ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორია რიგ შემთხვევაში.

მედიაციის მიზანი იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის შეფასებული[262], მთავარი მიზანი ცალსახად არის მხარეთა ჩართულობით კონფლიქტის ამოწურვა და შეთანხმების მიღწევა, რაც მათ შორის უნდა გახდეს მხარეებისთვის სამომავლო ურთიერთობების წინაპირობა[263] და წარმოადგენს მედიაციის დადებით მხარეს.

და ბოლოს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიაციის დამატებითი ღირებულება მარტო ის არ არის, რომ იზოგება ხარჯები[264], სასამართლოსა და მოსამართლის დრო, არის ნაკლებ შეჯიბრებითი პროცესი ვიდრე სასამართლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მედიაციის გამოყენებით მხარეებს ეძლევათ საშუალება თავად გადაწყვიტონ საკუთარი პრობლემები, იტვირთონ პასუხისმგებლობა და გაწიონ კონტროლი პროცესის მიმდინარეობის, რა დროსაც შეუძლიათ აღადგინონ ან დაიწყონ მეორე მხარესთან უკვე დაზიანებული ურთიერთობის დათბობა, ანუ კონსტრუქციულად წინ წაწიონ საკუთარი ბიზნეს ინტერესი და პირადი ცხოვრება სტრესის და

260. *Waring M.*, Commercial Dispute Resolution, CLP Legal Practice Guides/College of Law Publishing, 2016, 160.
261. *Bhatia K.V., Candlin C., Gotti M.,* Discourse and Practice in International Commercial Arbitration, 2012, 211.
262. *Zenk K*, Mediation im Rahmen des Rechts, Nomos, 2008, 36.
263. შეად. Schlieffen 2002, p.7; Walker 2001, p.24; Faller 1998, 36.
264. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 9.

დაძაბულობის გარეშე[265], რა დროსაც მხარეებს მეტი კმაყოფილების განცდა გააჩნიათ საქმისწარმოებისადმი[266]. ისევე როგორც მედიაციის გამოყენებით ხდება იურიდიული პროფესიის ჩართულობა დავების განეიტრალებაში, რაშიც კონკრეტული პროფესიონალი მედიატორები თამაშობენ გადამწყვეტ როლს[267].

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მართლაც ეფექტურ საშუალებას, რომლის მიმართ საზოგადოების ინტერესი ყოველდღიურად მზარდია, თუმცა გარკვეული უარყოფითი მხარე მედიაციას გარკვეულწილად ასევე ახასიათებს, რაც მისი მნიშვნელობის და გამოყენების სიკეთეების გათვალისწინებით, მართლაც ვერ აუფერულებს მედიაციის იმ უპირატესობებს, რაც თან სდევს დავის გადაწყვეტის აღნიშნულ ალტერნატიულ საშუალებას, კერძოდ, აქტუალურად შეინიშნება როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკული კუთხით მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციის დამკვიდრებამ, შესაძლებელია მოახდინოს მართლმსაჯულების „პრივატიზაცია“ და მართლმსაჯულების განხორციელების კერძო პირთა ხელში აღმოჩენა, რითაც საფრთხე შეექმნება სამართლის სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას[268], რაც ერთი მხრივ,

265. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 107.
266. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 9.
267. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 559.
[ხშირად ისმის კითხვა სტუდენტი იურისტების და პრაქტიკოსი ადვოკატების მხრიდან, თუ რამდენად შეიძლება ვუზრუნველყოთ თავი ნეიტრალური დავის გადაწყვეტის საშუალებების შეთავაზებით ბაზარზე. 1985 წელს, როდესაც წიგნის პირველი გამოცემა იბეჭდებოდა პასუხი იქნებოდა, რომ ეს შეძლებისდაგვარად იყო შესაძლებელი მხოლოდ შრომით დავების არბიტრად მუშაობისას, ან განქორწინების დავების მედიატორად მუშაობისას. 1992 წელს, როდესაც წიგნის მერე გამოცემა მზადდებოდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხმა უკვე მოიცვა მცირე ქონებრივი დავების განხილვის მედიატორის ფუნქციაც, ხოლო დღეს უკვე მსგავსი საქმიანობით შემოსავლის მიღების პერსპექტივამ საგრძნობლად იმატა, რასაც თავის მხრივ ხელი შეუწყო სასამართლო სავალდებულო მედიაციის წარმატებულმა პილოტებმა სხვადახვა ქვეყანაში].
268. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 9.

წარმოადგენს გარკვეულ საფრთხეს, თუმცა აღნიშნული უფრო ჰიპოთეტურ მოსაზრებად უნდა იქნეს მიჩნეული და მსგავსი იდეების გამავრცელებელთა ნაკლებ ინფორმირებულობით უნდა აიხსნას მედიაციის შესახებ, ვიდრე მედიაციის უარყოფით მხარედ იქნეს აღნიშნული მიჩნეული, რადგან დავის ალტერნატიული საშუალების ამ მექანიზმის სწორე დანერგვა ნებისმიერ სახელმწიფოში, ისევე როგორც მის შესახებ საზოგადოების სრული ინფორმირებულობა აღნიშნულ რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

ამასთანავე, ხშირია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაციაში, მხარე, რომელიც გარკვეული ძალამოსილებით სარგებლობს კონფლიქტში მყოფ მეორე მხარესთან შედარებით, შეუძლია თავისი გავლენის გამოყენებით საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეითანხმოს მეორე მხარე[269]. აღნიშნულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, თუმცა მსგავსი რისკი ნებისმიერი ფორმით დავის გადაწყვეტისას შეიძლება არსებობდეს და ამ შემთხვევაშიც მხარეების მხრიდან მედიაციის ინსტიტუტის სწორი გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნული უარყოფითი მხარის ნიველირება სავსებით რეალური და შესაძლებელია.

მედიაციის უარყოფით მხარეს რიგ შემთხვევაში, სხვადასხვა სახელმწიფოს მაგალითზე მისი ზედმეტად რეგულირებაც წარმოადგენს, რადგან ასეთ შემთხვევაში, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება კარგავს იმ ლავირებად ბუნებას, რაც მას განასხვავებს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცეულ სასამართლო საქმისწარმოებასა და თუნდაც ნებისმიერ სხვა სახის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმებისაგან და რაც რეალურად მისი უპირატესობა და დადებით მხარეა, ვიდრე რისკი, რომელსაც რეგულირება ესაჭიროებოდეს ან ზედმეტი რეგულირებით რაიმე რისკის თავიდან აშორება იქნეს შესაძლებელი.

აღნიშნული და ბევრი სხვა უარყოფითი მხარე თავს გამოავლენს და მოახდენს რეალურ გავლენას მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც მედიაცია ქვეყანაში ინსტიტუციურ სახეს არ ატარებს და მისი გამოვლინება ფრაგმენტული ხასიათისაა, ხოლო ისეთ შემთხვევებში, სადაც მედიაციის რეგულირება საკანონმდებლო დონეზე არსებობს,

269. იქვე, 10.

თუნდაც ელემენტარული სახით და სადაც მედიაციის პროცესი პრაქტიკაში აპრობირებულია და რეალურ მოხმარებაშია მოდავე მხარეების მიერ, ფაქტობრივ განეიტრალებულია ნებისმიერი სახის უარყოფითი მხარის გავლენა მედიაციის პროცესში მონაწილე სუბიექტებზე და თავად პროცესზე[270].

ამ კუთხით ასევე ხაზი უნდა გაესვას მედიაციის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელების საჭიროებას საზოგადოებაში და იურიდიული პროფესიის მხრიდან მედიაციის მიმართ კეთილგანწყობის არსებობის საჭიროებას, რა შემთხვევაშიც მედიაცია განწირულია წარმატებით დანერგვისთვის და ფუნქციონირებისთვის ნებისმიერ სახელმწიფოში.

2.6. მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის პრინციპის ახლებური ინტერპრეტაცია XXI-ე საუკუნეში

თანამედროვე საზოგადოება ძლიერ არის სასამართლო საქმისწარმოებაზე დამოკიდებული, ერთგვარად დაუწერელი წესი დაინერგა, რომ საზოგადოება და სახელმწიფო, რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო ხშირია ასეთ შემთხვევებში სასამართლოსადმი მიმართვიანობის სტატისტიკა[271], როგორც იტყვიან სახეზეა „სამართალწარმოების[272] აფეთქება“[273].

აღნიშნული „აფეთქება“ ავტომატურად იწვევს სასამართლოების გადატვირთულობას, მიმდინარე საქმისწარმოებების დროში გაჭიანურებას და დამატებითი ხარჯების გაწევის საჭიროებას მოდავე მხარეების მხრიდან[274].

270. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.
271. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 48, 49.
272. ტერმინის წარმომავლობა მოდის: Olson, W.K., The Litigation Explosion: What Happened When America Unleashed the Law Suit, Truman Talley Books, New York, 1991.
273. `Litigation Explosion`.
274. European Commission, Green Paper on Alternative Dispute Resolution in Civil and Commercial Law, Brussels, 19.04.2002, COM (2002) 196 final, p.7, n.5 (available at:<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2002/com2002/com2002_0196en01.pdf>. [15.05.2018]

შესაბამისად, სახელმწიფოები ფაქტობრივ ვერ სთავაზობენ მომხმარებელს ეფექტურ და დროულ მართლმსაჯულებას, რაც განაპირობებს მის პარალელურად დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვას და მის მზარდ განვითარებას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში[275], მიუხედავად რიგ შემთხვევებში ამ მექანიზმების გამოყენებით მიღწეული გადაწყვეტილებებისა თუ შეთანხმებების სუსტი აღსრულების მექანიზმების არსებობისა[276], რაც თავის მხრივ 21-ე საუკუნის მართლმსაჯულების ეფექტური ფორმის სტატუსს იმკვიდრებს.

მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას კონკრეტული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე მრავლად ჰყავს მომხმარებელი და მიმდევარი მსოფლიოს მრავალ კუთხეში, მათ შორის უნდა აღინიშნოს ამ ყველაფრის გამომწვევი ქვემორე ძირითადი წინაპირობები:

ა) პროცესის ნაკლებ ხარჯიანობა[277].

ბ) მედიაციის პროცესი ხელს უწყობს სახელმწიფოებს განტვირთონ სასამართლოები გადატვირთული საქმეთა ნაკადისგან.

გ) მედიაცია სთავაზობს მოდავე მხარეებს ნაკლები დროის დანახარჯით კონკრეტულ შედეგს, რომელშიც მხოლოდ მხარეთა სასარგებლოდ შეთანხმების მიღწევა არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მხარეთა შესაძლებლობა სრულად და ამომწურავად გაერკვნენ ერთმანეთის მიმართ არსებულ კონფლიქტში, მის გამომწვევ მიზეზებში და მათ შორის მხარეების ერთმანეთის მიმართ მიდგომებში და სამომავლო ხედვებში.

აღსანიშნავია, რომ მკვიდრდება მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა სასამართლოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა მიმართონ[278], მაშინ, როდესაც რეა-

275. *Alfini J.J., Press S., Sternlight B.,* supra n.182, 13ff.

276. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 49.

277. *De Palo G., Feasley A., Orecchini F.,* Quantifying the Cost of Not Using Mediation –A Data Analysis, European Parliament, Directorate-General for Internal Policies. Policy Department Citizen's Rights and Constitutional Affairs, Brussels 2010, p.3. (Available at: <www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201105/20110518ATT19592/20110518ATT19592EN.pdf)>.[15.05.2018]

278. *Bamberger H.G.*, Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auflage, 2016, 236.

ლურად ამოწურულია მხარეებს შორის ყველა რესურსი საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა და დარეგულირების. მსგავსი მიდგომა ცალსახად საჭიროებს კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას და პრაქტიკაში დანერგვას, რადგან ამ სტანდარტის დამკვიდრებით, გარდა იმისა, რომ სასამართლო განიტვირთება, მხარეებს ეძლევათ საშუალება არ ხარჯონ ზედმეტი დრო და ფინანსები, ნერვები და ენერგია წლებით მიმდინარე სასამართლო საქმისწარმოებაში, არამედ ეცადონ და კონფლიქტი ამოწურონ საკუთარი ხელით და საკუთარი ინტერესების შესაბამისად, თუ რა თქმა უნდა, საქმის მოცემულობა ამის შესაძლებლობას იძლევა.

ზემოაღნიშნული რეალობის და არგუმენტაციის გათვალისწინებით დოქტრინაში უკვე განიხილება მოსაზრება იმასთან დაკავშირებით თუ რამდენად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, წარმოადგენს სახელმწიფო სასამართლო საქმისწარმოების ალტერნატივას[279], რადგან ის რეალურად მართლმსაჯულების მიზნებს ემსახურება, როგორც ღია დემონსტრირებული ფორმით, ასევე თუნდაც ფარული შინაარსით, რადგან მომხმარებლებს აძლევს საშუალებას სწორედ რომ დავა აღმოფხვრან, ანუ რეალურად ის შედეგი მიიღონ, რაც მართლმსაჯულების ამოცანას წარმოადგენს, თუმცა მეორე მხრივ, ეს ყველაფერი სახელმწიფო საქმეს ემსახურება, რადგან სახელმწიფო სასამართლოები ამ ალტერნატივების დანერგვის და განვითარების ფონზე რეალურად ინტვირთებიან საქმეთა მზარდი ნაკადისგან და გარდა ადამიანური და ფინანსური რესურსი დაზოგვისა, უფრო ეფექტური და მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი ხდებიან ანუ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მედიაციის პროცესის უპირატესობებით და სიკეთეებით ერთდროულად ყველა კმაყოფილი რჩება, ერთი მხრივ, თავად მხარეები: რომელიც ახერხებენ მათი ინტერესების შესაბამისად დავის ამოწურვას[280], ნაკლები დანახარჯის[281] გაწევით; კონკრეტული მომსამართლეები: რომელთაც უმსუბუქდებათ საქ-

279. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 50.
280. *Relis T.,* Perceptions in Litigation and Mediation: Lawyers, Defendants, Plaintiffs and Gendered Parties, Cambridge University Press, Cambridge, 2009, 65, 66, 67.
281. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 38.

მეთა ნაკადი და ეზოგებათ ადამიანური რესურსი და სახელმწიფო: რომელსაც სასამართლო სისტემის შენახვის და მომსახურების ხარჯი ეზოგება.

საკითხის რეზუმირების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული არგუმენტაციის ანალიზის და განხილვის საფუძველზე, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მედიაცია, ზოგადად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები არ უნდა იქნეს სასამართლოს რადიკალურ ალტერნატივად აღქმული და გაგებული, არამედ ეს არის რეალურად მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის რეალური რეალიზაციის საშუალება, ისევე როგორც ინსტიტუციონალურად რიგ შემთვევაში მართლმსაჯულების განხორციელების უშუალო მექანიზმი, ხოლო მეორე მხრივ, თუმცა არა კრიტიკულად, არამედ იდეის დონეზე შესაფასებლად ხშირია ლიტერატურაში განვითარებული ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულმა საშუალებებმა რაღაც ეტაპზე შესაძლოა შექმნან „კერძო ავტონომიური ინსტრუმენტი დავის გადაწყვეტის მექანიზმის[282]", რაც ასევე მართლმსაჯულების ამ მიმართულების პრივატიზაციის ერთგვარ რისკად მოიხსენიება[283].

როდესაც მედიაციის სავალდებულო სახით ყველა ევროპული ქვეყნის იურისდიქციაში დანერგვაზე მიდის საუბარი მათ შორის ცალკე ანალიზს საჭიროებს საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლება მედიაციის გამოყენება ან მისი რომელიმე იურისდიქციაში სავალდებულო სახით დანერგვა წინააღმდეგობაში მოდიოდეს ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დადგენილ სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებასთან[284].

ამ კუთხით საკითხის ანალიზის მხრივ ნიშანდობლივია ორი ძირითადი მოსაზრება, ერთი, რომ აბსოლიტური სავალდებულოობა მედიაციის გამოყენების, როგორც სასამართლოსთვის მიმართვის ხე-

282. *Wagner G.*, Harmonization of Civil Procedure –Policy Perspective, in X.W.Kramer and C.H.van Rhee, Civil Litigation in a Globalising World, Springer, Heidelberg, 2012, 112.
283. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 52.
284. *Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 83.

ლისშეშლის ფაქტორი რეალურად თითქმის არსად არ გვხვდება, და მეორე, რომ მედიაცია თავისი ბუნებით აბსოლიტურად მხარეთა ნებაზე დამყარებული, მხარეთა ნების ავტონომიურობაზე დაფუძნებული პროცესია და საბოლოოდ მისი როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სახით გამოყენების საკითხი ისევ და ისევ მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის საგანი შეილება გახდეს.

შესაბამისად, მედიაციის იდეა, მისი არსი და განვითარების პერსპექტივა გვაფიქრებინებს, რომ მედიაცია არ მოდის რაიმე რადიკალურ წინააღმდეგობაში სასამართლოს ხელმისაწვდომობის უნივერსალურ პრინციპთან.

2.7. მედიაციის წინაშე არსებული გამოწვევები

დღესდღეობით მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი დიდი გამოწვევის წინაშე დგას იმის გათვალისწინებით, რომ ის ახალი მოვლენაა სამართლებრივ სივრცეში და საერთაშორისო მასშტაბით კომერციული დავების გადაწყვეტის[285] არბიტრაჟის გზა უკვე კარგად დანერგილი მეთოდია და ფართოდ გამოყენებადი, რაც მედიაციის განვითარებისთვის და ფართოდ გამოყენებადობისთვის საკმაო გამოწვევაა.

მედიაციის შესახებ ხშირად გამოთქმულა სკეპტიკური მოსაზრება, მას „დაუპატიჟებელ სტუმრადაც (`ungeladener Gast`)[286]“ მოიხსენიებენ სხვადასხვა ლიტარატურაში, რომ ის წარმოადგენს ზედმეტ დანამატს მხარეთა შორის კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესში, რადგან თავად მხარეები ყველაზე კარგად შეძლებენ ერთმანეთს შორის არსებული უთანხმოების გარშემო გამოსავლის მოძიებას, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ კონფლიქტში მყოფ მხარეებს რეალურად უჭირთ დამოუკიდებლად ერთმანეთთან ცივილური ურთიერთობა, რადგან მათ შორის არსებული უთანხმოების წინამძღვრები ამის საშუალებას როგორც წესი არ აძლევს მხარეებს, ხოლო მესამე დამოუკიდე-

285. *Bhatia K.V., Candlin C., Gotti M.,* Discourse and Practice in International Commercial Arbitration, 2012, 3.

286. *Lilja A.J., von Lucius J., Tietz A.,* in Klowait Jurgen, Gläβer Ulla, MediationsGesetz, Handkommentar, Nomos Kommentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 65.

ბელი და მიუკერძოებელი პირის ჩართულობით გამოსავლის ძიების პროცესში მხარეები უფრო პროდუქტიულად ყოფილან პროცესში ჩართული[287].

მედიაციის დროს მხარეებს საკუთარ ინტერესებზე უწევთ საუბარი და არა საკანონმდებლო ნორმებზე[288], რაც მათ პროცესში ჩართულობას ხელს უწყობს, რადგან მათთვის ყველაფერი გასაგებია, რაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება. ლიტერატურაში შევხვდებით მოსაზრებას, რომ როდესაც მედიაცია სამართალწარმოების რეალური ალტერნატივა ხდება, არის რისკი იმისა, რომ ობიექტური სამართალზე დაფუძნებული პროცესის ნაცვლად, სუბიექტური მხარეთა კონტროლ ქვეშ მოქცეული სამართალწარმოება მივიღოთ[289], მსგავსი მიდგომების არსებობა ნამდვილად წარმოადგენს მედიაციისთვის დიდ გამოწვევას, თუმცა უმრავლესობა თანხმდება, რომ მედიაცია წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი ყოფიერების ახლებურად მოწესრიგების ფორმას[290], რაც ყველას თანაბრად აძლევს საშუალებას კონსენსუსის გზით აღმოფხვრან არსებული კონფლიქტი[291];

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლების მანძილზე მედიაცია მართლაც მკვიდრდება თითქმის ყველა სახელმწიფოში, როგორც დავის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტური ალტერნატიული საშუალება, მედიაციისთვის მახასიათებელი ფორმების[292] ჩათვლით. მედიაციას რიგ შემთხვევაში, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმას, მართლმსაჯულების ერთ-ერთ რგოლად და განხორციელებად[293]

287. *Spencer D.*, *Brogan M.*, Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 3.
288. Greger R., Unberath H., Die Zukunft der Mediation in Deutschland, 2008, Verlag C.H.Beck, Munchen 2008, 5.
289. *Wendland M.*, Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 194.
290. *Gerhard F., in Topel Elisabeth, Pritz Alfred, Mediation in Osterreich, Die Kunst der Konsensfindung, 2 Auflage, Lexis Nexis Verlag, Wien, 2005, 29.*
291. *von Maik B*, Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker &Humblot, Berlin.2015, 24.
292. *Joeng S.,* Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 831.
293. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 1.

მოიაზრებენ სხვადასხვა მკვლევარები და ქვეყნები, მათ შორის თავად მართლმსაჯულების წარმომადგენლები[294].

მიუხედავად ყველაფრისა, დღესდღეობით, მედიაცია ჯერ კიდევ ვერ თამაშობს იმ როლს[295] და ვერ ასრულებს იმ ფუნქციას სრულად, რისი რეალური პოტენციალი ამ ინსტიტუტს გააჩნია, მისი სწორე ფორმით დანერგვის და რეალურად მოხმარების შემთხვევაში. თუმცა ყველა თანხმდება, რომ მედიაცია თავის თავში აირეკლავს გადაწყვეტილების დემოკრატიულად მიღების საუკეთესო ფორმას[296], ისევე როგორც ასახავს დღევანდელობის მთავარ მოთხოვნას[297], რომ დავები და კონფლიქტები უნდა გადაწყდეს რაც შეიძლება დროულად, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯის და დანაკარგის ფონზე და იძლეოდეს შესაძლებლობას მხარეებმა გააგრძელონ შემდგომი ურთიერთობები.

დოქტრინისეულად მიჩნეულია რომ მედიაციის დროს მნიშვნელოვანია შემდეგი ოთხი წინაპირობის[298] სახეზე არსებობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაციის განვითარებას ზოგადად და მიმდინარე მედიაციის წარმატებით დასრულებას საფრთხე ექმნება, კერძოდ:

ა) მედიაციაში ჩართულ პირებს მედიატორის ხელმძღვანელობით კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ერთმანეთისგან უნდა გამიჯნონ მხარე და კონკრეტული პრობლემა, ანუ რეალურად მედიაციაში იმ კონკრეტული პრობლემის მოგვარება, რის გამოც კონფლიქტია წარმოშობილი შეიძლება ვერ მიიღწეოდეს, რადგან

294. Seidel v.TELUS Communications Inc., 2011 SCC 15 (Can LII), Lebal and Deschamps JJ (dissenting) [54],50
(აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულა, რომ „ჩაბარდა წარსულს დრო, როდესაც სასამართლო სისტემა კანადაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს არასერიოზულად აღიქვამდა, და რომ დღეს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სტანდარტი მოიაზრებს ამ ფორმებსაც“).

295. *Niedostadek A.,* Mediation bei Arbeitsplatzkonflikten und der Grundsatz der Freiwilligkeit, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 58.

296. *Kumar A.*, Alternative Dispute Resolution System, Global and National Perspective, K.K. Publications, 2016,226.

297. იქვე, 55.

298. *Glenewinkel W.,* Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, Ibidiem Verlag, 1999, 45.

კომპრომისია მისაღწევი და ბალანსი დასაჭერი პრობლემის გადაწყვეტას და ამ დავაში ჩართულ მეორე მხარის იტნერესს შორის; შესაბამისად მხარეებს რეალურად მხარდამხარ[299] მოუწევთ შეთანხმების შინაარსზე და კონკრეტულ პირობებზე მუშაობა, რაც კონფლიქტში მყოფი მოდავე მხარეებისთვის რიგ შემთვევაში არ არის მარტივი, რადგან სახეზე ხშირად არის დაძაბული ურთიერთობა, მხარეებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, ანტაგონიზმი ერთმანეთის მიმართ და ერთმანეთთან დალაპარაკების მიუღებლობა. ეს ყველა გამოწვევა უპირველესად მედიატორის სწორი მიდგომით უნდა განეიტრალდეს და რა თქმა უნდა მხარეების წარმომადგენლების სწორი და საქმიანო პოზიციონირებით, რომელთაც თავად ურჩიეს მხარეებს მედიაცია, როგორც მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის საშუალება და შესაბამისად მათი როლი ამ ყველაფრის რეგულირებაში როგორც წესი გადამწყვეტი ხდება ხოლმე.

ბ) მედიაციაში ჩართულ პირებს მედიატორის ხელმძღვანელობით კარგად უნდა ესმოდეთ, რომ წინა პლანზე მოლაპარაკების წარმოებისას უნდა წამოწეულ იქნეს მხარეების ინტერესები და არა მათი კონკრეტული პოზიციები[300], რადგან პოზიციონირება სასამართლო დავის სტადიაზე მოუწევთ, ხოლო შეთანხმების ძიების პროცესში საბოლოო შედეგი მათ ინტერესებს უნდა მოარგონ, იგულისხმება ორივე მხარის ინტერესი, რადგან კონკრეტული მხარის პოზიცია, თუნდაც სამართლებრივი შეიძლება საერთოდ არ მოიცავდეს და არ გულისხმობდეს თავის თავში მეორე მხარის ინტერესის დაკმაყოფილებას და გათვალისწინებას.

გ) მედიაციაში ჩართული ყველა პირი და მხარე აქცენტს უნდა აკეთებდეს შესაძლებლობებზე, რა შესაძლებლობების გარშემოც უნდა ხდებოდეს მოლაპარაკებების წარმოება, ხოლო ამ შესაძლებლობების შექმნა თავად მხარეების ხელთ არსებული რესურსია, რისი წამოწევა წინა პლანზე მედიატორის ფუნქციაა,

299. *Fisher R., Ury L.W., Patton B.,* Getting to Yes, 1993, 31.
300. *Glenewinkel W.,* Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, Ibidiem Verlag, 1999, 45, 46.

რომ შეძლოს და მხარეებს ყველა შესაძლებლობა აფიქრებინოს მოლაპარაკების პროცესში, რადგან მხარეების მაქსიმალური შესაძლებლობები, ისევე როგორც მათი შესაძლებლობების ქვედა ზღვარი, რომლის ფარგლებშიც შეიძლება შედგეს შეთანხმება სწორედ მხარეებმა იციან და არავინ სხვამ, ხოლო მხარეების მიერ საკუთარი შესაძლებლობების რესურსების ზღვარის დადგენა ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა მედიაციის მსვლელობისას.

დ) მედიაციაში ჩართული ყველა მხარის მხრიდან უნდა მაქსიმალურად იქნეს ის წინაპირობები და კრიტერიუმები[301] გენერირებული, რის გარშემოც მათთვის მისაღები იქნება შეთანხმების მიღწევა.

301. იქვე, 45, 46.

თავი III

მედიაციის პრინციპები

მედიაციის[302] უნიფიცირებული ერთიანი განმარტება[303] არ[304] არსებობს[305]. ტერმინი[306] მედიაცია[307] წარმოადგენს ძველ[308], ტრადიციულ და მე-20 საუკუნეში ხელახლა აღმოჩენილ სწრაფი ტემპით მზარდ[309] კონფლიქტის გადაწყვეტის ახლებურ, განვითარებულ[310], ეფექტურ საშუალებას[311]. მედიაცია ჯერ კიდევ საუკუნეების წინ[312] იყო გამოყენებაში[313]. მედიაციის პოპულარობა, ე.წ. „ხელახლა აღმოჩენა[314]", როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის, განსაკუთრებით 1970-იანი წლებიდან იზრდება[315], როდესაც დასავლეთში, ამე-

302. სიტყვა მედიაციას აქვს ლათინური ძირი (mediation) და მომდინარეობს სიტყვა medius-დან, რაც შუაში ყოფნას ნიშნავს, ბერძნულად mesitäs -დან, ხოლო ტერმინი მედიაციის მნიშვნელობა მომდინარეობს ინგლისური სიტყვა mediation/to mediate (გერმანულად vermitteln) რაც ნიშნავს შუამავლობას.
303. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 3.
304. *Längsfeld A*., Anwaltspflichten und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 25.
305. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.,* Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 176.
306. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,*(Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 14.
307. *Haft F., von Schlieffen K.G.,* Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 80.
ტერმინი მედიაცია მისი ლათინური (`medius`; `mederi)` და ბერძნული (`medos`) ძირიდან მომდინარეობს ცნებიდან „შუამავალობა კონფლიქტში".
308. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 1.
(მედიაცია არ წარმოადგენს მე-20 საუკუნის პროდუქტს, არსებობს სამედიაციო პროცესების 4000 წლის წინანდელი მტკიცებულებები შუმერულ და ჩინურ კულტურებში).
309. *McLaren R.H., Sanderson J.,* Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-1.
310. *Haft F., von Schlieffen K.G.,* Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 78.
311. *Glenewinkel W.,* Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, Ibidiem Verlag, 1999, 68.
312. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 15.
(მაგ: ჩინური ისტორიული წყაროს მიხედვით მედიაცია ჯერ კიდევ 4,000 წლის წინ იყო ჩინეთში განვითარებული, წყარო უთითებს იმპერატორ შუენზე, რომელიც საკუთარ სამეფოში მცხოვრები მოსახლეობის კონფლიქტს პირადად სწავლობდა და ცდილობდა მხარეებს შორის შეთანხმება შემდგარიყო).
313. *Englert K., Franke H., Grieger W*., Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006, 239.
314. *Von Bargen J. M*., Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck, 2008, 5.
315. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 20.
(ინგლისში მედიაციის დამკვიდრება, როგორც სამოქალაქო მართლმსაჯულების მთავარი ნაწილი 1996წლიდან იწყება, რაც Lord Woolf Reforms-სახელით არის

რიკის შეერთებულ შტატებში[316], მათ შორის ინგლისურენოვან საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში[317] ე.წ. ADR-ს მოძრაობა[318] დაიწყო, ხოლო ამ მოძრაობაში მთავარი აქცენტი მედიაციაზე[319], როგორც ყველაზე პრაქტიკულ და ეფექტურ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმზე კეთდებოდა[320]. უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის[321] რეგიონში ტრადიციულად კონფლიქტების გადაწყვეტის მხრივ გამოირჩეოდა ფორმა, როდესაც უხუცესების გამოყენებით ხდებოდა მოდავე მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარება, რაც მედიაციის გამოყენების ფაქტობრივი მაგალითია.

დავის გადაწყვეტის აღნიშნული მექანიზმი „არ წარმოადგენს სიახლეს იურიდიულ ლექსიკონში[322]". მედიაცია ჩამოყალიბდა ერთგვარ ჰიბრიდად, რადგან მეცნიერული კუთხით ერთდროულად მოიცავს თავის თავში სამართლის, ფსიქოლოგიის, ფსიქიატრიის, ეთნოლოგიის, კომუნიკაციის უნარების ელემენტებს[323].

მედიაცია წარმოადგენს ფორმას[324] დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ნაირსახეობისა, რომლის მეშვეობით დავაში

ცნობილი, რის შედეგად შევიდა ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო ნორმებში და სამოქალაქო დავის მხარეებს შეეთავაზათ კონფლიქტის სასამართლოს გარეთ გადაწყვეტის მექანიზმები. კერძოდ, ლორდი ვულფის ცვლილებების შედეგად სასამართლო აღიჭურვა უფლებამოსილებით შეეთავაზებინა მხარეთათვის დავის ალტერნატიული საშუალება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ მხარე დაუსაბუთებლად იტყოდა უარს მასში მონაწილეობის მიღებაზე სასამართლოს მიეცა უფლება დაეჯარიმებინა ასეთი მხარე.)

316. *Haft F.*, von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 89.
317. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 37.
318. `ADR Movement`
319. *Alfini J.J, Press S.B, Sternlight J., Stulberg J.B.,* Mediation Theory and Practice 2, 2001.
320. *Stephen W.J.,* Principles of Alternative Dispute Resolution, West Academic Publishing, 2016, 387.
321. *Давыденко Д.Л.*, Примирительные процедуры в европейской правовой традиции, infotropic media, Moscow, 2013, 44.
322. *Wieviorka M., Buono C., Poli A.,Tietze N.*, Die Mediation ein Europaischer Vergleich, 2002, 21.
323. *Englert K., Franke H., Grieger W.,* Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen., Werner Verlag, 2006, 244.
324. *Poon G.P.,* The Corporate Counsel's Guide to Mediation, First Chair Press, American Bar Association, United States of America, 2010, 1.

ნებაყოფლობით[325] ჩართული მხარეები ცდილობენ დაარეგულირონ კონფლიქტი, ისევე როგორც ხშირად მედიაცია მოიხსენიება, როგორც „დავის რეგულირების ტექნიკა[326]“, რომელშიც მესამე ნეიტრალური პირია ჩართული ფასილიტატორის ფუნქციით და ეხმარება მხარეებს შეთანხმებით დაასრულონ მათი კონფლიქტი, რა დროსაც იყენებს აღიარებულ მეთოდებს[327] მხარეებს შორის მოლაპარაკების და მედიაციის წარმოების. მედიაცია წარმოადგენს იგივე მოლაპარაკების პროცესს ორ მოდავე მხარეს შორის იმ განსხვავებით, რომ მათ ამ პროცესში მესამე დამოუკიდებელი და სპეციალური უნარებით აღჭურვილი პირი ეხმარებათ[328]. მედიაციაში მხარეები აღწევენ შეთანხმებას (ხელშეკრულებას, რომლის პირობები მხარეთა ნებას გამოხატავს და მხარეებს შესაბამისი ნება[329] აქვთ მისი აღსრულების), შესაბამისად, თავისი ბუნებით მედიაცია ხელშეკრულების[330] ერთგვარ ნაირსახეობად გვევლინება.

მედიაციის პროცესის შედეგი არ უკავშირდება მაინც და მაინც „სამართლიან[331]“ (just settlement) შეთანხმების მიღწევას, არამედ შეთანხმების მიღწევა არის პროცესის შედეგი (just about settlement) და მიზანი, შესაბამისად, მხარეებს უნდა ესმოდეთ, რომ ამ მექანიზმის გამოყენებით მათ აბსოლიტური სამართლიანობა არ უნდა ეძიონ, არამედ არსებული კონფლიქტის მათი და მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით დასრულება უნდა მოახერხონ. მედიაციის პროცესის მიზანი კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ საკუთარი

325. *Caponi R.,* „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79.Jahrgang 2015, 120.
326. ICC, Guide to ICC ADR, 2001, 12. The ICC's Guide is available:<http://www.iccwbo.org/drs/english/adr/pdf_documents/adr_guide.pdf >. [15.05.2018]
327. ავსტრიის კანონი მედიაციისა შესახებ სამოქალაქო საქმეებზე, იხ: Ferz S., Filler E., Mediation Gesetzstexte und Kommentar, Universitatsverlag, Wien, 2003, 25.
328. *Abramson H.I.,* Mediation Representation, 3rd Ed, Wolters Kluwer, Aspen Casebook Series, 2013, 20.
329. *Neuner J.,* Natűrlicher und freier Wille in Archiv fűr die civilistische Praxis, 218.Band, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2018, 4.
330. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.
331. *Genn H.*, Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 117.

ხელით კონკრეტული პირობების შეთანხმებაა[332], რა დროსაც შეთანხმება მყარი და სამომავლო ურთიერთობის წინაპირობას იძლევა[333]. შეთანხმება სრულად უნდა ასახავდეს მედიაციის პროცესში ჩართული მოდავე მხარეების ინტერესებს[334].

მრავალ მეცნიერს და მკვლევარს მიაჩნია[335], რომ მედიაციის გამორჩეულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ერთდროულად მოიცავს თავის თავში პროცესისადმი აბსოლიტურ ნებაყოფლობითობას მხარეების მხრიდან, უზრუნველყოფილია სრული პროცესის კონფიდენციალურობა, პროცესს ახასიათებს მიუკერძოებლობა და ნეიტრალიტეტის პრინციპი, პროცესი სთავაზობს კონფლიქტის მხარეებს თავად დაარეგულირონ დავა[336] და მოიძიონ დავის აღმოფხვრისთვის ყველაზე სწორი გამოსავალი, რაც აძლიერებს, ამტკიცებს მხარეებს შორის პირად თუ ბიზნეს ურთიერთობას.

მედიაციაში მთავარი არის კონკრეტულ ინტერესებზე[337] აქცენტირება და მხარეების სრული კონცენტრაცია ამ მიმართულებით, ამ მხრივ ეს მიდგომები მეცნიერულ დონეზეც არის დამუშავებული და ეს მიდგომა[338] „ჰარვარდის კონცეფციის[339]“

332. *Andrews N.,* Mediation Agreements: time for a more creative approach by the English courts, Uniform Law Review, Revue de droit uniforme,Volume 18, Number 1, Oxford University Press (Unidroit), Oxford, 2013, 12. <www.ulr.oxfordjournals.org>.[15.05.2018]
333. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.
334. *Warne J*., International Commercial Dispute Resolution, Tottel Publishing, 2009, 31.
335. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 3.
336. *Roebuck D*., Mediation and Arbitration in Middle Ages, Holo Books, The Arbitration Press Oxford, Oxford, 2013, 39.
337. *Haft F., von Schlieffen K.G*., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 106, 107.
338. *Längsfeld A*., Anwaltspflichten und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 81. (აღნიშნული მიდგომის შესაბამისად მხარეებმა: 1.მედიაციის პროცესში გამიჯნონ ერთმანეთისგან პირადი და საქმესთან დაკავშირებული გარემოებები; 2.მედიაციის პროცესში ეძიონ ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმების პირობები; 3.მედიაციის პროცესში ეძიონ ობიექტური კრიტერიუმები კონსენსუსის მიღწევის;)
339. გახლავთ ყველაზე ცნობილი მეთოდი თანამშრომლობითი მოლაპარაკებების წარმოების, რაც შექმნილ იქნა ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი როჯერ ფიშერის მიერ. ეს გახლავთ რაციონალური მოლაპარაკებების წარმოების მეთოდოლოგია, რომელიც ეფუძნება მოლაპარაკებაში ჩართლი მხარეების ინტერესებს, ე.წ. საგნობრივი მოლაპარაკება.

/Harvard Concept[340] სახელით მოიხსენიება ლიტერატურაში[341].

გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს შორის არსებული კონფლიქტი, ხელს უწყობს მათ დაპირისპირებას, რომელიც რთულდება დროთა გასვლასთან ერთად და მხარეებს მეტად უჩნდებათ მისი გადაწყვეტის ინტერესი, რა დროსაც მათ მესამე დამოუკიდებელი ადამიანის გამოყენება კონფლიქტის აღმოფხვრაში ყველაზე მეტ სარგებელს მოუტანთ, რადგან მხარეებს უკვე თავად უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა გაღვივებული კონფლიქტის გამო[342].

მედიაცია განიმარტება, როგორც ნდობაზე დამყარებული სტრუქტურირებული პროცესი[343], რომელშიც მხარეებს ერთი ან მეტი ნეიტრალური[344] ფიზიკური[345] პირი[346] მედიატორის სახით, კონფლიქტისგან გარე პირი[347], ეხმარება კონფლიქტის ნებაყოფლობით და მხარეთა პასუხისმგებლობით დასრულებაში[348] ანუ მედიაციის არსი იმაში მდგომარეობს, რათა მხარეებმა თავად შეეცადონ და უზრუნველყონ მათ შორის არსებული კონფლიქტის სტრუქტურირებული პროცესის ჩარჩოებში მედიატორის დახმარებით[349] შეთანხმებით დასრულება[350]. ეს არის საშუალება[351], რათა მოლაპარაკებები წარიმართოს სტრუქ-

340. *Fisher R., Ury W.,* Getting To Yes: Negotiating Agreement without Giving In, 1993, 59.
341. *Ponschab R*, Verhandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 6.
342. *Rogers H.N., Bordone R., Sander F., Mcewen C.,* Designing Systems and Processes for Managing Disputes, Aspen Coursebook Series, Wolters Kluwer Law& Business, 2013, 238.
343. *Alexander N., Steffek F.*, Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016, 1.
344. *Kajkowska E.,* Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 9.
345. Law on Mediation in Civil Disputes, Turkey, Article 2, 2012.
346. *Goksu M.*, Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey, Banka ve Ticaret Hukuru Arastirma Enstitusu., 2016, 275.
347. *Brown H., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 154.
348. *Eidenmuller H., Wagner G.,* Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 3.
349. *Partridge M.V.B.,* Alternative Dispute Resplution, Oxford University Press, Oxford, 2009, 89.
350. *Duve C., Eidenmuller H.,Hacke A.,* Mediation in der Wirtschaft, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2011, 83.
351. *Roberts M.,* Mediation in Family Disputes., fourth edition, Ashgate, 2014, 8.

ტურიზებულად და კონკრეტული შედეგის მისაღწევად[352]. მედიაცია, როგორც წესი მხარეებს ეხმარება აღმოფხვრან კონფლიქტი და დავა შეთანხმებით დაასრულონ, თუმცა რიგ შემთხვევაში დაეხმაროს მხარეებს გაერკვნენ ერთმანეთის მიმართ არსებულ პრეტენზიებში და ისე რომ რაიმე სახის დავის დასრულების შესახებ შეთანხმებას არ მიაღწიონ, კონფლიქტი ამოწურონ მათი თანხვედრი ნაბიჯებით, რითაც რეალურად გარკვეული პრეტენზიების ფაქტობრივ განეიტრალებაზე იმუშავებენ დამოუკიდებლად, ყოველგვარი დავისა თუ შემათანხმებელი პროცედურების გამოყენების გარეშე[353].

არსებობს მყარი სოციალური და კონსტიტუციური წინამძღვრები[354] იმისა თუ რატომ უნდა ჰქონდეთ დავის მხარეებს შესაძლებლობა მესამე ნეიტრალური პირის მეშვეობით ეცადონ დავის შეთანხმებით დასრულებას, რადგან დავის ალტერნატიული საშუალების მსგავსი ფორმა იძლევა საშუალებას, რათა მხარეებმა კონფლიქტი ამოწურონ, რაც მათ შორის თავის მხრივ კანონის უზენაესობის მიზანს ემსახურება. დავის გადაწყვეტის ეს ფორმა ეხმარება მხარეებს იქონიონ ერთმანეთთან უშუალო კავშირი[355], რასაც როგორც წესი სასამართლო დავის დროს ადგილი არ აქვს, ხოლო მედიაციაში მხარეებს აქვთ საშუალება დაძლიონ გაუცხოების ის დიდი ზღვარი რაც მათ შორის კონფლიქტის დროს შეიმჩნევა.

მედიაცია არის მიუკერძოებელი მესამე პირის ჩართულობით არასავალდებულო პროცესში შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების წარმოება[356], ხშირად მას „კონფლიქტის აღმოფხვრის პროცესს“ უწოდებენ[357]. ამ პროცესში მედიატორს არ აქვს რაიმე უფლებამოსილება[358] მხარეთა შორის არსებული კონფლიქტი გადაწყვიტოს და

352. *Haft F., von Schlieffen K.G.*, Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 79.
353. *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 15.
354. *Brand J., Steadman F., Todd* C., Commercial Mediation, Iuta &Company, 2nd Ed, 2016, 13.
355. *Partridge M.V.B.,* Alternative Dispute Resplution, Oxford University Press, Oxford, 2009, 90.
356. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.,* Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 176.
357. *Von Bargen J.M.,* Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck., 2008, 13.
358. იქვე, 15.

მიიღოს გადაწყვეტილება[359], სწორედ ეს არის ის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი, რითაც მედიაციის პროცესი, როგორც ასეთი განსხვავდება სასამართლოსგან[360] და დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებისგან, როგორიც არის არბიტრაჟი, ხოლო მედიატორის უფლებამოსილებები განსხვავდება მოსამართლისა და არბიტრის უფლებამოსილებისგან[361]. მედიაცია სთავაზობს მხარეებს მათ ინტერესებზე მორგებული სტრუქტურირებული მოლაპარაკებების[362] წარმოების შესაძლებლობას, რა დროსაც სასამართლოსა და არბიტრაჟისგან განსხვავებით საქმეზე გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები და არა მედიატორი[363], მხარეები თავად მოიძიებენ გამოსავალს[364] სიტუაციიდან, სარგებლობენ რა მედიაციის მთავარი პრინციპით: ინტერესები და არა მოთხოვნები[365]. მედიაცია თანამედროვე გაგებით მათ შორის განიმარტება, როგორც პროცესი, რომელშიც მხარეები ახდენენ თვითგამორკვევას[366] და თავად იღებენ საქმეზე გადაწყვეტილებას. საერთაშორისო მასშტაბით დამკვიდრდა პრაქტიკა, რომ რა თქმა უნდა სასამართლოებმა უნდა განახორციელონ მართლმსაჯულება, თუმცა არა „ყველაფრის ფასად", და შესაბამისად ყველა იმ საქმეზე, სადაც შესაძლებელია ხარჯების დაზოგვა, სასამართლო თავად ურჩევს[367] მხარეებს მიმართონ მედიაციას.

ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ ამ პროცესისთვის აუცილებელი მახასიათებელი უნდა იყოს მხარეთა ნებაყოფლობითობა; მხოლოდ მცირე იუსრისდიქციებში სასამართლოს შეუძლია აიძულოს (compel)

359. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 121.
360. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 31.
361. *Eidenmuller H, Wagner G*., Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 5.
362. *Schiffer, J.,* Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 6.
363. *von Schubert M., Haase M.,* in Schiffer, J., Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 249.
364. *Haft F., von Schlieffen K.G*., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 108.
365. *von Schubert M, Haase M.,* in Schiffer, J., Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 250.
366. *Boulle L., Field R.,* Australian Dispute Resolution, Lexis Nexis Butterworths, 2017, 58.
367. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 15.

მხარეები ჩაერთონ მედიაციაში[368], მაშინ როდესაც ყველა სხვა შემთხვევებში მსგავსი რამ გამორიცხულია[369].

ასევე ყველანი თანხმდებიან, რომ მედიაციის პროცესში ჩართულ მესამე პირს არ უნდა გააჩნდეს, რაიმე სახის უფლება საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება, არსი მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მიიღონ საკითხზე გადაწყვეტილება[370], ერთადერთი ნაირსახეობა მიდგომის შეინიშნება იმ საკითში, თუ რამდენად მესამე ნეიტრალურ პირს უნდა ჰქონდეს თუ არ გააჩნდეს იმის შესაძლებლობა გამოსავალი თავისი ხედვის სახით შესთავაზოს პროცესში ჩართულ პირებს[371] ან რამდენად მსგავსი გამოსავლის შეთავაზების უფლება არ უნდა გააჩნდეს მესამე ნეიტრალურ პირს[372].

შესაბამისად, საკითხი იმის შესახებ თუ რა დოზით უნდა ხდებოდეს კომუნიკაციის წარმოება მესამე ნეიტრალური პირის მხრიდან რჩება რიგ შემთხვევაში ქვეყნების შიდა რეგულაციების, პროფესიული კოდექსებისა თუ soft law-ს რეგულირების საკითხი.

შესაბამისად ერთგვარი რეზუმირების სახით შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ცნებიდან, რომელიც ფართო კონსენსუსით

368. *Kulms R.*, Mediation in USA: Alternative Dispute Resolution between Legalism and Self-Determination in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1262.
369. *Roth M., Gherdane D.,* Mediation in Austria: The Euroepan Pioneer in Mediation Law and Practice in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 260.
370. Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 12.
371. Schmiedel L., Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 729.

Ellger R., Mediation in Canada: One Goal –Different Approaches to Mediation in a State with Federal and Provincial Jurisdictions in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 920.

Sperr A.K., Mediation in Norway: Faster, Cheaper and more Friendly in Hopt J.K., Sfettek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1138.

372. Chapter 4, A (2), (b) (i) 251, (Austria) Markus Roth and David Gherdane, and the standard definition of the National Alternative Dispute Resolution Advisory Council (NADRAC) OF Australia (chapter 17, A(2) 873, Ulrich Magnus.

სარგებლობს[373], სახეზე უნდა ფიგურირებდეს შემდეგი სავალდებულო ნიშნები:

(1) სახეზე უნდა იყოს დავა;
(2) მასში მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი;
(3) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მესამე ნეიტრალური პირის ჩართულობა პროცესში, რომელიც სისტემატიურად ახდენს მხარეებს შორის კომუნიკაციას და
(4) საკითხზე გადაწყვეტილების მიღება მხარეთა პასუხისმგებლობის საგანს წარმოადგენს;

მედიაციის მიზანი არის შეთნხმება, თუმცა არა შეთანხმება ნებისმიერ ფასად[374]. ლიტერატურაში მითითებები არის გაკეთებული იმაზეც, რომ მაშინ როდესაც მედიაცია პირველად იდგამდა ფეხს, საზოგადოების დიდ ნაწილს[375] მედიტაციაშიც ერეოდა მედიაციის ტერმინი[376], თუმცა დროთა განმავლობაში დამკვიდრდა აღქმადობა, რომ მედიაციის გაგონებაზე ყველას კონფლიქტი და კონფლიქტის გადაწყვეტა ახსენდება[377].

3.1. ნებაყოფლობითობა

მედიაციას ახასიათებს ნებაყოფლობითობა[378], რაც მჭიდრო კავშირში მდგომი პრინციპია მედიაციის პროცესში ჩართული მხარეების პასუხისმგებლობის სტანდარტისა, რადგან სწორედ ეს პირები საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ ახდენენ მედიაციის ნებაყოფლობით ინიცირებას, იღებენ მასში მონაწილეობას, მათ შორის აბსოლიტურად თავისუფალი არიან მათი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს

373. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 13.
374. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 122.
375. Munster/Montasser (1995), 12.
376. *Glenewinkel W.,* Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, ibidem-Verlag, 1999, 34.
377. იქვე, 35.
378. *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 7.

შეწყვიტონ[379] მედიაციის პროცესი[380], ისევე როგორც მიდიან მათი ნების შესაბამის დასასრულისკენ მედიაციის, რა დროსაც მედიატორი მხოლოდ დამხმარე ფუნქციის მატარებელია და ვერ იქნება ვერც ერთ ამ ეპიზოდში რაიმე სახის პასუხისმგებლობის მატარებელი პირი.

აღსანიშნავია, რომ ნებაყოფლობითობა მედიაციის ცნების შემადგენელი ნაწილია[381] და თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც მედიაცია კანონის დონეზე არის განმარტებული, ისევე როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ყველგან მედიაციის ცნება ტერმინის დონეზე მოიცავს მითითებას ნებაყოფლობითობის შესახებ, რაც ხაზს უსვამს ამ პრინციპს და რეალურად წარმოადგენს მედიაციის არსის ქვაკუთხედს.

ნებაყოფლობითობა ერთგვარად განაპირობებს მხარეების სრულ ჩართულობას პროცესში, აღნიშნული პრინციპი მედიაციის არსის კარგად მახასიათებელი თვისებაა[382], რადგან მათ მიერ ინიცირებული შერჩეული პროცესის მონაწილეები ხდებიან მხარეები და ენთუზიაზმი[383] მეტი გააჩნიათ შედეგისადმი, ასევე იციან, რა რომ ნებისმიერ დროს ასევე ნებაყოფლობით შეუძლიათ პროცესის შეწყვეტა, მათ დამატებით სტიმულს აძლევთ სრულად დაიხარჯონ მიმდინარე პროცესში, რათა ამოწურონ ყველა რესურსი კონფლიქტის მშვიდობიანად, საკუთარი ინტერესების შესაბამისად დასრულებისა. ზოგადად მიიჩნევა, რომ მხარის მხრიდან ნებაყოფლობით ამა თუ იმ პროცესში ჩართულობა გულისხმობს იმას, რომ ისინი ითანამშრომლებენ შეთანხმების მიღწევის მიზნით[384], ისევე როგორც მიიჩნევა, რომ მედიაციის შედეგიანობის ეფექტურობის მოლოდინების მაქსიმალიზაციის მიზნით[385], კონფლიქტში მყოფი მხარეები ნებაყოფლობით უნდა მოქმედებდნენ და ჩაერთონ მედიაციის

379. *Von Bargen J. M.*, Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck., 2008, 18.
380. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 5.
381. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 11, 12.
382. იქვე, 109.
383. *Steadman B.J., Todd F.,* Commercial Mediation, Iuta &Company, 2nd Ed, 2016, Juta and Company, 24.
384. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 85.
385. *იქვე*, 265.

პროცესში ნებაყოფლობით[386], რადგან თუ მხარეები იძულებით იქნებიან პროცესში ჩართული, მათი მოტივაცია მიაღწიონ შეთანხმებას იქნება დაბალი. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მხარეები, რომლებიც იქნებიან მედიაციაში ჩართული, ნებაყოფლობით, მათ კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული მედიაციის მნიშვნელობა და არსი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მხარეებს კარგად არ ესმით დავის გადაწყვეტის აღნიშნული მექანიზმის შინაარსი და მისი შესაძლებლობა, თუ რას აძლევს მედიაცია მხარეებს, პროცესში მათი ჩართულობა შეიძლება კონტრპროდუქტიულიც აღმოჩნდეს[387].

ნებაყოფლობითობა, როგორც მედიაციის მთავარი მახასიათებელი ელემენტი, იმ ჭრილშიც უნდა იქნეს გააზრებული, რომ უშუალოდ გადაწყვეტილების მიღება, ეს იქნება მედიაციის შეთანხმებით დასრულებისა თუ თუნდაც კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ მედიაციის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, თუ მხარეები ვერ ხედავენ შეთანხმების მიღწევის პერსპექტივას, ნაკარნახევი უნდა იყოს მხოლოდ მხარეთა უშუალო ნებიდან და სურვილიდან გამომდინარე. აღნიშნულს ხაზი ესმება იმ მიზნით, რომ რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე, არსებობდეს შესაძლებლობა განხორციელდეს მედიაციის ინიცირება კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა ეს სრულებით არ უნდა იქნეს აღქმული იმ სახით[388], რომ მხარეების ნება ილახება ან ისინი ვალდებული არიან მიაღწიონ მედიაციაში რაიმე სახის შეთანხმებას[389].

386. აღნიშნული მოიხსენიება ლიტერატურაში, როგორც „სურვილის ფაქტორი“ / willingness factor

387. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 265.

388. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 109.

389. აღნიშნულზე უფრო ვრცლად იქნება საუბარი ნაშრომის მე-4 თავში, კონკრეტული ქვეყნის: იტალიის მაგალითზე, სადაც აღნიშნული საკითხი მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის საგანი გახდა. იხილეთ იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის #272/2012 გადაწყვეტილება ელექტრონულ გვერდზე: <http://www.corteconstituzionale.it/actionSchedaPronuncia.do?anno=2012&numero=272>. [15.05.2018]

3.2. მხარეთა თვითგამორკვევა

მედიაციისთვის მახასიათებელია მასში მონაწილე მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი[390], რაც ნაწილობრივ ნებაყოფლობითობის პრინციპთან მოდის კორელაციაში, თუმცა რიგ შემთხვევაში დამოუკიდებელ პრინციპად არის მოხსენიებული დოქტრინაში, რაც მედიაციას და მასში ჩართულ მხარეებს ახასიათებთ, როგორც მედიაციის უშუალოდ დაწყებამდე ასევე მათ შორის მედიაციის დასრულების შემდგომ გასდევს ეს პრინციპი მედიაციის შედეგებს თანმდევ შედეგად[391].

მედიაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს პროცესი არ წარმოადგენს მბოჭავს კონფლიქტში მყოფი მხარეების ნებაზე, რადგან აძლევს საშუალებას თავად მხარეებს მიიღონ მათ შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციის რეგულირებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება[392], რა დროსაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა არ მოხდეს მხარეთა ნებაზე რაიმე სახის გავლენა, თუნდაც მედიატორის ან პროცესში ჩართული მეორე მხარის მხრიდან, რამაც შეიძლება იქონიოს გავლენა მხარის დამოუკიდებელ ნებაზე[393], რადგან მხარეები მედიაციაში უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ თავისუფალი გარემოთი, როდესაც ისინი დამოუკიდებლად და ყოველგვარი შიშისა და გავლენის გარეშე შეძლებენ საკუთარი ნების საფუძველზე მოახდინონ მოლაპარაკების წარმოების შედეგად გადაწყვეტილების მიღება.

მნიშვნელოვანია აღნიშნული პრინციპი გაანალიზდეს ორი მიმართულებით, ერთი მხრივ, თუ რა კუთხით ვლინდება იგი მედიაციის დაწყებამდე და მეორე მხრივ, რა თვალსაზრისით აისახება მისი გამოვლინება მედიაციის დასრულების შემდგომ მხარეებზე.

390. Mediation Directive 2008/52/EC: ევროდირექტივით განსაზღვრული მედიაციის პროცესი უნდა იყოს ნებაყოფლობითი პროცესი იმ გაგებით, რომ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავად მართონ მედიაცია, მოახდინონ პროცესის ორგანიზება, ისევე როგორც შეწყვიტონ მედიაცია მათი ნების შესაბამისად მისი მიმდინარეობის ნებისმიერ დროს

391. *Alfini J.J., Press Sh.B., Stulberg J.B.,* Mediation, Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd Ed, Lexis Nexis, 2013, 617.

392. დოქტრინაში აღნიშნულ პრინციპს ხშირად მოიხსენიებენ როგორც `*Empowerment of the parties*`, ანუ როდესაც კონფლიქტში ჩართულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თავად მიიღონ გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტის შესახებ, რა დროსაც მხარეების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მინიმუმამდეა დაყვანილი მხარეების რაიმე სახით მესამე პირებზე დამოკიდებულება.

393. *Brown H.J., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet&Maxwell, Thomson Reuters, London, 2011, 161, 163.

თავდაპირველად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია არის აბსოლიტურად ნებაყოფლობითი პროცესი, ეს ავტომატურად განაპირობებს კონფლიქტში მყოფი მხარეების შესაძლებლობას კარგად გაერკვნენ თუ რა სახის დაპირისპირება და უთანხმოება გააჩნიათ მეორე მხარესთან, შესაბამისად თავად ჩამოყალიბდნენ თუ რა ფორმებით და გზებით ესახებათ არსებული ჩიხური სიტუაციის განმუხტვა და გადაწყვეტა, სწორედ ამ ნაწილში უკვე ანხორციელებენ მხარეები თვითგამორკვევას, რადგან ადგენენ კონკრეტულ ფაქტს მეორე მხარესთან არსებული კონფლიქტის შესახებ, აანალიზებენ მისი გადაჭრის მათთვის საჭიროებას და თავად ყალიბდებიან საკითხის გადაჭრის მათთვის ყველაზე უფრო მისაღებ და ეფექტურ ფორმაზე.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის დასრულების შემდგომ მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი ორი მიმართულებით ვლინდება მხარეების სამომავლო ყოფაზე და მათ შორის ერთმანეთთან ურთიერთობაზე, კერძოდ, მედიაციის შეთანხმებით დასრულების შემთვევაში, სახეზეა მოცემულობა, როდესაც მხარეებმა თავად მოახდინეს კონკრეტული კონფლიქტური სიტუაციის ამოწურვა და გაწერეს ერთმანეთს შორის სამომავლო ურთიერთობის წესი, რაც უკვე რეალიზებაა თვითგამორკვევის პრინციპის და მეორე მხრივ, თუნდაც მხარეთა შორის ვერ შედგეს შეთანხმება, მედიაცია აძლევს მხარეებს იმ შესაძლებლობას, რომ არაფორმალურ გარემოში და ვითარებაში, მათ შორის სრული კონფიდენციალურობის დაცვით, მოხდეს მხარეებს შორის პოზიციების დაფიქსირება ერთმანეთის მიმართ არსებული პრეტენზიების და მათი საფუძვლების შესახებ, რაც მხარეებს კარნახობს სამომავლოდ ერთმანეთთან ურთიერთობის წესს და მიდგომების საჭიროებას, რაც სხვა არაფერია თუ არა რეალურად კონფლიქტში მყოფი მხარეების ერთმანეთთის მიმართ თვითგამორკვევის პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია და შესაძლებლობის მიცემა მხარეებისთვის სრულად აკონტროლონ ერთმანეთს შორის მიმდინარე მედიაციის პროცესის შედეგი[394].

394. *Brown H.J., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet&Maxwell, Thomson Reuters, London, 2011, 168.

3.3. კონფიდენციალურობა

მედიაციისთვის მახასიათებელი ძირითადი ნიშანია მედიაციის პროცესის[395] კონფიდენციალურობა[396]. მედიაციის კონფიდენციალურობის პრინციპი[397] მეტად მნიშვნელოვანია[398], რაც განსაკუთრებით დამატებით ღირებულებას იძენს მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, როდესაც მხარეებს უწევთ დავის სასამართლოში გაგრძელება ან გადატანა[399], რა დროსაც მხარეებმა იციან, რომ მათ მიერ მედიაციის პროცესში გამხელილი რაიმე ფაქტობრიცი გარემოება მათ ინტერესებს სასამართლო საქმისწარმოების დროს არ დააზარალებს[400], რადგან მედიაცია არის სანდო პროცესი, რომელიც მხოლოდ დავის მხარეების და მედიატორის ჩართულობით (დასწრებით) მიმდინარეობს[401].

კონფიდენციალურობა მედიაციის აუცილებელი პრინციპია[402], ეს პრინციპი მნიშვნელოვანია[403], როგორც კონკრეტული მედიაციის მიმდინარეობის პროცესისათვის ასევე ზოგადად ამ ინსტიტუტის დამკვიდრებისა და მისდამი საზოგადოების ნდობის[404] გაჩენისათვის[405]. კონფიდენციალურობა[406] ფუნდამენტურ[407] პრინციპს წარმოადგენს,

395. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 13.
396. *Cremer K.,* Die Vertraulichkeit der Mediation, Schneider Verlag Hohengehren GmbH, Germany, 2007, 27.
397. The Mediation Directive, Art 7;
398. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 13.
399. იქვე, 48.
400. *წულაძე ა.*, ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 30.
401. *Schmidt N.,* Das Verwertungsverbot aus dem Mediationsverfahren fur das Schiedgerichtsverfahren, Verlag Dr.Kovac, Hamburg, 2011, 5.
402. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი,თბ., 2010, 48.
403. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 50.
404. *Kovach K.K.*, Mediation in a Nutshell, 2nd Ed, West a Thomson Reuters Business, USA, 2010, 191.
405. *Steffek F.*, Mediation und Gűterichterverfahren, Zeitschrift fűr Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2013, 550.
406. *Ferz S., Filler E.,* Mediation Gesetzestexte und Kommentar, Universitatsverlag, Wien 2003, 54.
407. *Nelson M.R.*, Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 25.

რაც განაპირობებს მედიაციაში ჩართული მხარეების კიდევ უფრო გულწრფელობას და ღიაობას პროცესისადმი, იციან რა რომ მათი კომენტარები და მოსაზრებები რჩება კონფიდენციალური[408], რაც წინაპირობაა მათი მეტი ჩათულობის შეთანხმების მიღწევის პროცედურებში. კონფიდენციალურობის პრინციპი[409] მედიაციის წარმატებულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა[410], ეს პრინციპი არ ემსახურება იმ დანიშნულებას, რომ მედიატორების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები იქნეს კონფიდენციალური ან დაცული მესამე პირების ინტერესისგან, არამედ აქცენტი კონფლიქტში ჩართული მხარეების დაცულობას[411] და მათი მხრიდან გაცვლილი ინფორმაციის კონფიდენციალურობას ეხება[412], რაც მათ შორის კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვას გულისხმობს სასამართლოს საქმისწარმოების პროცესში თუ ასეთს ადგილი ექნება მედიაციის წარუმატებლად დამთავრების შემთხვევაში[413].

კონფიდენციალურობის პრინციპი მართლაც უნდა მივიჩნიოთ მედიაციის მთავარ მახასიათებელ ნიშნად და ძირითად შემადგენელ ნაწილად[414].

ევროპული დირექტივა 2008/52/EC წევრ ქვეყნებს ავალდებულებს კონფიდენციალური იყოს პროცესი მედიაციის მსვლელობის ასევე მის შემდგომ პერიოდშიც[415]. შესაბამისად, მედიატორების მოწმედ დაბარება სასამართლოების მიერ სამოქალაქო და კომერციულ

408. *Tutzel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, 2016, 191.
409. *Andrews N.*, Mediation Agreements: time for a more creative approach by the English courts, Uniform Law Review, Revue de droit uniforme,Volume 18, Number 1, Oxford University Press (Unidroit), Oxford, 2013, 12. <www.ulr.oxfordjournals.org>. [15.05.2018]
410. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 49.
411. *Pruckner M.,* Recht der Mediation, Linde Verlag Wien, Wien, 2003, 33.
412. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 85.
413. *Schmidt F., Lapp T., Monβen H.G.,* Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2012, 126.
414. *Alfini J.J., Press S.B., Sternlight J.R.*, Mediation Theory and Practice, 2nd Ed., LexisNexis, Newark, 2006, 205
415. *Esplugues C.*, Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 7.

დავებზე, რათა დაიკითხონ მედიაციის პროცესში მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით არ დაიშვება[416]. თუმცა დირექტივა უშვებს მხარეთა შეთანხმებით მედიატორისთვის იმ უფლების მიცემას გათავისუფლდეს კონფიდენციალურობის ვალდდებულებისგან საჯარო წესრიგისა თუ მედიაციის შეთანხმების აღსრულებადობის მიზნით, თუმცა დირექტივა წევრ ქვეყნებს უტოვებს[417] სივრცეს დააწესონ კონფიდენციალურობის დაცვის უფრო მკაცრი წესები[418], მაგალითისთვის შეიძლება მედიაციის „ევროპული პიონერი[419]" ქვეყნის ავსტრიის შემთხვევის აღნიშვნა, სადაც რეგისტრირებულ მედიატორებს[420], აქვთ ვალდებულება კონფიდენციალურად დაიცვან ის ფაქტები, რაც შეიტყვეს მედიაციის პროცესში მხარეებისგან, ან მედიაციის პროცესის მსვლელობის პერიოდში რაიმე სხვა საშუალებით, ისევე როგორც კონფიდენციალურობა ვრცელდება ყველა იმ დოკუმეტნზე, რასაც მედაიტორი პროცესის მსვლელობის დროს გაეცნობა ან მიიღებს. მსგავსი ვალდებულება ვრცელდება ასევე მედიაციის პროცესში ჩართულ ტექნიკურ პერსონალზე, ვინც მედიატორის მეთვალყურეობის ქვეშ[421] არის პროცესში ჩართული პირი[422].

აღსანიშნავია, რომ როდესაც მიმდინარეობდა მუშაობა ევროდირექტივის ტექსტზე, თავდაპირველი რედაქცია გამორიცხავდა კონფიდენციალური ინფორმაციის რაიმე სახით გამჟღავნების შესაძლებლობას[423], თუმცა დამტკიცებული რედაქციის მე-7 მუხლი[424] გამონაკლის შემთხვევებს უშვებს, როდესაც საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც:

ა) სახეზეა საჯარო ინტერესის საჭიროება;

ბ) მედიაციის შეთანხმების აღსრულების საჭიროება;

416. *Cremer K.,* Die Vertraulichkeit der Mediation, Schneider Verlag Hohengehren GmbH, Germany, 2007, 55.
417. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 20.
418. Ibis, FrauenBerger-Pfeiler U., in Civil and Commercial Mediation in Europe, Vol.II, 2014, 7.
419. <http://m.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof;oso/9780199653485.001.001/acprof-9780199653485-chapter-4>.[15.05.2018]
420. Scheuer in Fucik/Komecny/Oberhammer(eds) 2011, 207-209.
421. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 16.
422. §18 Austrian Code of Mediation in Civil Matters (ACMC).
423. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 209.
424. The Mediation Directive, Art 7.

გ) ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს რაიმე სახის გადაცდომის ან დანაშაულის თავიდან არიდების საშუალებას;

დ) განპირობებულია არასრულწლოვნის ინტერესების დაცვით;

ე) სახეზეა ორივე მხარის თანხმობა.

ევროდირექტივის ამ მუხლს მრავლად ჰყავს კრიტიკოსები[425], რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობის დათქმის გაჩენა არის მედიაციის ინსიტიტუტისთვის მაზარალებელი, რადგან ქვეყნის შიდა კანონმდებლობით აღნიშნული საკითხის თვითრეგულირებამ შეიძლება მიიღოს ისეთი ხასიათი, რაც საფრთხეს შეუქმნის კონფიდენციალურობის პრინციპს.

ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ რიგ ქვეყნებში ორი ქვემორე საკითხი სხვაგვარად არის რეგულირებული და აღნიშნულიც მინდობილია წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლობას, და მნიშვნელოვანია ამ კუთხით ჩვენი კანონმდებლის სწორი პოზიცია იქნეს შემუშავებული, კერძოდ, საკითხი ეხება ერთი მხრივ იმ გარემოებას, რომ მედიატორის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში სასამართლოში ამ ინფორმაციის გამოყენებაზე რაიმე სახის აკრძალვა არ ვრცელდება, და სასამართლოსთვის ეს ინფორმაცია იქნება გამოსაყენებელი[426] და მეორე მხრივ, ზედმიწევნით ზუსტად გაწერილი პასუხისმგებლობის ზღვარი ასევე არ არის დადგენილი.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის ხიბლი მათ შორის მის კონფიდენციალურობაშია[427] (mediation privilege and confidentiality), რაც კანონმდებლობით დადგენილი მედიაციისათვის მახასიათებელი ნიშანთვისებაა[428], რაც განაპირობებს მისდამი განსაკუთრებით კომერციული დავების გადაწყვეტის ინტერეს ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

425. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 209.
426. *Esplugues C.*, Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 8.
427. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 139.
428. *Hilber M.,* Die Sicherung der Vertraulichkeit des Mediationsverfahrens, Verlag Dr.Kovac, Hamburg, 2006, 19.

მედიაციის დოქტრინაში ესე ცალსახად კონფიდენციალურობის პრივილეგია[429] აბსოლიტურ უფლებად არ განიხილება. როდესაც საქმე მიდის სასამართლო დავამდე არსებობს სტანდარტი, რომ ყველა მტკიცებულება, რასაც აქვს საქმესთან შემხებლობა და შეიძლება იქონიოს გავლენა საქმის შედეგზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი და დასაშვები მტკიცებულება[430], რადგან საჯარო ინტერესია[431] საქმეზე განხორციელდეს ჭეშმარიტი მართლმსაჯულება, რაც სასამართლოს ინფორმატიულობაზეც არის რიგ შემთხვევაში დამოკიდებული.

მედიაციისადმი თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვრცელდება სტანდარტი, რომ დაცულია კონფიდენციალურობის პრივილეგიით პროცესში გაჟღერებული ინფორმაცია თუ გაცვლილი მტკიცებულებები, ანუ ეს ყველაფერი არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა არსებობს რიგი გამონაკლისები, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების სავალდებულოობა დგება, თუმცა ამოსავალი არის ამ ორი დიდი ინტერესის, ერთი მხრივ, მედიაციის კონფიდენციალურობის პრივილეგიის სტანდარტის და საჯარო ინტერესის ბალანსი[432] იქნეს დაცული.

პრივილეგიის უფლებამოსილება და კონფიდენციალურობა არ არის ერთი და იგივე თეზა, თუმცა ხშირად მათ შეცდომით ერთმა-

429. ე.წ. Confidentiality privilege.

430. *Nelson M.R.*, Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 26.

431. კანადის უზენაესის სასამართლოს მიერ განხილულ Gruenke-ს საქმეში [R.v.Gruenke,[1991] 3S.C.R.263 AT 288,per Lamer,C.J.] აღნიშნულ საჯარო ინტერესზე, ყველა სახის მტკიცებულებების დასაშვებობის კუთხით ითქვა: შეჯიბრებითი პროცესის მთავარი მიზანი არის საქმეზე დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება. აღნიშნულის მიზნით ყველა პირი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდეს სასამართლოს წინაშე და მისცეს განმარტებები მათთვის ცნობილი ფაქტების შესახებ. აღნიშნული ვალდებულება ისტორიული ხასიათისაა საერთო სამართლის ქვეყნებში და დღეს უკვე შეიძლება ამ დათქმის ნახვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში, მათ შორის მტკიცებულებების შესახებ კანონებში [Evidence Act], და თუ მართლმსაჯულების მიზანს წარმოადგენს სიმართლის ძიება, საზოგადოება და სასამართლო სისტემას უნდა გააჩნდეთ უფლება წვდომა ჰქონდეთ ყველა სახის ინფორმაციასთან, შესაბამისად შესაბამისი ინფორმაცია არის პრეზუმირებულად ხელმისაწვდომი“.

432. *Nelson M.R.,* Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 27.

ნეთთან აიგივებენ. მნიშვნელოვანია მედიაციაში ჩართულმა პირებმა ნათლად დაინახონ ამ ორ ცნებას შორის სად გადის ზღვარი, და კერძოდ, რიგი კონფიდენციალური კომუნიკაცია არ არის პრივილეგიით დაცული, თუმცა ყველა პრივილეგირებული კომინიკაცია არის კონფიდენციალური[433]. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მხარეებმა შეიძლება კონფიდენციალურობის დათქმით მოახდინეს ინფორმაციის გაცვლა, თუმცა მაინც შესაძლებელია შეიქმნას ისეთი ვითარება, როდესაც მათ მოუწიოთ კონფიდენციალურობის დათქმით გაცვლილი ინფორმაციის გასაჯაროება[434] სასამართლოს წინაშე[435].

433. *იქვე*, 27.

434. Harper v.Kami's Eating & Meeting Place (1996), 16.O.T.C.153 (Gen.Div); Dos Santos v. Waite (1995), [1995] O.J.No.1803, 1995 CarswellOnt 3384 (Gen.Div.), affirmed (1996), 1996 CarswellOnt 3554 (C.A).
აღნიშნულ საქმეებში ადვოკატის მიმართ კლიენტის მხრიდან იქნა აღძრული სარჩელი, ადვოკატის მიერ მედიაციაში კლიენტისთვი არასწორი რჩევის მიცემის თაობაზე, რა დროსაც საკუთარი ინტერესის სასარგებლოდ, საკუთარი უფლების რეალიზაციის მიზნით, მედაიციაში კონფიდენციალურად გაცვლილი ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება მხარეს დაერთო.

435. *Nelson M.R.,* Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 27
მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობით დაცული ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობა არსებობს თუ ეს კონკრეტული შემთხვევა იმ გამონაკლისებში ხვდება, რაც სავალდებულოს ხდის კონფიდენციალურ პროცესში გავრცელებული ინფორმაციის გამჟღავნებას: ა) თუ ასეთი ვალდებულება გაწერილია ამა თუ იმ კონკრეტულ კანონში, რასაც შეხება აქვს მედიაციის მიმდინარეობასთან (მაგ: რაიმე სახის ინფორმაცია, რაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს ეხება, მისი კონფიდენციალურად შენახვა ვერ მოხდება, რადგან არასრულწლოვნის კანონიერი ინტერესები დაცულია კანონმდებლობით). ბ) თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება უშუალოდ ეხება მხარის კანონიერი ინტერესების რეალიზაცია (მაგ: როდესაც მხარეს მედიაციის პროცესში მედაიტორის ან ადვოკატის მხრიდან მიადგა ზიანი, მედიატორის ან ადვოკატის კონკრეტული ქმედებით, რა თქმა უნდა მხარე საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნებისთვის თავისუფალია შესაძლებლობაში გაამჟავნოს მედიაციის პროცესში მისთვის ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია). გ) Uniform Mediation Act მე-6 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: გამჟღავნებას ექვემდებარება შემდეგი ინფორმაცია: ინფორმაცია, რაც ასახულია სამედიაციო შეთანხმებაში,რომელიც ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ; ინფორმაცია, რაც საჯაროა კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით; ინფორმაცია რომელიც შეიცავს მუქარას ან ძალადობის თუ დანაშაულის განხორციელებას; ინფორმაცია რომელიც აღკვეთავს დანაშაულს; ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მედიატორის მიერ გადაცდომის ჩადენას; ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მხარის ან მისი წარმომადგენლის თუ მესამე პირის მიერ დანაშაულის ჩადენას თუ პროფესიული სტანდარტის დარღვევას;

3.4. მხარეთა თანასწორობა

მედიაციისთვის მახასიათებელ პრინციპად ლიტერატურაში გაჟღერებულია ასევე პროცესში ჩართული პირების თანასწორობის[436] პრინციპი, კერძოდ, ორივე მხარეს აქვს აბსოლიტურად თანაბარი პირობები[437] უზრუნველყოფილი თანაბრად ისარგებლონ მედიაციის პროცესში ყველა მათთვის გარანტირებული შესაძლებლობით. უფრო მეტიც, მედიაციის ინიცირების სტადიაზე, ორივე მხარე თანაბარი უფლებებით არის წარმოდგენილი თავად შეარჩიონ საკუთარი მედიაციის მიზნებისათვის მედიატორი და განსაზღვრონ მედიაციის წარმოების დღის წესრიგი, მოახდინონ მედიაციაში საჭირო მონაწილე პირების ნომინირება და შეადგინონ მედიაციაში მუშაობის განრიგი[438].

მედიაციის პროცესში ჩართული მხარეები თანასწორნი არიან მათ შორის იმ კუთხით, რომ ორივეს გააჩნია თანასწორი ვალდებულება საკუთარი ნებით ინიცირებულ მედიაციაში იმოქმედონ კეთილსინდისიერად და ეცადონ მიაღწიონ შეთანხმებას, ანუ სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, მედიაციის ცნების ცენტრალურ მახასიათებელს წარმოადგენს მხარეების ავტონომია დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება შეთანხმების შესახებ და შეთანხმების შინაარსი თავად განსაზღვრონ[439], ამ ნაწილში ორივე მხარე სრულად თანასწორი და დამოუკიდებელია, ისევე როგორც ორივე მხარე თანასწორია აბსოლიტურად იმ უფლებაში, შეწყვიტონ მედიაციაში მონაწილეობა, თუ ვერ დაინახავენ შეთანხმების მიღწევის პერსპექტივას[440], რაც წარმოადგენს მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული საშუალების წარმატებით დანერგვის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს[441], რადგან მხა-

436. *Goksu M.*, Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey, Banka ve Ticaret Hukuru Arastirma Enstitusu, 2016, 276.
437. *Alexander N., Steffek F.*, Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016, 19.
438. *Rana R.,* Alternative Dispute Resolution: A Handbook for In-House Councel in Asia, LexisNexis, Singapore, 2014, 89.
439. *Brand J., Steadman F., Todd C.*, Commercial Mediation, Second Ed., JUTA, Cape Town, 2016, 26.
440. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 63, 64.
441. იქვე, 110.

რეებმა იციან, რომ მათი დავა, აბსოლიტურად მათ ხელშია მოქცეული და თავად განსაზღვრავენ მის მიმდინარეობას.

3.5. ნეიტრალურობა, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა

მედიაციისთვის მახასიათებელი ძირითადი ნიშანია მედიაციის პროცესის[442] ჩართული მედიატორ(ები)ს ნეიტრალიტეტი[443]. მედიატორის ნეიტრალურობის[444] პრინციპი ამოსავალი წერტილია ყველა იურისდიქციაში და მედიაციის ტერმინის განმარტებაში[445], ხოლო იმ შემთხვევებში სადაც მედიაციის ცნებაში აღნიშნული პრინციპი არ ფიგურირებს, სახეზეა ამ პრინციპის რეალური ინტეგრირება მედიატორის ვალდებულებებსა და პროფესიულ კანონებში თითოეული იურისდიქციის მაგალითზე ან მეორე მხრივ, არის ქვეყნები, სადაც ნეიტრალიტეტის[446] პრინციპის ნაცვლად მოხსენიებულია მედიატორის დამოუკიდებლობა[447] ან/და მიუკერძოებლობის პრინციპი[448].

მედიატორის ნეიტრალიტეტი განმსაზღვრელი[449] ფაქტორია ინიცირებული მედიაციის წარმატებით დასრულებისა, რა დროსაც მხარეები სწორედ მისი ნეიტრალურობის[450] გათვალისწინებით სრულად ენ-

442. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 13.
443. The Mediation Directive, Art 3 (b);
444. *Goksu M.*, Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey., Banka ve Ticaret Hukuru Arastirma Enstitusu., 2016, 275
445. *Roth M., Gherane D.*, Austria, in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 252. [იქვე, *Scherpe M.J., Marden B.*, England, 368. *Jessel-Holst C.,* Hungary, 606. *Schmiedel L.*, the Netherlands, 700. *Ellger R.,* Canada, 912. *Kulms R.,* USA, 1248.]
446. *Andrews N.*, Mediation Agreements: time for a more creative approach by the English courts, Uniform Law Review, Revue de droit uniforme,Vol. 18, Number 1, Oxford University Press (Unidroit), Oxford, 2013, 12. <www.ulr.oxfordjournals.org>. [15.05.2018]
447. *Tochtermann P.*, Die Unabhängigkeit und Unparteilichkeit des Mediators, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008, 9.
448. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 13.
449. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 6.
450. *Schreiber A.,* Obligatorische Beratung und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2007, 94.

დობიან და ეხსნებიან მედიატორს პროცესის მსვლელობისას[451].

მედიატორის ნეიტრალიტეტს რიგ შემთხვევაში დოქტრინაში ორი[452] სახის ნეიტრალიტეტად ყოფენ, კერძოდ, პერსონალური ნეიტრალიტეტი (Personliche Neutralitat) და მედიაციის პროცესისადმი მედიატორის ნეიტრალიტეტი (Verfahrensneutralitat). პერსონალურ ნეიტრალიტეტში მოიაზრება მედიატორის, როგორც პიროვნული ნეიტრალიტეტი პროცესის მხარეებისადმი, რადგან ის აბსოლიტურად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი[453] უნდა იყოს ორივე მხარისადმი, ეს მათ შორის გარეგნული კუთხითაც კითხვის ნიშანს არ უნდა ტოვებდეს[454], საუბარია მედიატორის რაიმე სახის ურთიერთობაში ყოფნა რომელიმე მხარესთან, რის შესახებ მინიმუმ მისი მხრიდან ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული ორივე მხარისადმი ან მოახდინოს თავის პროცესიდან აცილება, ხოლო რაც შეეხება პროცესისადმი მედიატორის ნეიტრალიტეტს, აქ მოიაზრება, რომ მედიატორი მედიაციის წარმოებისას არ უნდა მოექცეს, რაიმე სახის გავლენის ან ინტერესის ქვეშ რომელიმე მხარის სასარგებლოდ.

ამასთანავე, რიგ იურისდიქციებში, ნეიტრალობის პრინციპთან ერთად, მითითება კეთდება მედიატორის დამოუკიდებლობაზე[455] და მიუკერძოებლობაზე[456]. აღნიშნული პრინციპები ხშირად ლიტერატურაში ერთიან ცნებად მოიაზრება, თუმცა მათ რეალურად აქვთ გარკვეული განმასხვავებელი ნიშანთვისებები[457]. აღსანიშნავია, რომ მე-

451. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 44, 45.
452. *Von Bargen J.M.*, Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck, 2008, 21, 22.
453. *Roberts M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate, 2014, 10.
454. *ჩიტაშვილი ნ.*, მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #1, 2016, 32.
455. *Schmidt J.P.,* Portugal, in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 812.
456. *Schmiedel L.,* the Netherlands, in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 700.
457. *Tochtermann P.,* Die Unabhängigkeit und Unparteilichkeit des Mediators, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008, 24, 27.
(ნეიტრალურობის პრინციპი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის პრინციპთან ერთად განიხილება, რიგ შემთხვევაში მსგავსი დატვირთვის მატარებელ ცნებად აღიქმება, თუმცა მათ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანთვისებები ახასიათებთ; მედიატორის ნეიტრალურობა და დამოუკიდებლობა ობიექტურ კრიტერიუმად არის შეფასებული, ხოლო მიუკერძოებლობის პრინციპი უფრო მეტად შეფასებით კატეგორიაში ხვდება და მას სუბიექტური აღქმა ახასიათებს მხარეების მხრიდან.)

დიატორის მხრიდან დამოუკიდებლობის დაცვა მრავალწილად არის დამოკიდებული უშუალოდ მედიატორის მხრიდან პროცესის გაძღოლის სტილზე, იმაზე თუ რამდენად არ მოექცევა მოდავე მხარეების გავლენის ქვეშ მედიაციის მსვლელობისას, თუნდაც პროცესის დაგეგმარების და გაძღოლის თვალსაზრისით, ამ კუთხით ყოველთვის მისასალმებელია, როდესაც მედიატორი არის ძლიერი პიროვნული თვისებებით დაჯილდოებული და პროცესის მსვლელობაზე რეალურად ახდენს გავლენას, მართავს პროცესს[458].

მედიაციისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა[459], რომ მედიატორი წარუძღვეს პროცესს მიუკერძოებლად[460]. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მედიაციის დროს დავის ბედის გადაწყვეტა და მოლაპარაკებების მსვლელობის კონტროლი სრულად მხარეების ხელშია მოქცეული[461]. მედიატორი მიუკერძობლად უნდა უძღვებოდეს პროცესს და არც-ერთ მხარეს არ უნდა აძლევდეს რაიმე სახის რჩევას ან მითითებას მოლაპარაკების ფარგლებში მიმდინარე დავასთან დაკავშირებით[462].

მედიატორის ნეიტრალურობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მედიაციის მთავარ ხიბლს, იმ განმაპირობებელ წინაპირობას, რაც განსაზღვრავს მედიაციისადმი საზოგადოების და მისი მომხმარებლების ნდობას. მედიატორი წარმოადგენს ნეიტრალურ პირს[463], რომლისთვისაც მხარის კონკრეტული ინტერესები და შეთანხმების მიღწევის კონკრეტული პირობები არ არის

458. იქვე, 64.
459. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 159
460. The Code of Conduct, the Law Society of England and Wales. [მიუკერძოებლობა მედიაციის ფუნდამენტური პრინციპია, რაც მოიცავს შემდეგს: (1) მედიატორს არ აქვს რაიმე პერსონალური დაინტერესება მედაიციის შედეგისადმი; (2) მედიატორი წარუძღვება პროესს სამართლიანად და არც-ერთ მხარეს არ მიემხრობა;
461. *von Schubert M., Haase M.*,in Schiffer, J., Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 261.
462. *Niedostadek A.*, (Hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 46.
463. *Wendenburg F.*, Mediation –flexible Gestaltung innerhalb fester Strukturen, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 37.

მნიშვნელოვანი, სწორედ მედიატორის ნეიტრალიტეტი[464] და მიუკერძოებლობა არის წინაპირობა მხარეების მიერ მედიაციის როგორც დავის ალტერნატიული საშუალების პრეფერენციისა დავის სხვა ფორმებთან შედარებით. მედიატორის ნეიტრალურობა[465] მედიაციის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს[466]. მედიატორისთვის მახასიათებელ აღნიშნულ თვისებასთან ასოცირდება ასევე მედიატორის დამოუკიდებლობის პრინციპი, რადგან მედიატორი თავის საქმიანობაში სრულად დამოუკიდებელია და რაიმე ფაქტორზე ან მით უფრო მედიაციის რომელიმე მხარეზე რაიმე სახის დამოკიდებულებაში ან მართვის ქვეშ არ უნდა მოექცეს[467], ამაში მოიაზრება მათ შორის პიროვნული, ისევე ფინანსური დამოუკიდებლობის სტანდარტი. მედიაციაში სამართალი არ განიხილება და სამართალს მეორე ხარისხოვანი დატვირთვა ენიჭება, რადგან მედიატორი სამართლებრივ საკითხებზე მხარეებს არ აძლევს კონსულტაციას და არც სამართლებრივი კუთხით საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს მედიატორის ფუნქციას მედიაციაში[468].

მედიატორს რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი[469] არ უნდა გააჩნდეს მხარეებისადმი, ისევე როგორც რაიმე სახის ფინანსური დაინტერება არ უნდა ჰქონდეს დავის ამა თუ იმ შედეგით დასრულების კუთხით[470]. თუმცა დოქტრინაში რიგ შემთხვევაში განარჩევენ აბსოლიტური და შედარებითი ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს[471].

464. *Wendland M*., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 171.
465. *Kracht S.,* Rolle und Aufgabe des Mediators-Prinzipien der Mediation in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 303.
466. *Margaret H.S*., The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Great Britain, Oxford, 2006, 415.
467. *Kracht S.,* Rolle und Aufgabe des Mediators-Prinzipien der Mediation in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 304.
468. *Duve C., Eidenmuller H.,* Mediation in der Wirtschaft,Verlag Dr.Otto Schmidt, Koln, 2011, 95.
469. *Andrews N*., Andrews ---on Civil Processes, Arbitration&Mediation, Volume II, Intersentia, Cmabridge, 2013, 12.
470. *Brown H., Marriott A*., ADR: Principles and Practice, 3rd Ed, 2011, 24-075.
471. აბსოლიტური ინტერესთა კონფლიქტის (absolute bar) დროს სახეზეა იმ სახის ფუნდამენტური წინაპირობები, რომლის დაძლევა შეუძლებელია, თუნდაც მხარეების სრული ინფორმირებულობისდა და თანხმობის ხარჯზე ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ. მაგ: მედიატორს აღნიშნული საქმის შესახებ მედიაციის დაწყებამდე არ უნდა ჰქონდეს ერთ-ერთი მხარისათვის იურიდიული ან/და პროფესიული

მედიატორს მხოლოდ ერთი ინტერესი ამოქმედებს, ეს არის კონ-ფლიქტის ამოწურვაში დაეხმაროს მოდავე მხარეებს[472].

ამასთანავე, მნიშვნელოვანია მედიატორებს ჰქონდეთ უმწიკლო რეპუტაცია და წარსული, რადგან ხშირად ადამიანების შესახებ იქ-მნება გარკვეული შთაბეჭდილება საზოგადოებაში, რისი შემდგომი დაძლევა ჭირს, შესაბამისად, მედიატორის წარსული და დადებითი რეპუტაცია[473] ხელს უწყობთ მოდავე მხარეებს ენდონ მედიაციას და მედიატორს, მათ შორის უადვილდებათ მედიატორის შერჩევა საკუ-თარი საქმისთვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც მედიატორის შერ-ჩევაში უშუალოდ მხარეა ჩართული და ის იღებს გადაწყვეტილებას, რა დროსაც მისთვის მედიატორის საზოგადოებრივი აღქმადობა გარ-კვეულ გავლენას ახდენს. ადვოკატის შემთხვევაში სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია, რადგან მას მეტი გამოცდილება აქვს დაგროვილი მედიაციაში, ხშირი შეხება უწევს მედიატორებთან და მათ შორის ამ გამოცდილებით იღებენ ადვოკატები გადაწყვეტილებას მედიატორის შერჩევის კუთხით.

მედიატორის მყარი პიროვნული მახასიათებელი და თვითდაჯერე-ბულობა მნიშვნელოვანი ელემენტია მედიაციის პროცესის სწორად წარმართვისთვის, რადგან მედიატორს პროცესის მართვა და კონ-ტროლი უწევს და ამისთვის მნიშვნელოვანია მან მოიპოვოს პატივის-ცემა მხარეებში, რის წინაპირობას მათ შორის მედიატორის პიროვ-ნული თვისებები და თვითდაჯერებულობა თამაშობს დიდ როლს, თუ არა ეს პიროვნული თვისება, მედიატორს რეალურად შეიძლება გაუჭირდეს ორი დაპირისპირებული მხარეის და მათი წარმომად-

ან ჰქონდეს რაიმე სახის პირდაპირი ინტერესეი ამ საქმის მიმდინარეობისადმი. მა-შინ როდესაც შედარებითი ინტერესთა კონფლიქტის (relative bar) დროს მედიატორს შეუძლია პროცესში მონაწილეობა ორივე მხარის წინასწარი ინფორმირებულობისა და მხოლოდ მათგან თანხმობის მიღების საფუძველზე. მაგ: ისეთი შემთხვევა, რო-დესაც მედიატორი არის იურისტი და მისი ბიუროს თანამშრომელი ანხორციელებს ან ანხორციელებდა ერთ-ერთი მხარის წარმომადგენლობას ან უწევს კონსულტაციას სხვა რაიმე საკითხთან მიმართებაში, რომელიც არ არის დაკავშირებული მიმდინარე მედიაციის საკთხთა ჩამონათვალთან.

472. *Andrews N.*, Landbrecht Johannes, Schiedsverfahren und Mediation in England, C.H.BECK, Stampfli Verlag AG Bern, 2015, 202.

473. *Filler E.,* Commercial Mediation in Europe, 2012, 123.

გენლების როგორც ემოციური გამოხატულობის კონტროლი, ასე-ვე მათი საქმიან გარემოში ჩართვა, კონსტრუქციულ სამუშაო ვითა-რების შექმნა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ მედიატორს მათ შორის გააჩნდეს კარგი ორგანიზატორული და პროცესის გაძღოლის უნარები[474], რაც ხშირ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მხარეთა ჩართულობით შეთანხმების მიღწევის გზაზე.

მედიაცია მოითხოვს მედიატორის მხრიდან სხვადასხვა ბუნებრი-ვი ტალანტის ქონას[475], რა დროსაც მედიატორი გახდება წინაპირობა მხარეების ჩართულობით წარმატების მიღწევის.

474. *Schmidt N.,* Das Verwertungsverbot aus dem Mediationsverfahren fur das Schiedgerichtsverfahren, Verlag Dr. Kovac, Hamburg, 2011, 6.

475. *Andrews N*., Andrews – on Civil Processes, Arbitration&Mediation, Vol II, Intersentia, Cmabridge, 2013, 11.

თავი IV

მედიაციის პროცესი

მედიაცია როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი მძლავრად იკიდებს ფეხს საზოგადოებაში, კონფლიქტში მყოფი მხარეების მხრიდან მათ შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტის ეფექტურ საშუალებად. მომხმარებელს მედიაციით დავის გადაწყვეტა უშუალოდ სასამართლოსთვის მიმართვამდეც შეუძლია და ძალზედ მნიშვნელოვანია მედიაციის შესაძლებლობის ეფექტური მექანიზმი იყოს შემუშავებული უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოების პროცესში, როდესაც მხარეებს შეეთავაზებათ დავის ალტერნატიული საშუალებით დავის მცირე დროში და ფინანსურად კიდევ უფრო მომგებიანი მექანიზმით გადაწყვეტის შესაძლებლობა[476].

სახელმწიფოები შიდა კანონმდებლობაში ცდილობენ ნათლად და ამომწურავად გაწერონ მედიაციის გამოყენების პროცედურები, რაც აბსოლიტურად ნებაყოფლობითი[477] პროცესია, რათა სამართლის ძიებაში მყოფ ხალხს სახელმწიფოს მხრიდან შეეთავაზოთ სწორი, დროული, ნაკლებ ხარჯიანი და გაცილებით ეფქტური[478] მექანიზმები საკუთარი უფლებების რეალიზაციის და ინტერესების დაკმაყოფილების[479].

მედიაციის პროცესს მხარეების მხრიდან გადაწყვეტილების მიღების მშვიდობიანი გზა ახასიათებს, რაც მხარეთა კონსენსუსზე არის დამყარებული, ნაცვლად რაიმე ავტორიტარული ფორმით მათ ნებაზე გავლენის მოხდენისა; მხარეები მოქმედებენ საკუთარი მიხედულობის შესაბამისად და თავად არიან პასუხისმგებელნი მიღებულ გადაწყვეტილებაზე და მის თანმდევ შედეგებზეც[480].

მედიაციის პროცესში როგორც მედიატორის ასევე ორივე მხარის მხრიდან პროცესის არსის კარგად ცოდნა მნიშვნელოვანია, რადგან

476. *Cortes P.*, The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 58, 59.
477. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 9.
478. *Kumar A.*, Alternative Dispute Resolution System, Global and National Perspective, K.K. Publications, 2016, 75.
479. *Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 81.
480. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 38.

როდესაც სამივე[481] მხარე სწორედ რომ შეთანხმების მიღწევის მიზნით მოქმედებს, ყველა თავისი როლის შესრულების ფორმატში, რა თქმა უნდა, შედეგი უფრო რეალური ხდება.

მკაცრად გაწერილი წესები იმისა, თუ მედიაცია როგორ იწყება არ არსებობს, ზოგი მედიატორი პრაქტიკაში მხარეებს ერთად კრიბავს არაფორმალურ ვითარებაში და აცნობს პირველად ინფორმაციას თუ რა პროცესის მონაწილენი არიან და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მხარეებს მედიაციისგან და უშუალოდ მედიატორისგან, ზოგი მედიატორი კი ფორმალურ პროცესს მიყვება პირველივე შეხვედრიდან. მათ შორის მკაცრად გაწერილი სტანდარტი იმისა თუ რომელ მხარესთან უნდა მოახდინოს პირველი შეხვედრა მედიატორმა არ არსებობს, თუმცა ერთი ცალსახაა, რომ ყველა შემთვევაში მედაიტორის ფუნქციაა მხარეებს თავი კომფორტულ გარემოში აგრძნობინოს[482].

მედიაციაში მედიატორი არის პროცესის დაგეგმარებაზე და გაძღოლაზე პასუხისმგებელი[483], მაშინ როდესაც შედეგის მიღწევაზე პასუხისმგებელნი არიან მხარეები[484]. დასაშვებია და მათ შორის ხშირია პრაქტიკაში, როდესაც მედიატორი ნაცვლად ორივე მხარის ერთად შეხვედრისა ინდივიდუალური შეხვედრით იწყებს ამა თუ იმ მხარესთან, როდესაც ხედავს გარკვეულ რისკს მხარეების ერთად შეკრებისა, რადგან დავის არსი და დატვირთვა ამის წინაპირობას იძლევა.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა მედიატორი დამოუკიდებელი და თავისუფალია იმაში თუ როგორ სტილს აირჩევს მედიაციის, ისევე როგორც როგორ დაგეგმავს მედიაციის პროცესის სტადიებს და თანმიმდევრობას, თუმცა ყველა შემთხვევაში მან ამის შესახებ მხარეებს წინასწარ უნდა აცნობოს, რადგან პროცესის მონაწილეებს არ ჰქონდეთ პროცესისადმი გაუცხოება და სწორედ ჰქონდეთ შექმნილი მოლოდინები იმ ყველაფრის შესახებ, რაშიც არიან ჩართულები და

481. *Abramson H.J.*, Mediation Representation, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2011, 8, 9.
482. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 93.
483. *Glaβer U., Klowait J.*, Mediationsgesetz, Handkommentar, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2018, 85
484. *Spencer D.*, Principles of Dispute Resolution, 2nd Edition, Thomson Reuters, 2016, 65.

უნდა მიიღონ გადაწყვეტილება დავის დასრულების შესახებ[485].

მედიაციის პროცესის სტადიების მკაცრად გაწერილი სავალდებულო თანმიმდევრობა კანონმდებლობაში არ გვაქვს[486], თუმცა სტრუქტურირებული წარმოებაა, რომელსაც მედიატორი გეგმავს[487]. ლიტერატურაში და პრაქტიკაში ხშირად შევხვდებით სხვადასხვა სტადიებს[488], რაც ამა თუ იმ ქვეყანაში მედიაციის ჩატარებას ახასიათებს. ყველა მედიატორი თავისუფალია დაგეგმარებაში, თუმცა მხარეებს ასევე ეძლევათ საშუალება თავად მიიღონ მონაწილეობა მედიაციის დაწყების შემდგომ სტადიების განსაზღვრასა და დაგეგმარებაში. აქვე ისიც გასათვალისწინებელი და აღსანიშნავია, რომ მედიაცია მხარეებს მათ შორის არსებული კონფლიქტის ნებისმიერ სტადიაზე შეუძლიათ (აბსოლიტურად ნებაყოფლობითი პროცესია, როგორც მისი ინიცირება, ასევე მასში მონაწილეობის მიღება[489]), როგორც სასამართლოსთვის მიმართვამდე, ასევე სასამართლოში ზეპირი სხდომების დანიშვნამდე[490], ისევე როგორც მის შემდგომ, მთავარია რომ მხარეებს კარგად ესმოდეთ თუ რა შეუძლიათ მედიაციის ინიცირებით და რამდენად აქვთ შეთანხმების რეალური რესურსი ხელთ და ამ კუთხით უმნიშვნელოვანესია მედიაციაში მონაწილე მხარეების წარმომადგენლის როლი და დანიშნულება, რომელმაც სწორი მოლოდინე-

485. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 93.

486. *Spencer D., Brogan M.,* Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 49.
(მედიაციის პროცესის კლასიკური მოდელის აღქმა შემდეგია: მედიაციისთვის მომზადება; მედიატორის მისასალმებელი სიტყვა; მხარეთა ახსნა-განმარტებითი სიტყვა; კონფლიქტის მთავარი საკითხების და ინტერესების იდენტიფიცირება; მხარეების საერთო ინტერესების იდენტიფიცირება; კონფლიქტის გადაწყვეტის შესაძლო შეთანხმების ადრეული პირობების იდენტიფიცირება; ინდივიდუალური სესიები; საბოლოო ერთობლივი შეხვედრა; მედიაციის დასრულება შეთანხმების აქტზე ხელმოწერით ან მედიაციის პროცესის შეწყვეტა შეთანხმების მიუღწევლობის გამო)

487. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 9.

488. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 59, 60.

489. *Schreiber A.*, Obligatorische Beratung und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2007, 36.

490. *von Maik B.*, Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker &Humblot, Berlin.2015, 39, 40.

ბი უნდა შეუქმნას მხარეს, თავის მარწმუნებელს, როგორც მედიაციის პროცესის შესახებ, ასევე იმ შესაძლო განვითარების პერსპექტივების შესახებ, რაც მედიაციის პროცესში შეიძლება იქნეს მიღწეული.

მედიაციის დაწყების სტადიაზე კონფლიქტში მყოფი მხარეები აფორმებენ სამედიაციო შეთანხმებას[491] მათ მიერ შერჩეულ მედიატორთან ან სამედიაციო ინსტიტუციასთან, რომელიც დავის გადაწყვეტის მიზნით გამოყოფს მედიატორს. აღნიშნულ შეთანხმებაში გაწერილი უნდა იყოს ყველა ტექნიკური დეტალი მხარეებს და მედიატორს შორის, მათ შორის მედიაციასთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით. შეთანხმება ხშირ შემთხვევაში სრულად ასახავს მხარეების უფლებებს და ვალდებულებებს, პრინციპებს რაც მედიაციას ახასიათებს, ისევე როგორც იმ სტადიებს, რაც მედიაციაში მხარეებმა და მედიატორმა უნდა გაიარონ.

ევროპის ქვეყნებში სამედიაციო შეთანხმებისადმი სხვადასხვაგვარია მიდგომა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს გარიგება სახელშეკრულებო გარიგებათა რიცხვს მიეკუთვნება. აღსანიშნავია, რამდენიმე შემთხვევა, მაგალითად, ავსტრიაში აღნიშნული ხელშეკრულება ერთგვარ ჰიბრიდ ხელეკრულებად არის მიჩნეული, კერძოდ, განიხილება მომსახურების ხელშეკრულებად, რომელსაც ახასიათებს შრომის ხელშეკრულების გარკვეული ნიშნები[492]. ჰოლანდიის[493] მაგალითზე მსგავსი გარიგება დავალების ხელშეკრულების ნაირსახეობას წარმოადგენს, მაშინ როდესაც საბერძნეთსა[494] და ესპანეთში[495] ცალსახად ნარდობის ხელშეკრულებათა კატეგირიას მიაკუთვნებენ. ევროპულ ქვეყნებს აქვთ ერთიანი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ

491. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 55.
492. *Roth M., Gherdane D.,* Mediation in Austria, in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 284.
493. *Schmiedel L.,* Mediation in Netherlands in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 727.
494. *Klamaris N., Chronopoulou C.G.,* Mediation in Greece in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 597.
495. *Lopez M.L.V.,* Mediation in Spain, in *Hopt/Steffek,* Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 851.

მსგავსი ხელშეკრულების შესაბამისად მედიატორი პასუხისმგებელი პირია პროცესის ხელმძღვანელობაზე და არა დავის სავალდებულო სახით შეთანხმებით დასრულებაზე.

4.1. მომზადება

პირველი კონტაქტი მედიატორის მხარეებთან მათ პირველ შეხვედრაზე ხდება და სწორედ ეს არის ის სტადია, როდესაც მედიატორმა პირველი დადებითი შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას მხარეებს პროცესის და მისი პიროვნების შესახებ[496], შეუქმნას მხარეებს კეთილგანწყობა და განცდა მისი მიუკერძოებლობისა და პროფესიონალიზმისა.

მრავალი კვლევა[497] ჩატარებულა იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა დასვას/განათავსოს მედიატორმა მხარეები, რათა ხელი შეუწყოს მხარეების მეტ ჩართულობას პროცესში და შექმნას შეთანხმების მიღწევის მათ შორის გარეგნული ფონი. აღნიშნული საკითხი მათ შორის მოითხოვს მედიატორის მხრიდან კარგ ფსიქოლოგიურ უნარებს, რათა ყველა კონკრეტულ დავაზე მხარეთა ემოციონალური და საქმიანი მიდგომის გათვალისწინებით სწორი გათვლა გააკეთოს, ისევე როგორც უშუალოდ პროცესის მსვლელობისას შეიძლება შერჩეული მიდგომის ცვლილების საჭიროებაც დაუდგეს მედიატორს, რისთვისაც ასევე უნდა იყოს მზად. ამ კუთხით ნიშანდობლივია მხარეთა წარმომადგენლის როლი, რომელმაც მედიაციის პროცესისთვის და მეტწილად პირველი შეხვედრისთვის სწორედ უნდა მოამზადოს თავისი მხარე, რათა ისედაც კონფლიქტურ სიტუაციაში მყოფი მხარე თავს გაუცხოებულად არ გრძნობდეს მისთვის უცხო პროცესში, არამედ პირიქით, ჰქონდეს განცდა იმისა, რომ მედიაცია მისთვის არ არის უცხო და წარმოადგენს იმ სახის პროცესს, რომელსაც თავად განკარგავს, რათა მიაღწიოს მისი კონკრეტული კონფლიქტის ამოწურვის ყველაზე სასურველ და პერსპექტიულ შედეგს, რაც შესაძლებელია რომ მიიღწეს მედიაციის გზით.

496. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 122.
497. *Moore C.*, The Mediation Process: Practical Strategies for Resolving Conflict, 2nd Ed, San Francisco: Jossey-Bass Publishers, 1996.

გავრცელებულია მიდგომა, როდესაც მხარეების განთავსება ხდება მრგვალი მაგიდის გარშემო, რაც ამცირებს გაუცხოების შეგრძნებას, ქმნის პროცესში უფრო ეფექტურად ჩართულობის ტექნიკურ ფონს და მხარეებს უჩენს განცდას თანაბრობისა, თუმცა რიგ შემთხვევაში შესაძლებელია მხარეების სხვადასხვა მაგიდასთან განთავსებაც. ამ ყველაფერზე მედიატორს წინასწარ უნდა ჰქონდეს ნაფიქრი და გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები, რაც უკვე შემდეგი სტადიის დაწყების წინაპირობა იქნება[498].

ხშირია პრაქტიკაში, როდესაც მედიატორი მხარეებთან პირველად შეხვედრამდე მათ უგზავნის წერილობით კითხვარს[499] მედიატორისთვის საინტერესო საკითხებზე და პირველად შეხვედრამდე ეცნობა რა კითხვარის შინაარს, რომელზეც ივარაუდება, რომ მხარე საკუთარ წარმომადგენელთან ერთად მუშაობს და აბსოლიტურად გულწრფელ და ამომწურავ პასუხებს უგზავნის მედიატორს, იქმნის შთაბეჭდილებას თუ რასთან აქვს შემხებლობა პროცესის დაწყებამდე და რა მოლოდინები ან ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ მხარეებს, მათ შორის მედიატორისგან.

4.2. მედიატორისა და მხარის გახსნითი სიტყვა

მედიაციის პროცესი ტრადიციულად იწყება მედიატორის მისასალმებელი სიტყვით, რაც წარმოადგენს მედიაციის პროცესის პირველ ეტაპს, ეს ეტაპი ემსახურება მედიაციაში ჩართული ყველა მხარის უშუალოდ გაცნობას[500], მედიატორის მიერ მხარეებში ნდობის მოპოვებას[501] და სამუშაო ატმოსფეროს შექმნას, რა დროსაც როგორც მედიატორი ასევე მხარეები პირველად ვერბალურ კონტაქტს ახდენენ ერთმანეთთან. ამ ეტაპის მთავარი მიზანი მხარეებისთვის მედიაციის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება[502] და მხარეებთან

498. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 94.
499. *Prokop-Zischka A.,* Langer in Topel Elisabeth, Pritz Alfred, Mediation in Osterreich, Die Kunst der Konsensfindung, 2 Auflage, Lexis Nexis Verlag, Wien, 2005, 30.
500. *Nelson M.R.*, Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 99.
501. *Nolting H.*, Mediatoren-vertrage, Centrale fur Mediation Verlag, 2003, 15.
502. *Blake S., Browne J.,Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 198.

ნდობაში შესვლა, მხარეების ერთმანეთისადმი კონსტრუქციულად განწყობის წინაპირობების შექმნაა მედიატორის მხრიდან[503]. მედიატორი ამ ეტაპზე კიდევ ერთხელ იდასტურებს მხარეების პოზიციას მისი მედიატორად შერჩევის თაობაზე[504], მხარეების პროცესში ნებაყოფლობით ჩართვის თაობაზე[505], ასევე მხარეების ჩართულობით არკვევს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის[506] შესაძლებლობას მასსა და მხარეებს შორის[507], რა დროსაც მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა და უფლება მოახდინონ მედიატორის აცილება, რის შემდგომ მხარეებს აწვდის სრულ და ამომწურაც ინფორმაციას[508] მედიაციის მნიშვნელობაზე, მიზანზე, პრინციპების, სტადიების და მოსალოდნელი ქმედებების შესახებ[509], მედიატორის როლზე[510] და მედიაციის პროცესის დანიშნულებაზე, იმ ყველაფერზე, რაც ამ კონკრეტულ მედიაციაში არის დაგეგმილი მისი მხრიდან, ისევე როგორც ითანხმებს მხარეებს კონსტრუქციულ ურთიერთდამოკიდებულებაზე მისდამი და ერთმანეთის მიმართ რა დროსაც ხაზს უსვამს პროცესის კონფიდენციალურ ხასიათს[511]. მედიატორის მხრიდან მსგავსი სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება ემსახურება მნიშვნელოვან მიზანს, რათა მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ინფორმაციული გადაწყვეტილება მიიღონ მედიაციის პროცესში[512]. ეს არის ეტაპი, როდესაც მხარეებს ეძლევათ შესაძლობლობა ყველა მათთვის საინტერესო საკითხზე პროცესის მიმდინარეობის შესახებ, საკუთარი უფლებების და

503. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 293.
504. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 94.
505. *Stoldt M.,* Verfahren und Ablauf der Mediation in Hinrichs U., Praxishandbuch Mediationsgesetz, Verlag Walter de Gruyter, Berlin, 2014, 109.
506. *Kerim B.,* Dispute Resolution Mechanisms in Merger and Acquisition Transactions, Legal, 2016, 69.
507. *Golann D.,* Mediating Legal Disputes, American Bar Association, Chicago, 2009, 36.
508. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 181.
509. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 12.
510. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 19.
511. *Partridge M.V.B.,* Alternative Dispute Resplution, Oxford University Press, Oxford, 2009, 91.
512. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 61.

მოვალეობების შესახებ[513], ისევე როგორც შინაარსობრივ საკითხზე დასვან კითხვები და მიიღონ ამომწურავი პასუხები მედიატორისგან[514], მათ შორის შეიტყონ მეტი მედიატორის პიროვნების შესახებ, რადგან მედიატორს აქვს პირველი საშუალება გაეცნოს და გააცნოს საკუთარი თავი მხარეებს, რაც მხარეებში ნდობის მოპოვებაში ეხმარება პროცესის წარმმართველს[515], კერძოდ, მედიატორი პირველად სრულ ინფორმაციას (ფორმალობების შესახებ) აწვდის/უხსნის პროცესის მონაწილეებს[516]. ეს არის ეტაპი, როდესაც მხარეებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ნათელი და სრული სურათი მედიაციის შესახებ და შეიქმნან პირველადი შთაბეჭდილება, რაც ხშირ შემთხვევაში დიდ წილად განმსაზღვრელია მათი შემდგომი აღქმის და მიდგომის მედიაციის პროცესისადმი[517].

როდესაც მხარეებს აქვთ სრული ინფორმაცია[518] იმის შესახებ თუ რა წესით და რა პროცესის მონაწილეები ხდებიან, მათ მეტად აქვთ გააზრებული თუ როგორ უნდა იმოქმედონ მათთვის სასარგებლო საბოლოო შედეგის მისაღებად, რაშიც მათ შორის უნდა გამოიყენონ მედიატორი.

მედიატორს კარგად უნდა ესმოდეს, რომ პირველადი კონტაქტის დროს მან უნდა შექმნას ის წინაპირობა, რომ მოიპოვოს[519] მხარეების ნდობა და კეთილგანწყობა. მედიატორის უშუალო და ნეიტრალური მიდგომა დავის საკითხისადმი და ორივე მხარეებისადმი განაპირობებს მოდავე მხარეების კეთილგანწყობას მედიატორისადმი[520]. მედიატორს ყოველთვის კარგად უნდა ესმოდეს ის თუ რას ამბობენ და რას გულისხმობენ ნათქვამში მხარეები, რისთვისაც მედიატორი

513. *Von Bargen J.M.*, Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck, 2008, 45.
514. *Spencer D.*, Principles of Dispute Resolution, 2nd Edition, Thomson Reuters, 2016, 65.
515. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 293.
516. *რეHornung U,*. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006, 32.
517. *Krabbe H.*, Werkstattbericht –Hochstrittige Parteien in der Mediation, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten PVSt 47561, 59.
518. *Roberts M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate, 2014, 38.
519. *Kovach K.K.*, Mediation: Principles and Practice, 2004, 158, 159.
520. *Kaiser P., Gabler A.M.,* Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 6/2014, 181.

ხშირად უნდა იყენებდეს ე.წ. „სარკის“ პრინციპს[521], როდესაც მხარეს უმეორებს მის ნათქვამს და ეკითხება თუ რამდენად გაიგო ის, რაც მხარემ თქვა და ასევე ახსნევინებს მხარეს თუ რა იგულისხმა ამა თუ იმ დაფიქსირებულ პოზიციაში, ამ ტექნიკის გამოყენება ეხმარება მედიატორს მოიპოვოს მხარის ნდობა და მეორე მხრივ, გამორიცხოს რაიმე გაუგებრობა ან ფაქტების და ინტერესების არასწორედ აღქმა[522].

უპრიანია მედიატორის მხრიდან მხარეებთან პირველადი შეხვედრისას ზეპირი საუბრით განახორციელოს მედიატორმა კონტაქტი ვიდრე წაუკითხოს მხარეებს ტექნიკური რეგლამენტი, რადგან პარალელურად ექნება საშუალება დაამყაროს მათთან თვალის კონტაქტი და შეისწავლოს მხარეების ფსიქოლოგიური უკუგება მიმდინარე პროცესისადმი. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მედიაციაში მხარეები რიგ შემთხვევაში შეიძლება საერთოდ არ იყვნენ წარმომადგენლით წარმოდგენილი ან წარმომადგენელი არ იყოს იურისტი და მხარეებს რეალურად არ გააჩნდეთ ცოდნა მედიაციის პროცესუალური ნაწილის შესახებ და რა თქმა უნდა მედიატორი რჩება ის ერთადერთი რგოლი ვინც მათ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს[523].

ახსნა-განმარტების სტადია ორ ძირითად მიზანს ემსახურება[524], ერთი, რომ მედიატორს მიეწოდოს უშუალოდ მხარეებისგან ინფორმაცია მათი ურთიერთობის, არსებული დავის მხარეების განსხვავებული პოზიციების[525] შესახებ, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი სტადიაა, რადგან მხარეებს ეძლევათ საშუალება მედიატორს, პირს რომელმაც

521. *Wode M., Rabe C.S.,* Mediation, Springer, Berlin, 2014, 64.
522. *Glasl F.,* Methoden der Mediation in *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 306.
(მედიაციას წარმართვას ახასიათებს რამდენიმე ძირითადი მეთოდი, რაც მედიატორს ეხმარება ერთი მხრივ იქონიოს მუდმივი კავშირი მხარეებთან, მეორე მხრივ, ეხმარება მოიპოვოს ნდობა მხარეებში და მესამე მხრივ, ხელს უწყობს კარგად გაერკვეს სიტუაციაში და არ დაუშვას, რაიმე ფაქტების არასწორე აღქმა ან მხარეებს შორის მისკომუნიკაცია, კერძოდ: ა. კარგად აპრობირებული მეთოდია მხარეებისთვის ღია და დახურული კითხვების დასმა; ბ. მხარის მიერ ნათქვამის პერეფრაზირება და მხარის დამოწმება პერეფრაზის დროს, რომ სწორედ ხდება მისი ნათქვამის აღქმა; გ. სარკის მეთოდი;)
523. <www.mediationinlaw.org>.[15.05.2018]
524. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 95.
525. *Nolting H.,* Mediatoren-vertrage, Centrale fur Mediation Verlag, 2003, 15.

უნდა შეათანხმოს დაპირისპირებული მხარეები, ჰქონდეს სრული ინფორმაცია დაპირისპირების პრეისტორიის და არსებული მდგომარეობის შესახებ; ამ დროს მედიატორს ეძლევა საშუალება ე.წ. ფაქტების დადგენა[526] მოახდინოს (fact-finding stage), ანუ დავაში არსებული ფაქტების შესახებ ორივე მხარისგან მოისმინოს პოზიცია, ისევე როგორც შეითანხმოს მხარეები იმ ფაქტების ჩამონათვალზე, რასაც ჰქონია ადგილი კონფლიქტის ინიცირებამდე; ისევე როგორც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა სავარაუდო გაუცხოების ფონზე დასხდნენ ერთად მრგვალი მაგიდის გარშემო და იგრძნონ, რომ არიან შეთანხმების მიღწევის პროცესში ჩართულები, რითაც ფსიქოლოგიურად აანალიზებენ რომ დაპირისპირება დაძლეულია, საჭიროა მხოლოდ ურთიერთმისაღები პირობების შემუშავება, რითაც ოფიციალურად დასრულდება კიდეც დავა. ეს არის ეტაპი, როდესაც ორივე მხარეს თანაბრად ეძლევა იმის საშუალება მედიატორის და მხარის წინაშე დააფიქსიროს საკუთარი პოზიციები დავის შესახებ და შესთავაზოს თავისებური ხედვა შეთანხმების მიღწევის მიზნით მეორე მხარეს[527].

მხარის ახსნა-განმარტებითი სიტყვა უპრიანია არ იყოს ვრცელი და არ იმეორებდეს სარჩელის შინაარს, არამედ იყოს მოკლე და კომპაქტური, რომელიც მოიცავს მხარის ძირითად არგუმენტებს მორიგების პერსპექტივაზე კონკრეტული მინიშნებით[528]. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ახსნა განმარტების გაკეთებისას ის მხარე, რომელიც მეორე იქნება განმარტებების გაკეთებისას არ დაიწყოს[529] თავის სიტყვაში პირველი გამომსვლელის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შეფასება და ქილიკი, არამედ წარმოადგინოს მხოლოდ საკუთარი ხედვა არსებულ დავასთან მიმართებაში და დააფიქსიროს მორიგების კუთხით მოსაზრებები, აღნიშნულის მხარეთათვის განმარტება ერთი მხრივ, მედიატორის ფუნქციაა, თუმცა მეორე მხრივ, წარმომადგენლით მონაწილე მხარეს ადვოკატი ამზადებს წინასწარ.

526. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 181.
527. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 19.
528. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 37.
529. *Nelson M.R.,* Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 101.

მედიაციის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებს თავად აქვთ საშუალება ყოველგვარი სამართლებრივი მნიშვნელობის ტერმინების და დატვირთვის გარეშე ესაუბრონ ერთმანეთს, რაც სასამართლოში ხშირ შემთხვევაში არ ხდება, და მარტივი წინადადებებით და სიტყვებით[530] (სიტყვებს, რომელთაც აქვთ მარტივი ახსნა და შეიძლება ყოველთვის მხარეების მიერ იქნეს ერთმანეთისთვის ლინგვისტურად განმარტებული), რაც ორივე მხარისთვის არის აღქმადი ეცადონ მიაღწიონ შეთანხმებას, რა დროსაც ერთმანეთთან გაცვლილი შეთავაზებების სიტყვითი მნიშნველობის უკან სამართლებრივი დატვირთვა, როგორც წესი პირველად ეტაპზე არ იკვეთება.

ამ ეტაპს სხვა მრავალი დადებითი მხარეც გააჩნია, მათ შორის ის რომ უშუალოდ ეძლევათ მხარეებს საშუალება ხანგრძლივი დაპირისპირების ფონზე დაამყარონ პირველადი კონტაქტი ერთმანეთთან, ისევე როგორც დარწმუნდნენ რომ კონფლიქტი დაძლევადია თუ გარკვეულ დათმობაზე შეძლებენ წასვლას. მათ შორის მედიატორს ეძლევა საშუალება შეადგინოს და შეუთანხმოს მხარეებს დღის წესრიგი[531] მედიაციის პროცესის მსვლელობისა, რითაც მედიატორი ფაქტობრივ სადავეებს პროცესის მართვისა ხელთ იღებს და მხარეებს ითანხმებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ თანმიმდევრობაზე, თუმცა დღის წესრიგი პირველად კონტაქტამდეც[532] შეიძლება იქნეს შემუშავებული და შეხვედრამდე მხარეებთან კომუნიცირებული, რაც ასევე დანერგილი პრაქტიკაა, განსაკუთრებით რთულ კომერციულ დავებში, რომელიც რამდენიმე შეხვედრის საჭიროებას მოითხოვს. მედიაციის შესახებ ჩატარებულ არაერთ კვლევაში მოდავე მხარეებს დაუფიქსირებიათ პოზიცია, რომ პირველადი[533] შეხვედრა მეორე მხარესთან, რომელთანაც კონფლიქტში იმყოფებიან და დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონიათ უშუალო კონტაქტი, როგორც წესი ჭირს და უქმნის მხარეს

530. *Lee R.T., Mouritsen C.S.*, Judging Ordinary Meaning, The Yale Law Journal, Volume 127, #4, New Haven, Connecticut, February 2018, 795.
531. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 100.
532. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 180, 181.
533. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 19.

ურთიერთობის დაწყების სირთულეს, თუმცა მედიატორის მხრიდან პროცესის სწორი ფასილიტაციის შემთხვევაში ეს პრობლემა როგორც წესი დროულად აღმოფხვრილა.

მედიაციის ამ ეტაპის დაგეგმარებას ახდენს მხარის ადვოკატი და მიზანშეწონილია მან ქვემორე საკითხებს დაუთმოს ყურადღება[534]:

ა) ადვოკატმა უნდა გაანალიზოს რა კატეგორიის დავაზე მიმდინარეობს მედიაცია და გაითვალისწინოს თავისი მხარის პიროვნება, ემოციური მდგრადობა მათ შორის.

ბ) ადვოკატმა კარგად უნდა დაგეგმოს თუ რა ფორმით და დოზით მოახდენს ან თუ საერთოდ მოახდენს კლიენტის ჩართულობას ახსნა-განმარტების გაკეთების პროცესში. მიაქციოს ყურადღება იმას თუ კლიენტის სახე რა კუთხით სჯობს პირველად შემხებლობაში დაანახოს მეორე მხარეს.

გ) მოამზადოს პრეზენტაცია და გააცნოს კლიენტს, ისევე როგორც იმსჯელოს მისი ჩართულობის შესახებ ახსნა-განმარტებით სიტყვაში.

უშუალოდ მხარის მიერ ახსნა-განმარტებითი სიტყვის გაკეთებას აქვს თავისი დადებითი მხარეები, კერძოდ:

- მხარის მიერ პირველივე სტადიიდან პოზიციის ფიქსაცია აღიქმება, როგორც ნიშანი იმისა, რომ მხარე უშუალოდ და აქტიურად იქნება ჩართული მედიაციაში, რაც სასიკეთო მინიშნებაა იმისა, რომ მხარე მზად არის საკითხის შეთანხმებით დასრულებისა[535].
- მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფს პროცესის სამართლებრივი ჟარგონისგან დაცვლას და მხარეებს აძლევს საშუალებას თავად ახსნან და დაახასიათონ დავა საკუთარი სიტყვებით და შეფასებით, რასთან აქვთ შემხებლობა და რა ჰგონიათ ხდება მათ შორის.
- მხარეების უშუალო ჩართულობა არის პირდაპირი სიგნალი

534. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 40, 41.

535. ადვოკატის გადმოსახედიდან: ეს ადვოკატის მიერ შემუშავებული სტრატეგიაა, ხოლო უშუალოდ მისი როლი მედიაციის პროცესში არაერთხელ იქნება წინა პლანზე წამოწეული, რაც ყველა ადვოკატს კარგად ესმის და მოეხსენება.

ერთმანეთის მიმართ, რომ ღია და მზად არიან გადალახონ წინააღმდეგობები და აწარმოონ პირდაპირი დიალოგი, რაც როგორც წესი შედეგის მომტანია მედიაციაში.

შეიძლება ითქვას, რომ რიგ შემთხვევაში, როდესაც მხარეები კვალიფიციური წარმომადგენლით არ მონაწილეობენ მედიაციაში, მათი რეალური ჩართულობის კოეფიციენტი დაბალია, რადგან ვერ ახერხებენ იმ მთავარი გზავნილის სწორედ ფორმულირებას და დაფიქსირებას, რაც მათ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ისევე როგორც ხშირია მათ შორის წარმომადგენლების ჩართულობით მიმდინარე მედიაციაშიც, როდესაც წარმომადგენლები ირჩევენ სტრატეგიას და ფორმალური პოზიციების დაფიქსირებით იფარგლებიან ახსნა-განმარტების სტადიაზე და მხოლოდ ისედაც მეორე მხარისთვის ცნობილ ინფორმაციას აფიქსირებენ, ელოდებიან რა მედიატორთან დამოუკიდებელ შეხვედრას, როდესაც რეალურ ინტერესებს და შესაძლო შეთანხმების ფორმულას დააფიქსირებენ. ერთობლივი შეხვედრის დროს მნიშვნელოვანია მხარეებმა არ მოახდინონ იმ სახის მიმართვების და შეფასებების[536] განხორციელება ერთმანეთის და ფაქტების მიმართ, რაც დამატებით დაძაბულობას და დაპირისპირებას გამოიწვევს. ეს ერთი მხრივ, მედიატორის მხრიდან სწორედ დასაგეგმია, თუმცა მეორე მხრივ, მხარეთა სწორ პოზიციონირებას ამ კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

4.3. ინტერესების გამოკვლევა

მედიაციის პროცესისათვის მნიშვნელოვანია როგორც მედიატორს ესმოდეს დავის მხარეების რეალური ინტერესები და მიზნები, ასევე მოდავე მხარეებს ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა საკუთარი და მეორე მხარის ინტერესებზე და მიზნებზე.

მედიაცია წარმოადგენს მოლაპარაკების ერთგვარ ფორმას, რა დროსაც თითოეულ მხარეს უნდა ჰქონდეს ნათელი და სრული პოზიცია ჩამოყალიბებული საკუთარ მიზნებზე და მის საფუძვლებზე, ისევე როგორც უნდა შეიქმნას საკუთარი ხედვა მეორე მხარის მიზნებსა

536. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 104.

და გეგმებზე; ამის შემგომ შეძლებს თითოეული მხარე დაასკვნას, თუ რას შეიძლება მეორე მხარე ფიქრობდეს მათ დასახულ გეგმებზე, რის მიღწევასაც ცდილობენ მედიაციაში[537].

მნიშვნელოვანია, რათა მედიაციის მსვლელობისას მხარეებმა მოახდინონ საკუთარი ინტერესების შესახებ მედიატორის სისტემატიური ინფორმირება, რადგან პროცესის მანძილზე, იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლება მხარეების პოზიციები, ავტომატურად ტრანსფორმირდება მათი ინტერესები და მიზნები[538], რის შესახებ მედიატორი მხარეებმა საქმის კურსში უნდა ამყოფონ, რათა მედიატორმა შეძლოს შესაბამისი და ადექვატური საჭიროებებით პროცესის დაგეგმარება[539]. ხშირია როდესაც მხარეები მედიაციას ერთი კონკრეტული გაჟღერებული ინტერესით იწყებენ და მათ შორის აღნიშნულ პოზიციას უფიქსირებენ მედიატორს, თუმცა ამ უკანასკნელს ის ფუნქციაც გააჩნია, გაერკვეს იმაში თუ რამდენად არის მხარის მიერ დემონსტრირებული ღია ინტერესი მხარის რეალური ინტერესი, უფრო მეტიც მედიატორზეა დამოკიდებული თუ რამდენად შეძლებს მხარის ნდობის მოპოვებას, რათა დავის მონაწილე მხარე/მხარეები თავად გაენდნონ მედიატორს და ამცნონ დავის შეთანხმებით დასრულების კონკრეტული ხედვა მხარის გადმოსახედიდან[540].

ამ ყოველივეს მხარის წარმომადგენელი უნდა აანალიზებდეს და მათ შორის პროცესის კოორდინაციას ანხორციელებდეს, რათა შესაფერისი დრო და მომენტი იქნეს შერჩეული, რათა მხარის რეალუ-

537. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 72, 73.

538. აღნიშნულს როგორც წესი მედიატორი უნდა აკონტროლებდეს; ხშირია როდესაც ამა თუ იმ სიახლის ან პოზიციის დაფიქსირების შემდგომ მედიატორი ეკითხება მეორე მხარეს: „რას ფიქრობთ, რადმენად შეიძლება ამან იმოქმედოს თქვენს პოზიციაზე?" „როგორი იქნება თქვენი მიდგომა აღნიშნულისადმი?", რაც ავტომატურად აძლევს მედიატორს საშუალებას აკონტროლოს მხარის პოზიცია და მუდმივად იცოდეს თუ რას წარმოადგენს მხარის ინტერესი და მიზნები მედიაციაში.
მნიშვნელოვანია, რათა მედიატორს არ გამორჩეს პროცესის მსვლელობისას განვითარებული მოვლენები, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს მხარის პოზიციის ჩამოყალიბებაზე.

539. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 73.

540. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 86.

რი ინტერესი დააფიქსიროს მხარემ მედიატორის წინაშე, ამ კუთხით მხარე მედიაციის სხვადასხვა ეტაპებს უნდა სწორედ იყენებდეს, რა დროსაც თავად მხარეს ეძლევა საშუალება გამოიკვლიოს მეორე მხარის რეალური ინტერესები, ხოლო მედიატორს კი ორივე მხარის ინტერესის დადგენაში ეხმარება; მედიაცია ხომ ინტერესებზე მორგებული მოლაპარაკების წარმოების პროცესია.

4.4. მოლაპარაკების პროცესი მედიაციაში

როგორც ზემოთ აღინიშნა მედიაცია მხარეთა ინტერესებზე ორიენტირებულ მოლაპარაკებას წარმოადგენს და შესაბამისად ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა მედიატორს გააჩნდეს ერთი მხრივ, კარგი ცოდნა მოლაპარაკებების წარმოების ხელოვნების შესახებ და მეორე მხრივ, პრაქტიკული გამოცდილება და უნარები მოლაპარაკების წარმოების, ისევე როგორც თავად მხარეებს, თუმცა როდესაც მხარეზეა საუბარი დოქტრინისეულად, ძირითად შემთხვევებში, მათ წარმომადგენელზე კეთდება აქცენტი[541].

მედიაციის მიზნებისათვის მხარეებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ თითქმის გამორიცხულია შემთხვევები, როდესაც პროცესის ინიცირების სტადიაზე ორივე მხარე იმ პირობით მოდიოდეს მოლაპარაკებათა მაგიდასთან, რაც შეთანხმების ტოლფასი იქნებოდა[542], მაშინ არც მედიატორის საჭიროება დადგებოდა დღის წესრიგში, არამედ სახეზე არის მოცემულობა, როდესაც ორივე მხარეს აქვს ინტერესი დავის შეთანხმებით დასრულებისა, რაშიც ესაჭიროება მესამე ნეიტრალური მხარის - მედიატორის ჩართულობით, ორი - დასაწყისში დაშორებული პოზიციის დაახლოება, რის საშუალებას იძლევა კიდეც მედიაციის პროცესი, თუმცა იმ დათქმით, რომ ყველა მხარეს, მედიატორის ჩათვლით, გააზრებული აქვს და ესმის ის როლი და ფუნქცია, რაც ამ პროცესში მათ აკისრიათ.

მედიაციაში შეთანხმების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია, რათა

541. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 88.
542. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, New York, 2015, 89.

მოლაპარაკების პროცესში ორივე მხარე იყოს ჩართული, ორიენტირებული იყვნენ არსებული კონფლიქტის ამოწურვაზე და ამ ყვალაფერს თავისთავად უნდა ხელმძღვანელობდეს მედიატორი, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მხარეთა მოლაპარაკებათა პროცესით დაინტერესებას, რა დროსაც შეთანხმების შესახებ და მის შინაარსთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მხარეები იღებენ.

4.5. შეთანხმება და მისი აღსრულება

როგორც წესი ინდივიდუალური შეხვედრების ბოლოს, რამაც შესაძლოა საკმაო დრო წაიღოს, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ძირითადი პირობების შესახებ მხარეების მუშაობა და შეჯერება პოზიციების, მედიატორი ახდენს მხარეებთან შემაჯამებელი შეხვედრის გამართვას[543], რა დროსაც მედიატორი იმის და მიხედვით თუ რა შედეგი აქვთ მხარეებს პროცესის დასასრულს აჯამებს პროცესს, ან დამატებით დროს აძლევს მხარეებს შეთანხმებისთვის, თუ ამის საჭიროება დგას და მხარეების მხრიდან ფიქსირდება ასეთი ნება, ან წყვეტს[544] მედიაციის პროცესს, თუ გაგრძელების პერსპექტივას ვერცერთი მხარე ვერ ხედავს, რა დროსაც რაიმე დასაბუთებული გადაწყვეტილების დაწერის ვალდებულება მედიატორს არ აკისრია[545], ან საუკეთესო შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება ავალებს მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, როგორც წესი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეადგინონ შეთანხმების პროექტი, რომელსაც დამატებით ორივე მხარე გაეცნობა და მოაწერენ ხელს. მნიშვნელოვანია, რათა მხარეებმა შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში ყველა საკითხი გაწერონ, რათა სრულად აღმოიფხვრას მათ შორის კონფლიქტი და არ დარჩეს რაიმე გაურკვეველი, რომ გამოირიცხოს შემდგომში რაიმე სახის დამატებითი კონფლიქტის

543. *Buhring-Uhle G, Kirchhoff L., Scherer G.,* Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 183.
544. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 14.
545. *Lambert L.*, in Klowait Jurgen, Gläβer Ulla, MediationsGesetz, Handkommentar, Nomos Kommentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 331.

წარმოშობა[546]; მედიატორი უნდა დარწმუნდეს, რომ ორივე მხარეს ნათლად ესმის თუ რაზე თანხმდება და გააზრებული აქვს შეთანხმების შემდგომი შედეგები და მნიშვნელობა[547]. მნიშვნელოვანია, რათა შეთანხმება პასუხობდეს სამართლიანობის სტანდარტს[548], რათა მედიაციისადმი ნდობა და ინტერესი არ შენელდეს მის მომხმარებლებში, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მიღწეული შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა უშუალო გადაწყვეტილებას[549].

სხვა ეტაპებისგან განსხვავებით[550] ამ სტადიაზე ყველაზე მეტად საჭირო არის კვალიფიციური იურისტის წარმომადგენლობა, რადგან რეალურად დგება მხარეებს შორის შეთანხმება, რომელიც ერთი მხრივ, რა თქმა უნდა მხარეთა ნებას გამოხატავს, თუმცა მეორე მხრივ, ის უნდა მოექცეს სამართლებრივ რეგულირებაში, რათა მათ შორის შედგეს როგორც აღსრულებადი აქტი სამართლებრივი პერსპექტივიდან და მათ შორის შესაძლებელი იყოს მისი სასამართლოს მხრიდან დამტკიცება[551], ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მედიატორი სამართლებრივი კუთხით რაიმე რჩევას მხარეებს ვერ და არ აძლევს და არც საბოლოო შეთანხმების ტექსტის სამართლებრივი რევიზირება შედის მედიატორის უფლებამოსილებებში, ამ სტადიაზე ორმაგად მნიშვნელოვანია მხარეებს ჰყავდეთ იურისტი წარმომადგენელი, რომელიც ან დაწერს სამართლებრივად გამართულ შეთანხმებას, ან მინიმუმ მოახდენს მხარეების მიერ გაწერილი შეთანხმების სამართლებრივ ჭრილში რევიზიას. მედიაციის შეთანხმებას მედიატორი როგორც წესი, არ აწერს ხელს[552], არამედ ადგენს

546. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 301.
547. *Greger R.,Unberath H.,Steffek F.*,Recht der alternativen Konfliktlősung, 2.Auflage, C.H.BECK, Műnchen, 2016, 122.
548. *ჩიტაშვილი ნ.,* სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, წელიწდეული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 13.
549. *Oldenbruch H.*, Die Vertraulichkeit im Mediationsverfahren, Wissenschaftlicher Verlag Berlin / WVB, 2006, 6.
550. *Von Bargen J.M.*, Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck, 2008, 46.
551. *Niedostadek A.*, (Hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 44.
552. *Hopt J.K., Steffek F.*, Mediation Principles and Regulations in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 44.

ანგარიშს[553] ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში[554] (მაგ: ავსტრია[555], საფრანგეთი[556], გერმანია[557]- ოქმის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში), რაც ძირითად შემთხვევებში გვხვდება სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაციის ფორმების დროს[558].

მედიატორის მხრიდან საბოლოო შეთანხმებაზე ხელისმოწერა (აღნიშნულში არ იგულისხმება კერძო მედიაციის პროცესის მიზნებისთვის შემდგარი საედიაციო მორიგება), როგორც წესი იშვიათ[559] შემთხვევებში ხდება[560], დამოკიდებულია ამა თუ იმ იურისდიქციით გათვალისწინებულ საკანონმდებლო სტანდარტზე.

მედიაციისთვის მახასიათებელი და მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც მხარეები ბოლომდე დაიხარჯნენ პროცესში და ერთგვარად შეჯერებულები არიან შეთანხმებასა და მის პირობებზე, მედიატორმა მოახდინოს პროცესის იმ ფორმით გაგრძელება, რათა მხარეებმა რეალურად მოაწერონ ხელი[561] მედიაციის შეთანხმებას იმ დღესვე, რა თქმა უნდა, დამატებით პირობების გაანალიზებით და შეფასებით,

553. *De Palo G., Keller L.,* Mediation in Italy, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 676.
554. *Spencer D*., Principles of Dispute Resolution, 2nd Edition, Thomson Reuters, 2016, 78. [რიგ ქვეყნებში და იურისდიქციაში შეიძლება იყოს დადგენილი მედიატორის ვალდებულებად, რათა მან შეადგინოს პროცესის დასრულების შემდგომ ოქმი, რაც მიეწოდება სასამართლოს, რომელიც არ არის დეტალური არამედ უთითებდეს მიზეზებზე იმისა თუ რა გახდა შეუთანხმებლობის შემთხვევაში გადამწყვეტი საკითხი]
555. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 69.
(ავსტრიაში მედიატორის კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს მედიაციის დასრულების შემდგომ 7 წლის მანძილზე შეინახოს მედიაციის პროცესში შედგენილი წარმოების ოქმები)
556. *Deckert K.,* Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 485.
557. *Tochtermann P., Mediation in Germany,* in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 556.
558. *Partridge M.V.B.,* Alternative Dispute Resplution, Oxford University Press, Oxford, 2009, 92.
559. *Jessel-Holst C.,* Mediation in Hungary, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 613.
560. *Lopez M.L.V*., Mediation in Spain, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 848.
561. *Waring M.,* Commercial Dispute Resolution, CLP Legal Practice Guides/College of Law Publishing, 2016, 160.

რათა არ მოხდეს პროცესის სხვა დროისთვის გადადება, რადგან ალბათობა მაღალია იმისა, რომ მოხდება რომელიმე მხარის მხრიდან აზრის ცვლილება ან ისეთი დამატებითი პირობის ინიცირება, რაც გამოიწვევს პროცესის გახანგრძლივებას, შესაძლებელია ჩაშლას. მედიაციის მთავარი და ცენტრალური საკითხია, რომ მედიატორი უწყვეტად უნდა ახდენდეს მხარეების ინტერესების სისტემატიურ ანალიზს, რადგან სწორედ მხარეთა ინტერესები წარმოადგენს საშუალებას შეთანხმების მიღწევის მედიაციაში[562].

ევროპული დირექტივა მედიაციის შესახებ[563] ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, რათა მათ საკუთარ კანონმდებლობაში უზრუნველყონ წერილობით შედგენილი მედიაციის შეთანხმების აღსრულების შესაძლებლობა, თუმცა დაზუსტებული არ არის ეს უნდა ხდებოდეს ცალსახად სასამართლოს თუ სხვა კომპეტენტური რგოლის მიერ[564]. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ევროპული დირექტივის მიხედვით უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტანდარტი, რომ მედიაცია არ უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც „სუსტი“ ალტერნატივა[565] სამართლებრივ სამართალწარმოებასთან შედარებით, აღსრულების კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული დირექტივის მიღებამ განაპირობა მრავალ ევროპულ ქვეყანაში მედიაციაში მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმის კუთხით ეფექტური რეფორმის განხორციელება[566].

ამ კუთხით ნიშანდობლივია შემდეგი, რომ რიგ ქვეყნებში აღსრულების საკითხი რეგულირებულია სასამართლოს ფორმატში, კერძოდ, მოსამართლის მიერ ხდება სამედიაციო შეთანხმების საბოლოო დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში საქმეზე სააღ-

562. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 39.
563. Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation
in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, ob.:
<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>, [15.05.2018]
564. *Esplugues C.,* Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 10.
565. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 48.
566. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 47.

სრულებო ფურცლის გაცემა (ისევე როგორც რიგ შემთხვევაში შესაძლებელია შეთანხმების სანოტარო აღსრულების გამოყენებით უზრუნველყოფა), ანუ სასამართლოს მიერ დამტკიცებული მედიაციის შეთანხმება, როგორც წესი უზრუნველყოფილია სასამართლოს აღსრულების პროცედურებით[567]. მედიაციის პროცესში მიღწეული შეთანხმება მხარეთა მონაპოვარია და პასუხისმგებლები არიან ერთმანეთის მიმართ მის ნებაყოფლობით[568] აღსრულებაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეხედულებით შეუძლიათ მიმართონ შეთანხმების დადასტურების ფორმას სასამართლოს მეშვეობით[569].

თუმცა შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ეს ფორმა სრულად არ აკმაყოფილებს დირექტივის მოთხოვნას[570], რადგან ეს ფორმები ითხოვს მხარისგან ან დამატებით შეთანხმების გაფორმებას, ან სასამართლოში სარჩელის შეტანას, მაშინ როდესაც დირექტივა წევრ ქვეყნებს ავალდებულებს უზრუნველყონ ისეთი მექანიზმი, ისეთი პროცედურა, რომელიც მხარეებს აძლევს საშუალებას ორივეს თანხმობის შეთხვევაში შეთანხმება იყოს აღსრულებადი[571].

მედიაციაში მიღწეული შეთანხმება არის ჩვეულებრივი ხელშეკრულება მხარეებს შორის, რომელიც მიღწეულია უშუალოდ მხარეების ხელით და მათი მონაწილეობით, ეს არ არის გარეშე მესამე პირის მიერ მიღებული რაიმე გადაწყვეტილება, რომელსაც სავალდებულო ხასიათი აქვს, უფრო მეტიც მედიაციაში მიღწეული შეთანხმება ის ნებაყოფლობითი აქტია, რომელსაც უფრო მეტი პერსპექტივა უნდა გააჩნდეს აღსრულების, ვიდრე ნებისმიერი სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებას, რადგან მისი ნებაყოფლობითი აღსრულება წარმოადგენს მხარეების ნებას და ინტერესს, რადგან მათ თავად ამ ფორმის შეთანხმებას მიაღწიეს, რაც ივარაუდება რომ უნდა ნება-

567. ICLG – The International Comparative Legal Guide to: Litigation & Dispute Resolution, Global Legal Group, 6th edition, 2013, 21.
568. *Esplugues C., Barona S.,* Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014, 48.
569. *Shamir Y., Kutner R.,* Alternative Dispute Resolution Approaches and Their Application., Unesco 2003, 30 (ვებ გვერდიდან: <http://www.academia.edu/download/37348802/alternative_dispute_resolution_approaches.pdf)>. [15.05.2018]
570. *Esplugues C.,* Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 10.
571. Frauenberger-Pfeiler in Fucik/Konecny/Lovrek/Oberhammer (eds) 2010, 242.

ყოფლობით აღასრულონ კიდეც. მხარეები სწორედ იმიტომ ეთანხმებიან იმ შეთანხმებას, რასაც აწერენ ხელს რომ ის პირობები მათთვის მისაღებია, შესაბამისად, რა თქმა უნდა მედიაციაში მიღწეული შეთანხმების აღსრულებისადმი ნაკლები უნდა იყოს პრობლემა.

ეს მახასიათებელი ნიშანი მედიაციაში მიღწეულ შეთანხმებას უპირატესობად[572] უნდა ჩავუთვალოთ, ვიდრე თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილებასთან შედარებით, რომელი გადაწყვეტილებისადმი როგორც წესი ორივე მხარე არ არის კეთილგანწყობით გამსჭვალული.

აღსანიშნავია, რომ მეორე მხრივ, ყველა ქვეყნის იურისდიქციას აქვს ინტერესი მედიაციაში მიღწეული შეთანხმება შედგეს როგორც აღსრულებადი აქტი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაციამ, როგორც პროცესმა დავის გადაწყვეტისა შეიძლება ბუტაფორიული და არაპრაქტიკული მექანიზმის სახე მიიღოს, შესაბამისად მათ შორის ევროდირექტივაში რაიმე სახის პირდაპირი გაწერილი წესი არ არის მოცემული, თუმცა ცალსახაა მითითება იმაზე, რომ საჭიროა წევრმა ქვეყებმა შექმნან მიღწეული შეთანხმების აღსრულების წინაპირობები[573].

ისეთ იურისდიქციებში სადაც მედიაცია წარმოადგენს სასამართლოს ფორმატში წარმოებულ პროცესს, უზრუნველყოფილია მისი როგორც სასამართლოს აქტის სახით აღსრულების შესაძლებლობა[574].

აღნიშნულზე მათ შორის საუბარია მედიაციის შესახებ მიღებულ ევროდირექტივაში[575], რომელიც წევრ სახელმწიფოებს ავალებს, რათა შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოფილ იქნეს მედიაციის შე-

572. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 45.

573. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1165.

574. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 326.

575. *Bolten Kerim.,* Dispute Resolution Mechanisms in Merger and Acquisition Transactions, Legal, 2016, 55.

თანხმების აღსრულების პროცედურა[576] სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ, რა დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მედიაციაში მიღწეული შეთანხმების კანონიერებას, რათა ის პასუხობდეს ქვეყანაში მოქმედი საჯარო წესრიგის და კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ იყოს უკანონო აქტი[577] და არ ეწინააღმდეგებოდეს კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს[578].

4.5.1. სამედიაციო მორიგების აღსრულების წესი ქართულ კანონმდებლობაში

სამედიაციო მორიგების აღსრულების პროცესი, ისევე როგორც თავად მედიაცია, აბსოლიტურად ნებაყოფილობითია მოქმედი ქართული კანონმდებლობის თანახმად, კერძოდ, მორიგების მიღწევის შემთხვევაში უშუალოდ მხარეების ნების და საჭიროების საკითხია რამდენად მოახდენენ მიღწეული მორიგების აღსრულებად აქტად ქცევას და ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებულია შესაბამისი პროცედურები, რაც მათ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანს.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მხარეთა შეთანხმებით, სამედიაციო მორიგება შეიძლება სასამართლომ აღასრულოს[579]. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის აღნიშნულ დანაწესში, სადაც საუბარია „სამედიაციო მორიგებაზე“, რა თქმა უნდა, მოიაზრება როგორც სასამართლო მედიაციის ფორმატში, ასევე კერძო მე-

576. Mediation Directive 2008/52/EC, Article 6: წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ორივე მხარისთვის, ან ერთ-ერთი მხარისთვის, მეორე მხარის თანხმობით, რათა მედაიციაში მიღწერული წერილობითი შეთანხმება იქნეს აღსრულებადი აქტი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შეთანხმება ეწინააღმდეგება წევრი ქვეყნის კანონმდებლობას ან კანონმდებლობა არ იცნობს შეთანხმებაში გაწერილი შინაარსის აღსრულების შესაძლებლობას.

577. *ჩიტაშვილი ნ.,* სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, წელიწდეული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 17.

578. *Esplugues C., Louis M.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Global Comparative Perspectives, Ius Comparatum, Springer International Publishing Switzerland, 2015, 286.

579. იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13.1

დიაციის პროცესში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობა, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიღწეული მორიგების მხარეები გამოავლენენ შესაბამის ნებას და დააინიცირებენ (ერთ-ერთი ან ორივე მხარე[580]) კანონმდებლობით გათვალისწინებულ აღსრულების პროცედურას.

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის სტანდარტით მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაბამის პროცედურებს, კერძოდ:

- სასამართლო მედიაციის ფარგლებში მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში, რა დროსაც წყდება მიმდინარე სასამართლო საქმისწარმოება მხარეებს შორის ძირითად სასარჩელო მოთხოვნებზე[581], მიღწეული მორიგების მხარეები ან ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს იმავე სასამართლოს;
- კერძო მედიაციის ფარგლებში მიღწეული სამედიაციო მორიგების შემთხვევაში მიღწეული მორიგების მხარეები ან ერთ-ერთი მხარე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს საკუთარი საცხოვრებლის ან იურიდიული მისამართის შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

ორივე შემთხვევაში მხარეების მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს სამედიაციო მორიგების აღსრულება და სასამართლოს უნდა წარედგინოს მიღწეული სამედიაციო მორიგების დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი, ხოლო კერძო მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აქტის აღსრულების მოთხოვნის შემთხვევაში დამატებით უნდა წარედგინოს მედიაციის თაობაზე შეთანხმება[582], რა დროსაც სასამართლოს აქვს შესაძლებლობა, როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე (განცხადების მიღებიდან 10 დღეში), ასევე მხარეთა მონაწილეობით ზეპირი მოსმენის ფორმატში (განცხადების მიღებიდან 30 დღეში) განიხილოს აღსრულების საკითხი და წარდგენილი სამედიაციო მორიგების აქტი შეაფასოს კანონთან, საჯარო წესრიგთან შესაბამისობის

580. იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13.2
581. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", მუხლი 272 – $д^1$
582. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", მუხლი 363^{31}

და შეთანხმებული პირობების აღსრულებაუნარიანობის კუთხით, რის შედეგად სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს განჩინება საკითხის დაკმაყოფილების ან აღსრულებაზე უარის თქმის თაობაზე, რაც ექვემდებარება ერთჯერად გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში კერძო საჩივრის ფორმით, ხოლო აღსრულების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო იღებს რა საქართველოს სახელით განჩინებას, დასტურდება მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების შინაარსი და სასამართლო გასცემს საქმეზე სააღსრულებო ფურცელს[583].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღსრულების მოთხოვნით შემდგარი სასამართლო სხდომა წარმოადგენს იმ ტიპის სასამართლო განხილვას, რაც მსგავსია სასამართლოს მხრიდან მის წინაშე მხარეთა მხრიდან წარდგენილი მორიგების აქტის დამტკიცების პროცესისა, რაც არ წარმოადგენს მედიაციის პროცესის რაიმე ეტაპს ან ფაზას და მხარეები მოქმედებენ საპროცესო კანონმდებლობით მათთვის გარანტირებული საპროცესო უფლება-მოვალეობებით სრულად (კერძოდ, დააზუსტონ მორიგების პირობები, შეცვალონ, და აშ).

4.6. მედიაციის პროცედურული წესები და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმები

4.6.1. საერთო და ინდივიდუალური შეხვედრების მნიშვნელობა მედიაციის პროცესში

პირველი ერთბლივი შეხვედისა და ახსნა-განმარტებების დასრულების შემდგომ მედიატორი ორივე მხარეს ცალ-ცალკე[584] მათთვის გამოყოფილ ფართში ანთავსებს და იწყებს მხარეებთან ინდივიდუალური[585] (ე.წ. *caucus* / *Einzelgespräche*) შეხვედრის სესიას[586], რა დროსაც მედიატორს და მხარეებს ეძლევათ საშუალება უფრო დეტალურად, მათთვის კომფორტულ კონფიდენციალურ გარემოში მედიატორის პირისპირ შეეხონ დავის არსს, მის გამომწვევ

583. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, მუხლი 363[33]
584. *Cooley W.J*, Mediation Advocacy, 2nd Ed, NITA, Notre Dame, 2002, 140, 149.
585. *Längsfeld A*., Anwaltspflichten und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2015,144.
586. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 96.

მიზეზებს და მხარის ინტერესებს, რომლის გარშემოც ის მზად არის მიაღწიოს შეთანხმებას.

ინდივიდუალური შეხვედრის სესია ძაან მნიშვნელოვანი და სასარგებლო[587] ეტაპია მედიაციაში, რადგან სწორედ ამ სტადიაზე ხდება მხარეთა მხრიდან ნათელი სურათის ჩამოყალიბება იმის შესახებ თუ რა მოტივები ამოძრავებთ და რისი მიღწევა სურთ; მნიშვნელოვანია მედიატორის მიერ მისი უნარების გამოყენებით მხარეს მიეცეს საშუალება კარგად დაინახოს მისი რეალური პოზიციები[588]. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში ხშირია, როდესაც პირველი ერთობლივი შეხვედრა მხარეთა მიერ არჩეული ტაქტიკის შედეგად მხოლოდ ფორმალურია და არ ავლენენ რეალურ მზაობას კონკრეტულ შეთანხმების პირობებით დავის დასრულებაზე, ინდივიდუალურ სესიაზე მედიატორს ეძლევა საშუალება გაარკვიოს რეალური სურათი მხარის მოლოდინების და ინტერესების შესახებ. ამ ეტაპზე მედიატორი მხარეებს ალაპარაკებს მათი გადმოსახედიდან იმ ალტერნატივებზე[589] რაც შესაძლებელია განხილულ იქნეს დავის შეთანხმებით დასრულების მიზნით, ცდილობს მხარეებს შეუქმნას სრული თავისუფლება პოზიციების ჩამოყალიბებისა[590] და შეფასებისთვის, რათა თითოეულ მოდავე მხარეს ზუსტად ესმოდეს თუ რა პირობებზე არიან მზად წავიდნენ შეთანმებაზე.

მსგავსი ინდივიდუალური შეხვედრა მედიაციის პროცესის მსვლელობისას შესაძლებელია რამდენჯერმე გაიმართოს მედიატორსა და მხარეს შორის, რა დროსაც მედიატორი ერთი მხრივ, ისმენს მხარის მოსაზრებებს და ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ, უზიარებს მეორე მხარის მოსაზრებებს და შეთავაზებას მორიგების პირობის შესახებ და ერთობლივად მსჯელობენ პოზიციის მიზანშეწონილებაზე მხარის ინტერესებიდან

587. *Kolodej C.*, Settingtechniken und Prozessgestaltung bei (hoch)eskalierten Konflikten, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561,13.

588. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 182.

589. *Trams K.,* Die Mediationsvereinbarung-eine vertragsrechtliche Analyze, Tectum Verlag, 2008, 21.

590. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 296, 297.

გამომდიანარე. დოქტრინისეულად არ არის გაწერილი თუ რომელ მხარეს უნდა ან შეიძლება შეხვდეს მედიატორი პირველად[591], თუმცა ამას პრაქტიკაში თავად მედიატორი წყვეტს და ათანხმებს ორივე მხარესთან, რათა მათ ჰქონდეს ერთი მხრივ, სწორი ინფორმაცია და მეორე მხრივ, არ დაკარგონ ნდობა მედიატორის მიმართ ან არ ჩათვალონ ის მიკერძოებულად ამა თუ იმ მხარის შერჩევის შემთხვევაში პირველი ინდივიდუალური სესიის მიზნებისათვის. ხშირია შემთხვევა, როდესაც პრაქტიკაში მედიატორი პირველ სესიას მასთან მართავს, ვინც პირველ ერთობლივ გაცნობით შეხვედრაზე გააკეთა ახსნა-განმარტებითი სიტყვა, რითაც ტაქტიკურად გამოირიცხება შერჩევითობის განცდა მხარეებში. თუმცა, ამ კუთხით მედიატორმა უნდა იხელმძღვანელოს პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც საქმის მსვლელობისას ფიქსირდება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მხარეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა დროს გასტანს ინდივიდუალური შეხვედრა და რა თემათიკას შეეხება ის.

ინდივიდუალური შეხვედრის წარმოებისას მედიატორს რიგ შემთხვევაში მოუწევს მხარეებისთვის იმის შეხსენება, რომ მხარეებმა თავად უნდა შეთავაზონ ერთმანეთს დავის შეთანხმებით დასრულების პირობები და რომ მედიაციაში მათი ნების შესაბამისად მოვიდნენ, რადგან ხშირი შეიძლება იყოს შემთხვევა, როდესაც მხარე ვერ ან არ ერთვება მედიაციაში მისი პირველადი დანიშნულებით და აქვს შთაბეჭდილება, რომ მის სამართლებრივ პოზიციას ალტერნატივა არ აქვს სასამართლოში[592], რა დროსაც უწევს მედიატორს იმ შესაძლო რისკებისთვის ხაზგასმა, რაც სასამართლო საქმისწარმოებას სდევს თან, რის პარალელურად ახდენს მედიაციის უპირატესობების წინა პლანზე წამოწევას. რეალურად ამ ყველაფრის თავიდან არიდების წინაპირობა, ხშირ შემთვევაში მხარეების ადვოკატით წარმომადგენლობა წარმოადგენს.

ინდივიდუალური შეხვედრების განმავლობაში რეალურად ყალიბდება მხარის პოზიცია და შეთავაზებები დავის შეთანხმებით დასრულების შესახებ, ისევე როგორც ანალიზი საკუთარი და მეორე მხა-

591. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 96.
592. იქვე, 96.

რის შეთავაზებების მიზანშეწონილობისა, რაშიც მედიატორი ინტენსიურად არის ჩართული და მხარეს სრულ შესაძლებლობას ანიჭებს იმსჯელოს და შეაფასოს დავის შეთანხმებით დასრულების ყველა შესაძლო ვარიანტი[593].

ამ სტადიის ნაწილია მხარეების მიერ რეალური წინადადებების შემუშავება და მათ პერსპექტივაზე ფიქრი, რაშიც მედიატორი უნდა დაეხმაროთ მხარეებს, როცა ყოველგვარი შეფასებების გარეშე პირველადად მედიატორის დახმარებით მხარე ახდენს მისი მხრიდან შემუშავებული და მეორე მხარის მიერ შემოთავაზებული მორიგების პირობების გენერირებას[594], რის შემდგომ გარკვეული დრო მხარე და მისი წარმომადგენელი, რიგ შემთხვევაში მედიატორის დასწრებით აფასებენ და აკეთებენ არჩევანს თუ რომელი პირობა იქნებოდა მათი ინტერესებისთვის ყველაზე მისაღები გამოსავალი. როგორც წესი, აღნიშნული ეტაპი ყველაზე შრომატევადია, რა დროსაც პარალელურ რეჟიმში მედიატორის გამოყენებით მხარე მეორე მხარესთან ახდენს პირობების შევაჭრებას და შესაბამისად აანალიზებს თავისი პოზიციების პერსპექტივას[595], ისევე როგორც საჭიროების შემთხვევაში მედიატორს შეუძლია ინდივიდუალური შეხვედრა გადაიყვანოს ერთობლივ შეხვედრაში[596] ორივე მხარის მონაწილეობით, კონკრეტული საკითხის ერთად შეფასების მიზნით და შემდგომ დაუბრუნდეს ინდივიდუალური შეხვედრის სესიას.

მნიშვნელოვანია რომ ამ დროს მხარეებმა შეძლონ და ყველა იმ შესაძლო ოფციაზე იფიქრონ, შეიმუშაონ და გაცვალონ შეთავაზებები[597], რაც შესაძლოა მათ ინტერესებს შეეფერებოდეს და ჰქონდეთ მზაობა შეთანხმებას მიაღწიონ. სწორედ ასეთი სამუშაო პროცესის შექმნა, დროულად და სწორი დანიშნულებით მხარეების ინდივიდუალური

593. იქვე, 97.
594. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 182.
595. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 182.
596. იქვე, 185.
597. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 299.

და ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება, წარმოადგენს მედიატორის ფუნქციას, თუმცა ამ პროცესში ყველას თავისი როლი და დატვირთვა გააჩნია, რის სწორად შესრულების გარეშე მედიაცია მხარეებს შედეგს ვერ მოუტანს.

4.7. ალტერნატივების შეუზღუდავობა

მედიაციის პროცესს ახასიათებს ალტერნატივების შეუზღუდაობა[598], რაც გულისხმობს პროცესში ჩართული მხარეთა მხრიდან შეთანხმების მიზნით სხვადახვა შესაძლო პირობის გაცვლას და შეთავაზებას ერთმანეთისათვის, რაც რეალურად იძლევა საშუალებას დავა სრულად იქნეს ამოწურული და დარეგულირდეს მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი საკთხი მათი ნების შესაბამისად.

აღნიშნული პრინციპი მეტად მნიშვნელოვანია და რეალურად ასახავს თავის თავში მედიაციის ხიბლს და არსს, რადგან სასამართლოსგან და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებებისგან განსხვავებით მედიაცია აძლევს კონფლიქტში მყოფ მხარეებს შესაძლებლობას, დავის რეალურად და სრულყოფილად ამოწურვის და შეთანხმების მიღწევის კუთხით, ერთდროულად იმუშაონ გადაწყვეტილების რამდენიმე ვერსიაზე, ისევე როგორც კონკრეტული პირობის შეუთანხმებლობის შემთხვევაში სინჯონ სხვა ალტერნატივები და ეცადონ მათზე შეთანხმების მიღწევა, რაც რეალური ფუფუნებაა მხარეებისთვის, რომელთაც აქვთ ინტერესი კონფლიქტის შეთანხმებით დასრულების.

აღნიშნული პრინციპის რეალური მნიშვნელობის გათვალისწინებით მხარეები არ არიან შეზღუდული რაიმე სახის პროცესუალური დოკუმენტის შინაარსით ან სტადიით, ნებისმიერ დროს მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოახდინონ სიტუაციის შესაბამისობა საჭიროებებთან, რა დროსაც მხარეთა შემოქმედებით მიდგომას გამოსავლის ძიებისადმი დამატებითი მნიშვნელობა ენიჭება[599].

მედიაცია აძლევს კონფლიქტში ჩართულ მხარეებს იმის შესაძ-

598. *Kerim B.,* Dispute Resolution Mechanisms in Merger and Acquisition Transactions., Legal, 2016, 73.

599. *Brand J., Steadman F., Todd C.,* Commercial Mediation, Second Ed., JUTA, Cape Town, 2016, 29.

ლებლობას კარგად გაიაზრონ თუ რა წარმოადგენს მათთვის შეთანხმების მიღწევის რეალუდ წინაპირობას, ისევე როგორც გაცვალონ მხარეებმა ერთმანეთს შორის შეთანხმების მიღწევის რამდენიმე ალტერნატივა, რათა შემოწმდეს ერთმანეთს შორის თუ რა არის ის რეალური და იდეალური პირობა შეთანხმებისა, რომელზე შეთანხმებაც გახდება არსებული კონფლიქტის დროული, ეფექტური და სრულყოფილი ამოწურვის წინაპირობა[600].

ალტერნატივების შეუზღუდაობის პრინციპი აძლევს მხარეებს რეალურ საშუალებას ამოწურონ ყველა შესაძლებლობა კონფლიქტის შეთანხმებით დასრულების, რაც მეტად მომგებიანი პროცესია, რადგან პრაქტიკაში ხშირია, როდესაც მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის მიზნით პირველადად გაცვლილი პირობა შეიძლება არ იყოს მისაღები ორივე მოდავე მხარისთვის, მაშინ როდესაც ამ პირობის ტრანსფორმირების შემთხვევაში რეალური ხდება შეთანხმების მიღწევა.

შესაბამისად, ალტერნატივების შეუზღუდაობა წარმოადგენს ერთგვარ უპირატესობას და დადებით მხარეს მედიაციის, რაც მას ერთი მხრივ, განასხვავებს სასამართლოს და დავის გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებებისგან და მეორე მხრივ, კიდევ უფრო მიმზიდველს და გამოყენებადს ქმნის თავად მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმს.

4.8. პროცესის მოქნილობა და არაფორმალური გარემო

მედიაციას ახასიათებს არაფორმალური[601] გარემო, რაც კონფლიქტის მხარეებს მეტად უშუალოს ხდის და მათ ეხსენებათ ის დაძაბულობა, რაც ფორმალურ პროცესს, სასამართლო დარბაზში მიმდინარე მოვლენებს ახასიათებს. დავის გადაწყვეტის აღნიშნულ ალტერნატიულ საშუალებაში რაიმე სახის გაწერილ პროცესუალურ

600. *Duve C., Eidenmüller H., Hacke A.,* Mediation in der Wirtschaft, Verlag Otto Schmidt, Köln, 2011, 235, 236.

601. *Brand J., Steadman B.J., Todd F.,* Commercial Mediation, JUTA, 2nd Ed, Cape Town, 2016, 25.

ნორმებს მხარეები არ ემორჩილებიან[602].

არაფორმალური გარემო განაპირობებს კონფლიქტში მყოფი მხარეების პროცესში უფრო აქტიურად ჩართულობას, მათთვის როგორც წესი არ არის რაიმე დამაბრკოლებელი ან უცხო, რაც ხშირია სასამართლო დარბაზებში საქმისწარმოების სტადიაზე, როდესაც დავის მხარეებს აქვთ ერთგვარი შემაკავებელი კომპლექსი მანტიაში წარმოდგენილი მოსამართლის წინაშე და სასამართლო დარბაზის მიმართ ერთგვარი რიდი, მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შესაძლოა პირველად უწევდეთ სასამართლოსთან შემხებლობა და ელემენტარულად არ იცოდნენ დარბაზში ქცევის წესი, რაც აბსოლიტურად განსხვავებულია მედიაციის მაგალითზე, როდესაც ეს პროცესი თავიდან ბოლომდე ისე უნდა იქნეს ორკესტრირებული მედიატორის მხრიდან, რომ მხარეების პროცესში ჩართვა მაქსილამალურად იქნეს გარანტირებული. მედიაციაში მხარეებს გააჩნიათ სრული შესაძლებლობა თავად განსაზღვრონ მოლაპარაკების მიზნებისთვის საკთხთა წრე, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს დისკუსია, განსაზღვრონ რიგ შემთხვევაში ის თუ სად უნდა შედგეს ფაქტობრივად მედიაციის პროცესი და ვინ დაესწროს მას, ისევე როგორც მედიაციის მსვლელობისას მხარეთა ხელთ არის შესაძლებლობა მოახდინონ მიმდინარე პროცესში ცვლილებები და კორექტივები შეიტანონ დაგეგმილ მედიაციაში, განპირობებულია იმ არაფორმალური გარემოსთვის მახასიათებელი უპირატესობებით, რაც მედიაციას ახასიათებს და ქმნის მხარეთა წარმოდგენაში განცდას, რომ მედიაცია არის მათი ინტერესების რეალიზაციის ეფექტური საშუალება, რომელიც ნაკლებ სტრესულ და მომხმარებლისთვის, იგულისხმება კონფლიქტში მყოფი მედიაციის მხარეები, მეგობრულ გარემოს წარმოადგენს, ვიდრე ეს ფორმალურობით გადატვირთულ სასამართლო თუ თუნდაც საარბიტრაჟო საქმისწარმოებას ახასიათებს[603].

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციით მხარეთა მიერ

602. *Kerim B.*, Dispute Resolution Mechanisms in Merger and Acquisition Transactions, Legal, 2016, 73.

603. *Brand J., Steadman B.J., Todd F.,* Commercial Mediation, JUTA, 2nd Ed, Cape Town, 2016, 25.

კონფლიქტის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა მისმა არაფორმალურმა ბუნებამ უნდა განაპირობოს, რადგან წარმატების წინაპირობა მხარეთა პროცესში აქტიური ჩართლობაა, როდესაც კონფლიქტში მყოფ მხარეებს აქვთ სრული თავისუფლება და შესაძლებლობა იმუშაონ არსებული ჩიხური სიტუაციის განმუხტვაზე, რა დროსაც არავინ ახვევთ თავზე გადაწვეტილებას და თავად განაპირობებენ შეთანხმების შედეგს[604].

604. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 43.

თავი V

მედიაციის მონაწილე სუბიექტები

5.1. მედიატორი და მისი როლი მედიაციის პროცესის წარმართვაში

მედიაციის პროცესში მედიატორი არ არის რომელიმე მხარის წარმომადგენელი, ან მრჩეველი, ის არის მიმდინარე საქმეში ინტერესის არმქონე/დაუინტერესებელი მესამე პირი[605], ფიზიკური[606] პირი[607], რომელმაც სპეციალური ცოდნის[608] და უნარების გამოყენებით უნდა შეძლოს და შეათანხმოს[609] მოდავე მხარეები ანუ ფიზიკური პირი[610] რომელიც აწარმოებს მედიაციას[611]. მედიატორი წარმოადგენს მედიაციის პროცესში ჩართული მოდავე მხარეების კომუნიკაციის საშუალებას[612].

ტერმინ მედიატორს, ეტიმოლოგიურად ლათინური და ბერძნული[613] ძირი გააჩნია და შუაკაცს, შუამავალს ნიშნავდა[614], პირს რომელიც მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევას და დაპირისპირებული მხარეების შეთანხმებას ცდილობს.

მედიატორი არის სპეციალური ცოდნით დაჯილდოებული და უნარებით აღჭურვილი პირი[615], რომელიც მედიაციის წარმოებისთვის აღიარებული მეთოდების[616] გამოყენებით ხელმძღვანელობს მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებას, რა დროსაც ხელს უწყობს

605. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 193.
606. Law on Mediation in Civil Disputes, Article 2, 2012.
607. *Goksu M*., Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey., Banka ve Ticaret Hukuru Arastirma Enstitusu, 2016, 275.
608. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien 2004, 1.
609. *Duve C., Eidenmüller H., Hacke A.,* Mediation in der Wirtschaft, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2011, 87.
610. *Hagel U.,* in Klowait Jurgen, Gläβer Ulla, MediationsGesetz, Handkommentar, Nomos Kommentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 104.
611. The Uniform Mediation Act, Section 2, 2010.
612. *Schmidt F., Lapp T., Monβen H.G*., Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2012, 132.
613. *Fritz R., Pielsticker D.,* Handbuch zum Mediationsgesetz, Luchterhand Verlag, Wolters Kluwer, 2020, 13.
614. *Gläβer U.,* Mediation und Beziehungsgewalt, NOMOS, 2008, 59.
615. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien 2004, 2.
616. მაგ: ავსტრია, სადაც მედიატორი უშუალოდ კანონით გაწერილი სასწავლო პროგრამის ფარგლებში შემეცნებული მეთოდების გამოყენებით ვალდებულია აწარმოოს სამედიაციო პროცესი

მხარეებს გამონახონ ერთმანეთთან შეთანხმების და არსებული დავის აღმოფხვრის საუკეთესო პირობა[617]. მედიატორის, როგორც მხარეებისგან დამოუკიდებელი მესამე პირის, ორ მხარეს შორის მიმდინარე კონფლიქტში ჩართვა, იწვევს მხარეების კონცენტრირებას საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტისკენ[618], რაშიც მათ ეხმარებათ მედიატორისთვის დამახასიათებელი კომუნიკაციის უნარები და მოლაპარაკების ტექნიკის ცოდნა[619].

მედიაციის პროცესში მედიატორის როლი ორმაგად მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ის ნებაყოფლობით პროცესში ჩართული მხარეებისთვის ავტორიტეტს[620] წარმოადგენს ან ასეთი ხდება მხარეებისთვის პროცესის მსვლელობისას, რაც ცალსახად მედიატორის პიროვნებიდან და პიროვნული თვისებებიდან უნდა გამომდინარეობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მის ჩართულობას და სიტყვას დადებითი გავლენის მოხდენა პროცესის მსვლელობაზე რეალურად არ შეუძლია.

მედიაცია არ არის მარტო სამართლებრივი მოვლენა, არამედ მჭიდრო კავშირშია პიროვნების ფსიქოლოგიასთან და საჭიროებს მედიატორის მხრიდან ფსიქოლოგიურ უნარებს ადამიანებთან ურთიერთობის, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციას ფსიქოლოგის პრაქტიკასთან აქვს ერთგვარი მსგავსება. შედარებისთვის, ადვოკატს შეუძლია თავის მარწმუნებელს უთხრას, რომ მომსახურებას მისთვის სწევს და მისი ინტერესებისთვის იბრძვის, ხოლო მედიატორი ამას ვერ იტყვის, არამედ პროცესის მხარეებს შეუძლია მხოლოდ ის უთხრას, რომ ერთად შეეცდებიან მხარის კონფლიქტის ორივე მხარის სასარგებლოდ გადაწყვეტას[621], რაც მოდავე მხარეების ფსიქიკისთვის კონკრეტული მესიჯია, იმისა, რომ მხარეებმა უნდა დავა მშვიდობიანად მოაგვარონ, ხოლო თავად მხარეებმა ამას უნდა შეუწყონ

617. *Wendland M*., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 169.
618. *Eileen C., Mackie K*., International Mediation –The Art of Business Diplomacy,2nd edition, Kluwer Law International, Tottel Publishing, 2006, 21.
619. *Hornung U*,. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006, 31.
620. *Zenk K*., Mediation im Rahmen des Rechts, Nomos, 2008, 22.
621. *Fischer C., Unberath H*., Grundlagen und Methoden der Mediation, C.H.BECK, Műnchen, 2014, 8.

ხელი, რადგან მათი ჩართულობის და ნების გარეშე ეს შეუძლებელი იქნება.

მედიატორი არ ასრულებს უბრალოდ ინფორმაციის მიმტანი პიროვნების როლს[622] ორ მხარეს შორის, არამედ მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მიღებული ინფორმაციის სწორი ანალიზის საფუძველზე კონკრეტული მიმართულება მისცეს მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებათა პროცესს, სწორი ფასილიტაცია გაუწიოს კონფლიქტში ჩართული მხარეების მცდელობას მიაღწიონ შეთანხმებას.

მედიაციის დასაწყისში[623] ჯერ კიდევ მხარეებთან უშუალოდ შეხვედრამდე მედიატორს აქვს საშუალება შეიქმნას მედიაციის დაგეგმარების შესახებ გარკვეული შთაბეჭდილება, როდესაც სამედიაციო საქმის გარემოებებს გაეცნობა, ხოლო მხარეებთან პირველი შეხვედრის შემდგომ მისი გეგმა და მიდგომები საბოლოო სახეს იღებს.

მედიატორს არ აქვს უფლებამოსილება რაიმე პირობები შესთავაზოს მხარეებს[624] ან შეათანხმოს სავალდებულო სახით კონკრეტულ პირობებზე, ის იქამდე ანხორციელებს ორი მხარის ერთმანეთთან მოლაპარაკების ფასილიტაციას, სადამდეც თავად მხარეები არიან დაინტერესებული აწარმოონ ერთმანეთთან კონკრეტული პირობების შეთანხმების პროცესი მესამე ნეიტრალური[625] პირის ან პირების[626] (ე.წ. co-mediation) გამოყენებით, რა დროსაც მედიატორი ორივე მხარის პოზიციებს ეცნობა[627], არკვევს მათ რეალურ ინტერესებს და ცდილობს აღნიშნულის შესახებ შეათანხმოს ორივე მხარე[628].

622. *Waring M.*, Commercial Dispute Resolution, Colelge of Law Publishing, 2016, 160.
623. *Schwarz K., Mediation Collaborative Law* -Collaborative Practice, Schriften der Johannes-Kepler-Universitat Linz, Trauner Verlag, 2010, 53.
624. *Kajkowska E.,* Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 9.
625. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 21.
626. *Golden J., Lamm C.,* International Financial Disputes (arbitration and mediation), Oxford University Press, Oxford, 2015, 73.
627. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 32.
628. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 36.

მედიატორი უპირველესად თავის ფუნქციას და როლს აცნობს მხარეებს, ისევე როგორც ზუსტად ათვითცნობიერებს მხარეებს საკუთარ უფლებამოსილებებში[629], ცდილობს დაეხმაროს იმის აღქმაში თუ „საიდან მოდიან დაპირისპირებული მხარეები და საითკენ უნდათ სვლა[630].“

მედიაციაში მედიატორის როლი დამოკიდებულია მხარეების სურვილზე[631] და ხედვებზე თუ როგორ ესახებათ მესამე ნეიტრალური პირის გამოყენებით ერთამენეთს შორის მოლაპარაკებების წარმოება. მედიატორის თითოეულ ნაბიჯზე თუ მოქმდებეაზე რეალურად არის დამოკიდებული მედიაციის პროცესის წარმატებულობა და მხარეების ჩართულობის ენთუზიაზმი და ნდობა პროცესისადმი[632]. მედიაციის შეთანხმებით დასრულება აბსოლიტურად მხარეებზეა დამოკიდებული და მათ მზაობაზე მიიღონ შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებში შედის, თუმცა მედიატორზე მხარეების სწორედ მომზადება და მათი სრულად პროცესში სწორედ ჩართვა არის დამოკიდებული[633], მედიატორი ორივე მხარის სამსახურში მყოფი ნეიტრალური მესამე პირია[634], ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე შედეგზე, რაც მედიაციის პროცესში დადგება, ეს როგორც აღვნიშნეთ მხარეების საქმე და პასუხისმგებლობას წარმოადგენს სრულად, მაშინ როდესაც მედიატორი პასუხისმგებელია პროცესის დაგეგმარებაზე და მის წარმართვაზე[635]. იმის მიუხედავად, რომ მედიატორს საკითხზე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნია სრულე-

629. *Duve C., Eidenműller H., Hacke A.,* Mediation in der Wirtschaft, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2011, 87.
630. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 15.
631. *Andrews N., Landbrecht Johannes*., Schiedsverfahren und Mediation in England, C.H.BECK., Stampfli Verlag AG Bern, 2015, 188.
632. *Englert K., Franke H., Grieger W.,* Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen, Werner Verlag, Amersfort, 2006, 242.
633. *Haaß S.K*., Mediation in Abgrenzung zu anderen Verfahren außergerichtlicher Konfliktbewältigung in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 191.
634. *Hilber M.,* Die Sicherung der Vertraulichkeit des Mediationsverfahrens, Verlag Dr.Kovac, Hamburg, 2006, 20. თ
635. *Steffek F.,* Mediation und Gűterichterverfahren, Zeitschrift fűr Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2013, 555.

ბით არ აკნინებს მედიატორის როლს ან მნიშვნელობას მოდავე მხარეების თვალში, რადგან მხარეებს კარგად ესმით რომ მედიატორი სწორედ მსგავსი სიტუაციების მართვის მიზნით ყველაზე გამოცდილია მათ შორის და მედიატორის ნეიტრალურობის გათვალისწინებით სიამოვნებით ექცევიან მედიატორის ფასილიტაციის ქვეშ, რათა შედგეს მხარეებს შორის შეთანხმება, ხოლო თუ მედიატორი რიგ შემთხვევაში მხარეებისთვის აღიარებული და პატივსაცემი ექსპერტია ამა თუ იმ დარგში ან პიროვნება მხარეებისთვის, ეს დამატებითი აქტივია, რასაც მედიატორი პროცესის მსვლელობისას შესაბამისად იყენებს პროცესის მართვის მიზნებისთვის[636].

მედიაციის პროცესში მედიატორმა უნდა უზრუნველყოს მხარეების უფლებრივი თანასწორობა[637] და კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის თანაბრად[638] ჩართვა მის ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარე მოლაპარაკებებში. მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა ორივე მხარისგან და მიმდინარე მოლაპარაკებების შინაარსისგან არის წინაპირობა მისი ნეიტრალურობის[639]. თუ მხარეებმა რეალურად არ დაინახეს და არ ირწმუნებს მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა მათ ნდობა არ ექნებათ მედიატორის და მედიაციის პროცესისადმი, შესაბამისად, დავის გადაწყვეტის ეს ალტერნატიული მექანიზმი რეალურად მხარეების პროცესისადმი ნდობაზე და მედიატორის მიუკერძოებლობაზეა დამყარებული[640].

მედიატორისთვის მახასიათებელია პროცესის ფასილიტაცია[641], მედიაციის დასაწყისში, როგორც წესი, მხარეებმა არ იციან საკუთარი

636. *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 18.
637. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 202.*
638. *Greger R.,Unberath H.,Steffek F.*,Recht der alternativen Konfliktlösung, 2.Auflage, C.H.BECK, Műnchen, 2016, 33.
639. *Haaß S.K*, Mediation in Abgrenzung zu anderen Verfahren außergerichtlicher Konfliktbewältigung in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 191.
640. *Rule C.*, Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002, 40.
641. *Brown H., Marriott A.*, ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 160.

უფლებების და როლის შესახებ[642], რაც სწორედ მედიატორმა უნდა განუმარტოს მხარეებს, როგორც მედიაციის პროცესის ფასილიტატორმა. მედიატორის მხრიდან პროცესის ფასილიტაცია მედიაციის მთავარი მახასიათებელი ასპექტია, ის გამოიხატება მედიატორის სწორ კომუნიკაციაში მხარეებისადმი, მათ შორის მათ დახმარებაში აწარმოონ ინტერესზე ორიენტირებული მოლაპარაკების პროცესი, გაანალიზონ გამოწვევები და ეცადონ საერთო ენა იქნეს გამონახული. მედიატორი მხარეებს მიუთითებს მათ საერთო ინტერესებზე და ცდილობს მხარეების კონკურენტული ინტერესები მხარეებსვე ჩაანაცვლებინოს ორივესთვის დამაკმაყოფილებელი შეთანხმებით[643]. მედიატორი წარმოადგენს მედიაციის პროცესის კარგად დაგეგმარებაზე და გაძღოლაზე პასუხისმგებელ პირს[644], მაშინ როდესაც მედიაციაში შეთანხმების მიღწევაზე პასუხისმგებელნი[645] თავად მხარეები არიან[646], ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც თავად მხარეებზე უკეთ კონფლიქტის ამოწურვის რესურსი სხვას მართლაც არ გააჩნია[647], რადგან მედიატორს რაიმე სახის უფლებამოსილება სამართლებრივი კუთხით გადაწყვიტოს საკითხი ან მიიღოს რაიმე სახის სამართლებრივი ბუნების გადაწყვეტილება მხარეების დავის შესახებ არ შეუძლია[648].

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, შიდა კანონმდებლობით უპირატესად არ არის წახალისებული მედიატორის მხრიდან მხარეებისთვის რაიმე რჩევის[649] მიცემა და საქმის შეთანხმებით დასრულებასთან დაკავშირებით რეკომენდაციის[650] გაცემა, უფრო მეტიც რიგ შემ-

642. *Duve C., Eidenmuller H.,* Mediation in der Wirtschaft,Verlag Dr.Otto Schmidt, Koln, 2011, 88.
643. *Cortes P.,* The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 25.
644. *Pruckner M.,* Recht der Mediation, Linde Verlag Wien, Wien, 2003, 28.
645. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 2.
646. *Spencer D*., Principles of Dispute Resolution., 2nd Edition, Thomson Reuters, 2016, 65
647. *Wendenburg F*., Mediation –flexible Gestaltung innerhalb fester Strukturen, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 36.
648. *Golden J., Lam, C.,* International Financial Disputes (arbitration and mediation), Oxford University Press, Oxford, 2015, 72.
649. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 29.
650. *Wode M., Rabe C.S.,* Mediation, Springer, Berlin, 2014, 24.

თხვევაში მსგავს საკითხზე პირდაპირი აკრძალვაც ფიქსირდება ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობაში[651], რაც ხშირად იწვევს მედიაციაში ჩართული კონფლიქტის მხარეების უკმაყოფილებას[652].

მაგალითად ინგლისის[653] კანონმდებლობა მედიატორს პირდაპირ მიუთთებს ნეიტრალური პოზიციის დაჭერის საჭიროებაზე და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, უშუალოდ მხარეების თანხმობით და დადასტურებით რთავს მედიატორს ნებას დააფიქსიროს თავისი პოზიცია არამბოჭავი რჩევის სახით. მსგავსი მიდგომა საკითხისადმი ფიქსირდება მათ შორის რუსეთის ფედერაციის[654] მაგალითზე, სადაც ასევე ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში მედიატორს აქვს უფლება მოახდინოს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. მსგავსი სახის შესაძლებლობა არ არის დაშვებული ნიდერლანდების[655], ესპანეთის[656], ამერიკის შეერთებული შტატების[657] უმრავლეს შტატში.

მედიატორის მხრიდან კონფლიქტში მყოფი მხარეების დიალოგის პროცესში, რომელსაც თავად უწევს ფასილიტაციას, ჩართულობის/ჩარევის[658] მოცულობა დამოკიდებულია ერთი მხრივ, მედიაციის დავის შინაარსზეც[659], ისევე როგორც თუ რა ტიპის მედიაციას აქვს ადგილი, კერძოდ, მიმდინარეობს ინტერესზე დაფუძნებული თუ უფლებებზე

651. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 58.
652. *Pruitt D.G.,* Mediation at the Millennium in Herrman M., The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, 2006, 397.
653. *Scherpe J.M., Marten B.,* Mediation in England and Wales, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 405.
654. *Davydenko D.,* Mediation in Russia, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1179.
655. *Schmiedel L.,* Mediation in the Netherlands, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013,729.
656. *Lopez M.L.V.,* Mediation in Spain, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 851.
657. Kulms R., Mediation in the USA, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013,1248.
658. *Boulle L., Kathleen K.J.,* Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 26.
659. ხშირია ლიტერატურაში მითითება გაკეთებული იმაზე, რომ საოჯახო დავებში, სადაც ბავშვის ინტერესი ფიგურირებს მედიატორი უნდა იყოს უფრო მომთხოვნი მხარეების მიმართ რათა მიიღწეს საკითხზე შეთანხმება.

დამყარებული მედიაცია მხარეებს შორის. თუმცა მედიატორს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ამ პროცესში მხარეებს უნდა მისცეს შესაძლებლობა და ინიციატივა წარმართონ პროცესი და თავად გადაწყვიტონ საკუთარი კონფლიქტის ბედი[660], რითაც მედიატორი ბუნებრივად იწვევს მხარეების პროცესში აქტიურ ჩართლობას, რადგან მხარეები ყოველთვის მეტი ენთუზიაზმით ერთვებიან პროცესში, როდესაც ხედავენ, რომ საუბარია მათ ინტერესებზე და მოლაპარაკება დაცლილია სამართლებრივი ნორმების და შეფასებებისგან, რაც მათ უმარტივებთ პროცესის აღქმას. მედიატორი მხარეებს უძღვება კომპრომისის მიღწევის გზაზე[661].

სტანდარტები იმისა თუ ვინ შეიძლება გახდეს მედიატორი მრავალფეროვანია, არის რიგი ქვეყნები სადაც ზედმიწევნით ზუსტად არის გაწერილი მედიატორად გახდომის წინაპირობები, თუმცა არის ქვეყნები სადაც მსგავსი მიდგომა არ შეინიშნება. მაგალითად ავსტრიის[662] მაგალითზე, რომელიც პიონერია ევროპულ ქვეყნებში მედიაციის მიმართლებით, მხარეებმა შეიძლება აირჩიონ ნებისმიერი პირი თავიანთი დავის მედიატორად, რომელსაც რაიმე კვალიფიკაცია შეიძლება არ გააჩნდეს მედიაციაში, თუმცა იყოს იმ პროფესიის წარმომადგენელი, რომელიც რელევანტურია მხარეთა დავის მიზნებისთვის[663], თუმცა რიგ შემთხვევაში როდესაც საუბარია რეგისტრირებული მედიატორის შერჩევაზე სახეზე უნდა იყოს მედიატორად გახდომის კონკრეტული წინაპირობები[664].

660. *Greger R., Unberath H.,* Die Zukunft der Mediation in Deutschland, Verlag C.H.Beck Munchen 2008,123.

661. *Wentzel C.*, Internationale Mediation, Logos Verlag Berlin, Berlin, 2016,194.

662. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 27, 28. ავსტრიაში მედიატორთა რეესტრს აწარმოებს ავსტრიის იუსტიციის სამინისტრო (კანონის მე-8 მუხლი), მედიატორთა რეესტრში შეიძლება შევიდეს ნებისმიერი პირი, რომელიც არის 28 წლის, არ არის ნასამართლევი პირი, პროფესიულად კვალიფიციური და გააჩნია პროფესიული დაზღვევა (კანონის მე-9 მუხლი)

663. *Esplugues C.*, Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 18.

664. ავსტრიის მაგალითზე: პირი უნდა იყოს 28 წლის, ჰქონდეს პროფესიული გამოცდილება, სარგებლობდეს ნდობით საზოგადოებაში და გააჩნდეს 400 000 ევროს პროფესიული დაზღვევა. ამასთანავე, პირებს უნდა გავლილი ჰქონდეს ტრენინგი, რათა შეიძინოს სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ცოდან და უნარები.

საერთაშორისო დონეზე საინტერესო დისკუსია მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით მედიატორი უნდა იყოს თუ არა სავალდებულოდ იურისტი[665], რაზეც იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილი შეჯერდა, რომ ეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ქვეყნის შიდა კანონმდებლის გადასაწყვეტია, ყველა კონკრეტული ქვეყნის საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით[666]. მართალია, ზოგადი სტანდარტია, რომ მედიატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის პირი[667], თუმცა წლებია დამკვიდრდა პრაქტიკა საერთაშორისო დონეზე, რომ ადვოკატი მედიატორის შემთხვევაში დამატებითი ღირებულება აქვს პროცესს, განსაკუთრებით რთული კომერციული დავების მედიაციის დროს, რადგან დარგის სპეციალისტი ადვოკატის[668] მიერ შესრულებული მედიაცია მხარეებს ხშირ შემთხვევაში წარმატების წინაპირობად მიაჩნიათ. იმის გათვალისწინებით რომ სამართლებრივი სისტემა და სამართლებრივი ნორმები მხარეებისთვის ვინც მედიაციაში ცდილობენ შეთანხმებას არ არის მეორე ხარისხოვანი, რადგან სწორედ სამართლებრივად რეგულირებას ექვემდებარება საბოლოოდ მიღწეული შეთანხმება, ისევე როგორც აღსრულების კუთხით სამართლებრივი ნიუანსები გადმოდის წინა პლანზე, ალბათ უპრიანია რომ მედიატორს ჰქონდეს ცოდნა იმ სამართლებრივი სისტემის, რა სისტემის ფარგლებშიც, როგორც მედიატორი ანხორციელებს საქმიანობას[669]. უმრავლეს ევროპულ იურისდიქციებში მედიატორის სავალდებულო სახით იურისტად ყოფნის ვალდებულება არ გვხვდება, თუმცა არის ამ წესისგან გამონაკლისებიც[670]. მაგალითად ავსტრიაში[671] დასაშვებია, რომ მედიატორი გახდეს მოქმედი

665. *von Schubert M.,* in Schiffer, J., Schiedsverfahren und Mediation, Carl-Heymanns Verlag, 2005, 274.
666. §1 Abs. 1 RBerg; zur Frage der Erlaubnispflicht im Falle `gerichtsnaher` Mediation ausfuhrlich Volkmann, SchiedsVZ, 2004, S.245 ff.
667. *Dingle J., Sephton J.,* Practical Mediation, Law Brief Publishing, Somerset, 2017, 70.
668. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 1.
669. *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 61.
670. მაგ: თურქეთი, სადაც თურქეთის ადვოკატთა ასოციაციის მოთხოვნის შედეგად 2012 წელს ამოქმედებული კანონის ბოლო რედაქციაში შევიდა დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მედიატორი შეიძლება იყოს მარტო პირი, რომელსაც აქვს დამთავრებული იურიდიული ფაკულტეტი და აქვს პროფესიული მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.
671. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 61.

ადვოკატი, რა დროსაც მედიატორის ფუნქციით აღჭურვილ ადვოკატზე ვრცელდება ის ეთიკური სტანდარტები, რაც ადვოკატის პროფესიისთვის არის დადგენილი და დამატებითი რეგულაციები ასეთ შემთხვევისთვის არ არის გაწერილი, მსგავსი პრაქტიკა შეინიშნება მრავალ იურისდიქციაში. ლიტერატურაში მედიაციის პროცესს, ხშირად ადვოკატთა „ჯვარედინ პროფესიულ პრაქტიკად[672]" და არაიურისტი პირებისთვის „Closed shop[673]"-ის ტერმინად მოიხსენიებენ.

მედიატორზე დიდწილად დამოკიდებულია მედიაციის წარმატებით დასრულება, რადგან ის არის მთავარი მოქმედი პირი, თუმცა მხარეებს უნდა გაუჩინოს განცდა, რომ ისინი არიან პროცესის მთავარი შემოქმედნი და რეალურად ასეც არის გადაწყვეტილების მიღების ნაწილში, თუმცა მედიატორის მხრიდან ამ ყველაფრის სწორი დაგეგმარების გარეშე მხარეები შედეგს ვერ მიაღწევენ, ეს რომ მათ შეძლებოდათ მედიატორის დახმარების გარეშე მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენება მათ არ დასჭირდებოდათ. მრავალ იმ საკითხთან ერთად, რაც ზემოთ იქნა განხილული მნიშვნელოვანია მედიატორმა მიაქციოს ყურადღება შემდეგ მნიშვნელოვან ნიუანსებს[674]:

- რამდენად ის ხალხი არის მიმდინარე მედიაციაში ჩართული და მოწვეული ვინც რეალურად საკითხის გარშემო იღებს გადაწყვეტილებას? აღნიშნული ეხება, თანაბარი წარმატებით, როგორც საოჯახო კატეგორიის დავების მედიაციას, ასევე ბიზნეს კომერციული დავების მედიაციას, ისევე როგორც ნებისმიერი სახის დავას, და კერძოდ, მედიატორმა უნდა ეცადოს პროცესის დაწყებიდანვე გააანალიზოს თუ რამდენად არიან მედიაციაში მოსული მხარეები დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები და თუ იკვეთება სხვა უხილავი ხელის ჩართულობა,

672. *ჩიტაშვილი ნ.,* ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #2, 2016, 29.

673. *Hornung U*,. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006, 89.

674. *Newmark C*., in Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, Rovine W.Arthur, Martinus Nijhoff Publishers, Netherlands/Leiden, 2013, 346.

ეცადოს და მოიწვიოს ეს მხარე მედიაციაში. აღნიშნულით, ერთი რომ დრო დაიზოგება პროცესის მიმდინარეობის და მეორე მხრივ, რეალურად გამარტივდება საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

- ხშირია შემთხვევა როდესაც მხარეები საუბრობენ დავაში არსებულ ფაქტებზე, თუმცა შესაძლებელია რომ ფაქტები ეხებოდეთ გარეშე პირებს, რომლებიც უშუალოდ დავის მხარეებს არ წარმოადგენდნენ, ხოლო მხარეებს ჰქონდეთ ფაქტების ინტერპრეტირების საკუთარი ვერსიები, რაც მათ პოზიციებს აშორებდეს ერთმანეთისგან, რა დროსაც მედიატორი უნდა დაფიქრდეს თუ რამდენად საჭიროა და შეიძლება პროცესზე დადებითი გავლენა იქონიოს ფაქტებთან დაკავშირებით უშუალო მონაწილე და ინფორმაციის მქონე პირების მოწვევამ, რადგან სხვა ალერნატივა რიგ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს, თუ არა მსგავსი ქმედება მედიატორის მხრიდან.
- ამასთანავე მედიატორი მზად უნდა იყოს პროცესში ჩართოს მხარის მხრიდან ნომინირებული ნებისმიერი პირი, რომელიც კონფლიქტის მხარეს მიაჩნია, რომ სჭირდება საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად ან მასთან ერთად როგორც პროცესის მონაწილე პირი.

მედიატორის საქმიანობა სრულად მხარეების საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ეს არის მთავარი და ამოსავალი მიზანი მედიატორის საქმიანობის. უფრო მეტიც, ევროპაში შეინიშნება პრაქტიკა მათ შორის მედიატორის პასუხისმგებლობის დაზღვევის, რაც დამატებითი დაცვაა პროცესში ჩართული მხარეების ინტერესების[675].

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ქართული მოდელის ანალიზი და ამ მიმართულებით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება საკითხის შემდგომი განვითარებისა და რეგულირების მიზნით.

675. *Fuchshuber C.,* Mediation im Zivilrecht, Lexis Nexis, ARD Orac, Wien, 2004, 18.
(ავსტრია ამ მიმართულებით ასევე პიონერი ევროპელი ქვეყანაა, სადაც კანონის დონეზე არის უზრუნველყოფილი მედიატორის ვალდებულება დააზღვიოს თავისი საქმიანობა მედიაციის პროცესის მხარეებისთვის შესაძლოდ მიყენებულ ზიანზე, 400 000 ევროს ოდენობით. მედიატორის აღნიშნული ვალდებულება გაწერილია კანონის მე-19 მუხლში.

ამასთანავე, ნიშანდობლივია ამა თუ იმ ქვეყანაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ განხორციელებული მედიაციის პროცესის ვალიდურობა, რაც ასევე ყველა ქვეყნის შიდა რეგულაციით უნდა წესრიგდებოდეს, რადგან რიგ შემთხვევაში უცხოელები შეიძლება დაემატონ ქვეყანაში რეგისტრირებულ მედიატორთა სიას, თუ ისინი აკმაყოფილებენ ქვეყანაში დადგენილი მედიატორად გახდომის კრიტერიუმებს[676].

5.2. მედიატორის პროფესიული უნარები და სახელმძღვანელო პროცედურული მექანიზმები

იმის გათვალისწინებით რომ დღეის მდგომარეობით მედიატორი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პროფესიის პიროვნება ნიშანდობლივია თუ რა ძირითადი თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მედიატორი, გარდა იმ ყველა უნარისა, რაშიც წინასწარ იქნება მომზადებული, დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით, რაც მას ხელს შეუწყობს იყოს წარმატებული მოდავე მხარეების კონფლიქტური სიტუაციის შეთანხმებით დასრულების პროცესში. მედიატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არ არსებობს ერთი უნიფიცირებული მეთოდი მოლაპარაკების წარმატებით გაძღოლის, ხშირ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია ინდივიდუალური საქმის მახასიათებელ გარემეოებებზე, თუმცა არსებობს ერთი წესი, რომელიც ხშირ შემთხვევაში წინაპირობაა წარმატებული მოლაპარაკების წარმოების: რაც უფრო მეტ ინფორმაციას იღებს მედიატორი ორივე მხარისგან, მით უფრო უკეთესად განახორციელებს მოლაპარაკებას და დაეხმარება მხარეებს მიაღწიონ მათთვის სასურველ შეთანხმების პირობას[677]. ქვემოთ არის საუბარი იმ ძირითად თვისებებზე და მახასიათებლებზე, რაც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მედიატორს.

676. *Frauenberger-Pfeiler U.,* in Esplugues C., Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland),Vol. II, 2014, 9.

677. *Ponschab R.*, Verhandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 7.

მედიატორს უნდა ახასიათებდეს შემდეგი ძირითადი პიროვნული და პროფესიული უნარები[678]:

- თანაგრძნობა (empathy) – უნარი ნეიტრალურად თანაუგრძნოს მხარეებს, აღიქვას მათი პოზიციები, თუნდაც არ ეთანხმებოდეს მხარეების დაფიქსირებულ ხედვას;
- უნარი შეეცადოს მხარეებს დაანახვოს რეალობა სხვა გადმოსახედიდან, იგულისხმება ორივე მხარის ჭრილში ერთმანეთის გადმოსახედიდან აღაქმევინოს რეალობა, რაც როგორც წესი უჭირთ კონფლიქტში მყოფ მხარეებს და არ უშვებენ საკითხისადმი მეორე მხარის პერსპექტივიდან შეფასების შესაძლებლობას;
- მოთმინება (patience) – მედიატორმა უნდა აცალოს მხარეებს თავად მიიღონ მათ მიერ შერჩეულ დროს გადაწყვეტილებები და თავად გადადგან ნაბიჯები მეორე მხარისადმი მათ მიერ შერჩეულ მომენტში, მედიატორმა არ უნდა ააჩქაროს მოვლენების თანამიმდევრობა, როგორც ეს შეიძლება საჭიროდ არ მიაჩნდეს; თუმცა მედიატორს კარგად უნდა ჰქონდეს აღქმული მხარეების მოლოდინები ამ პროცესიდან და შესაბამისი სტილის და ფორმის მედიაცია უნდა აწარმოოს, რათა მიღწეულ იქნეს არსებული მოცემულობით საუკეთესო შედეგი მხარეებისთვის[679].
- თვითდამაჯერებლობა (self-assurance) – მედიატორს უნდა გააჩნდეს უნარი გაუჩინოს მხარეებს ერთი მხრივ, საკუთარი პერსონისადმი პატივისცემა (იგულისხმება მედიატორი) და მეორე მხრივ, გაუჩინოს მათ თვითდაჯერებულობის განცდა, რათა მხარეებმა სხვისი კარნახის გარეშე იცოდნენ, რომ თავად მართავენ პროცესს და უფლებამოსილნი არიან მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება;
- აზრის სიცხადე (clarity of thought) – მედიატორს უნდა გააჩნდეს უნარი დასვას იმ სახის კითხვები და მოახდინოს მხარის საუბარში იმ სახით ჩართულობა, რაც გახდება კიდევ უფრო მეტი ინფორ-

678. *Newman P.,* in M Liebmann (ed), Mediation in Context, 2000, 183-4.
679. *Wendland M*., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 390.

მაციის მიღების საფუძველი მხარისგან და შეთანხმების მიღწევისთვის ახალი პერსპექტივების გაჩენის მასტიმულირებელი.

- კრეატიულობა (ingenuity) - მედიატორს უნდა გააჩნდეს უნარი მხარეების საუბარში შემოიტანოს ახალი იდეები და ბიძგი მისცეს ახალი პოზიციების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მხარეები შედიან მოლაპარაკებების პროცესში ჩიხში და უჩნდებათ განცდა რომ მედიაციაში შეთანხმებას ვერ აღწევენ.
- გამძლეობა (Stamina) - მედიაციის სესიებმა შეიძლება დიდი დრო წაიღოს და ხანგრძლივად გაგრძელდეს, და რიგ შემთხვევაში შეუსვენებლივ მოითხოვდეს პროცესის მსვლელობას, რადგან შესვენებამ ან სხვა დროისთვის სესიის გადატანა შეიძლება კონტრპროდუქციული აღმოჩნდეს და ამის გათვალისწინებით მედიატორს უნდა შეეძლოს სრულად წარუძღვეს პროცესს და არ შეწყვიტოს მხარეებს შორის მიმდინარე დიალოგი.

ამასთანაცე მნიშვნელოვანია მედიატორმა ყურადღება მიაქციოს ქვემორე საკითხებს[680]:

ა) მედიაციის მთავარი და ცენტრალური საკითხია, რომ მედიატორი უწყვეტად ახდენდეს მხარეების ინტერესების სისტემატიურ ანალიზს, რადგან სწორედ მხარეთა ინტერესები წარმოადგენს საშუალებას შეთანხმების მიღწევის მედიაციაში[681].

ბ) მედიაციის პროცესში, მედიატორი უნდა ცდილობდეს მხარეებს მისცეს თვითგამოხატვის სრული შესაძლებლობა და არ შეაწყვეტინოს მხარეს და მის წარმოადგენელს საუბარი.

გ) მედიატორი უნდა მოერიდოს გააკეთოს რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადება ან გამოიყენოს უხამსი სიტყვა მხარეების მიმართ.

დ) თავისი ლექსიკით, ჟესტიკულაციით და მიდგომით აგრძნობინოს პროცესში ჩართულ მხარეებს პატივისცემა.

ე) მედიატორი უნდა ცდილობდეს თანაბრად[682] დაუთმოს ორივე

680. *Nelson M.R.,* Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 57, 58.
681. *Wendenburg F.,* Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 39.
682. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 202.*

მხარეს ყურადღება[683] და დრო, რათა არ გააჩინოს თავისი ქცევით ნებსით თუ უნებლიეთ რაიმე კითხვა და უნდობლობა რომელიმე მხარის მხრიდან საკუთარი პიროვნების მიმართ, რადგან დიდწილად მხარეთა ნდობა განაპირობებს მათ შორის ამ პროცესში მათ ჩართულობას და გულწრფელობას, ხოლო მედიატორი მხარეებთან ურთიერთობის დაწყების პირველი წუთიდან იწყებს მათთან ურთიერთობის შენებას, რაც მედიაციის პროცესის სრული პერიოდის მანძილზე თანაბრად და თანაზომიერად უნდა მიმდინარეობდეს. ეს ყველაფერი მედიატორისგან გარდა გამომუშავებული უნარებისა, რიგ შემთხვევაში გამოცდილებასაც მოითხოვს.

ვ) მედიატორს უნდა ეხერხებოდეს ჩიხური სიტუაციიდან გამოსავლის ძიება[684], რიგ შემთხვევაში მხარეებთან მოლაპარაკებების წარმოებისას მაღალია ალბათობა ჩიხურ სიტუაციაში აღმოჩენის, რა დროსაც დიდ წილად მედიატორზე არის დამოკიდებული თუ რა სახის და რამდენად დროულად მოაძიებინებს მხარეებს სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალს, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მედიაცია შეწყდეს.

5.2.1. შეკითხვის დასმის ტექნიკა

მედიატორისთვის კითხვის დასმის უნარი მნიშვნელოვანი თვისებაა, რადგან ის სწორი კითხვის დასმით არამარტო დამატებით ინფორმაციას იღებს მხარეებისგან[685], რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, არამედ მათ შორის მხარეებს აფიქრებს რიგ საკთხებზე და უჩენს ეჭვს თუ რამდენად მხარე არის მყარი თავის პოზიციაში[686], და ხომ არ უნ-

683. *Krabbe H.*, Werkstattbericht –Hochstrittige Parteien in der Mediation, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten PVSt 47561, 59.
684. *Eidenműller H.,* Wege aus der Sackgasse: Wie lassen sich Blockaden in Mediations- und Gűteverfahren lősen? Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2013, 4, 5.
685. *Kovach K.K.,* Mediation in a Nutshell, 2nd Ed, West a Thomson Reuters Business, USA, 2010, 53.
686. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.

და დაფიქრდეს პოზიციის სისწორეში. მსგავსი უნარის გამოყენებით მედიატორს შეუძლია მოახდინოს მხარეში ამა თუ იმ კუთხით მისი დამატებითი დაფიქრების პროვოცირება, რადგან მედიატორს თავის მხრიდან პოზიციის დაფიქსირება მოლაპარაკების პირობებთან დაკავშირებით პირდაპირ არ შეუძლია, ისევე როგორც კითხვების დასმით მედიატორი ეხმარება მხარეებს მოახდინონ პოზიციების გადახედვა და გადამოწმება მათი ხედვების სისწორეში.

5.2.2. აქტიური მოსმენის უნარი

მედიატორი უნდა იყოს კარგი (აქტიური) მოსმენის[687] უნარით დაჯილდოებული პიროვნება[688]. მოსმენა ფუნდამენტური[689] ტექნიკაა მედიატორის[690], რასაც ის უნდა ფლობდეს. მოსმენით მედიატორი ერთი მხრივ, სრულად იმეცნებს საქმის ვითარებას, თუმცა მეორე მხრივ, შედის ნდობაში მხარესთან, რომლისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მას მოუსმინონ, მისი საკითხით დაინტერესდნენ, რის ხარჯზეც მედიატორი რეალურად იძენს პატივისცემას და ნდობას მხარეში[691]. მხარეების მოსმენის შემდეგ მედიატორმა უნდა გარკვეული უკუგება[692] მისცეს მხარეს მის მიერ გაჟღერებულ ფაქტებთან დაკავშირებით, რათა მხარეს გაუჩნდეს განცდა, რომ მას ყურადღებით მოუსმინეს და რომ მედიატორი გულისყურით ეპყრობა მხარის ინტერესს[693].

687. *Schmidt F., Lapp T., Monβen H.G.,* Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2012, 30.
688. *Goldberg S.B., Sander F., Rogers E.A., Nancy H., Cole S.R.,* Dispute Resolution: Negotioanion, Mediation, Arbitration and other Processes, 6th Ed, Wolters Kluwer, 2012, 128.
689. Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.
690. *Kovach K.K.,* Mediation in a Nutshell, 2nd Ed, West a Thomson Reuters Business, USA, 2010, 52.
691. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.
692. *McLaren H.R., Sanderson J.,* Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-2.
693. *Spencer D., Brogan M.*, Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 163.

5.2.3. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია

ძალზედ მნიშვნელოვანია მედიატორს ჰქონდეს კარგად განვითარებული ვერბალური უნარები, მათ შორის შეეძლოს საჭიროების დროს საკუთარი ორატორული ნიჭით მიიპყროს მხარის ყურადღება და ჩართოს ის დიალოგში, ისევე როგორც არანაკლებ მნიშვნელოვანია შეეძლოს მედიატორს დააკვირდეს და მხარეების არავერბალური კომუნიკაციის ანალიზით დაადგინოს მხარეებს შორის არსებული პიროვნული ურთიერთობა, რადგან ხშირად მხარეები პირდაპირ პოზიციების ფიქსირებას შეიძლება მოერიდონ, თუმცა ჟესტიკულაციით გამოავლინონ მეორე მხარისადმი მიდგომა. მედიატორი უნდა ცდილობდეს გამუდმებით იქონიოს მხარეებთან თვალის კონტაქტი[694]; არავერბალური კომუნიკაცია მეორე მხრივაც მნიშვნელოვანი უნარია მედიატორისთვის, როდესაც მისი უშუალო ურთიერთობის ამ ფორმით მას შეუძლია დაამყაროს მხარესთან კავშირი და შევიდეს დამატებით ნდობაში მხარესთან, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია მედიაციის წარმატებით წარმართვისთვის[695].

5.2.4. პროცესის კონტროლის უნარი

მედიაციის პროცესის მსვლელობა და მასში ჩართულობა, ისევე როგორც საბოლოო შედეგი აბსოლიტურად მხარეების ნებაზე და შეხედულებაზეა დამოკიდებული, თუმცა ფაქტობრივ მედიატორი უნდა ანხორციელებდეს პროცესის რეალურ მართვას[696] და კონტროლს, რაც რა თქმა უნდა მედიატორის უნარებზე დამოკიდებული გარემოებაა[697]. მედიატორმა პროცესის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს თუ რა ურთიერთობებში არიან ან შეიძლება იყვნენ კონფლიქტის მხარეები ერთმანეთთან, მათ შორის გაანალიზოს ის დაძაბული ფონი, ასე-

694. *Krabbe H.,* Werkstattbericht –Hochstrittige Parteien in der Mediation, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten PVSt 47561, 59.
695. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.
696. *Herrman M.,* The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, 2006, 40.
697. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.

თის არსებობის შემთხვევაში, რაც თან სდევს პროცესს, და სწორად განსაზღვროს და შეარჩიოს გარემო[698], რომელ გარემოშიც დაიგეგმება მხარეების პირველადი შეხვედრა თუ შემდგომი პროცესის მსვლელობა.

მედიატორი პროცესის დაწყების პირველი სტადიიდან, ჯერ კიდევ მისასალმებელ სტადიაზე ფაქტობრივ უნდა ფიქსირდებოდეს და იპოვებდეს მხარეებში ავტორიტეტს და პროცესის წარმმართველის სტატუსს, ისევე როგორც მთელი პროცესის ფასილიტაციის მანძილზე მას აქვს ყველა ის ბერკეტი, რომ მხარეებს მოუწოდოს და აქტიურად ჩართოს მოლაპარაკებებში, რამაც შედეგად შეთანხმების პირობა უნდა მოიტანოს[699]. მედიატორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ ერთობლივ თუ ინდივიდუალურ შეხვედრაზე სამუშაო დღის წესრიგს მედიატორი სთავაზობს მხარეებს, და შესაბამისად დიდწილად თუ როგორ წარიმართება მხარეების მხრიდან საკითხის გადაწყვეტაში ჩართულობა დამოკიდებულია მედიატორის მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯებზე და პროცესის სწორ დაგეგმარებაზე.

5.2.5. ჯგუფური მუშაობის უნარი

მედიატორს უნდა ახასიათებდეს გუნდური მუშაობის უნარი, რაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება დასჭირდეს ნებისმიერ მედიატორს, რადგან რთულ კომპლექსურ კომერციულ დავებში, მათ შორის საოჯახო კატეგორიის დავებში ფართოდ დაინერგა ე,წ. კო-მედიაციის პრაქტიკა[700], რა დროსაც მედიატორებს შორის უნდა ეფექტურად გადანაწილდეს ფუნქციები და როლები, რათა მხარეებთან კოორდინირებულად და შედეგიანად განახორციელონ პროცესის ფასილიტაცია. კო-მედიაცია იძლევა საშუალებას უფრო ეფეტური გახდეს პროცესი, რადგან მედიატორთაგან ერთ-ერთი როგორც წესი კონკრეტული

698. *Kolodej C.*, Settingtechniken und Prozessgestaltung bei (hoch)eskalierten Konflikten, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561,12.
699. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L, Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.
700. *Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G.*, Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, 2006, 190.

დარგის სპეციალისტს წარმოადგენს, რა კატეგორიის დავაც არის განხილვაში, რაც აორმაგებს წარმატების შესაძლებლობას, ისევე როგორც კო- მედიაციის შემთხვევაში ადვილდება პროცესის მართვა და ანალიზი დაგროვილი ინფორმაციის.

5.2.6. მედიატორის მიერ პროცესის წარმართვის სტილი

უშუალოდ მედიაციის პროცესის წარმოების[701] კუთხით ამერიკული ტრადიციით[702] დამკვიდრდა, შემდეგი მოდელები[703] მედიაციის წარმოების:

ა) **მხარდამჭერი/ხელის შემწყობი**[704], როდესაც მედიატორის როლი პასიურია[705], აღნიშნულ მოდელს ხშირად ინტერესებზე დაფუძნებულ მედიაციის წარმოების მოდელს უწოდებენ (facilitative/Interest-based[706]), რა დროსაც კონფლიქტის მხარეებს ერთგვარად „მინდობილი აქვთ" პროცესის წარმოების აქტიური ფაზა[707], ხოლო მედიატორი მათ აქტიურ ჩართულობას უწყობს ხელს და აძლევს მხარეებს საშალებას იყვნენ პროცესის დომინანტები, თუმცა რა თქმა უნდა, მედიატორის ფასილიტაციის გათვალისწინებით.

ე.წ. მხარდამჭერი მედიაციის წარმოებისას მედიატორი არ არის უფლებამოსილი მხარეებს მისცეს რაიმე რჩევა ან რეკომენდაცია დავის ამა თუ იმ ფორმით გადაწყვეტის კუთხით[708], არამედ მედიატორი მხოლოდ ფასილიტაციას[709] გასწევს და მხარეებს სპეციალური უნარების გამოყენებით ცდილობს აქტიურად შეუწყოს ხელი კონკრეტული შეთანხმების მიღწევაში, ის თავისი უნარებით მაქსიმალურად უზ-

701. *Steadman B.J., Todd F., Commercial Mediation, IUTA&Company, 2nd Ed, 2016, 21,22.*
702. American Arbitration Association, Handbook on Mediation, 2, 2010, 28, 30.
703. *Spencer D.*, Principles of Dispute Resolution, 2nd Edition, Thomson Reuters, 2016, 61.
704. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2010, 141.
705. *Wendland M.*, Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 170.
706. *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 62.
707. *Hornung U.*. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006, 35-36.
708. *Mantle M.,* Mediation: A practical guide for lawyers, Dundee University Press, Dundee, 2011, 132.
709. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 240.

რუნველყოფს მხარეების პროცესში ჩართულობას[710]. ამ დროს მხარეები თავად ახდენენ საკუთარი ინტერესების პოზიციონირებას და ლობირებას, რაც მათ მეტად რთავს პროცესში და ერთგვარი საკუთრების განცდა უჩნდებათ შეთანხმების პირობებისადმი, რადგან ეს მათ უშუალო ჩართულობის ინტელექტუალურ შედეგს წარმოადგენს[711] და ხელს უწყობს მხარეებს აწარმოონ ეფექტური მოლაპარაკებები[712].

უფლებებზე დაფუძნებული მედიაციის წარმოების კონცეფცია იმას გულისხმობს, რომ მხარეები მოლაპარაკების გზით ცდილობენ მიაღწიონ იმ შედეგს, რაც შეეძლოთ დავის სასამართლოს გზით წარმართვის შემთხვევაში მიეღწიათ, მაშინ როდესაც ინტერესზე დაფუძნებული მედიაციის წარმოების დროს მხარეები აქცენტს აკეთებენ საკუთარ ინტერესებზე, და ეძიებენ ისეთ გამოსავალს, რომელიც საუკეთესოდ შეეფერება მათ კონკრეტულ ინტერესს, საჭიროებას[713].

ინტერესზე დამყარებული მედიაციის დროს მედიატორი მხარეებს ხელს უწყობს მაქსიმალურად მხარების ინტერესზე მორგებული მოლაპარაკებების პროცესი აწარმოონ, რათა შედგეს ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით საბოლოო შეთანხმება საქმეზე[714]. მედიატორი ამ დროს ეხმარება მხარეებს თავად[715] მიაღწიონ შეთანხმებას.

ამ ტიპის მედიაციას ახასიათებს ოთხი ძირითადი ელემენტი[716]:

1. მედიატორი აქცენტირებულია პროცესზე, უშუალოდ მის წინაშე მიმდინარე პროცესის მსვლელობაზე, უზრუნველყოფს მის სრულად მხარეების მიერ გაძღოლას.

710. Spencer D., Brogan M., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006, 174.
711. *Kumar A*., Alternative Dispute Resolution System, Global and National Perspective, K.K. Publications, 2016, 106.
712. *Ponte L., Cavenagh T.,* Alternative Dispute Resolution in Business, West Educational Publishing, Ohio, 1999, 97.
713. *Brown H., Marriott A*., ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 169.
714. *Fenn P*., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 62.
715. *Kajkowska E.,* Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 9.
716. *Chern C*., The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 37, 38.

2. მედიატორი აქცენტირებულია მხარეებზე, უქმნის მხარეებს სრულ შესაძლებლობას მაქსიმალურად ჩაერთონ პროცესში და მიიღონ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, რაც იქნება მათი საკუთარი მსჯელობის და ინტერესების ანალიზზე მიღებული გადაწყვეტილება[717].
3. მედიატორი აქცენტირებულია მხარეებს შორის ეფექტური კომუნიკაციის წარმართვაზე, უქმნის მხარეებს სრულ შესაძლებლობას აწარმოონ ეფექტური კომუნიკაცია ერთმანეთს შორის;
4. მედიატორი აქცენტირებულია მხარეებს აწარმოებინოს მათ ინტერესებზე აქცენტირებული მოლაპარაკება;

მსგავსი მედიაციის მიმდინარეობისას მედიატორი სვამს იმ სახის კითხვებს, რაც ერთი მხრივ, მხარეებს ეხმარება დაანახოს ერთმანეთის ინტერესი, ისევე როგორც მეორე მხრივ, მედიატორი ცდილობს თავად შეიქმნას წარმოდგენა თუ რა სახის ურთიერთობის გარშემო ატარებს მედიაციას, რათა ესმოდეს თუ რაში მდგომარეობს მხარეების რეალური ინტერესი დავისადმი ან დავის შეთანხმებით დასრულებისადმი[718]. მსგავს პროცესში მედიატორი არ აძლევს მხარეებს რაიმე სახის რეკომენდაციას, ან რჩევას, ასევე არ აფიქსირებს თავის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით თუ რა შეიძლება იყოს საუკეთესო პირობა შეთანხმებისთვის ან რა შედეგით შეიძლება დასრულდეს დავა თუ ის გადაინაცვლებს სასამართლო დარბაზში, არამედ მედიატორი უბრალოდ პროცესის კონტროლის სადავეებთან არის, და ხელს უწყობს მხარეებს მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილება შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით[719], რაც გარანტი უნდა იყოს და მომავალში მოემსახურება მხარეებს შორის კარგი პირადი თუ ბიზნეს ურთიერთობის შენარჩუნებას[720].

ამ სტილით მედიაციის გაძღოლისას მედიატორი უფრო მეტად „იცავს“ უშუალოდ მედიაციის პროცესის მსვლელობას, და ნაკლებად ერევა პროცესის შედეგში და მის შინაარსში, ამით ის მხარეებს

717. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 240.
718. *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 62.
719. იქვე, 62.
720. *Kwan Lun M.J.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong, Cambridge University Press, Cambridge, 2017, 9.

უბიძგებს მიიღონ საკუთარი გადაწყვეტილება დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით[721].

ბ) **შემფასებლითი/შეფასებითი[722],** როდესაც მედიატორის როლი აქტიურია,[723] იგი მხარეებს აქტიურად ეხმარება საკითხის რეგულირების მიზნებისათვის ალტერნატივების მოძიებას და მათ ანალიზში[724]; აღნიშნულ მოდელს ხშირად უფლებებზე დაფუძნებული მედიაციის წარმოების მოდელს უწოდებენ (evaluative/rights-based)[725].

ე.წ. შეფასებითი მედიაციის წარმოებისას მედიატორი არ არის შეზღუდული შეფასება გააკეთოს მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესის და რიგ შემთხვევაში კონკრეტული არაბოჭვითი ხასიათის რჩევა და რეკომენდაცია მისცეს დავაში ჩართულ მხარეებს თუ როგორ შეიძლებოდა უკეთესად მიიღწეს საკითხზე შეთანხმება. თუმცა მსგავსი სახის ჩარევა მხარეებს შორის მიმდინარე მედიაციაში მედიატორის მხრიდან დასაშვებია მხოლოდ უშუალოდ ორივე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში[726]. მსგავსი სტილი მედიაციის წარმოების ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს სათავეს[727]; მას ხშირად „სარეკომენდაციო მედიაციას“ და ხელშემწყობი მედიაციის ჰიბრიდულ ფორმას უწოდებენ[728].

უფლებებზე დამყარებული მედიაციის წარმოებისას მედიატორი ეხმარება მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას, რა დროსაც უთითებს მხარეებს მათი პოზიციის სისუსტეებზე და ირიბად მიანიშნებს თუ რა შედეგით შეიძლება დასრულდეს მხარეებს შორის სამართლებრივი დავა,

721. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 37.
722. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ., 2010, 141.
723. *Wendland M.*, Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 170.
724. *Hornung U*,. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006, 36.
725. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 12, 31.
(Evaluative Mediation-ს მსგავსი ნიშნებით ხასიათდება დოქტრინაში გავრცელებული კიდევ ერთი მოდელი მედიაციის Settlement Medaition /Result-based Mediation, რომლის ფარგლებშიც მედიატორი კონკრეტული შედეგის მიღწევის გარშემო ამუშავებს მხარეებს)
726. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 35.
727. *იქვე*, 241.
728. *Ponte L., Cavenagh T.,* Alternative Dispute Resolution in Business, West Educational Publishing, Ohio, 1999, 97.

თუ მედიაციიდან საქმე სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებს[729]. მსგავსი მედიაციის წარმოებისას მედიატორი მხარეებს ფორმალურ და არაფორმალურ რეკომენდაციას აძლევს[730] იმასთან დაკავშირებით, თუ რა იქნება მედიაციის მიზნებისთვის საუკეთესო შეთანხმების პირობა ანუ თავად სთავაზობს მხარეებს თავის ხედვას დავის შეთანხმებით დასრულების კონკრეტული პირობების შესახებ[731]. მსგავსი ტიპის მედიაციის დროს მედიატორი მთავარ აქცენტებს მხარეთა უფლებრივ ნაწილზე და სამართლიანობის პრინციპზე აკეთებს და არა ინტერესებზე, რაც შეიძლება მხარეებს ამოძრავებდეთ.

უფლებებზე დამყარებული მედიაციის ფორმის განვითარებამ საკმაოდ დიდი კრიტიკა[732] დაიმსახურა მედიაციის ფასილიტაციური ფორმის მხარდამჭერებში, ისევე როგორც მედიაციისადმი ზოგადად სკეპტიკურად განწყობილ იურიდიულ საზოგადოებაში. კრიტიკის მთავარ საფუძველს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მედიატორს არ უნდა ჰქონოდა მხარეებისთვის რაიმე სახის რეკომენდაციის გაკეთების უფლება და არ უნდა ჩარეულიყო მხარეთა ნების ავტონომიაში, რითაც მიაჩნდათ, რომ ხდებოდა მედიაციის მთავარი მახასიათებელი ნიშნის დაკნინება. ამ კუთხით ნიშანდობლივია, რომ მედიატორის ნეიტრალიტეტს არ უნდა დაემუქროს საფრთხე, ისევე როგორც პროცესის წარმოება არ უნდა დაემსგავსოს შეჯიბრებით პროცესს, წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაცია დაკარგავს ნდობას საზოგადოებაში. მათ შორის იქნება რისკი იმისა, რომ მხარე რომლის ინტერესის საწინააღმდეგო შეიძლება აღმოჩნდეს მედიატორის შეთავაზება დატოვებს მედიაციის პროცესს[733]. შესაბამისად, მსგავსი სტილით მედიაციის წარმოებისას მედიატორს რეალურად უწევს დაიჭიროს ბალანსი მხარეების ინტერესებს შორის და არ გააჩინოს რაიმე სახის კითხვის ნიშანი მისი ნეიტრალურობის და მიუკერძოებლობის მიმართ[734].

729. *Fenn P.*, Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 63.
730. იქვე, 63.
731. *Kajkowska E.*, Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford and Portland, 2017, 9.
732. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 6, 7.
733. *Penny B.,* Mediation Law, Routledge Taylor&Francis Group, 2013, 7.
734. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 242.

თუმცა უფლებებზე დამყარებული მედიაციის წარმოება დღესაც წარმატებით მიმდინარეობს და ამ ფორმის მხარდამჭერთა პოზიციით მედიაციას არ ადგება ჩირქი, იმის გათვალისწინებით, რომ მედიატორმა რაც არ უნდა ურჩიოს მხარეებს ან შესთავაზოს საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები მაინც თავად მხარეები არიან და მათ არ ეზღუდებათ არჩევანი იყვნენ საკუთარი კონფლიქტის გადაჭრის საქმეში დამოუკიდებლები და ერთადერთი მხარე ვინც იღებს გადაწყვეტილებას.

გ) ტრანსფორმატიული (transformative) მედიაცია[735].

მედიაციის აღნიშნული სტილი უკავშირდება რობერტ ბუშის და ჯოზეფ ფოლგერის სახელს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ მედიაციის გამოყენებით შეიძლება კონფლიქტის მხარეების ურთიერთობების სახეცვლილება[736]. ე.წ. ტრანსფორმაციული მედიაციის წარმოებისას მედიატორი ნაწილობივ იყენებს ფასილიტაციურ სტილს პროცესის წარმოების და რიგ შემთხვევაში იმავე მედიაციის წარმოებისას იყენებს შემფასებლით სტილს მედიაციის წარმოების პროცესის მსვლელობისას დაფიქსირებული საჭიროებების შესაბამისად, რა დროსაც ორივე მხარეს ერთი მეორეს პერსპექტივიდან და გადმოსახედიდან ცდილობს შეახედოს საკითხის აქტუალურ მხარეს[737]. აღნიშნული სტილით მედიაციის წარმოების დროს მედიატორი ახდენს მხარეების საკუთარ თავში გაძლიერებას, რათა მონახონ რესურსი მიიღონ საკუთარი გადაწყვეტილება და მეორე მხრივ, მხარეებს მოუწოდებს აღიარონ მეორე მხარე და მისი პოზიციები გაითვალისწინონ[738].

ტრანსფორმაციული მედიაციის დროს, რაც უახლესი კონცეფციაა მედიაციის პროცესის წარმართვის, ორივე მხარე ფაქტობრივ ადასტურებს ერთმანეთის რეალურ ინტერესებს და ღირებულებებს ერთობლივ შეხვედრაზე და წინასწარ გაცხადებული პოზიციებით მიმ-

735. *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 31.
736. *Mantle M.,* Mediation: A practical guide for lawyers, Dundee University Press, Dundee, 2011, 132.
737. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 244.
738. *Mantle M.,* Mediation: A practical guide for lawyers, Dundee University Press, Dundee, 2011, 132.

დინარეობს მოლაპარაკებები, რათა მოხდეს ერთობლივად შეჯერება საერთო მისაღებ პოზიციაზე, რასაც თავის მხრივ მედიატორი ხელს უწყობს და ახდენს პროცესის ფასილიტაციას, მიყვება მხარეების მიერ დასახულ გეგმას და სტრუქტურას პროცესის მსვლელობის[739], რა დროსაც ეხმარება მხარეებს უკეთ გაიაზრონ ერთმანეთის პოზიციები, ისევე როგორც მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის რეალური მიზეზები, რათა ამის საფუძველზე მხარეებმა მიაღწიონ კონფლიქტის გადაჭრას. ამ სტილით მედიაციის წარმოებას ახასიათებს, რომ მხარეებს კარგად ესმით ერთმანეთის საჭიროებები და ინტერესები და ცდილობენ მიიღონ ამ ყველაფრის გათვალისწინებით ყველასთვის მისაღები შეთანხმება[740].

აღსანიშნავია, რომ მედიაციის წარმოების მოდელების მიხედვით მხარეები ხშირ შემთხვევაში არჩევენ ამა თუ იმ მიმართულებით გამოცდილების მქონე მედიატორებს, იგულისხმება გამოცდილება მედიატორების აწარმოონ ინტერესზე ან უფლებებზე დამყარებული მედიაცია[741].

5.2.7. მედიაციის წარმოების ინოვაციური ფორმები (მოძრავი მედიაცია, ონლაინ მედიაცია)

➢ **მოძრავი მედიაცია**

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ შეინიშნება პროცესის წარმართვის ინოვაციური ფორმა, როგორიც არის „მოძრავი მედიაცია“; მაგალითისთვის, ავსტრალიაში მათ შორის დაინერგა სპეციალური ფორმა მედიაციის, რომელსაც Shuttle[742] mediation-ს უწოდებენ, რა დროსაც მედიატორი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში განლაგებულ მხარეებს შორის, ტრანსპორტის გამოყენებით გადაადგილდება და ათანხმებს პირობებს. მედიაციის ამ ფორმისათვის მახასიათებელია სწორედ ის, რომ მხარეებს ერთად მედიატორი არ კრიბავს.

739. *Peter F.,* Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, 2012, 63.
740. *Chern C.*, The Commercial Mediator's Handbook, informa Law from Routledge, 2015, 244.
741. *Partridge M.V.B.,* Alternative Dispute Resplution, Oxford University Press, Oxford, 2009, 93.
742. *Boulle L., Field R.,* Australian Dispute Resolution, Lexis Nexis Butterworths, 2017, 286.

აღნიშნული ფორმის გამოყენებამ ბიძგი მისცა აღნიშნული სახელწოდებით მედიაციის პროცესის ისეთი სტილით გაძღოლას მედიატორის მხრიდან, როდესაც ის მხარეებს ერთად არ ახვედრებს და თავად მათ შორის მიმოსვლით და ინფორმაციის გაცვლით ცდილობს მართოს პროცესი[743]. აღნიშნული ფორმის გამოყენებას მედიატორის მხრიდან ხშირად აქვს თავისი ახსნა და წინაპირობა, რადგან რიგ შემთხვევაში ბარიერი მართლაც შეიძლება იყოს ტერიტორიული დაშორება მხარეების, თუმცა რიგ შემთხვევაში სახეზე არის ისეთი ტიპის მოლაპარაკებები, როდესაც მხარეებს არ სურთ ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაცია და ამისთვის მედიატორს იყენებენ (მაგ: საერთაშორისო დავებში, საოჯახო დავებში ნაწილობრივ, შრომით დავებში).

დოქტრინისეულად სამ[744] ძირითად წინაპირობას გამოყოფენ რის გამოც მედიაციის ამ ფორმით წარმოებამ ფეხი მოიკიდა პრაქტიკაში:

ა) თავიდან იქნეს არიდებული კონფრონტაცია, როდესაც მედიაცია მიმდინარეობს მაღალი დაძაბულობის ფონზე;

ბ) მხარეებს აქვთ კონფიდენციალური ინფორმაცია და მისი დოზირებულად მეორე მხარისთვის მიწოდებას მესამე ნეიტრალური პირის გამოყენებით არჩევენ;

გ) მედიატორს ეძლევა საშუალება ღიად ასაუბროს მხარეები ისეთ თუნდაც არაკონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის შესახებ, რაზეც მხარეები ერთმანეთის თანდასწრებით ვერ ისაუბრებდნენ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტილით მედიაციის ჩატარებას თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, კერძოდ, მსგავსი მედიაცია ცალსახად უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე ორივე მხარის ჩართულობით ერთობლივი შეხვედრების წარმოებისას, ისევე როგორც ალბათობა იზრდება იმისა, რომ მედიატორის მიუკერძებლობას შესაძლოა ერთ-ერთი მხარის მხრიდან დაესვას კითხვის ნიშანი, ისევე როგორც ასეთი მედიაციის დროს მთელი დატვირთულობა მედიატორზე მოდის და მხარეები ერთგვარად აქტიური პროცესისგან გამოთიშულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

743. *Wode M., Rabe C.S.,* Mediation, Springer, Berlin, 2014, 6.
744. *Roberts M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate, 2014, 133.

➢ **ონლაინ მედიაცია**

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება იმდენად მოხმარებადი და პოპულარული ხდება, რომ მისი მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო ეფექტურად და კომფორტულად მოხმარების შეთავაზების მექანიზმებზე გამუდმებით ფიქრობს საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოება, რაც მათ შორის მის დამატებით ფართოდ გავრცელებას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს.

მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალების დამკვიდრების პარალელურად, მათ შორის საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ფორმად მედიაციის სულ უფრო და უფრო გამოყენების კვალდაკვალ ვითარდება და ერთგვარად ბიძგი ეძლევა ევროპულ ქვეყნებში კიდევ ერთი ახალი ნოვაციის დამკვიდრებას მედიაციის მიმართულებით, კერძოდ, საუბარია ე.წ. E-Justice -ზე მედიაციის პროცესში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულების დანერგვაში ამერიკის შეერთებული შტატები ნამდვილად პიონერია[745], თუმცა დღეისთვის არაერთ ევროპულ ქვეყანაში მსგავსი ფორმა მედიაციის წარმოების უკვე კარგად არის დანერგილი[746]. ფაქტია, რომ ტრადიციული ფორმები დავის გადაწყვეტის, ისეთი როგორიც არის სასამართლოს წინაშე საქმისწაროება ან თუნდაც საარბიტრაჟო საქმისწარმოება, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს,

745. *Bhatia K.V., Candlin C., Gotti M.,* Discourse and Practice in International Commercial Arbitration, 2012, 213.

ე.წ. „ონლაინ მედიაცია“ -ს საფუძველი ჩაეყარა 1996 წლის ივლისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანზასის შტატში. კერძოდ, კომპიუტერით გატაცებულმა პიროვნებამ შექმნა ვებ გვერდი, რომელზეც აქვეყნებდა ადგილობრივ სიახლეებს, მათ შორის აკოპირებდა ინფორმაციას რადიოდან, ტელევიზიიდან, გაზეთებიდან, მათ შორის სიტყვა სიტყვით იმეორებდა მათ შორის საგაზეთო პუბლიკაციებში დაფიქსირებულ ტექსტს, რამაც გამოიწვია ადგილობრივი ბეჭდური მედიის რედაქტორის მხრიდან მასთან დაკავშირება და დადანაშაულება საავტორო უფლებების უხეშ დარღვევაში, შედეგად საიტის საქმიანობა დროებით შეჩერდა, თუმცა აღნიშნულმა პიროვნებამ მიმართა სამართლებრიც რჩევას, მათ შორის დაუკავშირდა ონლაინ ომბუდსმენის ოფის, რომელიც რამდენიმე თვის დაფუძნებული პრეოქტი იყო მასაჩუსეტის ინფორმაციული ტექნოლოგიის და დავის გადაწყვეტის ცენტრში, (ამჰერსტი) ჯენეტ რიფკინისა და ითთან კატშის მიერ, რომელთაც ამ კონკრეტულ დავაში გაწიეს მედიატორის ფუნქცია ელექტრონული საშუალებების (მეილი, სკაიპი და ა.შ.) გამოყენებით და მხარეთა შორის შედგა შეთანხმება.

746. იტალიაში ODR-ს განვითარება დაკავშირებულია მილანის საარბიტრაჟო პალატასთან 2003 წილადნ, <http://www.risolvionline.it>.[15.05.2018]

რათა გაუმკლავდეს დღითი დღე მზარდ დავებს მხარეებს შორის, მათ შორის დაბალი ღირებულების და საზღვართშორისი დავების მატების ფონზე[747]. ევროპული გადმოსახედიდან მარტივი, ეფექტური, დროული და ხელმისაწვდომი ფორმების არსებობა დავის გადაწყვეტის მექანიზმებისა არის დღევანდელი საჭიროება[748], რაც კარგად მოეხსენება ევროპელ კანონმდებელს[749], რომელმაც მიიღო შესაბამისი ევროპული დირექტივა და რეგულაციები, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ახალი ევროპული ჩარჩო რეგულაციები ხელს უწყობს დავის გადაწყვეტის მექანიზმების იმპლემენტაციას და ინტეგრაციას სამოქალაქო მართლმსაჯულების სისტემაში ევროპის მასშტაბით[750].

2013 წლის 21 მაისს ევროპის პარლამენტმა მიიღო ონლაინ დავების გადაწყვეტის მხარდამჭერი რეგულაცია (Regulation no 524/2013[751]), რაც მათ შორის დამატებითი ბიძგი გახდა ევროპის ქვეყნებში ონლაინ დავების გადაწყვეტის ფორმის და პლატფორმის დანერგვისთვის[752]. აღნიშნული რეგულაციის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლებს და მწარმოებლებს შეუქმნას კომფორტული გარემო, როდესაც ნაკლები დანახარჯით და სასამართლო პროცედურების გვერდის ავლით შეძლებენ დავების მოგვარებას, მათ შორის ონლაინ ვაჭრობის სივრციდან წარმოშობილ დავებზე[753].

747. *Cortes P.*, The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 101.
748. *Carvalho J.M., Carvalho C.,* Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016, 245, 246.
749. *Carvalho J.M., Nemeth K.,* Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 81.
750. *Cortes P.,* Consumer ADR in Spain and the United Kingdom, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018, 82.
751. იხ. <http://eur-lex.europa.eu/eli/reg/2013/524/oj>.[15.05.2018]
752. *Steffek F.,* The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016, 52, 53. <http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>. [15.05.2018]
753. *Van Gelder E.M., Biard A.B.,* The Online Dispute Resolution Platform after one Year of Operation: A Work in Progress with Promising Potential, Legal Journal Consumenten &Recht, TvC UITGEVERIJ, Paris, 2018, 77.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიამ 2011 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად (რომელი კვლევაც მათ შორის საფუძვლად დაედო 2013 წლის დავის ალტერნატიული საშუალების ევროპულ დირექტივას[754]), გამოვლინდა, რომ დაახლოებით 78% მცირე დავების მონაწილეების, აღარ აგრძელებდნენ წარმოშობილ სამართლებრივ დავას, მასთან დაკავშირებული ხარჯების და საქმისწარმოებისთვის საჭირო დროის დანახარჯის გათვალისწინებით[755].

ინტერნეტ სივრცის, ინტერნეტ პლატფორმის განვითარება ხელს უწყობს[756] ახალი კომუნიკაციის სფეროების ჩამოყალიბებას, სადაც მათ შორის უკვე შესაძლებელია კონფლიქტის მხარეების ჩართულობით სადავო საკითხების შესახებ შეთანხმებების მიღწევა. ბოლო წლების მანძილზე ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიის ინფორმაციული კომუნიკაციურ ტექნოლოგიად გარდაქმნა, რა დროსაც ელექტრონული კომუნიკაციის ფართო ტექნიკური შესაძლებლობები იძლევა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული კომერციის (e-commerce) განვითარების პარალელურად ჩნდება საჭიროება შესაბამისი მექანიზმის შექმნისა, რომელიც დავის ალტერნატიული საშუალების ელექტრონულ საშუალებად ჩამოყალიბდება[757].

ინტერნეტი აყალიბებს ონლაინ ვაჭრობის და კომერციის მსოფლიოს[758], რაც ყოველდღიურად მზარდი კატეგორიაა[759], ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ბაზარი ეს ბაზარიც ორიენტირებულია კლიენტის კმაყოფილებაზე და ეფექტურ მუშაობაზე, თუმცა ხშირია ხარვეზები ონლაინ ვაჭრობასთან დაკავშირებით, რაც იწვევს ხშირ კონფლიქტურ

754. ob. EU Directive 2013/11/EU.
755. *Van Gelder E.M., Biard A.B.,* The Online Dispute Resolution Platform after one Year of Operation: A Work in Progress with Promising Potential, Legal Journal Consumenten &Recht, TvC UITGEVERIJ, Paris, 2018, 77.
756. Brinkmann M.C., E-mediation im offentlichen Bereich in *Niedostadek A*.,(hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 376.
757. *Brown H., Marriott A*., ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 587.
758. *Christopher H., Astrid S*., Resolving Mass Disputes, Edward Elgar Publishing, UK, 2013, 240.
759. Commission Staff Working Document Report on cross-border e-commerce in the EU SEC (2009), 283.

სიტუაციას და ხელი ეშლება[760] ბაზრის ჰარმონიულ განვითარებას ხანგრძლივვადიანი დავების ფონზე. მსგავსი სიტუაცია გახდა ერთგვარი მაპროვოცირებელი ფაქტორი ონლაინ დავების სისტემის დანერგვისა, რათა მომხმარებლებს შეეთავაზოთ წარმოშობილი დავების დროული და კომფორტული გადაჭრის გზები და მექანიზმები[761].

ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებას არ აქვს მასშტაბი, შესაბამისად დღითი დღე იქმნება და იხვეწება დავების ელექტრონულ სივრცეში გადაწყვეტის შესაძლებლობები[762]. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მათ შორის WIPO[763] (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) –ს არბიტრაჟის და მედიაციის ცენტრის ODR -ს პროგრამა, რომლის გამოყენებით ინტელექტუალური საკუთრების შესახებ დავების მედიაციით მოგვარებას ონლაინ სთავაზობს დაინტერესებულ მხარეებს.

2011 წლის 25 ოქტომბერს ევრო პარლამენტმა მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია ADR-ს მხარდასაჭერი, რომელშიც მათ შორის ნახსენებია და მითითებაა გაკეთებული ODR-ს განვითარების დიდ პოტენციალზე[764] მცირე ზომის სარჩელებზე[765], თუ საზღვართშორისი დავების წარმოებისას[766] (cross-border litigation), თუმცა ამ ფორმას დავის გადაწყვეტისა ჰყავს კრიტიკოსებიც, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რეგულირების სიმცირე და თვითონ ელექტრონული ტექნოლოგიების

760. *Cortes P., Developing Online Dispute Resolution for Consumers in the EU: a proposal for the regulation of accredited providers, 2010, 19, International Journal of Law and Information Technology #*1.
761. *Christopher H, Astrid H*., Resolving Mass Disputes, Edward Elgar Publishing, UK, 2013, 240.
762. ონლაინ მედიაციის სერვისი Juripax (სთავაზობს მედიატორებს შესაძლებლობას იქონიონ ონლაინ პროგრამა პროცესის წარმოების, იგულისხმება ონლაინ ფორმები, ონლაინ ჩართვების პლატფორმა, საქმისწარმოების პროგრამა)
763. World Intellectual Property Organisation
764. Civil Justice Council, ODR-report, 5.
765. *Cortes P*., The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 44.
(აღნიშნული დირექტიცის შესაბამისად მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ საშუალება დავის გადაწყვეტა შეძლონ ონლაინ, და შესაბამისად ADR სერვისის მიმწოდებლებს უწევთ ODR ტექნიკის ქონა, რადგან სხვანაირად გაჭირდება ევროპის მასშტაბით მცირე ზომის დავების, როგორიც ძირითადად მომხმარებლების სფეროში არსებულ დავებს ეხებათ გადაწყდეს ნაკლები ფინანსური დანახარჯით, მით უფრო როდესაც სახეზეა საზღვართშორისო (cross border) დავა მხარეებს შორის.
766. *Susskind R., Tomorrow's Lawyers: An Introduction to Your Future, Oxford University Press, Oxford, 2013, 10.*

სიძვირე არის ის გამოწვევა, რაც ელექტრონული ფორმით დავის გადაწყვეტის დამკვიდრებას ხელს შეუშლის და ხდის არაეფექტურს[767], მეორე მხრივ, ონლაინ დავის გადაწყვეტის შემდგომი განვითარების პრობლემას სწორედ ამ ფორმით სარგებლობის ტენდენციის ზრდას ასახელებენ, რაც ონლაინ წარმოების გადატვირთვას გამოიწვევს[768], რაც მათ შორის ამ სახის სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციებისთვის შეიძლება გახდეს პრობლემა[769]. UNCITRAL თავის ODR წესებში პროგნოზირებს წელიწადში რამდენიმე მილიონამდე შემთხვევის ფიქსირებას[770] უახლოეს პერიოდში[771], როდესაც გამოყენებული იქნება ODR, ხოლო E-Commerce-ს განვითარების კვალვდაკვალ ეს მოხმარება ასობით მილიონამდე[772] შეიძლება ავიდეს. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ევროკომისიისთვის ODR - ს გამოყენების იდეა მისაღები გახდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რათა დამატებით დაეჭირა მხარი ევროკავშირის საზღვრებში ციფრული ვაჭრობისთვის[773], ხოლო თავის მხრივ UNCITRAL ელექტრონული კომერციის შემდგომ განვითარებას ავტომატურად უკავშირებს ონლაინ დავის გადაწყვეტის სისტემის ჩამოყალიბებას[774].

ონლაინ დავის გადაწყვეტის მექანიზმი, რომელიც წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების „ახალგაზრდა[775]“ წარმომადგენელს, განსაკუთრებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული

767. *Cortes P.*, Online Dispute Resolution for Consumers in the European Union, 2010, 183.
768. *Heetkamp S.J.*, Online Dispute Resolution bei grenzuberschreitenden Verbrauchervertragen, V&R Unipress, Universitatsverlag Osnabruck,2018,54.
769. *Rule C., Rogers V., Del Duca F.L.,* Designing a Global Consumer Online Dispute Resplution (ODR) System for Cross-Border Small Value –Hign Volume Claims-OAS Developments in Uniform Commercial Code Law Journal (UCCLJ) 2010, 221, 228.
770. Rogers V in Wahab M.A., Katsh E., Rainey D., Online Dispute Resolution (ODR): Theory and Practice, Eleven International Publishing, 2011, 122.
771. Vgl. UNCITRAL, A/CN.9/WG.III/XXIV/CRP.2,
772. *Rule C., Rogers V., Del Duca F.L.,* Designing a Global Consumer Online Dispute Resplution (ODR) System for Cross-Border Small Value –Hign Volume Claims-OAS Developments in Uniform Commercial Code Law Journal (UCCLJ) 2010, 221.
773. *Christopher H, Astrid S.,* Resolving Mass Disputes, Edward Elgar Publishing, UK, 2013, 241.
774. <http://www.uncitral.org/pdf/english/workinggroups/wg_3/26th_WG_III/wp_117_e.pdf >. [15.05.2018]
775. *Meller-Hannich C., Hőland A., Krausbeck E.,* „ADR“ und „ODR“: Kreationen der europaischen Rechtspolitik. Eine kritische Wűrdigung, Zeitschrift fur Europaisches Privatrecht, ZEuP, Verlag C.H.BECK, Műnchen, 2014 (1), 9.

მოდავე მხარეების მაგალითზე კარგად მუშაობს[776] და კიდევ უფრო გაამართლებს, რადგან რეალურად მხარეებს აქვთ ეფექტური საშუალება ისე, რომ ბილეთის ხარჯიც არ გაწიონ და არ მოუწიოთ ამა თუ იმ იურისდიქციაში ჩასვლა, ადგილობრივი სამართლებრივი სისტემის გაცნობა, მოახერხონ და აწარმოონ მოლაპარაკებები მათი ინტერესების დაცვის მიზნით და დასაცავად[777]. ონლაინ საშუალება იძლევა შესაძლებლობას ახალი ინოვაციური მიდგომით და ორგანიზებული ფორმით მოხდეს დავის გადაწყვეტა[778].

რიგი ქვეყნების კანონმდებლობაში შეიძლება პირდაპირ არ იყოს მსგავსი ტერმინი გაწერილი და გათვალსიწინებული, თუმცა არაფერი კრძალავდეს მსგავსი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მედიაციის განხორციელებას[779].

ODR-ს განმარტება ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის მოცემული[780], თუმცა ერთი აქვს ყველას საერთო, რომ საქმე ეხება დავის წარმოებას იმ საშუალებით, სადაც ფიგურირებს ელექტრონული ტექნოლოგიის კომპონენტი, თუმცა ამ ნაწილშიც სხვადასხვაობა შეიმჩნევა, ერთნი მიიჩნევენ, რომ „დავა ელექტრონული ტექნოლოგიის გამოყენებით[781]“ უნდა გადაწყდეს, მაშინ როდესაც მეორე მოსაზრებაც არის დამკვიდრებული, რომლის თანახმად „დავა ელექტრონულ გარემოში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წყდება[782].“ ორივე შემთხვევაში ტექნოლოგიები თამაშობს მნიშვნელოვან როლს[783], როდესაც პროცესი და კომუნიკაცია მოდავე მხა-

776. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 423.
777. *Rule C.*, Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002, 3, 4.
778. Brinkmann M.C., E-Mediation im offentlichen Bereich in *Niedostadek A.*, (Hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 376.
779. *Esplugues C.*, Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland),Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 52-53.
780. *Heetkamp S.J*, Online Dispute Resolution bei grenzuberschreitenden Verbrauchervertragen, V&R Unipress, Universitatsverlag Osnabruck, 2018, 31.
781. *Duve C., Eidenmuller H.,Hacke A.,* Mediation in der Wirtschaft, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2011, 209.
782. Phillippe, IJODR 2014, 57,57
783. *Rainey D.,* Mediator Ethics and the Fourth Party, ACResolution Magazine, <www.acrnet.org>. 2014, 10. [15.05.2015]

რეებს შორის[784] მიმდინარეობს ძირითადად ონლაინ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით[785] და მოდავე მხარეები ერთდროულად ფიზიკურად არ არიან ერთ სივრცეში მოლაპარაკების წარმოების დროს წარმოდგენილი[786].

ონლაინ დავის გადაწყვეტა (ODR[787]) აღქმულია, როგორც დავის გადაწყვეტის[788] ალტერნატიული საშუალება, რომელიც ხორციელდება დისტანციურად ინტერნეტ ტექნოლოგიის კომუნიკაციის გამოყენებით[789], რაც აძლევს მხარეებს საშუალებას მიიღონ მედიაციაში მონაწილეობა[790] ელექტრონული საშუალებების გამოყენებით[791],

784. Weimann/Nagel, NJ 2012, 413, 415.
785. Cortes, C.T.L.R. 2014, 172, 172.
786. *Lapp T.,Online-Mediation in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3.Auflage, 2016, 506.*
787. ლიტერატურაში აღნიშნულ აბრევიატურას ხშირად ვნახავთ ასევე E-Mediation-ს ტერმინის გამოყენებით.
788. ბოლო წლებია საერთაშორისო ბაზარზე შეიქმნა ონლაინ დავის გადაწყვეტის კერძო სერვის მიმწოდებლები: ა) eBay's Dispute Resolution Center - რომელიც თავის სივრცეში განხორციელებულ ტრანზაქციების ნაწილში მხარეებს სთავაზობს დავის ონლაინ გადაჭრის პლატფორმას; ბ) Modria - წარმოადგენს eBay და Pay Pal - ს ODR მიმართულების ყოფილი დირექტორის კოლინ რულის (2003; 2011) კომპანიას, რომელმაც eBay- განშეიძინა ლიცენზია ონლაინ დავების წარმოების და განავითარა თავისი ელექტრონული პროგრამა; გ) The Rechtwijzer – 2007 წელს ჰოლანდიის იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭომ შეიმუშავა ონლაინ პორტალი, რომლის მიზანი იყო დავაში ჩართულ მხარეებს დახმარებოდნენ ელექტრონულ სივრცეში მოეძიებინათ ადვოკატი, რაც 2014 წელს გადაიზარდა კომპანია Hill-თან (www.hiil.org/project/rechtwijzer) ერთად ონლაინ დავების გადაწყვეტის პლატფორმად. დ) Youstice - ასევე გახლავთ ონლაინ პლატფორმა, რომელიც 2014 წელს ამოქმედდა და ემსახურება მცირე ღირებულების დავების ონლაინ გადაწყვეტას; ე) resolver –www.Resolver.co.uk - კერძო პლატფორმაა, რომელიც მომხმარებლებს აძლევს საშუალებას მოახდინონ პლატფორმის გამოყენებით დავის ონლაინ წარმოება. [15.05.2018]
789. ODR-ს ცნებაზე მათ შორის იმუშავა UNCITRAL -ს მე-3 სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც ტექნიკური მახასიათებლები გაწერა
790. *Brinkmann M.C.,* E-mediation im offentlichen Bereich in *Niedostadek A.*,(hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010, 377, 378, 379, 380, 381. (ონლაინ მედიაციის განვითარების მიზნით გერმანიამ შექმნა რამდენიმე ელექტრონული პლატფორმა, რასაც აქტიურად სთავაზობენ კერძო კომპანიები მედიაციით დაინტერესებულ მომხმარებლებს, კერძოდ გავრცელებულია შემდეგი ონლაინ მედიაციის პროგრამები: Wiki, Weblog, Chat, Mikro-Blogging)
791. *Behme C., Probst R.,* Die neuen Mediationsregeln der ICC – ein Meilenstein fur die administrierte Mediation?, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft, 1/2014, Januar / Februar, Seiten 1-32, PVSt 47561, 10.

უყურებდნენ ერთმანეთს, უსმენდნენ ერთამენთს[792], გაუგზავნონ[793] ერთმანეთს ონლაინ ინფორმაცია და შეინახონ ონლაინ ინფორმაცია[794]. ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, რომ ესოდენ მზარდი ელექტრონული პლატფორმების და შესაძლებლობების ზრდის ფონზე ხომ არ არის საფრთხე იურისტის საქმიანობის სამომავლოდ საჭიროების შემცირებისა[795], თუმცა ალბათ უნდა შევთანხმდეთ, რომ მსგავსი საფრთხე ნაკლებია, რადგან რა ფორმითაც არ უნდა გადაწყდეს დავა და რაოდენ ეფექტური პროცესი არ შეეთავაზოთ მხარეებს, მათ ყოველთვის დასჭირდებათ და დამოკიდებული იქნებიან კვალიფიციურ იურიდიულ მრჩეველზე[796], რომელიც მათ შორის მედიაციაში უდიდეს როლს თამაშობს, რადგან ყველა იმ შეთავაზების თუ შეთანხმების პირობის სამართლებრივ ანალიზს აკეთებს, რომელსაც მის მარწმუნებელს უკეთებს მეორე მხარე, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე ნამდვილად წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდა.

ხშირად ონლაინ ფორმით დავის სასამართლოს გარე მექანიზმის სახით გამოყენებისას, ონლაინ ფორმას დავის „მეოთხე მხარეს" უწოდებენ[797] (fourth party[798]). დავის ონლაინ გადაწყვეტის ფორმები ვითარდება და რიგ შემთხვევაში უკვე საჩივრის ელექტრონულად რეგისტრაციაც ხდება შესაძლებელი და სრულად პროცესის ონლაინ მართვა[799], რითაც უშუალოდ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სახეს[800] იღებს ეს ახალი მიმართულება. ფაქტია დავის გადაწ-

792. Ashok K., Alternative Dispute Resolution System, K.K. Publications, 2016, 106.
793. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017,424.
794. *Cortes P.*, The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market, Cambridge University Press, Cambridge, 2018, 44.
795. *Susskind R.,* The End of Lawyers? Oxford University Press, Oxford, 2010,115.
796. *Meller-Hannich C., Hőland A.,Krausbeck E.,* „ADR" und „ODR": Kreationen der europaischen Rechtspolitik. Eine kritische Wűrdigung, Zeitschrift fur Europaisches Privatrecht, ZEuP, Verlag C.H.BECK, Műnchen, 2014 (1), 36.
797. *Heetkamp S.J.*, Online Dispute Resolution bei grenzuberschreitenden Verbrauchervertragen, V&R Unipress, Universitatsverlag Osnabruck,2018, 36-37.
798. *Katsh E., Rifkin J.*, Online Dispute Resolution: Resolving Conflicts in Cyberspace, Jossey-Bass Publishing, 2001, 93.
799. Thompson, The Growth of ODR, 2.
800. *Heetkamp S.J.*, Online Dispute Resolution bei grenzuberschreitenden Verbrauchervertragen, V&R Unipress, Universitatsverlag Osnabruck,2018, 38.

ყვეტის ალტერნატიული მექანიზმები[801] და განსაკუთრებით მედიაცია, მათ შორის ონლაინ მედიაციის სახით, განსაკუთრებით იძენს პოპულარობას და მომხმარებლებში ინტერესს.

ელექტრონული საშუალებებით დავის გადაწყვეტის ფორმა და გზა ხდება ინოვაციური მიდგომა, რაც დამატებით კომფორტს უქმნის მომხმარებელს, განსაკუთრებით შეიმჩნევა ამ მეთოდით ევროპასა და ამერიკის სხვადასხვა შტატებში კონკრეტული სპეციფიკური დავების მოგვარების პრაქტიკის ჩამოყალიბება, ისეთი როგორიც არის სამომხმარებლო[802] თუ მცირე ბიზნესის დავები. ბიზნესისთვის დავის წარმოება ყოველდღიური რეალობაა[803], ეს იქნება დავა მომახმარებლებთან თუ თვით ბიზნესის შიგნით პარტნიორებს შორის სამართლებრივი გაუგებრობები, თუ სახელმწიფოსთან, რასაც ვერ აიცილებს ბიზნესი და მის ინტერესებშიც შედის ხელთ იქონიოს დროული და ეფექტური მექანიზმები წარმოშობილი დავის რეგულირების მისი ინტერესების მაქსიმალურად დაცვის ხარჯზე (მაგ: მცირე ბიზნესის წარმომადგენელ კომპანიებს შორის, ბიზნესის წარმომადგენელ კომპანიასა და მის მომხმარებელს შორის და ა.შ), რადგან სასამართლოში საქმისწარმოება რიგ შემთხვევაში არაგონივრულ დროსთან და ხარჯებთან ასოცირდება, რაც ხშირ შემთხვევაში მცირე მნიშვნელობის ან მცირე ღირებულების დავების შემთხვევაში მხარეებისთვის მიუღებელი ხდება[804]. ხშირ შემთხვევაში ინგლისურენოვან საზოგადოებაში მას სპეციფიკურ ტერმინს უწოდებენ - ODR[805] (online dispute resolution). უფრო მეტიც, არიან მეცნიერები, რომელთაც მიაჩნიათ რომ ODR-ს აქვს პოტენცია და შესაძლებლობა მისი გამოყენებით გა-

801. *Hofmeister L., Slopek D.E.F.,* Schutzfähigkeit von Online Dispute Resolution Verfahren, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2013, 29.

802. იხ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 2016 წლის 19 თებერვლის კანონი სამომხმარებლო დავის წარმოების შესახებ: Verbraucherstreitbeilegungsgesetz, BGBl.2016,Teil I Nr.9 vom 25.02.2016, S.254-274.

803. *Rule C.*, Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002, 1.

804. *Hodges C.*, Mass Collective Redress: Consumer ADR and Regulatory Techniques, European Review of Private Law, Vol 23. No. 5-2015. Wolters Kluwer Law&Business, UK, 2015, 831.

805. *Bhatia K.V., Candlin C., Gotti M.,* Discourse and Practice in International Commercial Arbitration, 2012, 212.

დაწყდეს კომპლექსური დიდი ღირებულების დავები[806]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფორმით დავების გადაწყვეტა თავდაპირველად იწყებოდა ელექტრონულ საშუალებებთან დაკავშირებული კონფლიქტებით, როდესაც მხარეებს შორის მათ შორის ურთიერთობა ელექტრონული საშუალებებს და სერვისებს უკავშირდებოდა, თუმცა დღესდღეისობით ეს კრიტერიუმი აღარ არის განმსაზღვრელი და მხარეთა ინტერესის შემთხვევაში ნებისმიერი დავის და კონფლიქტის ონლაინ მედიაციის გზით გადაწყვეტის რესურსი არის შექმნილი[807].

ონლაინ მედიაციის პროპონენტები მათ შორის მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპების ონლაინ ინტეგირებას უთმობენ დიდ ყურადღებას, რაც მათ შორის გამოიხატება კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებაზე ელექტრონული ხელმოწერის გამოყენებით მხარეებისთვის სპეციალურ ფორმაზე შეთანხმებაში[808].

ონლაინ მედიაციას[809] ახასიათებს ყველა ის უპირატესობა, რაც ტრადიციულ ფორმებს დავის ალტერნატიული გადაწყვეტისა, რიგ შემთხვევაში კიდევ უფრო ნაკლები დროის და ფინანსების დანახარჯის მომტანი შეილება იყოს[810].

ონლაინ მედიაციის უპირატესობებს შეიძლება მივაკუთვნოთ[811]:

- მარტივია დასაგეგმად, მხარეების და უფრო მეტად მათი წარმომადგენლების გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით;
- მხარეებს სახლიდან ან/და ოფისიდან გაუსვლელად შეუძლიათ მოახდინონ მედიაციის პროცესში ჩართვა, კომუნიკაცია, საკით-

806. *Susskind R.,* Online Dispute Resolution: for low value civil claims, Civil Justice Council, <https://www.judiciary.gov.uk/wp-content/uploads/2015/02/Online-Dispute-Resolution-Final-Web-Version1.pdf>. 2015. [15.05.2018]
807. *Susskind R.,* The End of Lawyers? Oxford University Press, Oxford, 2010, 220, 221.
808. *Brown H., Marriott A*., ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 593.
809. *McLaren R.H., Sanderson J*., Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell., 2006, 4-32.7.
810. Prof. Fred Galves, Virtual Justice as Reality: Making the Resolution of E-commerce Disputes More Convenient, Legitimate, Efficient, and Secure, 2009, (1) Journal of Law, Technology & Policy
811. *McLaren R.H., Sanderson J*., Innovative Dispute Resolution:The Alternative., Thomson Carswell., 2006, 4-32. 8.3

ხის გარშემო მსჯელობა და პრობლემების განხილვა, რა დროსაც ჩამოაყალიბებენ დავის დასრულების შესაძლო პირობებს, ისევე როგორც შეუძლიათ შეიმუშაონ კონკრეტული შეთანხმების პირობები და პროექტები გაცვალონ ონლაინ შემდგომი გადამუშავების მიზნით[812].

- ონლაინ მედიაციამ უნდა დაზოგოს ხარჯები, მათ შორის გადაადგილებასთან დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზღვართშორისი მედიაციის წარმოებისას, როდესაც მხარეები თავიდან იცილებენ შორეულ დისტანციებზე მგზავრობას[813].
- ონლაინ სივრცეში ყოფნა აძლევს მხარეებს მეტ დროს და საშუალებას მედიაციის მსვლელობისას მომზადებული პასუხები გასცენ.
- ონლაინ მედიაცია განსაკუთრებით მომხიბვლელია მცირე დავების და სამომხმარებლო სექტორში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის მიზნებისათვის[814].
- ონლაინ მედიაცია იძლევა საშუალებას დოკუმენტები სწრაფად და თითქმის არანაირი დამატებითი ხარჯის სანაცვლოდ ელექტრონულად გაიცვალოს მხარეებს შორის.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ E-Justice-ს დამკვიდრების პირველ ეტაპზე მისი მთავარი გამოწვევა თითონ მედიაციისთვის მახასიათებელი მნიშვნელოვანი თვისება წარმოადგენს, როგორიც არის მედიაციის მხარეების ერთმანეთთან პერსონალური კონტაქტის[815] (ე.წ. face-to-face mediation /contact) საჭიროება, რაც რიგ შემთხვევაში მედიაციის წარმატებით დასრულების მთავარ წინაპირობად არის მოხსენიებული ლიტერატურაში და მათ შორის პრაქტიკული მაგა-

812. *Kumar A*., Alternative Dispute Resolution System, Global and National Perspective, K.K. Publications, 2016, 106.
813. *Alexander N*., Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 27.
814. *Hodges C.,* Mass Collective Redress: Consumer ADR and Regulatory Techniques, European Review of Private Law, Vol 23.No.5-2015.Wolters Kluwer Law&Business, UK, 2015, 867.
815. Traest M., in Esplugues C., Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland),Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 52-53.

ლითებიც ამაზე მეტყველებს, თუმცა საჭიროება როცა დგას და სხვა ალტერნატიული შესაძლებლობა არ არის, რა თქმა უნდა ელექტრონული საშუალებების გამოყენებას ალტერნატივა არ აქვს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევაში, ემოციურ ფონზე მიმდინარე მხარეთა შორის დავის დროს[816], ელექტრონული საშუალების გამოყენებით მედიაციის წარმოებამ ერთი მხრივ, შეიძლება დააცხროს მხარეთა ვნებათაღელვა და მეორე მხრივ, შესაძლებლობა მისცეს მედიატორს აწარმოოს პროცესი მშვიდ გარემოში, რაც საბოლოოდ შედეგის მომტანი უნდა გამოდგეს[817]. ონლაინ მედიაციის გამოწვევების კუთხით აუცილებელია აღინიშნოს, პროცესის კონფიდენციალურად განხორციელების პრინციპისადმი გარკვეული რისკი, რაც იმისთვის, რომ ამ ფორმამ მედიაციის გაამართლოს, აუცილებლად უნდა იქნეს თავიდან არიდებული ამ პორინციპის დარღვევის შესაძლებლობა მხარეების მიერ[818].

ელექტრონული ფორმით დავების გადაწყვეტას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს მომავალი ნამდვილად გააჩნია, მინიმუმ იმ კატეგორიის დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება მცირეა[819] და რეალურად მხარეებს სასამართლოსთვის მიმართვის ინტერესი თუნდაც ფინანსური დანახარჯის გათვალისწინებით არ ექნებათ, თუმცა ამ ფორმის სტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარების კვალდაკვალ, რიგ შემთხვევაში დიდი კომერციული დავების გადაწყვეტის[820] ან ამ პროცესის ნაწილობრივი გადაწყვეტის ფორმა მართლაც შეუძლია ODR-ს რომ შეასრულოს მომავალში[821], მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის ამ ფორმის გამოყენებას კიდევ უფრო მეტი უპირატესობა ახასიათებს ზოგადად მედია-

816. *Eidenmuller H., Wagner G.,* Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 34.
817. *Alexander N.*, Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands, 2006, 27.
818. *Blake S., Browne J.,Sime S.*, The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 258.
819. *Rule C.*, Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002, 5.
820. Schultz T., The Roles of Dispute Settlement and ODR in Ingen-Housz A., (Arnold) ADR in Business, Volume II, Wolters Kluwer Law&Business, the Netherlands, 2011, 137.
821. *Susskind R.,* The End of Lawyers? Oxford University Press, Oxford, 2010, 223, 224.

ციისგან განსხვავებით, კერძოდ, იგულისხმება კიდევ უფრო ნაკლები ფინანსური დანახარჯი და მათ შორის ნაკლები დროის დანახარჯი[822].

ამ კუთხით აღსანიშნავია მათ შორის ქართული რეალობა, და კერძოდ, ჯერ კიდევ მედიაციის ჩანასახოვან მდგომარეობაში, ჩვენ პრაქტიკაში დაგვიდგა საჭიროება მედიაციის განხორციელებისას ელექტრონული ტექნიკური საშუალებების გამოყენების, როდესაც დავა უცხო ქვეყნის რეზიდენტის ჩართულობით მიმდინარეობდა[823] ან თუნდაც ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქართველი რეზიდენტი პირების ჩართულობით მიმდინარე მედიაციის წარმოებისას გამოყენებულა ელექტრონული ტექნიკური საშუალებები, ხოლო 2019-2021 წლებში მსოფლიო პანდემიამ საქართველოში ხელი შეუწყო სრული სახით ონლაინ მედიაციის პლატფორმების დანერგვას, როგორც სასამართლო სამედიაციო ცენტრების, ასევე კერძო პრაქტიკის წარმოების მიზნებისთვის მედიატორთა ყოველდღიურ საქმიანობაში, რაც მაღალი ალბათობით პოსტ-პანდემიურ ეპოქაში ასევე დარჩება მედიაციის წარმოების ეფექტურ ფორმად, ასეთი ტიპის მედიაციის წარმოების მსურველი მხარეთათვის, საჭიროებისამებრ.

5.3. მედიატორის პროფესიული განათლება და სერტიფიცირების სტანდარტები

მედიატორის განათლებასთან და განათლების სტანდარტებთან დაკავშირებით წლებია მიდის დისკუსია და მსჯელობა თუნდაც ისეთ ელემენტარულ საკითხზე, თუ რამდენად არის სავალდებულო მედიატორს ჰქონდეს სპეციალური განათლება მიღებული მედიაციის პროცესში[824]. წლების წინ იყო ხედვა განვითარებული, რომ მედიატორს უნარები ბუნებით უნდა მოსდგამდეს და რაიმე დამატებითი ამ

822. *Rule C.*, Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002, 61.

823. თბილისის საქალაქო სასამართლოს მედიაციის ცენტრის ეგიდით მიმდინარე მედიაცია რ. ჰ. (წარმომადგენელი: ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი) და ვ.გ. შორის, 2015წ. საქმე #2/21878-14, დავა სამედიაციო შეთანხმებით დასრულდა.

824. *Boulle L., Kathleen K.J.,* Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 237.

კუთხით სწავლება მიზანშეწონილი არ იყო, რადგან მედიაციის ფილოსოფია ითხოვდა მედიატორებისგან ყოფილიყვნენ ჩვეულებრივი ადამიანები და არა რაიმე კასტა დატრენინგებული პირების[825].

დღეის მდგომარეობით მსგავსი დისკუსია ესოდენ მძლავრად არ მიმდინარეობს და უმრავლესობა ყალიბდება მედიატორთა მომზადების სავალდებულოობაზე, თუმცა ქვეყნების მიხედვით მიდგომები განსხვავებულია კონკრეტული მომზადების კურსების და შინაარსთან დაკავშირებით; ისევე როგორც იმ საკითხთან დაკავშირებით თუ ვინ უნდა გააკონტროლოს მედიატორად მიღების წინაპირობად გათვალისწინებული საგანმანათლებლო სტანდარტი, კერძოდ, რამდენად უპრიანია ის ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს, თუ მსგავსი უფლებამოსილების მატარებელი რამდენიმე სუბიექტი შეიძლება თანაარსებობდნენ[826].

დღეისათვის მედიატორად მომზადების და მედიატორის განათლების სტანდარტები პირდაპირ ასოცირდება მათ პროფესიონალიზმთან და შესაბამისად ყველა ქვეყანაში მოქმედი მედიაციის სისტემები ცდილობენ ორიენტირება აიღონ თუნდაც მინიმალური დოზით სტანდარტების არსებობაზე ამ პროცესში[827]. მედიატორად გახდომის წინაპირობებზე დიდია ყველა ქვეყანაში დისკუსია, და ამ სტანდარტებს ძირითადად სამ კატეგორიად ჰყოფენ:

ა) ზოგადი წინაპირობები, ანუ მედიატორობის მსურველის ასაკი, შესაძლო პროფესია, განათლების სფერო და არ უნდა იყოს ნასამართლევი (მაგ: ავსტრიასა და პორტუგალიაში პიროვნება უნდა იყოს მინიმუმ 28 წლის; მაგ: ესპანეთსა და რუსეთის ფედერაციაში სავალდებულოა უმაღლესი განათლების ქონა).

ბ) მედიატორად გახდომის წინაპირობა: კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის გავლა, რაც ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი სტანდარტით რეგულირდება (მაგ: ავსტრალიაში, ჰონგ-კონგში, კანადაში, ჩინეთში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ში 40 საათიანი

825. იქვე, 237.

826. *Rőthemeyer P.,* Die Zertifizierungsfiktion, 17 Jahrgang, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 2/2014, Januar/Februar, 66.

827. *Alexander N., Steffek F.,* Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016, 30.

სწავლებაა დანერგილი ; ბევრ სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში ეს საათები გაცილებით მეტია, მაგ: ავსტრიაში 370 საათი, გერმანიაში 150 საათი, ბელგიაში 90 საათი, რა საათებიც რიგ შემთხვევაში მაქსიმუმ 2 წლის მანძილზე უნდა იქნეს დაგროვებული კანდიდატების მხრიდან)

გ) მედიატორის სტატუსის მიღების შემდგომ სავალდებულო განგრძობადი განათლების სისტემის არსებობა, რომელიც ასევე ყველა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად რეგულირდება, ისევე როგორც ჯერ კიდევ ყველგან სავალდებულო სტანდარტს არ წარმოადგენს (მაგ: ავსტრიაში სავალდებულოა 50 კრედიტ საათის დაგროვება 5 წელიწადში, ავსტრიაში 25 საათი 2 წელიწადში, ბელგიაში 18 საათი 2 წელიწადში და ა.შ).

აღსანიშნავია, რომ იმ ქვეყნებში სადაც დადგენილი არ არის რაიმე სახის ტრენინგის გავლის ვალდებულება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე პირს შეუძლია განახორციელოს მედიატორის საქმიანობა, თუმცა მსგავსი შემთხვევები საგამონაკლისოა, ძირითადად ყველა ქვეყანაში გარკვეული სტანდარტები არის დადგენილი, რათა პირს მიეცეს ოფიციალური სტატუსი მედიატორის და მათ შორის იქნეს ინტეგრირებული სასამართლოს თუ ამა თუ იმ მედიატორთა გაერთიანების რეესტრში[828], რითაც უმთავრესად მომხმარებელი სარგებლობს[829]. ამასთანავე, სულ უფრო აქტუალური ხდება მედიატორთა სავალდებულო განგრძობადი განათლების/გადამზადების[830] საკითხი მრავალ ქვეყანაში, რაც მათ შორის მნიშვნელოვანი გამოწვევა და თემა გახდა საქართველოს მაგალითზე, ამ ახალი ინსტიტუციის კიდევ უფრო ინტეგრირების შემდგომ საქართველოში, კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მიერ

828. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევაში რეესტრს აწარმოებს სახელმწიფოს კონკრეტული წარმომადგენელი უწყება, მაგალითად თურქეთში ასეთი არის იუსტიციის სამინისტრო. http://www.adbadalet.gov.tr/arabulucu [15.05.2018]

829. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 237.

830. *Fritz R.,* Das Gűtesiegel `Zertifizierter Mediator`, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten PVSt 47561, 62, 63.

შემუშავდა საქართველოში მედიატორთა სერტიფიცირების წესი და სტანდარტები, ისევე როგორც პროფესიული განვითარების სავალდებულო სისტემა, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

მედიაციაში სწავლება ძირითადად არის ორიენტირებული მედიატორის უნარების განვითარებაზე და პრაქტიკულ როლურ თამაშებზე კეთდება აქცენტი, მედიატორს უნდა ჰქონდეს როგორც თეორიული ცოდნა ასევე პრაქტიკული უნარები მიღებული მედიაციის წარმოების[831]. როგორც წესი მედიაციაში სწავლების პროგრამებს უძღვებიან უშუალოდ მედიაციის განმხორციელებლი ინსიტტუციების წარმომადგენლები[832]. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობაში პირდაპირ იყოს გაწერილი თუ ვის აქვს ტრენინგის ჩატარების უფლებამოსილება, მსგავსი პრაქტიკა ძაან იშვიათ[833] ქვეყნებში გვხვდება, რომ აღნიშნულს პირდაპირ კანონი არეგულირებდეს სახელობით[834].

მედიაციის ტრენინგის გავლის შედეგად მედიატორის სტატუსის მიღებისას ხდება პირის მედიატორად აკრედიტაცია, დასტურად იმისა, რომ კონკრეტული ინსტიტუცია ადასტურებს მედიატორის მიერ სწავლების წარმატებით დასრულების ფაქტს და მისი მომზადების დონე პასუხობს კონკრეტულ მინიმალურ დადგენილ სტანდარტებს საქმიანობის განხორციელების.

აღსანიშნავია, რომ რიგ ქვეყნებში[835] მედიატორებს აკისრიათ ვალდებულება მონაწილეობა მიიღონ ყოველწლიურ სავალდებულო გან-

831. *Greger R.,Unberath H.,Steffek F.,*Recht der alternativen Konfliktlősung, 2.Auflage, C.H.BECK, Műnchen, 2016, 185.

832. ტრენინგზე მსმენელებს მიეწოდებათ თეორიული ინფორმაცია კონფლიქტის თეორიებზე, მოლაპარაკების მოდელებზე და მედიაციის პროცესზე და განსაკუთრებული აქცენტი არის გადატანილი მედიატორის უნარების სწავლებაზე პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულების ხარჯზე, ისევე როგორც ისწავლება კომუნიკაციის უნარები, კონფლიქტის მართვის ხელოვნება და მედიაციის ეთიკური სტანდარტები.

833. ასეთ ქვეყანას წარმოადგენს თურქეთი, სადაც მედაიციის შესახებ კანონის 23-ე მუხლი ითვალისწინებს რომ მედაიციაში ტრენინგების ჩატარების უფლება გააჩნიათ: ა) უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებს; ბ) თურქეთის ადვოკატთა ასოციაციას; გ) თურქეთის იუსტიციის აკადემიას.

834. *Goksu M.,* Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey., Banka ve Ticaret Hukuru Arastirma Enstitusu, 2016, 279.

835. ავსტრალია

გრძობადი განათლების პროგრამაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეუჩერდებათ მედიატორის სტატუსი.

მედიატორის პროფესიის საქართველოში დანერგვის პარალელურად სულ უფრო აქტუალური ხდებოდა პროფესიაში მიღების გარკვეული სტანდარტით რეგულირების საკითხი, რაც ევროკავშირის გაეროს განვითარების პროგრამის ტექნიკური დახმარებით, კერძოდ, ექსპერტული ჩართულობით „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად საქართველოს მედიატორთა ასოციაციის საერთო კრებამ 2020 წლის 27 ივნისს დაამტკიცა და აამოქმედა საუკეთესო ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა[836], რომლის თანახმად ასოციაციის მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა წარმოადგენს "მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ მედიატორის პროფესიაში შესვლის სავალდებულო კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს პირის პრაქტიკული ცოდნითა და სამედიაციო უნარ-ჩვევებით აღჭურვას და ხელს უწყობს პროფესიაში მის წარმატებულ და კვალიფიციურ ინტეგრაციას, კერძოდ, მედიატორის პროფესიით დაინტერესებულმა პირმა უნდა გაიაროს პროგრამით გათვალისწინებული თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებზე დაფუძნებული ეტაპები: მედიაციის / მედიატორის ტრენინგი (მინიმუმ 40 საათიანი სწავლება); მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება (აღნიშნული დაინტერესებულ პირებს შეეთავაზებათ პროფესიული ასოციაციის მხრიდან კალენდარული წლის მანძილზე მინიმუმ ორჯერ, რაც წარმოადგენს მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარებში ორდღიან შემოწმებას როლური თამაშების ფონზე); რეალური მედიაციის გაძღოლის უნარ-ჩვევების განვითარება, რაც საშუალებას აძლევს მომავალ მედიატორს გამოცდილ კოლეგასთან ერთად შეიმეცნოს პრაქტიკული პროფესიული უნარები.

ამასთანავე, 2022 წლის 01 იანვრიდან, USAID-ს სამართლის უზენაესობის პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერით, კერძოდ, ექსპერტული ჩართულობით, მოქმედი ქართველი მედიატორებისათვის

836. იხ. https://mediators.ge/uploads/files/6253def545b1e.pdf

ამოქმედდა[837] მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარების პროგრამა[838], რომლის მიზანს წარმოადგენს მედიატორებისთვის საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობა, მედიატორთა პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავება მედიაციის მომხმარებელთა სასარგებლოდ და საკუთარი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის. აღნიშნული პროგრამის თანახმად თითოეული მოქმედი მედიატორი ექვემდებარება კალენდარული ორი წლის მანძილზე ვალდებულებას დაესწროს და გაიაროს პროფესიული თვითგანვითარების 20 საათიანი სასწავლო კურსი და მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკულ აქტივობებში.

აღსანიშნავია, რომ მედიატორთა პროფესიაში შესვლის/სერტიფიცირების და პროფესიული განგრძობადი განვითარების სისტემის არსებობამ საქართველოში ახლადდაფუძნებული პროფესია მედიატორისადმი მომხმარებლის მხრიდან სანდოობის მოპოვების გზაზე მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

5.4. მედიატორის შერჩევის ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმები

მედიაციის მომხმარებლები მედიატორის შერჩევისას თავად აკეთებენ არჩევანს თუ ვინ მიაჩნიათ შესაფერის კანდიდატურად საკუთარი დავის მიზნებისათვის, რა დროსაც მხარეები უმთავრესად ქვემორე ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს[839] იყენებენ:

ა) მედიატორის შერჩევის ობიექტური კრიტერიუმები:

- მედიატორის თეორიული ცოდნა / ტრენინგები;
- მედიატორად საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება;
- დავის კონკრეტულ საგანში ექსპერტიზა;
- ამა თუ იმ პროფესიული გაერთიანების წევრობა;

837. 2021 წლის 18 დეკემბერს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციციის“ საერთო კრებამ დაამტკიცა მედიატორთა განგრძობადი პროფესიული განვითარების დებულება.
838. იხ. https://mediators.ge/uploads/files/6294653495432.pdf.
839. *Boulle L., Kathleen K.J.*, Mediation Principles, Process, Practice, Butterworths Canada, 1998, 90, 91.

- მედიატორის ეთიკური სტანდარტები;
- მედიატორის ფინანსური ნიხრები;

ბ) მედიატორის შერჩევის სუბიექტური კრიტერიუმები:

- მედიატორის საზოგადოებაში ადგილი, ზოგადად და მისი ვიწრო მიმართულებით;
- პროფესიული რეპუტაცია, როგორც მედიატორის ან იმ პროფესიის წარმომადგენლის, რა სფეროშიც საქმიანობს;
- პიროვნული მახასიათებლები;
- მხარისთვის და მისი ადვოკატისთვის მედიატორის პიროვნების მიმღებლობა;

5.5. მხარეები და მათი წარმომადგენლები მედიაციის პროცესში

5.5.1. მედიაციის პროცესში მხარეთა უშუალოდ მონაწილეობის მიზანშეწონილობა და უპირატესობები

მედიაციის პროცესი აბსოლიტურად ნებაყოფლობითია ანუ მისი ინიცირება და მასში მონაწილეობა მხარეების მიხედულობაზე და ნება სურვილზეა დამოკიდებული, ისევე როგორც მხარეები განსაზღვრავენ მედიაციის შინაარს და მიზანს და მათ შორის საკუთარი გადაწყვეტილებით[840] ასრულებენ მათივე ხელით ინიცირებულ მედიაციის პროცესს[841].

კონფლიქტის მხარეები თავად ირჩევენ მედიაციას როგორც მათ შორის არსებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებას, რომელი პროცესის მიმართ უნდა გააჩნდეთ ნდობა[842]. მხარეები არიან ის პირები, ვინც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თუ რა ფორმით დაარეგულირონ ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტი, აირჩიონ

840. *Walker S., Smith D.*, Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013, 108.
841. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 48.
842. *Oldenbruch H.*, Die Vertraulichkeit im Mediationsverfahren, Wissenschaftlicher Verlag Berlin / WVB, 2006, 18.

სასამართლო წარმოების მექანიზმი თუ აირჩიონ მედიაცია[843], როგორც დავის შეთანხმებით დასრულების ექფექტური პლატფორმა. აქვთ სრული შესაძლებლობა აირჩიონ საკუთარი დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის კონკრეტული მედიატორი[844], ისევე როგორც სრულიად შეუზღუდავები არიან თავად განსაზღვრონ მედიაციის პროცესის შედეგი, კერძოდ, დაასრულონ დავა შეთანხმებით ან თუნდაც მათთვის სასურველ ეტაპზე შეწყვიტონ მედიაცია და დავა გააგრძელონ სასამართლოში ასეთი ინტერესის შემთხვევაში. მედიაციის პროცესის შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა[845] კონფლიქტის მხარეებს, როგორც დავაში ყველაზე კარგად გარკვეულ „ექსპერტებს[846]" ეკისრებათ, იგულისხმება ის თუ რამდენად შეძლებენ მხარეები კონკრეტული პირობების გარშემო შეთანხმების მიღწევას და თუ რამდენად ეს პირობები არის მათი ინტერესებისთვის მისაღები და შესაბამისი; მხარეების ხელთ არის მედიაციაში კონკრეტული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, რაშიც მათ მედიატორი უნდა სწორედ დაიხმარონ და გამოიყენონ, ისევე როგორც სწორედ უნდა მოახდინონ მხარეებმა მათი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭირო მედიატორის შერჩევა, რა დროსაც მხარეები როგორც წესი ყურადღებას აქცევენ მედიატორის პიროვნულ თვისებებს, გამოცდილებას, მედიატორის სპეციფიურ პროფესიულ გამოცდილებას[847], მის შესახებ საზოგადოებაში არსებულ ინფორმაციას, სანაცნობო წრის რჩევას და რეკომენდაციას ამა თუ იმ მედიატორის შესახებ[848].

ამ ყველაფრის ფონზე, რა თქმა უნდა, მედიატორი თავის ფუნქციას ასრულებს და მიუხედავად იმისა, რომ ის რეალურად არ არის გადაწყვეტილების მიმღები პირი, მაინც მნიშვნელოვანი როლის მატარებელია, რადგან სწორედ მის ფასილიტაციას არიან მხარეები

843. *Eidenmuller H.*, Alternative Streitbeilegung, Verlag C.H.Beck Munchen, 2011, 148.
844. *Stoldt M.,* Verfahren und Ablauf der Mediation in *Hinrichs U.*, Praxishandbuch Mediationsgesetz, Verlag Walter de Gruyter, Berlin, 2014, 107.
845. *Kracht S.,* Rolle und Aufgabe des Mediators – Prinzipien der Mediation in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016, 320.
846. *Wendland* M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017, 168.
847. *Pratt S., Niculita V.A.,* The Lawyer's Business Valuation Handbook, American Bar Association, Chicago, 2010, 516.
848. *Alexander N.*, International and Comparative Mediation, Wolters Kluwer, 2009, 116.

დაქვემდებარებული და მის მიერ შეთავაზებული და დადგენილი წესების მიხედვით დგამენ მხარეები ნაბიჯებს, რადგან სწორედ მედიატორის უნარებს, ცოდნას და გამოცდილებას ანდობენ მხარეები კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესის მიმდინარეობას, იმ დათქმით, რომ საბოლოო სიტყვა თავად მხარეებზეა[849]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაც არ უნდა მედიატორი იყოს გამოცდილი და მედიაციის პროცესის დაგეგმარებაში შეუდარებელი, დავის მონაწილე მხარეების რეალური შესაძლებლობა დავა შეთანხმებით გადაწყვიტონ ძლიერ ეფექტს[850] ახდენს მედიატორის მიერ თუნდაც კარგად დაგეგმილ მედიაციის სტრატეგიაზე, ანუ რაც უფრო რაციონალურია თავად მხარე, რაც უფრო კარგად ესმის საკუთარი ინტერესების მიღწევის საშუალებები და კარგად აქვს შექმნილი წარმოდგენა თუ რა პროცესის მონაწილეა, მით უფრო წარმატებული იქნება მედიციის პროცესი და გაუადვილდება მედიატორს მის მიერ დაგეგმილი ნაბიჯები დროულად და ეფექტურად გადაიდგას. როდესაც მხარეები გამოუცდელნი არიან დავის წარმოებაში და მათ შორის კარგად არ აქვთ ჩამოყალიბებული თუ რა უნდათ დავიდან, რა შედეგი იქნება მათი ინტერესების შესაბამისი[851] – ამ ყველაფრის ფონზე მნიშვნელოვანია, რათა მხარეებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მედიაციის შესახებ, იმ წესების და ვალდებულებების შესახებ რაც მედიაციაში მოქმედებს, რადგან მათ ჰქონდეთ საშუალება ნებისმიერ ეტაპზე მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება[852], რათა მოახდინონ საკუთარი ინტერესების საუკეთესოდ წარმოჩინება შეთანხმების პირობებში, რაც უნდათ რომ მიაღწიონ მეორე მხარესთან. ამ კუთხით, რა თქმა უნდა დიდია მხარეთა წარმომადგენლების როლი და ჩართულობის საჭიროება, თუმცა შესაძლებელია და ხშირია, როდესაც მხარეებს მედიაციაში წარმომადგენელი არ ჰყავთ (ფინანსური ან სხვა მიზეზის გამო, რიგ შემთხვევაში მხარეები თავად არიან გამოცდილი

849. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.*,Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 48.
850. *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 71.
851. იქვე, 71.
852. *Kracht S.,* Rolle und Aufgabe des Mediators – Prinzipien der Mediation in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016, 322.

მოლაპარაკებების წარმოებაში[853]), რა დროსაც მედიატორს მოუწევს ორმაგი ყურადღების გამოჩენა, რომ მხარეებს მიაწოდოს სრული ინ-ფორმაცია მედიაციის და იმ წესების შესახებ რითაც მხარეები უნდა ხელმძღვანელობდნენ პროცესში გადაწყვეტილების მიღების კუთხით.

მხარეებმა მედიაციისთვის მზადების პროცესში უნდა გაითვალის-წინონ, რომ რაიმე გაწერილი სამართლებრივი ფორმულით მედია-ციის დაწყება, როდესაც რაიმე სხვა ოფციას შეთანხმების მიზნები-სათვის აღარ განიხილავენ შეიძლება მაზარალებელი პოზიცია იყოს მათთვის მედიაციის წარმატებით დასრულების თვალსაზრისით, რადგან მედიაციას ახასიათებს ალტერნატივების შეუზღუდაობა და კონკრეტულ ერთ პოზიციაზე აქცენტირება ხელს არ უწყობს მედია-ციის შედეგიანად წარმართვას[854].

მედიაციაში მხარეები საკუთარ ინტრესებზე[855] არიან აქცენტი-რებულნი და მათზე უკეთ არავინ იცის თუ რა კონკრეტული ინტე-რესები ამოძრავებთ მათ და რა შედეგით უნდათ რომ მედიაცია დასრულდეს, შესაბამისად, მხარეები არიან მედიაციის მსვლელობის ფაქტობრივი ხელმძღვანელები[856], ისევე როგორც ხშირია შემთხვევა, რომ მხარის კონკრეტული ინტერესის დაკმაყოფილება მეორე მხა-რის ფიზიკურ და ადამიანურ რესურსებს აღემატება, მიუხედავად ამ მხარის სოციალური თუ ფინანსური მდგომარეობისა, რაც ასე-ვე შეუთანხმებლობის წინაპირობა შეიძლება გახდეს, რაც რიგ შემ-თხვევაში უკვე მეცნიერულ, თეორიული კვლევის საკითხად არის ქცეული თანამედროვე დოქტრინისეულ კვლევებში[857]; ზოგადად ნე-ბისმიერ ურთიერთობაში ინტერესების თანხვედრა კონსენსუსის

853. *Walker S., Smith D.,* Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013, 146.
854. *Diez H., Krabbe H., Thomsen C.S.*, Familien – Mediation und Kinder, Bundesanzeiger Verlag, 3.uberarbeitete und aktualisierte Auflage, 2009, 115.
855. *Steffek F.*, Prinzipiengeleitete Regelung der Konfliktlősung, Zeitschrift fűr KonfliktManagement (ZKM), #5, Verlag Dr.Otto Schmidt, Kőln, 2013, 141.
856. *Schwarz K., Mediation Collaborative Law –Collaborative Practice, Schriften der Johannes-Kepler-Universitat Linz, Trauner Verlag, 2010, 9.*
857. *Wendenburg F.*, Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 119.

წინაპირობაა[858], რაც მათ შორის მედიაციაშიც არ არის საგამონაკლისო შემთხვევა; მედიაცია ელის მხარეებისგან შეთანხმებისკენ სწრაფვას და ამის რეალურად გამოვლინებას, რაც მხარეების პროცესის მსვლელობაში აქტიური ჩართულობით ვლინდება[859]. მედიაციამ უნდა უზრუნველყოს ორივე მოდავე მხარის კმაყოფილება[860], როდესაც პროცესს მხარეები იწყებენ, როგორც დაპირისპირებულები[861], ხოლო ასრულებენ შეთანხმებით.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ტიპის მოლაპარაკებაში, და მით უფრო მედიაციაში, ყოველთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს მხარეების რესურსი იქონიონ ერთმანეთის ინტერესზე გარკვეული გავლენა[862], სხვა სიტყვებით რომ ითქვას ისინი ერთმანეთისთვის უნდა იყვნენ საინტერესო მოდავე მხარეები, რათა მათ კონკრეტულ პოზიციას გააჩნდეს რაიმე სახის დამატებითი ღირებულება მეორე მოდავე მხარის თვალში და პირიქით, რა დროსაც მხარეებს უადვილდებათ კონკრეტული სამოქმედო დღის წესრიგის შედგენა ერთმანეთთან მოლაპარაკებების პროცესის მიზნებისთვის, ხოლო მედიატორს უადვილდება პროცესის მართვა, რადგან მან ორივე მხარის უპირატესობების შესახებ სრული ინფორმაცია მიიღო და შესაბამისად გეგმავს მხარეების ერთმანეთთან სასაუბრო თემას, რათა მედიაციამ კონკრეტული შედეგი მოუტანოს ორივე მხარეს, რასაც სწორედ იმ უნარების და გამოცდილების ხარჯზე ანხორციელებს მედიატორი, რაც ზოგადად ამ სტატუსის მიღებასთან არის დაკავშირებული ამა თუ იმ იურისდიქციაში, თუ მედიატორის პრაქტიკულ გამოცდილებასთან, რაც კონკრეტული სამედიაციო საქმეებში მონაწილეობით უგროვდება მედიატორს.

ზემოაღნიშნულ არგუმენტს შეიძლება სხვა ჭრილშიც შეეხედოს,

858. *Steffek F.*, Skizzen einer Gerechtigkeitstheorie fűr das Privatrecht –Individuen, Interessen, Kohärenz, Konsens und Ausgleich in Gedächtnisschrift fűr Hannes Unberath, Arnold Stefan, Lorenz Stephan., C.H.Beck, Műnchen, 2015, 436.

859. *Walker S., Smith D.,* Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013, 8.

860. *Schreiber A.*, Obligatorische Beratung und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2007, 87.

861. *Dieter A.,* Montada L., Schulze A., Gerechtigkeit im Konfliktmanagement und in der Mediation, Campus Verlag, Frankfurt/New York, 2000, 33.

862. *Moore C.W.*, The Mediation Process, 3rd Ed, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003, 72.

კერძოდ, მედიაციის პროცესში ე.წ. სუსტი მხარის დაცვის საჭიროებაზე[863], თუმცა ეს შეფასებითი კრიტერიუმია და მსგავსი რაიმე ნორმატიული ფორმით გაწერილი წესი და სტანდარტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს, თუმცა კონფლიქტში მყოფი მხარეების მაგალითზე რა თქმა უნდა ხშირია იმის შესაძლებლობა, რომ ერთი მხარე მეორე მხარის გავლენის ქვეშ ექცეოდეს რიგი ფაქტორების გამო, რაც მათ შორის შეიძლება დაკავშირებული იყოს მხარეებისთვის მედიაციისგან გარე ფაქტორებზე, თუ კონკრეტული მედიაციის პროცესის მიზნებისთვის ამა თუ იმ საპროცესო საკითხთან. გასათვალისწინებელია, რომ ე.წ. „პიროვნული ძალაუფლება[864]" (Private Macht) უმეტესწილად ფაქტობრივი მოვლენაა და სამართლებრივ ფაქტორს ან რეგულირებას, როგორც წესი არ ემორჩილება, ეს ფენომენი ან ფიგურირებს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ან სახეზე არ არის. სწორედ ამ მიმართულებით მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების შეძლებისდაგვარად თანაბარი პირობების შექმნის საჭიროებაზე მიდის საუბარი მედიაციის მაგალითზე. მსგავს მოვლენას სხვადასხვაგვარი გამოვლინება შეიძლება გააჩნდეს და მას სწორი ამოცნობა ესაჭიროება, რადგან ნებაყოფლობით პროცესში ჩართულ მხარეებს შესაძლოა ერთმანეთთან აკავშირებდეთ იმ სახის მედიაციისგან გარე ურთიერთობები, რაც ირიბად კარნახობდეთ მათ მედიაციის პროცესში შეთანხმების პირობების შინაარს, რაც შეიძლება ერთ-ერთი მხარისათვის უკუპროპორციული შედეგის მომტანი აღმოჩნდეს, ვიდრე მისთვის სასარგებლო შედეგით შეთანხმების მიღწევის მოლოდინი, შესაბამისად ამ საკითხს რიგ შემთხვევაში ჩაღრმავება სჭირდება თავად მხარის და მისი წარმომადგენლის მხრიდან, რადგან დასაწყის ეტაპზე მსგავსი მოვლენის არსებობა მედიატორისთვის შესაძლოა საერთოდ არ იყოს ხელშესახებად ცნობილი ან თუნდაც არ იქნეს ამაზე მიქცეული სათანადო ყურადღება, რადგან თავად ეს მოვლენა და შესაძლებლობა მათ შორის მეცნიერულ დონეზე ახალი დამუშავების ტენდენციას წარმოადგენს.

863. *Wendenburg F.*, Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013, 118.

864. *Őslein F.,* Private Macht, Mohr Siebeck, Tűbingen, 2016, 9.

მხარე ყოველთვის უნდა უკვირდებოდეს თუ რამდენად არის სახეზე მის მიმართ შესაძლო იმ სახის გავლენის გამოყენება, რაც მეორე მხარეს მის მიმართ შეიძლება გააჩნდეს და რა საშუალებებით[865] და გზების გამოყენებით შეიძლება ეს მედიაციის პროცესში მისი ინტერესების გატარების საპირწონე გარემოება აღმოჩნდეს, რათა ამის შესაძლებლობის შემთხვევაში მოახდინოს მისი პრევენცირება.

მსგავსი სიტუაცია რა თქმა უნდა ბევრი შეიძლება შეიქმნას და მათი წინასწარი გათვლა და რეგულაცია ამ ეტაპზე ფაქტობრივ არ ხდება, თუმცა თვით მედიაციის იდეიდან გამომდინარე, რომელიც პროცესში ჩართული მხარეების აბსოლიტურ დამოუკიდებლობაზე, თანაბრობაზე და მედიაციაში ჩართვის ნებაყოფლობითობაზე მიგვითითებს, მსგავსი სახის საკითხის იდენტიფიცირება და საკითხის განეიტრალების ერთადერთი ბერკეტი მედიატორი რჩება, რომელმაც ყველა ის ღონე უნდა იხმაროს, რაც მხარეებს უზრუნველყოფს მისაღები გადაწყვეტილების დამოუკიდებლობაში და გარანტირებული იქნება მათი თვითგამოხატვის და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.

ამ კუთხით რეალურად ბევრია კიდევ რეგლამენტაციას დასაქვემდებარებელი, იგულისხმება ან საკანონმდებლო ან თუნდაც პრაქტიკის მიზნებისთვის წესების გაწერა, რათა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება არ გამოიყენოს ერთ-ერთმა მხარემ საკუთარი ბუნებრივი თუ სოციალური[866] უპირატესობების გამოყენებით თავის სასარგებლოდ.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში გაბატონებილია მოსაზრება და მიდგომა, რომ მედიაციის მიმდინარეობისას უპრიანია უშუალოდ მხარეები ესწრებოდნენ მედიაციის პროცესს, რადგან მათი ჩართლობით ალბათობა შეთანხმების მიღწევის მაღალია. ამასთანავე, მხარეთა დასწრებას აქვს ის დატვირთვაც, რომ გარდა საკითხის გადაწყვეტისა, მხარეების უშუალო ჩართლობა და ერთმანეთთან ურთიერთობა მათ ერთმანეთთან დაახლოებას და კონფლიქტის პირადულ დონე-

865. *Witte E.H., Van Quaquebeke N., Eckloff T.,* Machts als sozialpsychologisches Konzept in Őslein F., Private Macht, Mohr Siebeck, Tűbingen, 2016, 67.

866. *Wendenburg F.*, Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013,107.

ზე აღმოფხვრას უწყობს ხელს[867]. შესაბამისად მედიაციის ვირტუალური წარმოება (მაგ: ავსტრიაში[868] ონლაინ მედიაციის წარმოება კრიტიკის საგანია, და განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევაში დაიშვება, როდესაც სხვა შესაძლებლობა ფიზიკურად არ არსებობს და ორივე მხარე აღნიშნულზე თანხმობას აცხადებს) ან პროცესში მხოლოდ წარმომადგენლების მონაწილეობა არ არის მიზანშეწონილი, მაგალითად ნორვეგიასა[869] და ფლორიდის შტატში[870] უშუალოდ მხარეების დასწრება სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს მედიაციის წარმოების, ისევე როგორც უნგრეთი[871], სადაც მხარის გამოუცხადებლობა მედიაციის პროცესში ხელს უშლის პროცესის გახსნას, ხოლო კანადის პროვინცია ონტარიოს[872] მაგალითზე მხარეების უშუალო დასწრება სავალდებულოა მედიაციის დაწყებიდან პირველი ოცდაათი წუთის მანძილზე მაინც.

5.5.2. წარმომადგენლის როლი, მონაწილეობის ფარგლები და ეთიკური საფუძვლები მედიაციის პროცესში

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებზე როდესაც მიდის მსჯელობა ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, რომ ამ ეტაპზე და განსაკუთრებით მედიაციაში ადვოკატის საჭიროება არ დგას, რადგან მხარეებს თავად შეუძლიათ სამართლისგან დაცლილ და არაშეჯიბრებით პროცესში დაიცვან საკუთარი ინტერესები, რის ხარჯზეც ფინანსებიც დაეზოგებათ; არის ასევე მოსაზრება, რომ ადვოკატები, თავისი ბუნებით, კლიენტის ინტერესებზე იქნებიან ორიენტირებულ-

867. *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 65.
868. *Roth M., Gherdane D., Mediation in Austria, in Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 291.
869. *Sperr A.K.*, Mediation in Norway, in *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1152.
870. *Kulms R.,* Mediation in the USA, in *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 1263.
871. *Jassel-Holst C.,* Mediation in Hungary, in *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 617.
872. *Ellger R.,* Mediation in Canada, in *Hopt K.J., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 937.

ნი და ხელს ვერ შეუწყობენ შემათანხმებელი პროცესის წარმატებით წარმართვას, თუმცა საკითხის არსის სწორედ ანალიზის შემთხვევაში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატი მხოლოდ დამატებითი ღირებულების შემქმნელია მსგავს პროცესში, რადგან მას შეუძლია მოახდინოს ინფორმაციის გადამუშავება, ფაქტობრივი გარემოებების უკან მდგომი სამართლებრივი რისკების ანალიზი, რაც სწორი პოზიციის ჩამოყალიბებაში დაეხმარება კლიენტს[873]. წარმომადგენელი მედიაციაში ერთგვარად მშვიდობის „დამმყარებელია[874]".

დღეისათვის მრავალი იურისტი არის მედიაციაში ჩართული როგორც მედიატორი[875] ან მხარეების წარმომადგენელი მედიაციაში, ეს უკანასკნელი იურიდიულ პრაქტიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს[876]. იურისტების ჩართულობა მედიაციაში ფუნდამენტრური მნიშვნელობის არის[877], რადგან იურისტებს აქვთ უშუალო შესაძლებლობა მარწმუნებლებს გაუჩინონ მედიაციისადმი სწორი აღქმა და მოახდინონ მათი ეფექტური ჩართულობა მედიაციის პროცესში[878]. მეორე მხრივ, იურისტები მხარეებისთვის მედიაციის შესახებ პირველად წყაროს წარმოადგენენ და განმსაზღვრელ ფაქტორს დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალებისადმი ნდობის გაჩენის. მართალია მედიაციის ფუნქციისა და შედეგებისადმი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მცდარი წარმოდგენა აქვს[879], თუმცა ეს ახალი ინსტიტუტი ყოველდღიურად უფრო პოპულარული ხდება.

იმისათვის, რათა მედიაციამ როგორც ახალმა ინსტიტუტმა გაამართლოს და პრაქტიკული შედეგები მოიტანოს, იგულისხმება ერთი მხრივ, დავების რეალურად შეთანხმებით დასრულების სტატისტიკა,

873. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 53.
874. *Walker S., Smith D.,* Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013, 3.
875. *Haft F., von Schlieffen K.G.*, Handbuch Mediation, C.H.BECK, Munchen, 3 Auflage, 2016, 107, 108.
876. *Reuben C.R.*, The Lawyer Turns Peacemaker, A.B.A.J, 1996, 54, 55.
877. *Margaret S.H.*, The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Great Britain, Oxford, 2006, 89.
878. *Dingle J., Kelbie J.,* The Mediation Handbook, 2nd Ed, Unity Press, 2014, 114.
879. *Leung E.*, Mediation: A Cultural Change, Asian Pacific Law Review, 2009, 17.

რაც მეორე მხრივ, ავტომატურად უკავშირდება სასამართლოს გადატვირთულობის განტვირთვის მიზანს, მნიშვნელოვანია მასში ჩართულმა ყველა მხარემ სრულყოფილად და ზუსტად შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულებები, იგულისხმება რა თქმა უნდა უპირველესად მედიატორი და მხარეები პროცესის მონაწილე, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი როლი ამ პროცესში მხარეთა წარმომადგენლებს ენიჭებათ, რადგან სწორედ ადვოკატი არის ის პირი, რომელიც განსაზღვრავს მედიაციის წარმატებულად მიმდინარეობას, შესაბამისად მხარეთა მხრიდან მედიაციის მიზნებისთვის ადვოკატის შერჩევას დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან ერთი მხრივ, ადვოკატს კარგად უნდა ესმოდეს მედიაციის არსი და მეორე მხრივ, ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება პრაქტიკული სახით მედიაციაში წარმომადგენლობის, რადგან ადვოკატის თუნდაც ერთი შეუსაბამო სიტყვით და მიდგომით მეორე მხარისადმი, მედიაცია შეიძლება წარუმატებლობით[880] დასრულდეს, ამაში მოიაზრება, რა თქმა უნდა ადვოკატის მხრიდან თავისი კლიენტის მომზადება მედიაციისთვის, სწორი მოლაპარაკების სტრატეგიის შერჩევა თავისი მარწმუნებლისთვის[881]. მედიაციაში წარმომადგენლის ფუნქციით აღჭურვილმა პირმა, რომელიც რა თქმა უნდა ხშირ შემთხვევაში სწორედ ადვოკატია, უნდა მოახერხოს და მხარეს დაანახოს სხვაობა[882] მის რეალურ ინტერესებსა და მის მიერ დაყენებულ სამართლებრივ მოთხოვნებს შორის, რათა მხარემ მის რეალურ ინტერესებზე მოახდინოს აქცენტირება და შეთანხმების მიღწევის მიზნით ოფციების შემუშავება თავის წარმომადგენელთან ერთად.

მარწმუნებელი ჯერ კიდევ მედიაციის თავდაპირველ ინიცირების ეტაპზე სწორედ ადვოკატთან გადის კონსულტაციას იმის შესახებ თუ რამდენად არის მედიაცია დადებითი მოვლენა მისი დავისთვის და ალბათ მარტივი წარმოსადგენია რომ ქართულ რეალობაში, როდესაც მედიაცია არ არის დავის გადაწყვეტის ტრადიციული ალტერნა-

880. *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-12.
881. *Eidenmuller H.*, Alternative Streitbeilegung, Verlag C.H.Beck Munchen, 2011, 147.
882. *von Maik B.*, Guterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker &Humblot, Berlin, 2015, 23.

ტიული მექანიზმი და საზოგადოებრივი ინფორმირებულობის დონე მედიაციის შესახებ საკმაოდ დაბალია, ადვოკატის როლს და დანიშნულებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ არა ადვოკატის რეკომენდაცია[883] მედიაციის ინიცირების თაობაზე, მხარე მედიაციის გამოყენებისგან თავს შეიკავებს[884]. მედიაცია არის ყველაზე კარგი საშუალება ადვოკატმა ერთი მხრივ, გაივარჯიშოს მოლაპარაკებებში და მეორე მხრივ, კლიენტის ინტერესებს მოემსახუროს, რადგან აძლევს მათ საშუალებას თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი[885].

ბევრი ადვოკატი მედიაციაში იღებს მონაწილეობას[886], ან როგორც მხარის წარმომადგენელი ან როგორც უშუალოდ მედიატორი და მათი პროცესში ჩართულობა ხელს უწყობს მედიაციის დამატებით პოპულარიზაციას და ცნობადობის გაზრდას საზოგადოებაში. მედიაციის პროცესში წარმომადგენლის სტატუსით ჩართული ადვოკატები, ერთგვარად პროცესში მონაწილეობით იღებენ ვალდებულებას კონსტრუქციული[887] ჩართულობის და მხარეებისათვის მოლაპარაკების წარმოებაში დახმარების, რათა საკუთარი როლის წინა პლანზე წამოწევით ხელი არ შეეშალოს მხარეთა შორის მორიგების მიღწევის პერსპექტივას, თუმცა ამით წარმომადგენლის ინსტიტუტის როლი არ კნინდება, პირიქით საკანონმდებლო დონეზე აღნიშნული დაცული და გარანტირებული უფლებაა, ერთგვარი „წარმომადგენლობითი დემოკრატიის“ გამოხატულება მედიაციაში უზრუნველყოფილია[888].

აღსანიშნავია, რომ მედიაციის დანერგვის პარალელურად ყველა იურისდიქციაში ადვოკატის ერთგვარ ვალდებულებად[889] იქცა მხარეს მიაწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია დავის გადაწყვეტის

883. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 5.
884. *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution:The Alternative, Thomson Carswell, 2006,4-2.
885. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, xviii.
886. *Englert K., Franke H., Grieger W.*, Streitlosung ohne Gericht – Schlichtung,Schiedsgericht und Mediation in Bausachen, Werner Verlag, 2006, 253.
887. *Pruckner M.,* Recht der Mediation, Linde Verlag Wien, Wien, 2003, 32.
888. *Fischer E.*, Sozialwissenschaftliche Theoriebildung und das Problem der Mediation, Peter Lang Verlag, Frankfurt, 2006, 17.
889. *Steffek F.*, Mediation und Justiz in Das Neue Mediationsgesetz, Fischer Christian., Unberath Hannes., Verlag C.H.Beck, Munchen, 2013, 35.

აღნიშნული ალტერნატიული საშუალების შესახებ, რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილება აღნიშნული მექანიზმის გამოყენების შესახებ მხარის პრეროგატივაა[890], თუმცა ადვოკატი თავის მხრივ ვალდებულია მინიმუმ ინფორმაცია მიაწოდოს ასეთი საშუალების არსებობის და მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შესახებ კონკრეტული დავის მიზნებისთვის მისცეს მარწმუნებელს რჩევა. ადვოკატმა მარწმუნებელს ისიც ნათლად უნდა აუხსნას, რომ მედიაციაში მხარემ საკუთარ ინტერესებზე და არა სამართლებრივ საფუძვლებზე უნდა გააკეთოს მთავარი აქცენტი, ისევე როგორც თავად უნდა განსაზღვროს მედიაციის შინაარსი და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება, რა კუთხითაც ადვოკატი იქნება მისი მრჩეველი და წარმომადგენელი, თუმცა სრული პასუხისმგებლობა შედეგზე მხარეს ეკისრება. მედიაციაში წარმომადგენლობა მათ შორის ადვოკატის მხრიდან გულისხმობს საკუთარი მარწმუნებლისთვის პროცესის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდებას, სწორი რჩევის მიცემას მედიაციის საჭიროების შესახებ კონკრეტული დავის მიზნებისთვის და მათ შორის დავის შინაარსიდან გამომდინარე შესაფერისი ცოდნის, გამოცდილების და უნარების მქონე მედიატორის შერჩევას[891].

ამ კუთხით არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს და 2012 წლის 8 დეკემბრის ცვლილებებით, რაც გატარდა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში, მსგავსი ეთიკური ვალდებულება გაჩნდა ასევე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსში[892].

მედიაცია არ წარმოადგენს ყველაფრის მკურნალს[893], მედიაციის მიუხედავად მხარეები მაინც შეიძლება სასამართლოს იურისდიქციამდე მივიდნენ[894], თუმცა მის შესახებ ყველა იმ პირმა უნდა იცოდეს ვისაც დავასთან აქვს შემხებლობა, განსაკუთრებით ადვოკატებმა

890. *Schmidt F., Lapp T., Monβen H.G.,* Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2012, 22.
891. იქვე, 23.
892. იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი. <www.gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>. [28.06.2018]
893. *Brand J., Steadman F.. Todd C.,* Commercial Mediation, luta&Company, 2nd Ed, 2016, v.
894. *Niedostadek A*., Mediation bei Arbeitsplatzkonflikten und der Grundsatz der Freiwilligkeit, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 55.

კარგად უნდა იცოდნენ მედიაციის ადგილის და როლის შესახებ სამართლებრივ სისტემაში, რადგან მისი გამოუყენებლობით კარგავენ ახალი შესაძლებლობებით სარგებლობის შესაძლებლობას. მედიაცია შეიძლება გახდეს მკურნალი, თუ მოხდება მიმდინარე დავის სწორი ანალიზი, ერთგვარი „კონფლიქტის სკრინინგი[895]", რაც გახდება წინაპირობა მისი გადაწყვეტის, მინიმუმ გადაწყვეტის სწორი გზების დასახვის.

მედიაციაში ადვოკატებს უწევთ სამართლებრივი მიდგომის ტრანსფორმირება და წლების მანძილზე გამომუშავებული მიდგომების დროებითი ცვლა, კერძოდ, ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დავისთვის საკითხი როგორიც არის მთავარი არსი სამართლებრივი საქმისწარმოების თუ ვინ ვის რას სთხოვს და რის საფუძველზე[896] მედიაციაში დროებით ერთგვარად ნიველირდება, რადგან მედიაციაში შეთანხმების მიღწევის მიზნებისთვის მხარეებს უწევთ ერთგვარ კომპრომისებზე წასვლა, თუ მათთვის შეთანხმების მიღწევა და საკითხის საფუძვლიანად ამოწურვა წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტს, რის შესაძლებლობას მედიაცია აძლევს მხარეებს. ამ პროცესში მხარეები არიან ის პირები[897] ვინც ყველაზე კარგად იცის თუ რა არის შესაძლებელი შეთანხმების მიღწევისთვის და რაზე არიან მზად რომ შეთანხმდნენ. მედიაციაში არ ხდება საკითხის სამართლებრივი სისწორის მიხედვით გადაწყვეტა, არამედ ხდება კონფლიქტის, დაპირისპირების, დავის შესახებ მხარეების მხრიდან შეთანხმება[898]. შესაბამისად, ალბათობა მაღალია, რომ ამ ნაწილში გაჟღერებულ მთავარ კითხვას თუ ვინ ვის რას და რის საფუძველზე, მედიაციაში დასახული მიზნებისთვის ამა თუ იმ მხარისთვის არ იყოს მთავარი პრიორიტეტი, რის სწორად კონსტრუირებაში ადვოკატმა უნდა შეას-

895. *Ponschab R.*, Verhandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 7.

896. *იქვე*, 4.

897. *Wendenburg F.,* Mediation –flexible Gestaltung innerhalb fester Strukturen, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 36.

898. *Ponschab R.,* Verhandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9,Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 4.

რულოს მნიშვნელოვანი როლი მარწმუნებლის სასარგებლოდ და ინტერესების გათვალისწინებით.

იმისთვის, რომ ადვოკატი იყოს წარმატებული წარმომადგენელი მედიციაში მას ესაჭიროება სპეციალური მომზადება, რადგან ის უნარები რაც ადვოკატს აქვს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისთვის შეძენილი, არ არის საკმარისი მედიაციაში სრულფასოვანი წარმომადგენლობისთვის[899]. ამ პროცესში, რასაც მედიაცია ჰქვია ადვოკატს უნდა ჰქონდეს ზუსტი წარმოდგენა თუ რასთან აქვს შემხებლობა, მას უნდა ჰქონდეს ერთი მხრივ, სრული ინფორმაცია მათ შორის მედიატორების შესახებ, მათი საქმიანობის შესახებ, ისევე როგორც, იცოდეს თუ როგორ უნდა შეარჩიოს საქმისთვის სწორი და საჭირო მედიატორი[900], რას უნდა მოელოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება წამგებიან მდგომარეობაში, რითაც მისი კლიენტის ინტერესი ზარალდება. გასათვალისწინებელია, რომ იურიდიული სკოლები მედიაციიის პრაქტიკულ უნარებში არ ამზადებენ[901] მომავალ იურისტებს და შესაბამისად ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ როგორ შეიძლება იურისტი იყოს წარმატებული მედიაციაში?

ხშირია როდესაც ადვოკატები ამა თუ იმ საქმის წარმოებას და მის შედეგს თავის თავს უკავშირებენ და საკუთარ საქმედ აღიქვამენ, მაშინ როდესაც ეს საქმე კონკრეტული კლიენტის საქმეა და ის იგებს ან აგებს დავას[902], შესაბამისად, კლიენტებს ყოველთვის ურჩევნიათ ნაკლები დროის და ფინანსების დანახარჯით მოუგვარდეთ კონფლიქტი და თუ ამაში ადვოკატი ეფექტურად დაეხმარებათ, კლიენტი ამ ყველაფეს ორმაგად ითვალისწინებს, შესაბამისად მედიაციის სწორი გამოყენება ადვოკატების მხრიდან და მისი სწორი აღქმა ურთიერთსასარგებლო პროცესია დავის მიმდინარეობისას, მთავარია ადვოკატს სწორად ესმოდეს მედიაციის მიზნები და მხოლოდ ამის შემდგომ გაუადვილდება მედიაციის პროცესის აღქმა[903].

899. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 1.
900. იქვე, 6.
901. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, xix.
902. იქვე, 1.
903. *Stephen W.J.,* Principles of Alternative Dispute Resolution, West Academic Publishing, 2016, 391.

შესაბამისად, ერთი მხრივ ადვოკატებს უნდა სჯეროდეთ მედიაციის ეფექტურობის, რომ მედიაცია რეალურად შედეგის მომტანია, და ადვოკატებს არ უნდა ჰქონდეთ მედიაციის მიმართ საკუთარი თავის კონკურენტის ან საქმიანობის „წარმთმევის" განცდა, ამ მიმართულებით ადვოკატთა ასოციაციის და მისი სწორი პოლიტიკის გარეშე მედიაცია საქართველოში თამამად შეიძლება ითქვას რომ ვერ გაამართლებს ან გაცილებით დიდი დრო დასჭირდება მის რეალურ წარმატებულ ინსტიტუტად ჩამოყალიბებას, ვიდრე ადვოკატთა ასოციაციის სწორი ჩართულობით ამ დიდ პროცესში, რასაც მედიაციის საქართველოში დამკვიდრება ჰქვია.

საერთაშორისო დონეზე საინტერესო დისკუსია მიმდინარეობს იმასთან დაკავშირებით მედიაციაში ჩართული წარმომადგენელი უნდა იყოს თუ არა სავალდებულოდ ადვოკატი[904], რაზეც იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილი შეჯერდა, რომ ეს ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში ქვეყნის შიდა კანონმდებლის გადასაწყვეტია, ყველა კონკრეტული ქვეყნის საჭიროებების და რეალობის გათვალისწინებით[905]. თუმცა წლებია დამკვიდრდა პრაქტიკა საერთაშორისო დონეზე, რომ ადვოკატი წარმომადგენლის შემთხვევაში დამატებითი ღირებულება აქვს პროცესს, განსაკუთრებით რთული კომერციული დავების მედიაციის დროს, რადგან დარგის სპეციალისტი ადვოკატის[906] მიერ შესრულებული მედიაცია მხარეებს ხშირ შემთხვევაში წარმატების წინაპირობად მიაჩნიათ, თუმცა ადვოკატი მედიაციაში უპირატესად მხარეების ინტერესებზე ორიენტირებულ დიალოგს აწარმოებს და არა სამართლებრივი ნორმების[907] შინაარსზე და სამართლებრივ შეფასებებზე აკეთებს აქცენტებს, რაც თავის მხრივ მათ მარწმუნებლებსაც უადვილებთ საკითხში გარკვევას და ერთვებიან პროცესის მიმდინარეობაში აქტიურად. უფრო მეტიც, არაადვოკატი წარმომადგენლებიც ხშირ შემთხვევაში ადასტურებენ,

904. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 25.
905. §1 Abs. 1 RBerg; zur Frage der Erlaubnispflicht im Falle `gerichtsnaher` Mediation ausfuhrlich Volkmann, SchiedsVZ, 2004, S.245 ff.
906. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 1.
907. *Greger R., Unberath H.,* Die Zukunft der Mediation in Deutschland, 2008, Verlag C.H.Beck Munchen 2008, 5.

რომ ადვოკატი მედიატორის და ადვოკატი წარმომადგენლების ჩართულობით მედიაცია უფრო წარმატებული პროცესია[908].

იურისტების ჩართულობა, როგორც წარმომადგენლების მედიაციაში ფუნდამენტური მნიშვნელობის არის[909], რადგან იურისტებს აქვთ უშუალო შესაძლებლობა მარწმუნებლებს გაუჩინონ მედიაციისადმი სწორი აღქმა და მოახდინონ მათი ეფექტური ჩართულობა მედიაციის პროცესში. მეორე მხრივ, იურისტები მხარეებისთვის მედიაციის შესახებ პირველად წყაროს წარმოადგენენ და განმსაზღვრელ ფაქტორს დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალებისადმი ნდობის გაჩენის.

ამასთანავე, ადვოკატი წარმომადგენლის შემთხვევაში მედიაციაში მასზე ვრცელდება ის ეთიკური წესები და სტანდარტები, რაც იმ კონკრეტულ ქვეყანაში ადვოკატთა ეთიკის კოდექსით[910] არის გათვალისწინებული, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ როგორც წესი შესაძლებელია წარმომადგენლის ფუნქცია შეასრულოს არაადვოკატმა პირმაც, უპრიანია მედიაციის კუთხით დაწესდეს ის მინიმალური სტანდარტები, რასაც მედიაციაში ჩართული მონაწილე პირები, როგორც წარმომადგენლები დაექვემდებარებიან. ფაქტი ერთია, წარმომადგენელი იქნება ადვოკატი თუ არაადვოკატი პირი, მათ თანაბრად ეკისრებათ ის ვალდებულება რაც წარმომადგენლის მთავარი ფუნქციაა მედიაციაში:

- სწორედ შეაფასონ საქმე და ურჩიონ მარწმუნებელს თუ რამდენად სამედიაციოდ შესაფერისია აღნიშნული დავა[911];
- აუხსნან მარწმუნებელს მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და დანიშნულება;
- მარწმუნებლის ინტერესებისთვის „მებრძოლის“ ფუნქცია „სწორი მრჩევლის“ ფუნქციით უნდა ჩაანაცვლონ, რათა მარწმუნებელს შეთანხმების მიღწევაში დაეხმარონ[912].

908. *Walker S., Smith D.,* Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013, 55.
909. *Margaret S.H.,* The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Great Britain, Oxford, 2006, 89.
910. *Chern C.,* International Commercial Mediation, Informa London, 2008, 122.
911. *Eberhardt H.,* Rechrsschutzversicherung und außergerichtliche Konfliktslösung, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 3/2014, 85.
912. *Pramhofer K.,* Gerichtsnahe Mediation beim Handelsgericht Wien-ein Erfolgsprojekt, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 3/2014, 82.

- სწორ დროს[913] ურჩიონ მარწმუნებელს მედიაციის ინიცირება, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარეები არ არიან მზად მედიაციისთვის და მის ინიცირებას ასეთ დროს როგორც წესი არ მოჰყვება წარმატება, შესაბამისად, ის თუ რამდენად შესაფერისი დრო და ეტაპია მედიაციის დაწყებისთვის კარგად უნდა შეაფასოს ადვოკატმა და ურჩიოს თავის კლიენტს.
- მოახდინონ საკითხის სწორე ანალიზი, კერძოდ, მეორე მხარის მხრიდან მედიაციის ინიცირებას ხომ არ აქვს ის მიზანი, რათა მედიაციის პროცესში შესწავლილ იქნეს მეორე მხარის სუსტი პოზიციები[914] და მედიაცია რეალურად არ ემსახურება საქმეზე შეთანხმების მიღწევას, ან პირიქით, ასეთის საჭიროების შეთხვევაში თავად მოახდინოს მსგავსი პროცესუალური ნაბიჯის ინიცირება, კლიენტთან შეთანხმებით და თანხმობით (ე.წ. „თევზაობის პრინციპი[915]“)
- შეარჩიონ სწორი მედიატორი საქმეზე;
- განსაზღვრონ პირთა წრე თუ ვინ არის საჭირო მედიაციაში ჩართვის მიზნით;
- გასწიონ სრული კონტროლი მედიაციის ყველა ეტაპზე;
- იმუშაონ მედიაციის პროცესში გაჟღერებულ შეთანხმების პირობებზე;
- შეარჩიონ და შეათანხმონ კლიენტისთვის საუკეთესო პირობა მხარესთან;
- იურიდიულ მრჩევლებს მედიაციაიში კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ის რჩევა რაც მედიაციის დაწყებამდე აქვთ მხარისთვის მიცემული, შესაძლოა რამდენჯერმე შეცვალონ[916] უშუალოდ მედიაციის დაწყების შემდგომ, რადგან მხარეების მიერ შეთან-

913. *McLaren H.R., Sanderson J.*, Innovative Dispute Resolution: The Alternative, Thomson Carswell, 2006, 4-2.
914. *Genn H.,* Judging Civil Justice, The Hamlyn Lectures 59th series, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 113.
915. *Kwan Lun M.I.*, Alternative Dispute Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong., Cambridge University Press., Cambridge, 2017, 95.
916. *Arthur W.R.*, Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, Martinus Nijhoff Publishers, Netherlands/Leiden, 2013, 349.

ხმების მიზნებისთვის გაცვლილი პირობები ხშირად მოითხოვს სამართლებრივად პოზიციის ტრანსფორმირებას. შესაბამისად, ერთი მხრივ იურიდიული წარმომადგენლები ამისთვის მზად უნდა იყვნენ, თუმცა მეორე მხრივ, საკუთარი მარწმუნებელი ასევე გაფრთხილებული უნდა ჰყავდეთ წინასწარ, რომ მედიაციას მსგავსი თავისებურება ახასიათებს, რათა თავად არ დაკარგონ კლიენტის რწმენა მისი კვალიფიკაციისადმი.

- შეადგინონ შეთანხმების აქტი და სამართლებრივად უზრუნველყონ მისი გამართულობა;
- ისევე როგორც დროულად მოახდინონ მედიაციის გაგრძელების უპერსპექტივობის იდენტიფიცირება და შეწყვიტონ მედიაცია;

იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რეალურად მართლმსაჯულებისთვის გამოწვევად რჩება სამოქალაქო დავებზე პირველ ინსტანციაში ნებისმიერი პირის წარმომადგენლად დაშვების შესაძლებლობა, რაც ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს და თუ გავითვალისწინებთ იმ პოზიციას, რაც ერთი მხრივ ადვოკატთა ასოციაციის ღია პოზიციაა, ისევე როგორც იურიდიული საზოგადოების დიდი ნაწილის, რომ სავალდებულო უნდა გახდეს ადვოკატის ყოლა პირველი ინსტანციის სასამართლოებში, გასაგები ხდება, რომ უახლოეს პერიოდში მათ შორის მედიაციის პროცესის წარმოებაც ადვოკატის გარეშე შეიძლება წარმოუდგენელი გახდეს, რაც დამატებით ზრდის ადვოკატთა როლს და მნიშვნელობას მედიაციის როგორც დავის ალტერნატიული საშუალების წარმატებით გამოყენებისას ქართულ რეალობაში.

ამ ყველაფერზე ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს, თუმცა ამ ეტაპზე დავავიწროვებ სათქმელს იმ უალტერნატივო საკთხზე, რაც მედიაციაში ჩართული ადვოკატისთვის უნდა იყოს მახასიათებელი თვისება[917], რაც მათ თავად როგორც მედიაციაში წარმომადგენლებს შეუწყობთ ხელს მიმდინარე დავის შეთანხმებით დასრულებისკენ

917. *Dingle J., Kelbie J.,* The Mediation Handbook, 2nd Ed, Unity Press, 2014, 113.

წაიყვანონ პროცესი, რადგან ადვოკატებისთვის ერთგვარი გამოწვევაა მედიაცია, იმის გათვალისწინებით, რომ მათი მთავარი ფუნქცია იყო კლიენტის ინტერესებისთვის ბრძოლა და იმის მტკიცება, რომ კლიენტის მოთხოვნები სრულად უნდა კმაყოფილდებოდეს, ხოლო მედიაციაში მათ სხვაგვარად უნდა შეხედონ რეალობას, რაც მათში გარკვეულ ფსიქოლოგიურ[918] სწორ მიდგომას და ანალიზს საჭიროებს, რაც სიახლეა მოქმედი, მით უფრო დიდი გამოცდილების მქონე ადვოკატებისთვის.

მსგავსი უნარები და მედიაციის წარმოების ტექნიკა რთულია ამოწურვადი იყოს, თუმცა რამდენიმე ძირითად საკთხს შეიძლება შევეხოთ, რაც მათ შორის აღიარებულია საერთშორისო პრაქტიკაში გამოყენებით[919]:

ა) იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციაში მედიატორის ფუნქცია არის მიმდინარე პროცესისთვის ფასილიტაციის გაწევა, რა დროსაც ძირითად საქმეს მხარეები და მათი წარმომადგენლები ანხორციელებენ, თავისთავად ცხადია, რომ ადვოკატს და მის კომუნიკაციის უნარს გადამწყვეტი დატვირთვა ენიჭება, რადგან ერთი მხრივ, ადვოკატის მხრიდან უშუალოდ თავის მარწმუნებელთან სწორ და დროულ კომუკინაციას შეუძლია გადაწყვიტოს მედიაციის საბოლოო ბედი. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მედიაციაში მედიატორს რაიმე სახის სამართლებრივი რჩევის ან შეფასების მიცემის შესაძლებლობა მხარეებისათვის შეზღუდული აქვს, ამიტომ რა თქმა უნდა მხარე სრულად დამოკიდებულია თავისი წარმომადგენლის რჩევასა და ანალიზის უნარზე, რაც მათ შორის დროულ კომუნიკაციას მოითხოვს ადვოკატების მხრიდან კლიეტნთან, მათ შორის მედიატორთან და რა თქმა უნდა მეორე მხარესა და მის ადვოკატთან ურთიერთობის პროცესში.

ბ) მედიაციაში მონაწილე ადვოკატი კარგად უნდა ფლობდეს მოლაპარაკებების ტექნიკას, კარგად იცოდეს თუ როგორ შეუძლია მედიატორის სწორედ გამოყენება კლიენტის ინტერესე-

918. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 17.
919. *Eidenmuller H., Wagner G.,* Mediationsrecht, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2015, 35.

ბის მიზნებისათვის და კარგად უნდა ფლობდეს ინფორმაციის მიღების და გადამუშავების უნარს, რადგან სწორედ ინფორმაციის სწორი ანალიზი აძლევს მხარეს მედიაციაში საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობას[920].

გ) მნიშვნელოვანია ადვოკატი ფლობდეს კითხვის დასმის ტექნიკას[921], რათა სწორედ გაანალიზოს პროცესის მიმდინარეობისას ინფორმაცია, რომელიც ჯერ უნდა მიიღოს მედიატორისგან და მეორე მხარისგან, აქ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მედიაციის პროცესში მედიატორს აქვს როგორც წესი სრული ინფორმაცია ორივე მხარისგან, თუმცა მისი გამჟღავნების უფლებამოსილება ჯერ მისთვის მხარეებს არ მიუციათ ამიტომ ორმაგად მნიშვნელოვანია ადვოკატის უნარი დაუსვას მედიატორს სწორი კითხვა და ის ინფორმაცია მიიღოს, რისი ანალიზი მის მარწმუნებელს გარკვეულ დასკვნებს გააკეთებინებს პროცესის შემდგომი დაგეგმარების კუთხით.

დ) მნიშვნელოვანია ასევე ადვოკატის უნარი იყოს „აქტიური მსმენელი[922]", რადგან მედიაციის პროცესში გროვდება დიდი ინფორმაცია და ამ ინფორმაციას რომელიც მომდინარეობს მეორე მხარისგან და პროცესის მედიატორისგან სჭირდება სრულად მიღება, როგორც პრაქტიკა აჩვენებს ხშირია შემთხვევები, როდესაც წარმომადგენელი იღლება ინფორმაციის მიღებისგან ან მიაჩნია, რომ ისმენს არარელევანტურ ინფორმაციას, რაც შეიძლება იყოს კიდეც სახეზე, თუმცა მას უნდა გააჩნდეს უნარი მოისმინოს სრულად, ხოლო შემდგომ ამისა განახორციელოს მნიშვნელოვან და მეორე ხარისხოვან ინფორმაციას შორის დიფერენცირება.

ე) ზემოაღნიშნული თვისებიდან ურთიერთგამომდინარეა ადვოკატისთვის სავალდებულოდ საჭირო თვისება, რაც მედიაციის

920. *Abramson H., Ingen-Housz A.,* ADR in Business, Vol. II, Wolters Kluwer Law&Business, the Netherlands, 2011, 312.

921. *Picker B.,* Mediation Practice Guide: A Handbook for Resolving Business Disputes, American Bar Association, 2nd ED, Washington, 2003, 91.

922. *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 36.

პროცესში წარმომადგენელს სჭირდება, ეს არის ანალიტიკური აზროვნების უნარი, რაც რიგ შემთხვევაში განმსაზღვრელი ფაქტორი ხდება პროცესის სწორედ განვითარების, რადგან მოსმენილი და დაგროვილი ინფორმაცია ითხოვს მხარისგან სწორ ანალიზს, რასაც მხარე ცხელ გულზე ვერ მოახდენს და ეს ფუნქცია და ვალდებულება ადვოკატის სატვირთია, როგორც წესი. როდესაც ანალიზზე მიდის საუბარი, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ადვოკატი არის ის ფიგურა, რომელიც მედიაციის პროცესში მეორე მხარისგან უხვად შეთავაზებული შეთანხმების პირობებს აანალიზებს, და ახდენს მათგან მისი მარწმუნებლისთვის საუკეთესო პირობის არჩევას.

ვ) მნიშვნელოვანია ადვოკატს ჰქონდეს კრეატიული აზროვნების უნარი, რადგან რიგ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციაში არ ხდება საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა, და რიგ შემთხვევაში ხდება მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი მოთხოვნებისგან ალტერნატიულ პირობებზე შეთანხმება, მნიშვნელოვანია ადვოკატს შეეძლოს აღნიშნული ოფციების შემუშავება, მხარის სამართლებრივი მიზნის გათვალისწინებით, რაც მართლაც მოითხოვს საკითხისადმი კრეატიულად და შემოქმედებითად მიდგომას, და არა შაბლონური სამართლებრივი დოგმატიკით საკითხის გადაწყვეტის მცდელობა.

ზ) ამასთანავე მნიშვნელოვანია ადვოკატს გააჩნდეს უნარი მოახდინოს ვიზუალიზება იმ ინფორმაციის რაც მედიაციის პროცესში იცვლება, რადგან ხშირია შემთხვევები, როდესაც ვიზუალური საშუალებების გამოყენებისას მათ შორის მარწმუნებელი ახდენს აღქმას თუ რა პირობები იცვლება შეთანხმების პროცესში და რომელი პირობა როგორი შინაარსის შემცველია, შესაბამისად, ამ ყველაფეერში ვიზუალიზაციის უნარების ქონას, რიგ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკისრება.

თ) მედიაციაში ადვოკატი ყველა სხვა ფუნქციასთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას მეორე მხარესთან და მის წარმომადგენელთან, რაშიც რა თქმა უნდა იყენებს მედიატორს, თუმცა მოლაპარაკების დამგეგმავი, სტრატეგიის განმსაზღვრელი და უშუა-

ლოდ განმხორციელებელი თავად ადვოკატი გახლავთ. მედიატორის როლს და გამოყენების ყველაზე ეფექტურ შემთხვევებს და საჭიროებებს ასევე ადვოკატი გეგმავს და შესაბამისად ათანხმებს კლიენტთან. მედიაციაში ადვოკატს ერთდროულად მრავალ საკითხთან უწევს შემხებლობა, გამკლავება, დაგეგმარება და შესაბამისად ამ ყველაფრის ნაწილში ადვოკატის მომზადება აუცილებელია იურიდიული პროფესიის მიერ, შეიძლება ითქვას, რომ წარმომადგენლის ფუნქცია კიდევ უფრო რთულია მედიაციაში, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ვიდრე ის ფუნქცია, რასაც ადვოკატი სასამართლოებში ანხორციელებს, როდესაც სამართლებრივ ჩარჩოში ანთავსებს მხარის მოთხოვნებს და პოზიციებს და შემდგომ ამ პოზიციის დასაბუთებას ახდენს უშუალოდ პროცესზე. მედიაციაში წარმომადგენლად ჩართულ პირს კარგად უნდა ესმოდეს[923] თუ რა სახის დავის მოლაპარაკებაშია ჩართული, ვისთან აქვს უშუალოდ შეხება, იგულისხმება მეორე მხარე თავისი ინტერესებით და რიგ შემთხვევაში მეორე მხარის წარმომადგენელი მისი უნარებით მოლაპარაკებაში, თავად მის მარწმუნებელს რა ინტერესების შეთანხმება და გაწერა სურს მედიაციის შეთანხმებაში, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ესახება ადვოკატს საჭიროდ რომ მიიღოს დაგეგმილი შედეგი და რა არის ის კონკრეტული ამ დავისთვის მახასიათებელი ფაქტობრივი გარემოებები, რითაც წარმატებით შეუძლია „ვაჭრობა“ მეორე მხარესთან და რამდენად არის ეს ყოველივე მყარი და რა სუსტი წერტილები შეიძლება გამოუჩნდეს მის ამ გეგმას.

მედიაციაში ჩართულმა ადვოკატებმა იმისთვის რათა მიაღწიონ წარმატებას დამატებით[924] რამდენიმე საკითხს უნდა მიაქციონ ყურადღება, კერძოდ:

ა) ადვოკატებმა უნდა გააკონტროლონ მედიაციაში ერთმანეთის მიმართ და მოწინააღმდეგე მხარისადმი გამოსაყენებელი ლექსიკა, უფრო მეტიც, რაიმე სახის ბრალდებითი შინაარსის მიმართვა

923. *Frascogna J., Hetherington H.L.,* The Lawyer's Guide to Negotiation, American Bar Association, 2009, 11.

924. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 6, 7.

და წინადადებების გამოყენება შეიძლება გახდეს მეორე მხარის მხრიდან უარყოფითი/ნეგატიური მიდგომის გამომწვევი, შესაბამისად ამ გარემოებას მედიაციაში ჩართულმა ადვოკატებმა დიდი მნიშვნელობა უნდა მიაქციონ, რათა უნებლიედ ნაცვლად შეთანხმებისკენ სვლისა, არ გამოიწვიონ მხარეების ერთამენეთისადმი კიდევ უფრო გაუცხოება და დაძაბულობა.

ბ) ადვოკატებმა უნდა თავი ჩააყენონ მეორე მხარის ადგილას და ამ კუთხით შეაფასონ საკუთარი შეთავაზებები მეორე მხარისადმი, თუ რამდენად შეიძლება მეორე მხარისთვის მისაღები იყოს ის შეთავაზება, რასაც თავად აჟღერებენ.

გ) ადვოკატებმა უნდა გააკეთონ ის რაც ყველაზე კარგად ეხერხებათ: მოემზადონ, კერძოდ, კარგად იცოდნენ საკუთარი საქმის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე და საკუთარი კლიენტის ყველა ინტერესი და სურვილი, ისევე როგორც მისი შეთანხმების შესაძლებლობების მაქსიმუმი და მინიმუმი, რაზეც კლიენტი არის შეთანხმების მიღწევის მიზნით წამსვლელი. მედიაციის შესახებ ჩატარებული არაერთი კვლევა აჩვენებს, რომ მედიაციისთვის კარგად მომზადებული მხარეები არის უპირობო წინაპირობა[925] დავის შეთანხმებით დასრულებისა.

დ) მედიაციის პროცესში ადვოკატმა უნდა მოახდინოს სწორი დროის შერჩევა იმისთვის, რათა მისმა მხარემ (თავად ან ადვოკატის მეშვეობით) მეორე მხარეს გაუკეთოს პირველი შეთავაზება კონკრეტული პირობებით დავის შეთანხმებით დასრულების მიზნებისათვის, ისევე როგორც სწორედ იყოს ის გააზრებული თუ რა მოცულობის შეთავაზება უნდა გაკეთდეს, ანუ მაქსიმალური თუ მინიმალური, რათა დაიტოვოს საკუთარი მხარისთვის შესაძლებლობა ერთგვარად ილავიროს შეთავზების ფარგლებში მოისმენს რა მეორე მხარის უკუგებას განხორციელებულ შეთავაზებაზე[926].

925. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 28.

926. *Ponschab R.*, Verhandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen, ADR-Verfahren im Vergleich –Teil 9,Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 1/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 5.

ე) თავისი ვერბალური და არავერბალური გამოხატვით, ჟესტიკულაციით და მიმართვით დაუფიქსიროს პატივისცემა პროცესში ჩართულ ყველა მხარეს[927].

მედიაციისთვის მომზადების ეტაპად განიხილება მათ შორის დავისთვის სწორი მედიატორის შერჩევა მხარის მხრიდან, ხშირია იურისდიქციები, სადაც მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში მედიატორს ნიშნავს სასამართლო, შესაბამისად უპრიანია ორივე მხარე თავად შეჯერდეს მათი დავის სპეციფიკიდან და შინაარსის გათვალისწინებით იმ მედიატორის კანდიდატურაზე, რომელიც მათ დავასთან თავისი გამოცდილებით და ცოდნით ყველაზე ახლოს მდგომია, რადგან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით საქმეში დანიშნული მედიატორი, შეიძლება არ აღმოჩნდეს შესაფერისი ცოდნის და უნარების მქონე მედიატორი და საბოლოოდ დაზარალდება მხარის ინტერესი[928].

ადვოკატის მხრიდან სწორი ფორმით მოლაპარაკებების წარმართვა არის მთავარი ინსტრუმენტი[929] კლიენტის ინტერესების გატარების მედიაციაში შეთანხმების მიღწევის მიზნით. მოლაპარაკება არის პროცესი, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის ერთდროულად იურიდიული მომზადება და გამოცდილება, პიროვნულ უნარებს და მხოლოდ ამ ყველაფრის კარგი ნაზავი იძლევა რეზულტატის მიღების საშუალებას მოლაპარაკებების გზით[930]. დამკვიდრებული აღქმადობა აქვს საზოგადოებაში ადვოკატის პერსონას, რომ ის „უნდა იყოს“ კარგი მომლაპარაკებელი, ამ აღქმადობის ქვეშ მათ შორის ექცევიან სახელმწიფოები, როდესაც მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა[931], რიგ სამართლებრივი დავების (ისეთი როგორიც არის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების მიზნით მოლაპარაკებები, მაგ: North American Free Trade Agreement, მოლაპარაკებები საავტორო სამართლის სფეროში ვაჭრობასთან დაკავში-

927. *Nelson M.R.,* Nelson on ADR, Thomson Carswell, 2003, 58.
928. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 27.
929. *Frascogna J., Hetherington H.L.,* The Lawyer's Guide to Negotiation, American Bar Association, 2009, 1.
930. იქვე, 2.
931. იქვე, 2.

რებული საკითხები და სხვა) მოლაპარაკებით დასრულების მიზნით ქირაობს ადვოკატებს.

ადვოკატებისთვის მედიაციის პროცესში იგივე სტანდარტი ვრცელდება, რაც სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებისას, კერძოდ, დაიცვან საკუთარი მარწმუნებლის საუკეთესო ინტერესი[932], თუმცა განსხვავებაა იმ ფორმაში რომლის ფარგლებშიც ადვოკატმა უნდა განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება, კარგად უნდა ესმოდეს, რომ იმყოფება კლიენტის მიერ არჩეულ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ ფორმატში, რა დროსაც მიმდინარე კონფლიქტის შეთანხმებით დასრულება უნდა მიიღწეს კონსენსუსის[933] გზით და არა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში იქნეს მიღწერული გამარჯვება, ეს რიგ შემთხევვაში ადვოკატებისთვის დიდი გამოწვევაა. ბოლო პერიოდია ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ვითარდება ადვოკატებისთვის სწავლების პროგრამა რომელსაც ჰქვია mediation advocacy[934], რის ფარგლებშიც ადვოკატებს ყველა ის უნარი გადაეცემათ, რაც მათ მედიაციის სწორედ და წარმატებით წარმართვაში უნდა დაეხმაროთ.

წარმომადგენლის მთავარი ფუნქცია მედიაციაში არის სწორედ შეაფასოს ის თუ რამდენად მედიაციისთვის შესაფერისია მისი კლიენტის დავა და მედიაციის წარმოებისას რა სტრატეგია იქნეს შერჩეული მედიაციის კონკრეტული ფორმის გამოყენების თვალსაზრისით.

მედიაციის პროცესში შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში შეთანხმების პროექტის შედგენა[935] და მეორე მხარესთან მის გარშემო მუშაობა სწორედ ადვოკატის პრეროგატივას წარმოადგენს[936].

სამოქალაქო და კომერციული დავების მედიაციის მაგალითზე ევროპაში მკვიდრდება მიდგომა, რომ მედიაციაში წარმომადგენლობა[937]

932. *Brown H., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, 2011, 405.
933. იქვე, 405.
934. <http://www.mediationadvocates.org.uk>. [15.05.2018]
935. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016, 40.
936. *Brown H., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Sweet & Maxwell, Thomson Reuters, London, 2011, 423.
937. *Goodman A.,* Mediation Advocacy, 2nd Ed, Nova, 2010, 175.

აბსოლიტურად განსხვავებული მიმართულებაა საადვოკატო საქმიანობით დაკავებული პირების, და საჭიროებს გარდა სპეციფიკური მომზადებისა, ამასთანავე შესაბამის საბაზრო მარკეტინგს, რათა მომხმარებლებსაც ჰქონდეთ წვდომა იმ პირებზე, ვინც მედიაციაში წარმომადგენლობას ანხორციელებენ. ადვოკატები ტრადიციულად ასოცირდებიან სასამართლოსთან და შეჯიბრებით პროცესთან, რაც უკვე საადვოკატო საქმიანობის ისტორიულ შეფასებად მიიჩნევა, თუმცა თანამედროვე აღქმა და გაგება ადვოკატის საქმიანობისა მედიაციაში მათგან ეფექტურ ჩართულობას და მოქმედებას მოითხოვს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მატრიცაში[938].

5.5.3. მესამე პირები

მედიაციის მიზნებისთვის რიგ შემთხვევაში შეიძლება დადგეს საკითხი მედიაციაში მონაწილე პირთა წრის გაფართოებისა, როდესაც ამა თუ იმ საკითხის გარშემო რომელიმე მხარისთვის მნიშვნელოვანია გარეშე პირის აზრი ან მისი ინტერესის ან მოსაზრების გათვალისწინების გარეშე უჭირს შეთანხმების პირობებზე ჩამოყალიბება.

სწორედ ასეთი შემთხვევების რეგულირების მიზნებისათვის არსებობს ე.წ. მესამე პირის ინსტიტუტი მედიაციაში, როდესაც მედიატორს აქვს შესაძლებლობა, მხარეთა თხოვნით, მსგავსი პირის პროცესში ჩართვისა, რათა ამა თუ იმ მხარეს ან მხარეებს გაუადვილდეთ შეთანხმების მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პირის მედიაციაში ჩართვის შესაძლებლობას არაერთი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს და ამ მიმართულებით იდენტურ რეგულაციას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა[939].

938. *Boulle L., Field R.,* Australian Dispute Resolution, Lexis Nexis Butterworths, 2017, 152.

939. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ტერმინთა განმარტების მუხლი შეიცავს მესამე პირის დეფინიციას, რომლის თანახმად მესამე პირს წარმოადგენს ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის მედიაციის მხარე და რომელიც მხარეთა შეთანხმებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობს მედიაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ ქართული მედიაციის პრაქტიკის მაგალითზე ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც მედიაციის პროცესში ჩართული მხარეების მიერ მიღწეულა შეთანხმება, თუმცა გარეშე პირების (მაგ: განქორწინების დავებზე, მხარის მშობლის

5.5.4. სამედიაციო ცენტრები, როგორც მედიაციის სუბიექტები

მედიაციის ზემოაღნიშნული სუბიექტების გარდა, რომლებიც წარმოადგენენ მედიაციის პროცესის უშუალო მონაწილეებს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე ის სამედიაციო ცენტრები, რომლებსაც რიგ შემთხვევაში მიმართავენ კონფლიქტში მყოფი მხარეები ან რომელთა სერვისის გამოყენებაზე ჯერ კიდევ სახელშეკრულებო სტადიაზე თანხმდებიან კონტრაჰენტები, რომ მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში ისარგებლებენ ამა თუ იმ სამედიაციო ცენტრის და მათი მედიატორების სერვისით.

ამ კუთხით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისეთი ცნობილი სამედიაციო ცენტრები, როგორიც არიან CEDR (დავების ეფექტური გადაწყვეტის ცენტრი)[940], JAMS[941], საერთაშორისო მედიატორთა აკადემია[942], მსოფლიოს მედიაციის ფორუმი[943], ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მედიაციის ცენტრი[944] და სხვა მსგავსი დაწესებულებები, რომელთაც თავის მხრივ მძლავრი ბიძგი მისცეს მედიაციის დანერგვას მსოფლიოს მასშტაბით.

მიერ ან ბიზნეს დავებზე ე.წ. „ჩრდილოვანი პარტნიორის“ მიერ) მეშვეობით მედიაციის მხარეებს ხელი არ მოუწერიათ მათ მიერ გაწერილი შეთანხმების პირობებზე ან/და მოსამართლის წინაშე არ დაუჭერიათ მხარი შეთანხმების აქტის დამტკიცებისთვის.

940. <www.cedr.com>.[25.06.2018]
941. <www.jamsadr.com>.[25.06.2018]
942. <www.iamed.org>.[25.05.2018]
943. <www.worldmediationforum.com>.[25.06.2018]
944. <www.wipo/int/amc/en>.[25.05.2018]

თავი VI

მედიაციის ინსტიტუტის რეგულირება

უნიფიცირებულ აქტებსა და ევროპის საბჭოს სამართალში - გავლენა წევრი ქვეყნებისა და ასოცირებული წევრების შიდა კანონმდებლობაზე

მედიაციის საერთაშორისო და ევროპული რეგულირების სტანდარტები რეალურად განაპირობებს ქვეყნების შიდა კანონმდებლობის დონეზე მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის სამართლებრივ რეგულირებას, რადგან სწორედ საერთაშორისო დონეზე აღიარებული მიდგომების და გაწერილი პროცედურების შესაბამისად ხდება ყველა კონკრეტულ სახელმწიფოს მაგალითზე მედიაციის მარეგულირებელი ნორმების შემუშავება, რაც ცალსახად ადასტურებს საერთაშორისო და ევროპული რეგულირების გავლენას ქვეყნების შიდა კანონმდებლობაზე. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა 2008 წელს ევროპარლამენტის მიერ „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ[945]" დირექტივის მიღება, რომლის თანახმად ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შიდა კანონმდებლობის დირექტივის მოთხოვნებისადმი მისადაგება უნდა განეხორციელებინათ, რაც რეალურად ევროკავშირის წევრმა ყველა ქვეყანამ განახორციელა; უფრო მეტიც, დირექტივის სტანდარტებისა და პრინციპებისადმი მრავალი არაევროკავშირის წევრი ქვეყანა აკეთებს სწორებას, მათ შორის საქართველო, რაც ნათლად ადასტურებს მედიაციაში საერთაშორისო და ევროპული რეგულაციების ქვეყნების შიდა კანონმდებლობაზე მძლავრი გავლენის ქონის ფაქტს.

საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოება მედიაციის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებზე მუშაობს და ანვითარებს[946], მათ შორის საუბარია საერთაშორისო დონეზე უნიფიცირებული სტანდარტით მედიატორთა აკრედიტაციის[947] რეგულაციების შემუშავებაზე სამოქალაქო და კომერციულ დავებზე მომუშავე მედიატორთათვის[948]; თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დღეისათვის საერთაშორისო მედიაციის პროცესის მარეგულირებელი აქტები არცთუ

945. Directive 2008/52/EC, იხ: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServdo?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>.[15.05.2018]
946. მედიაციის სტანდარტებისა და კრიტერიუმების საერთაშორისო დონეზე შემუშავების მიზნით დაარსდა მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (*IMI*), იხ: <http://www.imimediation.org/home>.[15.05.2018]
947. *Alexander N.,* Harmonisation and Diversity in the Private International Law of Mediation: The Rhythms of Regulatory Reform in *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 164.
948. *Brown H., Marriott A.,* ADR Principles and Practice, Sweet&Maxwell, Thomson Reuters, London, 2011, 614.

ბევრია[949], რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან სახელმწიფოთა უმრავლესობა მედიაციის პროცესს, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დავებზე ერთგვაროვნად აწესრიგებს[950].

6.1. UNCITRAL როგორც მედიაციის რეგულირების უნიფიცირებული ფორმა

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის მოდერნიზების, ჰარმონიზებისა და უნიფიცირების მიზნით, 1966 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დაარსდა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია - უნსიტრალი[951], რომლის ამოცანას საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა წარმოადგენს[952].

949. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ევროპული დირექტივის მიღებამდე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა შემდეგი ოთხი რეკომენდაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაციის) შესახებ: 1. საოჯახო სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ(Council of Europe Committee of Ministers, Recommendation No.R(98)1 of the Committee of Ministers to Member States on Family Mediation; იხ: <http://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.__CmdBlobGet&InstranetImage=1153972&SecMode=1&DocId=450792&Usage=2.)>.[15.05.2018]
2. სისხლის სამართლის საქმეებზე მედიაციის შესახებ (Council of Europe Committee of Ministers, Recommendation No.R (99)19 of the Committee of Ministers to member States concerning Mediation in Penal Matters; იხ: <http://wcd.coe.int/ViewDoc. jsp?p=&Ref=Rec(99)19&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColor__Internet=eff2fa&BackColorInternet=eff2fa&BackColorLogged=clcbe6&direct=true>.[15.05.2018]
3. ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის მედიაციის შესახებ (Council of Europe Committee of Ministers, Recommendation No.R (2001) 9 of the Committee of Ministers to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties; იხ: <http://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2001)9&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColor-Logged=clcbe6&direct=true>.[15.05.2018]
4. სამოქალაქო საქმეებზე მედიაციის შესახებ (Council of Europe Committee of Ministers, Recommendation No.R(2002) 10 of the Committee of Ministers to Member States on Mediation in Civil Matters; იხ: <http://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2002)10&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColor-Logged=clcbe6&direct=true>.[15.05.2018]
950. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 51.
951. UNCITRAL - უნსიტრალი ანუ გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია; იხ: <www.unicitral.org>.[15.05.2018]
952. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 51.

მედიაციის საერთაშორისო რეგულირების აქტი გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (UNCITRAL) მიერ 2002 წლის 19 ნოემბრის საერთაშორისო კონსილიაციის შესახებ მიღებული მოდელური კანონია[953] (Model Law on International Commercial Conciliation[954]), რომელმაც მედიაციის პოლიტიკის რეგულირების შესახებ საერთაშორისო დისკუსიებზე გავლენა იქონია[955]. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია „პიონერი" იყო როგორც ინსტიტუცია რომელიც ცდილობდა მოეხდინა საერთაშორისო დონეზე მედიაციის წესების ჰარმონიზაცია, ჯერ კიდევ 1980 წელს „კონსილიაციის წესების" მიღებით[956].

მართალია UNCITRAL Model Law არ წარმოადგენს სავალდებულო ბუნების სამართლებრივ რეგულაციას[957], თუმცა მან 25-ზე მეტ იურისდიქციაზე მოახდინა ასახვა მსოფლიოს მასშტაბით და აღნიშნულ ქვეყნებში შიდა რეგულაციების მისადაგება განხორციელდა მოდელური კანონის სტანდარტებისადმი[958].

მოდელური კანონი[959] გაერთიანებული ერების წევრი ქვეყნების მასშტაბით ძირითადად არეგულირებს საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტის პროცედურას მედიაციის მეშვეობით[960] და სთა-

953. იქვე, 49.
954. UNCITRAL Model Law on International Commercial Conciliation, A/RES/57/18, 19 November 2002, იხ: <http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953-Ebook.pdf>.[15.05.2018]
955. Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift fur Auslandisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), No.4, Mohr Siebeck, Tűbingen 2010, 755.
956. *Rűtzel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, Second Ed., C.H.BECK, Műnchen, 2016, 193.
957. უნსიტრალის მოდელური კანონები წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციის სახით მიღებულ აქტებს, გაეროს წევრი ქვეყნების შიდა კანონმდებლოსათვის მოდელურ კანონმდებლობად გამოსაყენებლად.
958. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 108.
959. იხ. კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილი
960. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 107.

ვაზობს წევრ ქვეყნებს რეკომენდაციის სახით აღიარებული სტანდარტების ქვეყნის შიდა რეგულაციებში ინტეგრირებას, რაც ფაქტობრივ გაზიარებულია ევროპისა და მსოფლიოს მასშტაბით არაერთი ქვეყნის მიერ და ასახულია სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობებში[961].

მოდელური კანონი პრიმა ფასიე ეხება ყველა სახის ნებაყოფლობით თუ სავალდებულო ხასიათის დათქმებს საერთაშორისო კომერციული დავების შემათანხმებელი პროცედურის გამოყენებით გადაწყვეტასთან დაკავშირებით[962].

მოდელური კანონის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ის ხუთ ძირითად საკითხთა წრეს ეხება მედიაციისა და კონსილიაციის წარმოების კუთხით და უზრუნველყოფს მისი მომხმარებლებისთვის თემის შესახებ სასარგებლო ორიენტირის მიცემას[963], კერძოდ, აღნიშნული საკითხები შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგი სახით:

1. პირველი საკითხი უშუალოდ კონსილიაციის განმარტებას აქვს დათმობილი[964];
2. მეორე საკთხთა წრე კონსილიაციასა და მედიაციაში ჩართული მხარეების ავტონომიურობის პრინციპს ეხება, რაც მოდელური კანონის ქვაკუთხედ პრინციპს წარმოადგენს;
3. მესამე საკითხთა წრე პროცესში ჩართული მხარეების თანასწორობის და თანაბრობის საკითხს და ამ პრინციპის უზრუნველყოფის საჭიროებას აქვს დათმობილი;
4. მეოთხე საკითხთა წრე პროცესის კონფიდენციალურობას, როგორც მთავარ მახასიათებელ კრიტერიუმს აქვს დათმობილი და
5. მეხუთე საკითხთა წრე პროცესში მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხებს აქვს დათმობილი.

961. იქვე, 9.
962. *Alexander N.,* International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol.4, Kluwer Law International, Austin, 2009, 387.
963. იქვე, 345.
964. მოდალური კანონის მე-3 მუხლი: „კონსილიაცია ნიშნავს პროცესს (რიგ შემთხვევაში იგი შეიძლება მოხსენიებულ იქნეს მედიაციად), რომელშიც მოდავე მხარეთა თხოვნით მონაწილეობს მესამე პირი (ან პირები), რათა დაეხმაროს მათ სახელშეკრულებო ან სხვაგვარი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავის მორიგებით დასრულებაში. კონსილიატორს არ აქვს დავის საგანზე საკუთარი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება“.

უნდა აღინიშნოს, რომ უნსიტრალის მოდელური კანონის მიმართ საერთაშორისო სამართლებრივი საზოგადოების კრიტიკაც გაისმა[965], კერძოდ, კრიტიკოსების ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო იმ გარემოებაზე, რომ მოდელური კანონით არ მოხდა მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება, რითაც მოხდებოდა პროცესის მხარეთა ავტონომიის პრინციპისა და მოქნილი პროცესის დაცვა, თუმცა მეორე მხრივ, კრიტიკის მნიშვნელოვანი საგანი გახდა ასევე კანონის მე-2 თავის სულისკვეთება[966], რომ მედიაციის გარკვეული ასპექტების კანონმდებლობით რეგულირებას სჯობს ამ პროცესების ბაზარზე თვითრეგულირება;

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ მოდელური კანონის მცდელობა შეეთავაზებინა სახელმწიფოებისთვის საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები მედიაციის რეგულირების, ნამდვილად მისასალმებელია, მით უფრო იმ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მოდელური კანონის არსი და მთავარი გზავნილი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოებს აქვთ სრული შესაძლებლობა და ლავირების საშუალება მოახდინონ აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით საკუთარი ქვეყნების შიდა რეგულაციების ქვეყნის შიდა საჭიროებების გათვალისწინებით გაწერა.

6.2. მედიაციის ევროპული რეგულირების ფორმები - ევროკავშირის დირექტივები

მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის (2008/52/EC[967]) მიღებამ, რომლის იმპლემენტაციის ვალდებულება წევრ სახელმწიფოებს დაეკისრათ 2011 წლიდან, ახალი განვითარების პერსპექტივა გაუჩინა მე-

965. *Alexander N.,* International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Vol.4, Kluwer Law International, Austin, 2009, 347.
966. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 55.
967. Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation
in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, ix.: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052> [15.05.2018].

დიაციას ევროპაში[968], რათა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ჩარჩო მედიაციის სტანდარტი და მათ შორის ხელი შეწყობოდა საზღვრებს მიღმა/საზღვართშორის მედიაციას[969]. საერთაშორისო დონეზე მედიაციის სტანდარტის დამკვიდრებამ აიძულა წევრი ქვეყნები მოეხდინათ მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის ინტეგრირება მათი ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში, რამაც მათ შორის ევროპის გარეთ დანარჩენ მსოფლიოში მედიაციისადმი მოთხოვნა და როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური მექანიზმის დანერგვის შემდგომი განვითარების საჭიროება ასევე გაზარდა[970].

2008 წლის 21 მაისს ევროპის პარლამენტმა მიიღო დირექტივა[971] „სამოქალაქო და კომერციულ დავებში მედიაციის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებით[972]“, რომელსაც შემოკლებით მედიაციის შესახებ დირექტივას უწოდებენ ლიტერატურაში, რომელიც 24 მაისს გამოქვეყნდა ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში და ძალაში შევიდა გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს, ხოლო ევროპის წევრ ქვეყნებს დაევალათ 2011 წლის 21 მაისამდე მოეხდინათ მედიაციის დირექტივის ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრირება[973].

აღნიშნული დირექტივა მოიხსენიება, როგორც „დასასრულის დასაწყისი პროცესი[974]“, კერძოდ, მისი ამოქმედებით მედიაციის მიმართ მდგომარეობა ევროპულ ქვეყნებში (გამონაკლისია დანია[975]) რადიკალურად შეიცვალა, შესამჩნევი გახდა ამ ინსტიტუტის მიმართ ინტერესი და ფაქტობრივ დაინერგა ევროპის ქვეყნებში სავალდებულო

968. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013. v
969. ე.წ. cross-border mediation
970. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation: Global Comparative Perspectives, Springer, New York, 2015, 74.
971. RL Directive 2008/52/EC, of the European Parliament and of the Council, on Certain Aspects of Mediation
in Civil and Commercial Matters, 21 May 2008, ix.: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>. [15.05.2018].
972. *Tutzel S., Wegen G., Wilske S.,* Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd edition, C.H.BECK, Munchen, 2016, 193.
973. *Blake S., Browne J.,Sime S.,* The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016,230.
974. `Preliminary end of a process`
975. იხ. EC Directive 2008/52 Art 1 (2), (3),2.

სახით მედიაცია[976], ისევე როგორც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფართო გზა მიეცა ე.წ. cross-border mediation-ს გამოყენებას ევროპის მასშტაბით[977], რადგან დირექტივა ევროკავშირის წევრ ქვეყნებისგან მოითხოვს საზღვრებს შორის მედიაციის დანერგვის და განვითარების წინაპირობების შექმნას თითოეულ სახელმწიფოში[978]. აღნიშნული დირექტივის ამოქმედებით დამატებითი ხიბლი[979] და მძლავრი ბიძგი მიეცა დავების არასასამართლო გზით გადაწყვეტის პოპულარიზაციას და განვითარებას ევროპაში[980], ევროპის კავშირის ყველა ქვეყანამ სხვადასხვა ინოვაციური[981] ფორმით მოახდინა მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების დანერგვა თავის შიდა კანონმდებლობაში.

მედიაციის დირექტივის, როგორც მას მოიხსენიებენ გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს დავის ალტერნატიული მექანიზმებისათვის ხელის შეწყობა და კონფლიქტების შეთანხმებით დასრულების პროპაგანდირება სავალდებულო მედიაციის დანერგვით და განვითარებით, ისევე როგორც საზღვრებს შორისი მედიაციის ინსტიტუციონალიზაცია და მედიაციაში მიღწეული შეთანხმების აღსრულებისთვის სამართლებრივი წინაპირობების შექმნა[982].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავალდებულო სახით მედიაციის დანერგვა თავის თავში არ მოიაზრებს მედიაციას როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმის სავალდებულო სახით გამოყენებას,

976. *Golden J., Lamm C.*, International Financial Disputes (arbitration and mediation), Oxford University Press, Oxford, 2015, 73.
977. *Vallender H.,* Mediation in Nationalen und Grenzűberschreitenden Insolvenzverfahren, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 909.
978. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 107.
979. *Greger R., Unberath H.*, MediationsG: Recht der Alternativen Konfliktlosung, Kommentar, C.H.BECK, Műnchen, 2012, 34.
980. *Wentzel C.*, Internationale Mediation, Logos Verlag Berlin, Berlin, 2016, 43.
981. *Steffek F.*, The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016,50. http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses [15.05.2018]
982. *Chern C.,* The Commercial Mediator's Handbook, Informa Law, New York, 2015, 30, 31.

არამედ მოიაზრებს სავალდებულო სახით ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან საკუთარ საკანონმდებლო სისტემაში ამ ინსტიტუციის შესახებ მარეგულირებელი ნორმების ინტეგრირებას, თუ არ ჩავთვლით მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანას, რომელიც ისე შორს წავიდა, რომ სავალდებულო სახით დანერგა მედიაცია[983] (მაგ: ავსტრალია, რომელმაც დააკანონა, ყველა შტატში მოსამართლეების უფლებამოსილება მხარეებს აიძულოს მედიაციაში ჩართვა).

ევროპული დირექტივის შესაბამისად მედიაცია წარმოადგენს სტრუქტურიზებულ პროცესს[984] კონფლიქტის გადაწყვეტის, როდესაც უშუალოდ დავის მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, ხოლო ამ ნებაყოფლობით პროცესს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე პირ(ებ)ი მედიატორის სახით უწევს ფასილიტაციას, რომელსაც საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების რაიმე უფლებამოსილება არ გააჩნია[985].

მიღებული დირექტივის ტექსტი სრულ შესაბამისობაშია იმ საერთო პოზიციასთან, რაც ჯერ კიდევ 2008 წლის 28 თებერვალს დააფიქსირა ევროპის საბჭომ, რითაც დასრულდა ის გზა რაც ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყო ევროკომისიამ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესახებ ე.წ. მწვანე დოკუმენტის მიღებით, რაც გაგრძელდა 2004 წლის ევროკომისიის დირექტივით და 2007 წელს ევროპარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული ევროდირექტივის პირველი მოსმენით ტექსტის დამტკიცებით[986].

მედიაციის შესახებ დირექტივა ადგენს და კიდევ უფრო გაუმჯობესებულ ვარიანტს გვთავაზობს ევროპაში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შესახებ[987], ისევე როგორც ახ-

983. *Willis T.,Wood W.,* Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015,73.
984. *Glaβer U., Klowait J.*, Mediationsgesetz, Handkommentar, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2018, 33
985. *Bamberger H.G.*, Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016, 241.
986. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 5, 6.
987. გამონაკლისია დანია, რომელიც მედიაციის შესახებ ევროპულ დირექტივას არ შეუერთდა და არ არის შებოჭილი მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის საგნით და გამოყენების ვალდებულებით, რაც გაწერილია დირექტივის 1(3) მუხლში.

დენს მედიაციის და სასამართლო საქმისწარმოების პროცედურების დაბალანსებულ ურთიერთმიმართებაზე მითითებას[988].

მედიაციის შესახებ დირექტივის მიზანი არის მედიაციის როგორც დავის ალტერნატიული საშუალების პოპულარიზაცია, რომელიც იძლევა დავის სასამართლო საქმისწარმოების გარეშე დასრულების შესაძლებლობას. დირექტივა არის ერთგვარი მცდელობა გამოიძებნოს ბალანსი სამართალწარმოების წესებს და მედიაციას შორის, ისევე როგორც დირექტივა იგეგმება იმაზე რათა ერთი მხრივ, გაუმჯობესოს ევროპის წევრ სახელმწიფოებს შორის მართლმსაჯულების მიმართულებით ინსტიტუციური თანამშრომლობა[989], ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს მომხმარებლებისთვის კიდევ უფრო ეფექტური ფორმები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის[990].

ევროპული დირექტივის გამოყენების სფერო სამი ძირითადი ასპექტით შემოიფარგლება. პირველი, ის ახდენს ფოკუსირებას სამოქალაქო და კომერციულ დავებზე, მაშინ როდესაც ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საკითხებს ერთგვარად გამორიცხავს; მეორე, აღნიშნული დირექტივა არეგულირებს და ერთგავარად ახალისებს ევროპის წევრ ქვეყნებში საზღვრართშორისი დავების[991] რეგულირებას და მესამე, ევროპული დირექტივის მიღებით არ ხდება მედიაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის რეგულირება, არამედ ეს არის კონკრეტული ასპექტების კუთხით რეგულაციის შეთავაზება ევროპის წევრი ქვეყნებისთვის, კერძოდ, ისეთი საკითხების, როგორიცაა მედიაციაში მიღწეული შეთანხმებების აღსრულებადობა და სხვა, ხოლო ყველა დირექტივით მოუწესრიგებელ საკითხთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს ეძლევათ აბსოლიტური თავისუფლება საკითხები მოაწესრიგონ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, მათ შორის მედიაციის შესახებ კანონის ტექსტით[992].

988. *Steffek F.*, The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, 2016, 49, 50. <http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses >.[15.05.2018]

989. იხ. ევროპული დირექტივის პირველი ნაწილი

990. იხ.ევროპული დირექტივის მეორე ნაწილი

991. იგულისხმება cross-border litigation / cross-border disputes

992. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 6.

ზემოაღნიშნულის შედეგად რამდენიმე ქვეყანამ, კერძოდ, გერმანიამ და საფრანგეთმა მიიღეს მედიაციის შესახებ კომპლექსური კანონები. აღნიშნული რეგულაციები ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებენ მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივით გათვალისწინებულ რეგულირების სფეროს, არამედ მთელ რიგ დამატებით საკითხებს ეხებიან, ძირითადში აქცენტი გაკეთებულია საზღვართშორისო მედიაციის წარმოების საკითხებზე. ევროპული დირექტივის ამოქმედების შედეგად ევროპული ქვეყნების ერთმა ნაწილმა დირექტივის საკითხებზე მორგებული შიდა კანონი მიიღო, ხოლო მეორე ნაწილმა კანონი, რომელიც ერთი მხრივ, მოიცავს დირექტივის სულისკვეთებას, თუმცა დამატებით აქცენტი კეთდება საზღვართშორისი მედიაციის წარმოებაზე, რაც ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში, მსგავსი დიხოტომია[993], უნდა გახდეს ამ ქვეყნების კანონმდებლობის მედიაციის შესახებ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის წინაპირობა.

2008 წელს ევროპული დირექტივის მიღებით, რეალურად ფართო გზა ეხსნება ევროპის მასშტაბით საზღვრებს მიღმა / საზღვრებსშორისი (cross-border) მედიაციის წარმოების პერსპექტივას[994] და მართლაც ბოლო პერიოდია ძალზედ პოპულარული ხდება ე.წ. cross-border მედიაციის საკითხი და სწრაფი ტემპით იზრდება მისი მოხმარება სხვადასხვა ქვეყნებში[995], რასაც აქვს თავისი ახსნა, იმის გათვალისწინებით, რომ ხშირია ამა თუ იმ იურისდიქციაში უცხოელემენტის ფიგურირება, რომელსაც აქვს მიმდინარე სამართლებრივი დავა, რომლის გადაწყვეტა სასამართლოს გარეშე სურს და მიმართავს სამედიაციო პროცედურას. ევროპული დირექტივა რეალურად ხელს უწყობს საზღვრებსშორისი დავის გადაწყვეტის მშვიდობიან ფორმებს და მექანიზმებს და ფართო საზოგადოებას სთავაზობს მედიაციის გზით და საშუალებით მოახდინონ არსებული კონფლიქტის რეგულირება[996]. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტი ქმნის

993. იქვე, 7.
994. *Palo G.D., Trevor M.B.,* EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 2.
995. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation: Global Comparative Perspectives, Springer, New York, 2015, 74.
996. *Cortes P.*, The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 82.

კარგ ნიადაგს ტრანსნაციონალური დავების დროში კიდე უფრო ეფექტური რეგულაციისა[997].

ევროპის მასშტაბით არის რიგი ქვეყნები, რომელთაც კანონმდებლობაში ასე პირდაპირ cross-border მედიაციის წარმოების კონკრეტული პროცედურა არ აქვს გათვალისწინებული, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყანაში არსებული მედიაციის კანონმდებლობა იქნეს გამოყენებული მსგავსი ტიპის სამედიაციო შემთხვევის დროს[998].

ამასთანავე, ევროპის ქვეყნებში ინერგება პრაქტიკა, როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მოდავე მხარეებს დავის გადაწყვეტის მექანიზმად სწორედ რომ მედიაცია აქვთ სახელშეკრულებო დათქმით შეთანხმებული და მითითება აქვთ გაკეთებული ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის სამედიაციო რეგულაციებით დავის გადაწყვეტაზე[999], რაც ასევე დასაშვებია და პირიქით მისასალმებელია დავების საერთაშორისო სამედიაციო რეგულირების კუთხით.

ზემოაღნიშნული ტრენდის უფრო და უფრო ფაქტობრივი დამკვიდრება, როგორც სამართლებრივი ტერმინი და მორეს მხრივ, ფაქტობრივი შემთხვევების სიმრავლე თავის მხრივ, ბიძგს აძლევს ევროპულ ქვეყნებში კიდევ ერთი ახალი ნოვაციის დამკვიდრებას მედიაციის მიმართულებით, კერძოდ, საუბარია ე.წ. E-Justice -ზე მედიაციის პროცესში. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ევროპულ ქვეყნებში კანონმდებლობაში შეიძლება პირდაპირ არ იყოს მსგავსი ტერმინი გაწერილი და გათვალსიწინებული, თუმცა არაფერი კრძალავდეს მსგავსი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით მედიაციის განხორციელებას[1000].

2016 წლის 26 აგვისტოს ევროპულმა კომისიამ გამოაქვეყნა ევროპული პარლამენტის, ევროპის საბჭოს და სოციალურ ეკონომიკურ

997. *Rutherglen G.A.,* Transnational Civil Litigation, Principles and Prospects, Foundation Press, 2016, 192.
998. *Traest M.,* in Carlos, Esplugues., Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland),Vol. II, 2014, ISBN 978-1-78068-130-6, 40.
999. იქვე, 7.
1000. *Esplugues C.*, Civil and Commercial Mediation in Europe, Intersentia (Cambridge-Antwerp-Poland), Vol. II, 2014, 52-53.

საკითხთა კომიტეტის სახელზე მომზადებული ანგარიში[1001], რომელშიც დადებითად შეაფასა 2008 წლის დირექტივის ამოქმედების პრაქტიკული საკითხები.

ნიშანდობლივია, რომ 2011 წელს ევროპულმა კომისიამ მიიღო შეთავაზება მომხმარებელთა სფეროში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის[1002] შესახებ და შეთავაზება მომხმარებელთა დავის ონლაინ გადაწყვეტის შესახებ[1003], აღნიშნულ სფეროებშიც წევრ ქვეყნებში მოსალოდნელი გახდა ცვლილებების გატარება, რადგან მედიაციის განვითარებასთან ერთად მრავალი დამატებითი კითხვა და საჭიროება ჩნდება, რაც აფართოებს დავის გადაწყვეტის ჰორიზონტს[1004] და მართლაც 2013 წლის 21 მაისს ევროპარლამენტმა მიიღო კიდევ

1001. Report from the Commission to the European Parliament, the Council and the European Economic and Social Committee. Brussels 26.8.2016. COM (2016) 542 final on the Application of Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=COM%3A2016%3A542%3AFIN >.[15.05.2018] (ანგარიშის მიხედვით ევროპული დირექტივის ამოქმედების დროისთვის ევროპის წევრი ქვეყნებიდან 15-ში უკვე მოქმედებდა მედიაციის შესახებ კანონმდებლობა, 9 წევრ ქვეყანაში მედიაციას ფაქტობრივ ჰქონდა ადგილი, ხოლო 4 წევრ ქვეყანაში მედიაცია არც საკანონმდებლო დონეზე და არც ფაქტობრივ არ ხორციელდებოდა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ რიგ წევრ ქვეყნებში მედიაციის დანერგვას ჰქონდა პრობლემები, რადგან სხვადასხვა ქვეყნების კულტურული განვითარების ისტორიიდან გამომდიანარე მედიაცია არ იყო საზოგადოებისთვის სრულად მისაღები, ხოლო რიგ შემთხვევაში ანგარიშის მომზადების დროისთვისაც შეიმჩნეოდა საზოგადოების ნაკლებ ინფორმირებულობა ევროპული დირექტივის ამოქმედების და ქვეყნის შიგნით ავტომატურად გატარებული საკანონმდებლო რეფორმის შესახებ. ანგარიშში რეკომენდაციის სახით აქვს ევროპულ კომისიას დაფიქსირებული რომ წევრმა ქვეყნებმა უნდა კიდევ უფრო გააქტიურონ ძალისხმევა მედიაციის პოპულარიზაციის კუთხით, ხოლო ევროპის კავშირმა გააგრძელოს სამართლის პროგრამის ფარგლებში მედიაციის და შესაბამისი პროგრამების დაფინანსება და მხარდაჭერა.)

1002. Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council on Alternative Dispute Resolution for Consumer Disputes and Amending Regulation (EC) No 2006/2004 and Directive 2009/22/EC (Directive on Consumer ADR), COM (2011) 793 final, 29 November 2011.

1003. Proposal for a Regulation of the European Parliament and of the Council on Online Dispute Resolution for Consumer Disputes (Regulation on Consumer ODR), COM(2011) 794 final, 29 November, 2011.

1004. *Hodges C., Benohr I., Creutzfeldt-Banda N., Consumer ADR in Europe, in Steffek F., Unberath H., Genn H., Greger R., Regulating Dispute Resolution: ADR and Access to Justice at the Crossroads, 2012.*

ერთი დირექტივა 2013/11[1005] სამომხმარებლო დავებზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ[1006].

აღნიშნული დირექტივის მიზანი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, კერძოდ, ნასყიდობისა და მომსახურების ხელშეკრულებებიდან მხარეებს შორის წარმოშობილ უთანხმოებათა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებით რეგულირება[1007], რადგან ხშირია, როდესაც მცირე ღირებულების დავებს აქვს ადგილი მომხმარებელთა შორის და სასამართლოში საქმისწარმოების სიძვირის გამო მოდავე მხარეები ვერ და არ მიდიან სასამართლოში, ხოლო მსგავსი ოფციის არსებობით მომხმარებლებს უჩნდებათ ეფექტური საშუალება ნაკლები ფინანსების და დროის დანახარჯით გადაწყვიტონ არსებული სადავო საკითხები და უარი არ თქვან დავაზე.

ამასთანავე, დირექტივის მეორად მიზანს მომხმარებელთა ნდობის მოპოვება წარმოადგენს სამომხმარებლო ბაზრისადმი, რათა მომხმარებლებს გააჩნდეთ განცდა იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა მათ შორის მათ ინტერესებს ითვალისწინებს და მათზეა მორგებული[1008].

ზემოაღნიშნული თეზის განმტკიცებაა მათ შორის ევროპის საბჭოს 2013 წლის რეგულაცია EC 524/2013[1009], რომელიც მედიაციის ონლაინ წარმოების საკითხს ეხება[1010], რაც ამარტივებს და კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის მედიაციას მისი მომხმარებლებისთვის. აღნიშნული რეგულაცია, ევროპარლამენტის ზემოაღნიშნული დირექტივის მიღების შემდგომ, სწორედ მომხმარებელთა დავის გადაწყვეტის მექანიზმის გამარტივების კუთხით იქნა მიღებული[1011], თუმცა ამ ფორმამ მედიაციის წარმოების მოიპოვა იმხელა პოპულარობა, მისი უპი-

1005. ე.წ. Consumer ADR Directive.
1006. 2013/11/EU, The European Directive on Consumer Alternative Dispute Resolution (CADR) იხ: <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32013L0011>.[15.05.2018]
1007. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 58.
1008. *Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 17.
1009. *Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 18.
1010. ODR Regulation EC/524/2013.
1011. *Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 30.

რატესობების გათვალისწინებით, რომ დღეისთვის სხვა კატეგორიის დავებზეც აპრობირებული ფორმაა მედიაციის, რაზეც უფრო ვრცლად არის საუბარი ნაშრომის მეორე თავში. აღნიშნული რეგულაციის ფაქტობრივი იმპლემენტაცია 2016 წლის იანვარში განხორციელდა და იძლევა საშუალებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს შორისი დავა, დაკავშირებული E-commerce-თან მხარეებმა გადაწყვიტონ ონლაინ მედიაციის პლატფორმის გამოყენებით[1012].

აქვე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროკავშირის 2013/11/EU დირექტივის გახლავთ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სერვისის მომწოდებლების ბაზრის განვითარება, მათი ხარისხის ამაღლება შესაბამისი სერტიფიცირების სქემის მიხედვით, და შერჩეული სერვისის მომწოდებლების დაშვება ონლაინ მედიაციის პლატფორმაზე[1013], თუმცა დირექტივა არ კრძალავს არააკრედიტირებული სერვისის მიმწოდებლების დაშვებას ბაზარზე, თუმცა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ადგენენ შესაბამის რეესტრს, რათა მომხმარებლებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია სერტიფიცირების შესახებ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების მიმწოდებელი ორგანიზაციის შესახებ სამომხმარებლო სფეროში[1014].

1012. იქვე, 19.
1013. *Biard A.,* Monitoring Consumer ADR Quality in the EU: A critical Perspective, European Review of Private Law, Law Journal, Vol. 26, No.2, Wolters Kluwer International, The Netherlands, 2018, 174.
1014. იქვე, 189.

თავი VII

მედიაციის წარმოების ფორმები და ევროპის ქვეყნების გამოცდილება

7.1. მედიაციის წარმოების ფორმები: სასამართლო, სასამართლოსთან არსებული და კერძო მედიაცია

მედიაციას განურჩევლად იმისა ის მიმდინარეობს კერძო კომერციული მედიაციის ფორმატში თუ სასამართლო ან სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფარგლებში ახასიათებს ნებაყოფლობითობა, რაც წარმოადგენს ამ პროცესის მთავარ განმსაზღვრელ თვისებას და ვლინდება მოდავე მხარეების შესაძლებლობაში საკუთარი ნებით მოახდინონ მედიაციის ინიცირება და რაც ყველაზე მთავარია მხოლოდ მათი ნების შესაბამისად დაასრულონ მედიაცია შეთანხმებით ან შეუთანხმებლობით თუ ესეთია მათი სურვილი[1015]. დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალებისთვის შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არსებობდეს ე.წ. სავალდებულო მედიაციის ფორმა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კარგად უნდა მოვახდინოთ გამიჯვნა ნებაყოფლობითობის და სავალდებულოობის აღქმისა, რადგან მედიაციით დავის გადაწყვეტა შეთანხმებით ვერ გახდება სავალდებულო, რადგან მხარეების ნების ავტონომიურობაში მიიღონ მაინცდამაინც შეთანხმების პირობები კანონმდებელი ვერ ჩაერევა და ამ კუთხით მედიაციის აღქმა, როგორც სავალდებულო მექანიზმი დავის გადაწყვეტისა, არ უნდა მოხდეს და რიგ შემთხვევაში მედიაციაში ჩართვის სავალდებულოობა არ უნდა გაიგივდეს მხარის ნების შეზღუდვასთან დავა სავალდებულოდ დაასრულოს შეთანხმებით.

ფორმის მიხედვით განარჩევენ სამი[1016] ტიპის მედიაციის წარმოების ფორმას:

ა) კერძო მედიაცია, რომელიც სრულად დამოუკიდებელია სასამართლო სისტემაში საქმისწარმოებისგან და თავად სასამართლოსგან[1017];

ბ) სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია (court-annexed

1015. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation: Global Comparative Perspectives, Springer, New York, 2015, 14.

1016. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 20.

1017. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.

mediation[1018]), რომელიც ინსტიტუციურად არის კოორდინაციაში სასამართლოსთან თუმცა პროცედურულად[1019] აბსოლიტურად დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც ცალკე მდგომი ინსტიტუცია[1020];

გ) სასამართლო მედიაცია (judicial mediation), რომელიც დაკავშირებულია[1021] სასამართლოსთან შენობის და პერსონალის კუთხით[1022], თუმცა მედიატორი რა თქმა უნდა არ იღებს რაიმე სახის მბოჭავ გადაწყვეტილებას. მედიაციის მსგავსი ფორმის დროს მედიატორი შეიძლება რიგ შემთხვევაში იყოს მოქმედი მოსამართლე (დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნულ რეგულაციაზე), რომელიც იმ კონკრეტული სასამართლო საქმისწარმოებაში, რაზეც ინიცირებულია მედიაცია არ არის ჩართული, როგორც მოსამართლე[1023], არამედ პროცესუალურად სრულად დამოუკიდებელი პირია.

ეს ბოლო ფორმა ხშირი არ არის ევროპის მაგალითზე, თუმცა რიგ შემთხვევაში ჯერ კიდევ არის გამოყენებაში რამდენიმე ქვეყანაში[1024].

1018. *Hakimah Y.,* Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy for Islamic Finance (ISRA), Malaysia, 2012, 51.
(ამ ფორმის მედიაცია 1983 წელს ავსტრალიაში, ვიქტირია, სამშენებლო დავების გადასაწყვეტად იქნა პირველად გამოყენებული, შემდგომ დაინერგა 1987 წლიდან ფედერალურ სასამართლოებში, რა დროსაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას გახდა შესაძლებელი საქმის მედიატორისთვის გადაცემა)

1019. *Steffek F.,* Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Volume II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012, 1163.

1020. *Lindblom P.H.,* Progressive Procedure, lustus, 2017, 422.
Court-affiliated mediation: შვედეთის მაგალითზე სასამართლო თავად ნიშნავს საქმეზე მედიატორს მხარეებთან წინასწარი გასაუბრების შედეგად

1021. ამ ფორმის მედიაციის წარმოებისას მედიატორს წარმოადგენს ადვოკატი, რომელსაც აქვს გავლილი სპეციალური სწავლება, ან მოსამართლე ან სასამართლოს ADR თანამშრომელი რიგ შემთხვევაში

1022. *Menkel-Meadow J.C., Love P.L., Schneider A.K., Sternlight R.J.,* Dispute Resolution Beyond the Adversarial Model, Wolters Kluwer Law&Business, Aspen Publishers Inc, 2011, 34.

1023. *Steffek F.*, Mediation und Gűterichterverfahren, Zeitschrift fűr Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2013, 538.

1024. ბულგარეთი: Evgeni Georgiev and Christa Jessel-Holst in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.5, B(1)(b), 338; ინგლისი: Jens M.Scherpe and Bevan Marten in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.6, B(1)(c), 374; გერმანია: Peter Tochtermann in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch. 8, B(1)(c),530. კანადა: Reinhard Ellger in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Com-

სასამართლოში მიმდინარე დავიდან გამომდინარე მედიაციის ინიცირება შესაძლებელია განხორციელდეს თავად დავის მონაწილე მხარის მიმართვის საფუძველზე[1025], რა დროსაც რა თქმა უნდა მეორე მხარის თანხმობაც არის საჭირო, ისევე როგორც თავად სასამართლოს მხრიდან (mediation ex officio) მოხდეს დავის ერთი მხრივ, მედიაციისთვის გადამისამართება ან მეორე მხრივ, მედიაციის მხარეთათვის შეთავაზება, რაც დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის შიდა რეგულაციაზე, თუ როგორ არის ინსიტიტუციურად მედიაცია რეგულირებული, იგულისხმება სასამართლოს მხრიდან მედიაციის ინიცირების სამართლებრივი ჩარჩო მექანიზმი. თეორიაში მათ შორის მედიაციას ორ კატეგორიად ჰყოფენ[1026], ე.წ. გარიგებიდან გამომდინარე[1027] და დავიდან[1028] გამომდინარე მედიაციას.

მედიაციის წარმოების კუთხით საინტერესო გამოცდილება აქვს გერმანიის ფედერაციულ სახელმწიფოს, სადაც თავდაპირველად ქვემორე სამი ტიპის მედიაციის წარმოების ფორმა იყო გამოყენებაში:

1) სასამართლოს გარე მედიაცია, როგორც სასამართლო წარმოებისგან სრულიად დამოუკიდებელი პროცესი, რომელიც მოქმედებს კერძო ინიციატივის საფუძველზე[1029];
2) სასამართლოსთან არსებული მედიაცია (gerichtsnahe Mediation), როგორც სასამართლოს პროცესის ფარგლებში სასამართლოს შიგნით მიმდინარე პროცესი, რომელიც დამოუკიდებელია სასამართლოსგან, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციისგან[1030];

---

parative Perspective, Ch.18,B(4)(a), 941; ნორვეგია: Anneken Kari Sperr in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.22, B(1), 1144; და ავსტრია: Markus Roth and David Gherdane in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Ch.4, B(1)(c), 259.

1025. Joeng S., Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 832.

1026. *Stephen W.J.,* Principles of Alternative Dispute Resolution, West Academic Publishing, 2016, 390.

1027. ე.წ. transactional mediation

1028. ე.წ. dispute mediation

1029. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ, 2010, 150.

1030. იქვე,150.

3) სასამართლოს შიგნით არსებული მედიაცია (gerichsinterne), რომელსაც წარმართავდა მოსამართლე, რომელიც ძირითად სარჩელზე არ იყო განმხილველი მოსამართლე, რათა დაცული ყოფილიყო მედიაციის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი კონფიდენციალურობის პრინციპი. მედიაციის წარმოების აღნიშნული ფორმა დღეის მდგომარეობით ჩანაცვლდა[1031] ე.წ. Guterichtermodell[1032] მედიაციის ფორმით[1033], რაზეც ქვემოთ ცალკე იქნება საუბარი.

მსგავსად სხვა ფორმებისა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის, ისეთი როგორიცაა არბიტრაჟი, მედიაციაშიც შეინიშნება ინსტიტუციური მედიაციისა და ე.წ. Ad-hoc მედიაციის პროცესის ნაირსახეობები[1034]; კერძოდ, ინსტიტუციურ მედიაციის ნაირსახეობას განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც მედიაციის პროცესის მენეჯმენტი თავად ინსტიტუციურად არის სტრუქტურიზებული და მას ესა თუ ის ინსტიტუცია აწარმოებას, რისი დიდი გამოცდილება უკვე შეიქმნა საერთაშორისო ასპარეზზე, მათ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეები, როგორც წესი მიმართავენ მათ შორის შესაძლო დავის გადაწყვეტის მექანიზმად ინსტიტუციური მედიაციის გამოყენებას[1035].

უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციის წარმოების ფორმების მიხედვით ორი ძირითადი ფორმა არის დღეს-დღეობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული, ეს გახლავთ სასამართლო და სასამართლოს გარე მედიაცია. მათ შორის სხვადასხვა მოდელები

1031. *Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P.,* Zivilprozessordnung, C.H.BECK, Munchen, 76.Auflage, 2018, 1186, 1187.
გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §278-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია შემდგომი შეთანხმების მიღწევის მიზნით გადაამისამართოს მოსამართლესთან (Gűterichter), რომელიც საკითხზე ვერ იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა არის აღჭურვილი მედიატორის ფუნქციით და მხარეების ჩართულობით ფაქტობრივ წარმართავს მედიაციას, თუმცა ის არ წარმოადგენს მედიაციის შესახებ კანონის მიზნებისთვის მედიატორს და მასზე კანონის მოთხოვნები არ ვრცელდება, არამედ ის არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფარგლებში სასამართლოს მიერ დანიშნული სასამართლო მედიატორი

1032. *Bamberger H.G.*, Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016, 243.

1033. *Eidenmuller H., Wagner G.*, Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 12.

1034. Vgl. Greger/Unberath, Einl.Rz.48.

1035. *Eidenmuller H., Wagner G.,* Mediationsrecht, ottoschmidt, 2015, 26-27.

გვხვდება უშუალოდ სასამართლოს შიგნით თუ მის გარეთ მედიაციის წარმოების, რაც უშუალოდ ყოველი ქვეყნის შიდა კანონმდებლობით რეგულირებადი საკითხია, თუმცა როგორც ასეთი ფორმა ეს ორი ნაირსახეობა დომინირებს. ლიტერატურაში ხშირად ვნახავთ, როდესაც ზოგადად მედიაცია, ისევე როგორც სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა, რიგ შემთხვევაში სასამართლო მედიაციის სახელით მოიხსენიება, რადგან დასაწყის ეტაპზე სასამართლო მედიაციის ფორმები იდგამდა ფეხს[1036].

სასამართლო მედიაციის ფორმებში განარჩევენ უშუალოდ სასამართლო მედიაციას[1037], ამ ფორმისთვის მახასიათებელია, რომ მედიაცია იმართება სასამართლოს შენობაში, სასამართლოს მოხელის ან სასამართლოს მიერ აკრედიტირებული მედიატორთა სიაში არსებული მედიატორის მიერ, ისევე როგორც რიგ იურისდიქციაში მოსამართლის მხრიდან, და მედიაციის ხარჯი შესულია სამართალწარმოების ხარჯში. ეს ფორმა კარგად არის დანერგილი გერმანიაში, სკანდინავიურ ქვეყნებში, სლოვენიაში და სხვა სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში, მაშინ როდესაც სასამართლო მედიაციის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც სასამართლოსთან დაკავშირებულ[1038] მედიაციას წარმოადგენს დაინერგა საერთო სამართლის ქვეყნებში პირველად (ავსტრალია, ჰონგ-კონგი, კანადა, ჩინეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ), რა დროსაც მედიაციას სასამართლოს გარე მედიატორი ან მედიაციის სერვისის მიმწოდებელი ინსტიტუციები აწარმოებენ, რომელთა არჩევა მოდავე მხარეებს შეუძლიათ თავად ან სასამართლოს მედაიტორთა რეესტრიდან, ისევე როგორც მედიაციის ხარჯები უშუალოდ მხარეების მიერ იქნება დასაფარი.

ზემოაღნიშნული ფორმისგან განსხვავებით ფართო მოხმარებაშია კერძო მედიაციის ფორმა, როდესაც მხარეებს სასამართლოსთან ყოველგვარი კავშირის გარეშე აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტის გადასაწყვეტად თავად შეარჩიონ საკუ-

1036. *Gläβer U., Schroeter K.,* Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungsverfahrungen und Zukunftsperspektiven, Nomos, 2011, 14.

1037. *Alexander N., Steffek F.,* Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016, 9.

1038. იქვე, 10.

თარი ინიციატივით დაწყებული შემათანხმებელი პროცედურის მიზნებისთვის მედიატორი. მსგავსი ფორმა მედიაციისა ფართოდ არის დანერგილი, როგორც საერთო სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში და ძირითადად კომერციული დავების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებაა[1039].

არასასამართლო მედიაციის დროს (მაგ: გერმანიაში მოიხსენიება ad-hoc-mediation/außergerichtliche Mediation[1040]) მხარეები თავად უშუალოდ ახდენენ მათთვის მისაღები მედიატორის იდენტიფიცირებას და შერჩევას, რის შედეგად უშუალოდ მედიატორთან თანხმდებიან მედიაციის წარმოების წესზე და პროცედურაზე. ლიტერატურაში არასასამართლო მედიაცია მოიხსენიება, როგორც ყველაზე სწრაფი და არაბიუროკრატიული ფორმა მხარეებს შორის მედიაციის წარმოების[1041]. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეებს წინასწარ რაიმე სახელშეკრულებო დათქმით მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმი ან თუნდაც კონკრეტული მედიატორი, როგორც მათი დავის ალტერნატიული ფორმით გადაწყვეტაში ჩართული პირი არ ყავთ შერჩეული და ამის საჭიროების დროს ნებაყოფლობით თანხმდებიან მედიაციის პროცესის წარმოებაზე[1042], საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დავის წარმოშობის შემდგომ[1043] მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას[1044] კონფლიქტის აღმოფხვრის მექანიზმად მედიაცია გამოიყენონ[1045].

არასასამართლო ფორმით მედიაციის წარმოების კიდევ ერთ

1039. *Alexander N., Steffek F.,* Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016,11.

1040. *Ulrich H.,* in Klowait J., Gläβer U., MediationsGesetz, Handkomentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 87.

1041. *Groß M*., IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013, 50, 51.

1042. *Ulrich H.,* in Klowait J., Gläβer U., MediationsGesetz, Handkomentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 97.

1043. *Deckert K.,* Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 480.

1044. *Tochtermann P.,* Mediation in Germany: The German Mediation Act- Alternative Dispute Resolutiin at the Crossroads in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 54.

1045. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 54.

ნაირსახეობას ინსტიტუციური მედიაცია წარმოადგენს, როდესაც მხარეები ჯერ კიდევ სახელშეკრულებო დათქმით[1046] თანხმდებიან მათ შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში დავის გადაწყვეტის მექანიზმად სასამართლოსთვის მიმართვამდე დაიწყონ მედიაცია. სახელშეკრულებო დათქმით მხარეები წინასწარ არიან შეთანხმებული თუ მსგავსი საჭიროების დროს რომელ სამედიაციო ინსტიტუციას მიმართონ და რა პროცედურის შესაბამისად და რა ვადებში აწარმოონ სამედიაციო ფორმატის მოლაპარაკებები, რა დროსაც მედიაციის ფაქტობრივ ადმინისტრირებას აღნიშნული ინსტიტუცია გასწევს, იგულისხმება ტექნიკური და საორგანიზაციო ორგანიზება და დაგეგმარება მედიაციის პროცესის წარმოების. სამედიაციო ინსტიტუცია მოდავე მხარეებს შესთავაზებს მის ინსტიტუციასთან აფილირებად მედიატორებს, ე.წ. მედიატორთა რეესტრიდან და მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ კონკრეტული მედიატორის შერჩევა მისი პროფესიული გამოცდილების თუ პიროვნებიდან გამომდიანრე[1047]. ამ ფორმის გამოყენებით მხარეები აზღვევენ რისკს იმისა, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში გაჭიანურდეს დრო, რადგან მსგავსი დათქმა აძლევს მხარეებს საშუალებას დროულად დაიწყონ საკითხის გარშემო საუბარი და თუ არსებობს რაიმე რესურსი შეთანხმების მიღწევის მოახდინონ დავის ამოწურვა.

არასასამართლო მედიაციისგან განსხვავებით სასამართლო მედიაციის დროს უშუალოდ სასამართლოს საქმისწარმოების პროცესში მიმდინარე საქმის გადამისამართება ხდება მედიაციის პროცესში. აღნიშნული მედიაციის წარმოების ფორმა და ნიუანსები რიგ ქვეყნებში განსხვავებულია[1048], თუმცა მოდელი და არსი სასამართლო მედიაციის წარმოების მსგავსია. სასამართლო მედიაციის ფარ-

1046. იქვე, 54.

1047. *Groß M.*, IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013, 51.

1048. *Baumbach A.,* Lauterbach W., Albers J., Hartmann P., Zivilprozessordnung, C.H.BECK, Munchen, 76.Auflage, 2018, 1192. მაგ. გერმანიაში ამ ფორმის მედიაცია Güterichtermodell სახელით იცნობენ. მედიატორის ფუნქციას მოსამართლე ასრულებს, რომელსაც დამატებითი აკრედიტაცია და განათლება მედიაციაში როგორც წესი არ მოეთხოვება, ის წარმოადგენს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მედიატორს და მასზე მედიაციის კანონი არ ვრცელდება

გლებში მედიატორის წარმოებაში ხვდება იმ კატეგორიის საქმე, რომელიც უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოებაში იხილება მოსამართლესთან, რომელიც უშუალოდ მხარეებს ათანხმებს მედიაციის ინიცირებაზე, თუმცა არის რიგი ქვეყნები სადაც გარკვეულ კატეგორიის საქმეებზე ავტომატურად იწყება სასამართლო მედიაცია. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ან ავტომატურად საქმეთა მედიაციაში გადამისამართების დროს საქმე ხვდება სასამართლო მედიატორის წარმოებაში, რომელიც რიგ შემთხვევაში არის ან ქვეყნანაში მოქმედი მედიაციის კანონმდებლობით დადგენილი მედიატორთა რეესტრში არსებული შესაბამისი პროცედურით აკრედიტირებული მედიატორი, ან უშუალოდ სასამართლოს მოხელე ან მოსამართლე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში უნიფიცირებული მიდგომაა, რომ მოსამართლე აღნიშნული საქმისწარმოების სასამართლო წარმოებაში გაგრძელების შემთხვევაში აღნიშნული საქმის განმხილველი მოსამართლე ვერ იქნება[1049]. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ მოსამართლე მედიატორების ჩართულობით მედიაციის წარმოების ფორმა მრავალ ქვეყანაში კრიტიკის საგანია, იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივ მხარეები მაინც მოსამართლის სტატუსის მქონე მესამე პირად იღებენ მოსამართლე მედიატორს, და ხშირია შემთხვევები, როდესაც სწორედ მოსამართლე მედიატორის მიერ საკითხის შეთანხმებით დასრულების კონკრეტული მოსაზრების და პირობების შესაბამისად დაუსრულებიათ მხარეებს მედიაცია, რაც ფაქტობრივ მხარეთა ნების ავტონომიურობისთვის მედიაციის პროცესში შემაფერხებელ ფაქტობრივ წინაპირობას წარმოადგენს[1050] (მაგ: *კორეა*[1051]*, სადაც მედიაცია მრავალ ევროპულ სახელმწიფოზე ადრე ჯერ კიდევ 1990*

1049. *Ulrich H.,* in Klowait J., Gläβer U., MediationsGesetz, Handkomentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 87.
(გერმანიის მაგალითზე ე.წ die gerichtsinterne Mediation, რომელიც დღეს გვევლინება Guterichter-ს სახელით)

1050. Jeong S., Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018, 831.

1051. *იქვე,* 831.

წელს კანონის დონეზე გაიწერა, და სასამართლო მედიაცია მოქ-მედი მოსამართლს მეშვეობით ერთ-ერთ სასამართლო მედიაციის ფორმას წარმოადგენს, რაც წლებია კორეაში იურიდიულ წრეებში ღია კრიტიკის საგნად არის ქცეული).

სასამართლო მედიაციას რაც ზემოაღნიშნულთან ერთად გამოარ-ჩევს არასასამართლო მედიაციის წარმოების წესისგან გახლვათ ის გარემოება, რომ მხარეებს რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევა არ უხ-დებათ უშუალოდ სასამართლო საქმისწარმოების ეტაპზე ინიცირებუ-ლი სასამართლო მედიაციის მომსახურების მიღებისთვის. სასამარ-თლო მედიაციას დამატებით ის პლიუსი ახასიათებს, რომ მხარეებს შეუთანხმებლობის შემთხვევაში ყოველთვის შეუძლიათ გააგრძე-ლონ დავა სასამართლოს ფორმატში და დამატებითი ხარჯი არც აღ-ნიშნული წარმოებისთვის არ მოუწევთ[1052].

მედიაციის სასამართლო და არასასამართლო ფორმის ერთგვარი ჰიბრიდული ფორმაა (ნაზავი), როდესაც სასამართლო წარმოებაში არსებული დავის ფარგლებში მხარეები თანხმდებიან დავის შეჩერე-ბის და მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული საშუალების გა-მოყენების შესახებ, თუმცა მედიატორად გარე მესამე პირს[1053] არჩევენ და იწვევენ მხარეები, რომელიც უშუალოდ სასამართლოს მოხელეს არ წარმოადგენს[1054].

მედიაციის წარმოებისას ხშირია შემთხვევები როდესაც მედია-ციას ერთზე მეტი მედიატორი უძღვება[1055] (ე.წ. Co-Mediation Mod-el/თანამედიაციის ფორმა), ხშირად ეს სპეციფიკურ საქმეებზე ხდება[1056], როდესაც ერთ-ერთი მედიატორი იმ კონკრეტული დარგის სპეციალისტია, რაც წარმოადგენს მხარეებს შორის დავის საგანს, როგორც წესი ამ დროს მედიატორები სხვადასხვა პროფესიის წარ-

1052. *Groß M.,* IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013,51, 52.

1053. *იქვე,* 52.

1054. მაგ. გერმანიაში მედიაციის ასეთი ფორმა მოხსენიებულია, როგორც Gerichtsnahe Mediation

1055. *Ulrich H.,* in Klowait J., Gläβer U., MediationsGesetz, Handkomentar, Nomos, Baden-Baden, 2014, 95.

1056. *Traja M.,* Co-Mediation in *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 367.

მომადგენლები არიან, თუმცა ერთიან მიზანს ემსახურება მათი პროცესში ჩართულობა[1057].

თანამედიაციის ფორმატი ერთგვარად ჰგავს სასამართლოს ან არბიტრაჟის მხრიდან კოლეგიური შემადგენლობით საქმის წარმოებას, თუმცა მათ შორის, რა თქმა უნდა, ფუნდამენტური სხვაობაა, რადგან თანამედიაციის ფორმატში მედიატორთა მიზანს არა დავის გადაწყვეტა, არამედ მხარეთა დახმარება წარმოადგენს, რათა მათ თავად შეძლონ და გადაწყვიტონ დავა შეთანხმებით[1058].

რიგ შემთხვევაში ხშირია როდესაც გენდერის გათვალისწინებით ხდება მედიატორთა კომპლექტაცია. მედიაციის წარმოება ამ ფორმატით ძაან ხშირი არ არის[1059], თუმცა მისი უპირატესობების გთავალისწინებით მისი მოხმარებისადმი მოთხოვნა იზრდება.

მედიაციის ამ ფორმის გამოყენებას თავისი პრაქტიკული დადებითი მხარეებიც გააჩნია და კერძოდ[1060]:

ა) მედიატორებს შორის ნაწილდება შრომა;

ბ) მედიატორებს აქვთ მეტი საშუალება გაანალიზონ დაგროვილი ინფორმაცია და გადაინაწილონ როლები და ინფორმაცია, რაზეც ინდივიდუალურად მოუწევთ მუშაობა;

გ) მედიატორებს ეძლევათ საშუალება ორივე მხარეს დაუთმონ თანაბარი დრო, განსაკუთრებით აღნიშნულის საჭიროება შეინიშნება ინდივიდუალური შეხვედრების დროს, ამასთანავე, ამ ფორმით ჩატარებულმა მედიაციამ შეიძლება გაცილებით ნაკლები დროის დანახარჯი მოითხოვოს საბოლოო შედეგის მიღებამდე.

მედიაციის ამ ფორმით წარმოებას ხშირად მიმათვაენ მედიატორები რთული კომპლექსური დავის წარმოებისას, ისევე როგორც მხარეებს ნებისმიერ დროს აქვთ უფლება და შესაძლებლობა საკუთარი დავის მედიაციის მიზნებისთვის შეარჩიონ ორი ან თუნდაც მეტი

1057. *ცერცვაძე გ.*, მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ, 2010, 145.

1058. *Germund R.,* Außergerichtliche Streitbeilegung durch Co-Mediation, Pro Business GmbH, Berlin, 2012, 5.

1059. *Loer L.,* Umsetzung des Gűterichtermodells in der Praxis, Zeitschrift fur Konflikt-Management, 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten 1-32,PVSt 47561, 43.

1060. *Roberts M.*, Mediation in Family Disputes, Ashgate, 2014, 135.

მედიატორი[1061]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში არის რამდენიმე იურისდიქცია, სადაც მსგავსი ფორმით მედიაციის წარმოება კანონის დონეზე არ არის დაშვებული[1062] (მაგ: საფრანგეთი[1063], გერმანია[1064]).

7.2. მედიაციის ფორმების საკანონმდებლო მოწესრიგების ევროპული გამოცდილება

წინამდებარე თავში მიმოხილულია ძირითადში ევროპის კავშირის წევრი ქვეყნების და არამხოლოდ, იურისდიქციებში დამკვიდრებული და დღეისთვის მოქმედი მედიაციის წარმოების ფორმები.

ავსტრია[1065]: ავსტრია ევროპის მასშტაბით პიონერ ქვეყანას წარმოადგენს მედიაციის კანონმდებლობის და პრაქტიკის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ 1999 წელს ავსტრიამ საოჯახო დავების მედიაციის გზით გადაწყვეტის შესახებ მიიღო საკანონმდებლო რეგულაციები, ხოლო 2004 წელს კი ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე პირველმა მიიღო კანონი მედიაიციის შესახებ[1066]. აღნიშნული რეგულაცია დღემდე წარმოადგენს ყველაზე ვრცელ და დეტალურად მედიაციის როგორც ინსტიტუტის რეგულაციის მაგალითს, რაც ხშირ შემთხვევაში გამხდარა კრიტიკის საგანი ევროპის წევრ ქვეყნებში, რადგან რიგ შემთხვევაში მედიაციის ესოდენ დეტალურ საკანონმდებლო ჩარჩოებში ჩასმას უმრავლეს ევროპულ ქვეყნებში არ მიესალმებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის მედიაციის კანონი სამოქალაქო სამართლის სფეროში არსებული მედიაციის მა-

1061. *Spencer D., Brogan M.*, Mediation Law and Practice, Cambridge University Press, Cambridge, 2006, 76, 77.
1062. *Hopt J.K., Steffek F.,* Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 59.
1063. *Deckert K.,* Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 483.
1064. *Tochtermann P.,* Mediation in Germany: The German Mediation Act- Alternative Dispute Resolutiin at the Crossroads in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 59.
1065. *Roth M.,* Gherdane D., Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 248-332.
1066. Zivilrechts Mediations-Gesetz. ინგ: Civil Law Mediation Act.

რეგულირებელი ნორმატიული აქტია, რაც პირდაპირ მის სახელწოდებაში არის კიდეც ასახული[1067].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ევროპული დირეტივის მიღებამდე და ამოქმედებამდე ავსტრია იყო ერთადერთი ევროპული ქვეყანა, სადაც მედიაციის შესახებ კანონმდებლობა[1068] ჯერ კიდევ 2004 წლიდან იყო ამოქმედებული, რის გამოც ხშირად ავსტრიას „ევროპელ პიონერად[1069]" მოიხსენიებენ მედიაციის კანონმდებლობასა და პრაქტიკაში[1070].

ავსტრიის კანონი მედიაციის პროცესის ძალზედ კარგ და დეტალურ განმარტტებას იძლევა, კერძოდ:

მედიაცია წარმოადგენს მხარეთა ნებაყოფლობით საქმიანობას, რა დროსაც, სპეციალური განათლების მქონე ნეიტრალური პირი (მედიატორი) აღიარებული მეთოდების გამოყენებით აწარმოებს მედიაციაში ჩართულ მხარეებთან სისტემატიურ კომუნიკაციას იმ მიზნით, რათა მხარეებმა საკუთარი პასუხისმგებლობით მიაღწიონ საკუთარი კონფლიქტის შესახებ შეთანხმებას[1071].

მედიაციის ფორმების კუთხით ავსტრიაში შემდეგი სამი ფორმა არის დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation/gerichtsnahe mediation[1072])

1067. *Deixler-Hűbner A., Schauer M.,* (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016, 5.

1068. ავსტრია ევროპულ ქვეყნებს შორის იყო პირველი სახელმწიფო, სადაც მედიაციის შესახებ კანონმდებლობა ამოქმედდა, ჯერ კიდევ სანამ ევროპული დირექტივა იქნებოდა მიღებული. 1999 წელს ავსტრიაში ამოქმედდა საოჯახო მედიაციის წესები, ხოლო 2004 წელს ამოქმედდა კანონი მედიაციის შესახებ: „სამოქალაქო სამართლის მედიაციის აქტი"

1069. <http://m.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof;oso/9780199653485.001.001/acprof-9780199653485-chapter-4>.[15.05.2018]

1070. *Roth M.,* Gherdane D., Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 249.

1071. იხ. Zivilrechts Mediations-Gesetz, §1.1.

1072. აღნიშნული ტერმინი კრიტიკის საგანი გახდა ავსტრიაში, რადგან არის მოსაზრება, რომ მსგავსი ტერმინი სასამართლოსთან არსებული მედიაციის სასამართლოსთან ინსტიტუციურ კავშირს უსვამს ხაზს, მაშინ როდესაც სასამართლოსთან არსებული მედიაცია დამოუკიდებელ ინსტიტუციას წარმოადგენს.

და უშუალოდ გ)სასამართლო მედიაცია (Judicial Mediation)

ავსტრიაში, ისევე როგორც, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომ მედიაცია მხარეთა ნებაყოფლობით პროცესს წარმოადგენს და შესაბამისად წახალისებულია კერძო, არასასამართლო მედიაცია, როდესაც მხარეებს სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე თავისუფლად შეუძლიათ ერთმანეთს შორის არსებული კონფლიქტური საკითხის გადასაწყვეტად დავის ალტერნატიული ფორმა მედიაციის სახით აირჩიონ, რა დროსაც მხარეებს აქვთ საშუალება მიმართონ მათი სურვილის შესაბამისად ამა თუ იმ აკრედიტირებულ მედიატორს ან სპეციალიზირებულ პროფესიულ მედიატორთა ასოციაციას (რაც რამდენიმე არსებობს ავსტრიის მაგალითზე[1073]), რა დროსაც მედიატორი ცდილობს დაეხმაროს მოდავე მხარეებს მოახდინონ საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბება და იდენტიფიცირება საკუთარი მოთხოვნების, ისევე როგორც მხარეებმა მოახდინონ საერთო და განსხვავებული ინტერესების გამოკვეთა, რომლის გარშემოც მედიატორი ცდილობს მხარეებმა მიაღწიონ შეთანხმებას[1074].

ავსტრიაში მედიატორთა ერთიან რეესტრს და მედიატორთა განათლების პროგრამებს კურირებს იუსტიციის სამინისტრო, დღეს მოქმედი სტანდარტით მედიატორი შეიძლება გახდეს პირი, ვისაც შეუსრულდა 28 წელი, გააჩნია პროფესიული კვალიფიკაცია და პროფესიული დაზღვევა და არ არის ნასამართლევი[1075]. მსგავსი კვალიფიკაციის პირები იუსტიციის სამინისტროს შეჰყავს მედიატორთა რეესტრში 5 წლის ვადით, ხოლო შემდგომ დამატებით 10 წლის ვადით უგ-

1073. *Roth M.,* Gherdane D., Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 249.
(ავსტრიაში მედიატორები გაერთიანებული არიან რამდენიმე პროფესიულ ასოციაციაში, მათგან ორი არის ყველაზე დიდი და ცნობადი, კერძოდ, „ავსტრიის კავშირი მედიაციისთვის“ (Ősterreichische Bundesverband fűr Mediation - ŐBM) და „ევროპული კავშირი“ (European Union), <www.oebm.at>.[15.05.2018]

1074. *Roth M.,* Gherdane D., Mediation in Austria: The European Pioneer in Mediation Law and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 258.

1075. *Palo G.D., Trevor M.B.,* EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 15.

რძელებს სტატუს[1076], სამინისტრო არეგულირებს მათ შორის იმ ინსტიტუციების აკრედიტაციას, ვინც უფლებამოსილია ჩაატაროს სასწავლო ღონისძიებები მედიატორობის მსურველთათვის.

ავსტრიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, მედიაციის შესახებ კანონის ამოქმედების შემდგომ შევიდა შესაბამისი ცვლილებები და სასამართლო ვალდებული გახდა მოდავე მხარეებს რჩევა და რეკომენდაცია მისცეს მათ შორის მიმდინარე დავის მედიაციისთვის გადაცემის თაობაზე, რა შემთხვევაშიც თუ სახეზე იქნება მხარეთა თანხმობა სასამართლო დავას გადაამისამართებს სასამართლოსთან არსებულ მედიაციაში, თუმცა ეს არ წარმოადგენს სასამართლო მედიაციის ფორმას, არამედ სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმაა, როდესაც დავა სასამართლოს გარეთ, თუმცა სასამართლოში მიმდინარე სამართლებრივი დავის, რომელიც შეჩერდება მედიაციის ვადით, პარალელურად განხორციელდება[1077]. მედიაციის წარმატებით ანუ შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, ევროპული დირექტივის ამოქმედების შემდგომ (დირექტივის მე-6 მუხლის შესაბამისად), მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების სასამართლოს წინაშე წარდგენა დამტკიცების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიღწეული შეთანხმების აღსრულება[1078], ან მხარეებს აქვთ უფლება მიღწეული შეთანხმება დაამტკიცონ ნოტარიული ფორმით, ხოლო პარალელურად შეთანხმდნენ, რომ სასამართლო დავას მათ შორის აღნიშნულ საკითხზე აღარ მიმართავენ, ავსტრიაში მსგავს შეთანხმებას „სამუდამო სიმშვიდის შეთანხმებას[1079]“ უწოდებენ (Vereinbarung Ewigen Ruhens).

და აქვე უნდა აღინიშნოს, ავსტრიაში მოქმედი სასამართლო მე-

1076. *Hopf V.G.,* Gerichtsexterne Mediation Erfahrungen mit dem ősterreichischen Mediationsgesetz, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 780.

1077. *Pramhofer K.,* Gerichtsnahe Mediation beim Handelsgericht Wien-ein Erfolgsprojekt, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 3/2014, 81.

1078. *Palo G.D., Trevor M.B.,* EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 13.

1079. *Pramhofer K.,* Gerichtsnahe Mediation beim Handelsgericht Wien-ein Erfolgsprojekt, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 3/2014, 81.

დიაციის ფორმა, რომელიც მხოლოდ საოჯახო დავებზე კონცენ-ტრირდება და მხარეებს რომლებიც მონაწილე არიან საოჯახო დავის უშუალოდ სასამართლოში დავის სამართლებრივად გადაწყვეტამდე უწევთ შემათანხმებელი პროცედურების გავლა, რაც ავსტრიის მაგა-ლითზე სასამართლო მედიაციის ფორმას წარმოადგენს.

ბელგია[1080]: მედიაცია ბელგიაში ჯერ კიდევ ევროპული დირექტი-ვის ამოქმედებამდე იყო დანერგილი საოჯახო დავებზე, კერძოდ, 2005 წელს იყო მიღებული კანონი მედიაციის შესახებ ბელგიაში[1081], ხოლო ევროპული დირექტივის ამოქმედების შემდგომ ასახვა ჰპოვა სამო-ქალაქო და კომერციული დავების გადაწყვეტის ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებად ალტერნატიულ საშუალებად.

ბელგიის მაგალითზე მედიაციის პროცესუალური რეგულირება სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მართლმსაჯულების თავში არის მოქცეული[1082] და სპეციალური საკანონმდებლო აქტის მიღება არც ევ-როპული დირექტივის ძალაში შესვლის შემდგომ მომხდარა, თუმცა მასთან სრულ შესაბამისობაშია მოსული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესები და 2005 წელს მიღებული კანონი მედიაციის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბელგიამ 2008 წლის მედიაციის დირექტივის ფორმალური რატიფიცირება არ მოახდინა, რის შესახებ ბელგიის მთავრობამ ოფიციალური ნოტა გაუგზავნა ევროპის კომისიას და დაეყრდნო მათ ქვეყანაში უკვე მოქმედ კანონს მედიაციის შესახებ, რითაც ახსნა ახალი კანონის მიუღებლობის საფუძვლები ბელგიის მაგალითზე[1083].

ბელგიაში განვითარებულია, როგორც კერძო მედიაცია, ასევე სა-სამართლო მედიაციის ფორმა და ორივე შემთხვევაში სახეზეა მედია-

1080. Verougstraete I., Belgium in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 19.

1081. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 89.

1082. Verougstraete I., Belgium in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 19.

1083. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 94.

ციის ნებაყოფლობითი ფორმა, რაიმე სახის სავალდებულო მედიაციის გამოვლინება ბელგიის მაგალითზე არ შეიმჩნევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის სტადიაზე მხარეები არ შეიბოჭავენ თავს დავის წარმოშობის შემთხვევაში მიმართონ მედიაციას[1084].

კერძო მედიაციას მხარეებმა ყოველთვის შეუძლიათ რომ მიმართონ ბელგიაში, როგორც სასამართლომდე, ასევე მისი მსვლელობისას ან სასამართლო განხილვების დასრულების შემდგომ, ხოლო სასამართლო მედიაცია მიმდინარე საქმისწარმოების დროს, მოსამართლის სათათბიროდ გასვლამდე, შეიძლება იქნეს მხარეთა თანხმობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით ინიცირებული[1085], რომელიც მათ შორის თავისი გადაწყვეტილებით მხარეთა შერჩეულ მედიატორს ნიშნავს[1086].

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაცია (judicial mediation) წარმოადგენს დასათაურებას, თუმცა რეალურად ბელგიაში ამ ფორმის მედიაციის ქვეშ მოიაზრება და ხორციელდება სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა[1087], როდესაც საქმე გადაეცემა სასამართლოსთან არსებულ სამედიაციო ცენტრს და არა უშუალოდ მოსამართლეს ან სასამართლოს მოხელეს[1088], რადგან ბელგიური კანონ-

1084. *Palo G.D., Trevor M.B.,* EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 28, 29.

1085. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 105.

1086. მხარეებმა უნდა შეარჩიონ აკრედიტირებული მედიატორი, თუმცა თუ დაასაბუთებენ მოსამართლის წინაშე, რომ არც-ერთ აკრედიტირებულ მედიატორს ფიზიკურად არ სცალია და შეთანხმდებიან არააკრედიტირებულ მედიატორის კანდიდატურაზე, სასამართლო მაინც დანიშნავს ასეთ პირს მედიატორად, თუ დარწმუნდება, რომ ის აკმაყოფილებას აკრედიტაციის მინიმალურ სტანდარტებს, რაც ბელგიაში მოქმედებს.

1087. აღსანიშნავია, რომ ბელგიაში იურიდიულ წრეებში კამათის საგანს წარმოადგენდა ტერმინი „სასამართლო მედიაციის“ გამოყენება, რადგან მიაჩნდათ, რომ შეიძლება ვინმემ მიიჩნიოს, რომ აღნიშნული ფორმა არ არის ნებაყოფლობითი, და რომ შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ რადგან მედიაციის ამ ფორმას ეწოდება „სასამართლო მედიაცია“ ვინმემ მოიაზროს, რომ ის არის სავალდებულო და რომ სასამართლოს აქვს უფლებამოსილება აიძულოს მხარეები ჩაერთონ მედიაციაში, რაც რეალურად არ შეესაბამება რეალობას.

1088. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 93.

მდებლობის მიხედვით მოსამართლე არ შეიძლება იყოს მედიატორი და მხოლოდ კერძო პირს (ჩამონათვალი: ადვოკატი, ნოტარიუსი ან სოციალური მუშაკი) შეუძლია იყოს მედიატორი[1089].

ბულგარეთი[1090]: მედიაციის შესახებ კანონი 2004 წელს იქნა ბულგარეთში მიღებული[1091]. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი იძლევა საშუალებას მედიაციას დაექვემდებაროს სამოქალაქო, კომერციული, შრომის სამართლის, საოჯახო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავები, რომლებიც მომხმარებლის უფლებებს ეხება, ისევე როგორც მცირე სისხლის სამართლის დავები, რაც სამოქალაქო სამართლებრივ თანდმევ შედეგს იწვევს.

მედიაციის ფორმების კუთხით ბულგარეთში შემდეგი ორი ფორმა არის დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation / Judicial Mediation).

ბულგარეთში მედიატორები ერთიანდებიან იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მედიატორთა ერთიან რეესტრში[1092] და მომხმარებლებს თავად შეუძლიათ კერძო მედიაციის შემთხვევაში შეარჩიონ მათთვის სასურველი მედიატორი და მისი დახმარებით აწარმოონ საკუთარი კონფლიქტის რეგულირების პროცედურა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროს მხოლოდ მედიატორთა რეესტრის წარმოების ფუნქცია აკისრია და რაიმე სხვა ინსტიტუციური ზედამხედველობა მედიატორებზე სამინისტროს არ გააჩნია[1093].

სასამართლოსთან არსებული მედიაცია ბულგარეთში, რომელიც სასამართლო მედიაციად მოიხსენიება, რადგან მოდავე მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, სასამართლო ახდენს საქმეთა მედიაციის ცენტრებში გადამისამართებას, დაიწყო 2010 წელს, ყველაზე დიდი სა-

1089. იქვე, 93.

1090. *Georgiev E., Jessel-Holst C.*, Mediation in Bulgaria: Legal Regime, EU Harmonization and Practical Experience in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 334, 335.

1091. The Bulgarian Mediation Act, 2004.

1092. Uniform Register of Mediators, see <www.justice.government.bg/MPPublic-Web/default.aspx?id=2>. [15.05.2018]

1093. *Dimcheva E.*, Mediation Country Report Bulgaria, available at: <www.adrcenter.com//jamsinternational/civil-justice/Mediation_Country_Report_Bulgaria.pdf>.[15.05.2018]

ქალაქო სასამართლოს, სოფიას საქალაქო სასამართლოს ბაზაზე, სადაც შეიქმნა მედიაციის სასამართლო ცენტრი, რომელშიც მედიატორები და სურვილის შემთხვევაში ყოფილი მოსამართლეები უფასო სამედიაციო სესიებს სთავაზობენ მოდავე მხარეებს, რა შემთხვევაშიც შეთანხმების მიღწევა მოდავე მხარეებს აძლევს საშუალებას დაიბრუნონ დავის მიზნებისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 50%[1094].

ბულგარეთში კანონმდებლობით (მედიაციის შესახებ კანონის მე-4 მუხლი) აკრძალულია სასამართლოს რომელიმე მოხელის მიერ მედიაციის წარმოება[1095], რაც სასამართლოს მხრიდან მედიაციისთვის მხარდაჭერის ერთგვარ წინაღობას წარმოადგენს, რადგან სასამართლოს აქვს ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მათ თავად შეუძლიათ მოარიგონ მათ წარმოებაში არსებული კონფლიქტის მხარეები. შესაბამისად სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია კანონის დონეზე არსებობს, თუმცა მხოლოდ რამდენიმე სასამართლოსთან არსებული საპილოტე მაგალითის სახით[1096].

კვიპროსი[1097]: კვიპროსი წარმოადგენს საერთო სამართლის იურისდიქციის ქვეყანას და 2004 წელს შეუერთდა ევროკავშირს. კვიპროსში რეგიონების მიხედვით ფუნქციონირებს ექვსი რეგიონალური სასამართლო და მიუხედავად დავების მორიგებით დასრულების ძაან მაღალი სტატისტიკისა, სასამართლოები მაინც გადატვირთული იყო საქმეთა ნაკადით, რადგან ქვეყანაში არ იყო განვითარებული სასამართლო დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები[1098].

1094. *Palo G.D., Trevor M.B.,* EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 44.

1095. *Georgiev E., Jessel-Holst C.*, Mediation in Bulgaria: Legal Regime, EU Harmonization and Practical Experience in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 338.

1096. მაგ: 2004-2006წწ პლოვდივის რეგიონალური სასამართლოსთან არსებობდა მედიაციის ცენტრი, და სასამართლო ბულგარეთის დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ასოციაციის მხარდაჭერით, ინტერესის შემთვხევაში სთავაზობდა მოდავე მხარეებს მედიატორთა კანდიდატურებს, რასაც ფინანსურად ABA CEELI და USAID უზრუნველყოფდა. 2010 წლის შემდგომ მსგავსი პროექტები აღარ ფუნქციონირებს.

1097. *Georgiades A.,* Cyprus in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 47.

1098. *იქვე,* 47.

ევროპული დირექტივის ამოქმედებისთანავე კვიპროსმა დაიწყო მედიაციის შესახებ ცალკე კანონის შემუშავება და იურიდიულ საზოგადოებაში გაჩნდა დიდი მოლოდინი მიმდინარე დავების დროულად და ეფექტურად გადაწყვეტისა, მათ შორის მედიაციის დასაწყის ეტაპზე დაფიქსირდა იურიდიული საზოგადოების, კვიპროსის ადვოკატთა ასოციაციის ფართო მხარდაჭერა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიმართ[1099].

კვიპროსში დაინერგა ნებაყოფლობითი კერძო მედიაციის ფორმა, რა დროსაც მხარეებს აქვთ შესაძლებლობა სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე მოახდინონ მედიაციის ინიცირება, ისევე როგორც სასამართლო საქმისწარმოების მსვლელობის პროცესში შეთანხმდნენ მედიაციაში დავის გადამისამართებაზე, რა დროსაც მოქმედ მოსამართლეს მედიატორის ფუნქციის შესრულება ეკრძალება[1100], ხოლო ინიცირებული მედიაცია შეიძლება გაგრძელდეს სამი თვიდან ექვს თვემდე ვადით სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ესტონეთი[1101]: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ესტონეთი გახლდათ ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ევროპული დირექტივის ამოქმედების შემდგომ დაიწყო მუშაობა მედიაციის შესახებ საკანონმდებლო აქტზე და 2010 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში ამოქმედდა შესაბამისი ნორმატიული ბაზა, თუმცა აღსანიშნაცია, რომ კანონს, რომელიც მიიღო ესტონეთმა დაერქვა კანონი კონსილიაციის შესახებ, თუმცა შინაარსობრივად მასში ასახულია მედიაციის შესახებ დებულებები და გადმოცემულია მედიაციის არსი, ისევე როგორც კანონი სრულ შესაბამისობაშია მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის მოთხოვნებთან[1102].

ესტონური კანონმდებლობის შესაბამისად მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება სრულად ნებაყოფლობითია, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მხარეები სახელშეკრულებო

1099. *იქვე*, 48.
1100. იქვე,48.
1101. *Ginter C.,* Estonia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 85.
1102. *Ginter C.,* Estonia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,85.

დანაწესით იბოჭავენ თავს დავის წარმოშობის შემთხვევაში გამოიყენონ მედიაცია, ისევე როგორც კონსილიაციის შესახებ კანონში მითითებაა სავალდებულო მედიაციის გამოყენების შემთხვევაზე, როდესაც ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი, თუმცა დღეის მდგომარეობით, არც-ერთი ესტონური კანონი მსგავს სავალდებულო მედიაციის გამოყენებას არ ითვალისწინებს, თუმცა უშუალოდ მედიაციის მარეგულირებელმა აქტმა მსგავსი შესაძლებლობა დაუშვა, რათა გათვალისწინებული იყოს სამომავლოდ შესაძლო შემთხვევის სამართლებრივი საფუძვლები. მსგავსი რეგულირების პარალელურად შევიდა შესაბამისი ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელმაც ასევე გაითვალისწინა დათქმა იმის თაობაზე, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი მიიღოს საქმე წარმოებაში, თუ მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის საშუალებად შეთანხმებულია მედიაცია.

დღეისათვის ესტონეთში განვითარებულია ნებაყოფლობითი მედიაცია, ხოლო სასამართლოსთან არსებული ან სასამართლო მედიაცია კანონის დონეზე არ არსებობს[1103].

მედიაცია ესტონეთისთვის ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს და გარკვეული სკეპტიციზმი ამ ინსტიტუტისადმი ნამდვილად შეინიშნება, თუმცა საკანონმდებლო დონეზე სახელმწიფომ უზრუნველყო ყველა საჭირო მექანიზმის შემუშავება, რათა შექმნილიყო მისი განვითარებისთვის კარგი საფუძვლები.

ესტონეთში ღიად აღიარებენ, რომ მედიაციის პრაქტიკული განვითარება და დანერგვა დიდწილად დამოკიდებულია სასამართლოსა და ადვოკატებზე, რადგან საზოგადოება ერთი მხრივ, ენდობა სასამართლო სისტემას ესტონეთში და მოსამართლის რჩევას ითვალისწინებს და მეორე მხრივ, ყველა მარწმუნებელი ენდობა საკუთარი ადვოკატის კონსულტაციას და ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადვოკატი კლიენტს ურჩევს დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის მედიაციის გამოყენებას, როგორც წესი დავა ავტომატურად მედიაციის მიმართულებით ვითარდება ესტონურ მაგალითზე[1104].

1103. იქვე, 95.
1104. *Ginter C.,* Estonia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 95.

ფინეთი[1105]**:** ფინეთმა 2011 წელს მიიღო კანონი „სასამართლო მედიაციისა და სამედიაციო შეთანხმების სასამართლოში დამტკიცების შესახებ“, რითაც აღასრულა ევროპული დირექტივის მოთხოვნები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში ჯერ კიდევ 2006 წლიდან მოქმედებს სასამართლო მედიაცია[1106], რომლის მაგალითზე მოქმედი მოსამართლეები გამოდიან მედიატორის როლში და მოდავე მხარეებს შორის მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანად დასრულებას უწყობენ ხელს[1107].

ფინეთის მედიაციის თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება სამოქალაქო და კომერციული დავების მაგალთზე ფინეთის ადვოკატთა ასოციაციის უშუალო ჩართულობით და ინიციატივით დაინერგა[1108], უფრო მეტიც ასოციაციის მაგალითზე ფუნქციონირებს სასამართლოსთან არსებული მედიაციის ერთ-ერთი მხსვილი ცენტრი, რომელიც მედიაციის დანერგვის სტადიაზე წარმოადგენდა ყველაზე მსხვილ კერძო მედიაციის სერვისის მიმწოდებელს მომხმარებლებისთვის[1109].

სასამართლო მედიაცია ფინეთის მაგალითზე შესაძლებელია, როგორც მხარეთა ინიციატივით სარჩელის აღძვრით, სასამართლოსთვის მიმართვის გზით, ისევე უშუალოდ მიმდინარე სასამართლო დავის მსვლელობისას, როდესაც მხარეთა თანხმობის საფუძველზე სასამართლო დავას გადასცემს მედიატორ მოსამართლეს, უფრო მეტიც, მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა მედიაციის ინიცირების სტადიაზე თავად შეარჩიონ ის მოსამართლე, რომელიც მედიატორის რანგში სურთ მხარეებს იხილონ საკუთარი კონფლიქტის შეთანხმე-

1105. *Taivalkoski P.,* Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 97.

1106. სასამართლო მედიაციას ითვალისწინებდა ფინეთის 2006 წლის კანონი მედიაციის შესახებ, რომელიც ჩანაცვლდა 2011 წელს მიღებული კანონით.

1107. *Taivalkoski P.,* Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 97.

1108. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 275.

1109. იქვე, 277.

ბით დასრულების მიზნებისათვის[1110]. ამასთანავე, ფინეთში მოქმედებს სასამართლოსთან არსებული მედიაცია, როდესაც მიმდინარე სასამართლო საქმისწარმოების ეტაპზე, მხარეებს შეუძლიათ ითხოვონ დავის შეჩერება და საქმის მედიაციაში გადამისამართება, რა დროსაც თუ მხარეები სასამართლო მედიაციის ფორმას არ აირჩევენ, მოსამართლეს შეუძლია საქმე გადასცეს სასამართლოსთან არსებულ სამედიაციო ცენტრს ან მხარეთა შერჩევით დამოუკიდებელ მედიატორს[1111].

ფინეთის მაგალითზე კერძო მედიაცია ასევე დაშვებულია, თუმცა სტატისტიკურად სასამართლო მედიაცია გაცილებით ფართოდ არის გავრცელებული და მედიაციის ამ ფორმის არსებობამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ხელი შეუწყო დავის ალტერნატიული საშუალების ცნობადობის ზრდას და განვითარებას ფინეთის მაგალითზე. ამასთანავე, კერძო მედიაციაში მიღწეული შეთანხმებების აღსრულების საკთხი დაკავშირებულია მიღწეული შეთანხმებების სასამართლოს მიერ დამტკიცების პროცედურასთან, რაც ფინეთის მაგალითზე მოდავე მხარეების მეტად სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წინაპირობა ხდება, რათა მოხდეს სასამართლო მედიაციის ინიცირება[1112].

მედიაცია, როგორც კერძო, ასევე სასამართლო და სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა, ფინეთის მაგალითზე აბსოლიტურად ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მოდავე მხარეების ნებასა და ინტერესზე[1113].

ინგლისი[1114] და **უელსი:** ინგლისისა და უელსის მაგალითზე უნდა აღინიშნოს, რომ მედიაცია არ წარმოადგენს ახალ ინსტრუმენტს დავების გადაწყვეტის, თუმცა საკანონმდებლო დონეზე 2011 წელს მოხდა

1110. *Taivalkoski P.,* Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,99.
1111. *Taivalkoski P.,* Finland in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 111.
1112. იქვე, 97, 98.
1113. იქვე,105.
1114. *Scherpe J.M., Marten B.,* Mediation in England and Wales: Regulation and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 365-454.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და საოჯახო დავების წარმოების კოდექში[1115], 2008 წელს მიღებული ევროპული დირექტივის ვალდებულების შესრულების სახით მედიაციის კანონმდებლობის დონეზე დაფიქსირება.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, რაც 2008 წლის ევროპული დირექტივის გავლენით აიხსნება წარმოადგენს მედიაციის დღევანდელი სახის შემქმნელს დიდ ბრიტანეთში, თუმცა მედიაციამ განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ 1990 -იან წლებში მიიპყრო[1116], რაც მათ შორის უშუალოდ დაკავშირებულია ლორდი ვულფის ცნობილ კვლევასთან, „სასამართლო ხელმისაწვდომობა" (Access to Justice), რომელმაც ინგლისის სასამართლო სისტემის რიგ პრობლემებში ღიად ჩაახედა საზოგადოება[1117], და გამოიკვეთა რეალობა, რომ სასამართლო არ იყო ხელმისაწვდომი მასთან დაკავშირებული ხარჯებისა და გახანგრძლივებული პროცესის წარმოების გამო; შესაბამისად, აღნიშნული კვლევა რეალურად გახდა დიდი ბრიტანეთის საზოგადოების დაინტერესების წინაპირობა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმებისადმი და განსაკუთრებით მედიაციისადმი[1118]. აღნიშნულის შემდგომ მედიაცია მართლაც სწრაფი ტემპით განვითარდა ინგლისურ სამართლის სისტემაში და ხშირ შემთხვევაში დავის გადაწყვეტის პირველად ფორმას წარმოადგენს ინგლისის მაგალითზე[1119].

მედიაციის ფორმების კუთხით ინგლისსა და უელსში შემდეგი ორი ფორმა არის დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation).

ამ ქვეყნების მაგალითზე კერძო მედიაციის წარმოება, განსაკუთრებით კომერციულ დავებში კარგად აპრობირებული და მოხმარება-

1115. იქვე, 368.
1116. *Genn H.,* Judging Civil Justice, Cambridge University Press, Cambridge, 2010, 92.
1117. *Woolf H.,* Access to Justice, 2nd Ed, Stationery Office, London, 1996, para 11.08.
1118. *Andrews N.,* The Modern Civil Process, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008, para 1.09.
1119. *Scherpe J.M., Marten B.,* Mediation in England and Wales: Regulation and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 368.

ში არსებული მექანიზმია საზოგადოების და ბიზნეს გაერთიანებების მხრიდან.

მსგავსად კარგად დანერგილი კერძო მედიაციისა ინგლისის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ კარგად ფუნქციონირებს სასამართლოსთან არსებული სამედიაციო სერვისი, რადგან სააპელაციო ინსტანციაში არსებობს სამედიაციო ცენტრი, რომელსაც უშუალო კურირებას უწევს სასამართლოსთან ერთად, ევროპაში ყველაზე ცნობილი „დავების ეფექტურად გადაწყვეტის ცენტრი[1120]" (CEDR[1121]).

ინგლისში კანონმდებლობით სასამართლო მედიაცია არ არის გათვალისწინებული[1122], თუმცა მრავალ სასამართლოში აპრობირებული ფორმაა, როდესაც მოსამართლე საქმის ზეპირი განხილვის დაწყებამდე ან უშუალოდ ან ონლაინ კონფერენციის გამოყენებით ცდილობს მხარეების შეთანხმებას, რაც ფაქტობრივ ერთგვარად სასამართლო მედიაციის ნაირსახეობას წარმოადგენს, თუმცა კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ მედიაციის სასამართლო ფორმას კანონმდებლობა არ იცნობს.

გასათვალისწინებელია, რომ ინგლისსა და უელსში მხარე რომელიც უმიზეზოდ უარს აცხადებს მედიაციაში მონაწილეობაზე სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების შესაბამისად შესაძლებელია დაექვემდებაროს ფინანსურ სანქციას[1123], თუნდაც ის წარმოადგენდეს პროცესის შედეგად დავაზე გამარჯვებულ მხარეს[1124].

საფრანგეთი[1125]: მედიაცია საუკუნოვან ტრადიციას ითვლის საფრანგეთში, თუმცა კანონის დონეზე რეგულირება 1990 წელს განხორციელდა, ხოლო 2011 წელს საფრანგეთის მთავრობამ მიიღო კანონი #2011-1540,

1120. <www.cedr.com>.[15.05.2018]

1121. CEDR –Center of Effective Dispute Resolution, ცენტრი რომელიც მათ შორის გახლავთ ქართველი აკრედიტირებული მედიატორების მომზადებელი და ახლო აღმოსავლეთ ევროპაში მედაიცია ამ ცენტრის ექსპერტების გამოყენებით ინერგება

1122. *Scherpe J.M., Marten B.,* Mediation in England and Wales: Regulation and Practice in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 374.

1123. *Hildebrand A.,* The United Kingdom in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 385.

1124. ამ მხრივ პრეცენდენტულ საქმეებს წარმოადგენენ: Halsey, per Dyson LJ, (PARA 17-23); Rolf v De Guerin [2011] EWCA Civ 78 ('Rolf, per Rix LJ').

1125. *Deckert K.,* Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 455-519.

რომლის მიღებით მოახდინა მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის ფრანგულ კანონმდებლობაში იმპლემენტაცია[1126].

მედიაციის ფორმების კუთხით საფრანგეთში შემდეგი ორი ფორმა არის დამკვიდრებული[1127]:

ა) კერძო მედიაცია/სახელშეკრულებო მედიაცია (private mediation/extrajudicial/mediation conventionnelle); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed/court-related mediation/mediation judiciaire).

საფრანგეთში მედიაციას დაქვემდებარებული დავების კატეგორიას წარმოადგენს სამოქალაქო, კომერციული, საოჯახო, შრომითი დავები და მცირე მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეებიდან გამომდინარე სამოქალაქო მოთხოვნები მხარეებს შორის.

კერძო მედიაციას მხარეებმა ნებისმიერ დროს შეილება მიმართონ და საკუთარი შერჩევით შეთანხმდნენ კონკრეტულ მედიატორზე თუ სამედიაციო ცენტრზე, რომელიც მრავლად ფუნქციონირებს საფრანგეთში, ხოლო რაც შეეხება სასამართლოსთან არსებული მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა, ეს დამოკიდებულია მხარეების ნებაზე, რომლებიც სასამართლო დავაში არიან ჩართული, რა დროსაც მოსამართლე მხარეების ნების შესაბამისად არჩევს მედიატორს და ახდენს საქმისწარმოების მედიატორთან გადამისამართებას[1128], ხოლო მიმდინარე სასამართლო საქმისწარმოების, მედიაციის ვადით შეჩერებას.

ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულ მაგალითზე სასამართლოსთან დაკავშირებულ მედიაციას ფრანგულად ეწოდება mediation judiciare, თუმცა თავის შინაარსით ის წარმოადგენს court-annexed mediation-ს.

გერმანია[1129]: მედიაციის მოძრაობა 1990-იანი წლებიდან გააქტიურ-

1126. *Betto J.G., Canivet A.,* France in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,112.

1127. *Deckert K.,* Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 457.

1128. იქვე, 457.

1129. *Tochtermann P.,* Mediation in Germany: The German Mediation Act- Alternative Dispute Resolutiin at the Crossroads in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 522-584.

და გერმანიაში საოჯახო დავების მედიაციის მაგალითზე[1130], რასაც ადგილი ჰქონდა კერძო პროექტების სახით სასამართლოების ბაზაზე, რაც მათ შორის დღესაც მოქმედი აპრობირებული მოდელია გერმანიის სასამართლოებში, ისევე როგორც ჩამოყალიბდა პირველი კერძო სამედიაციო ცენტრები[1131].

აღსანიშნავია, რომ გერმანიამ დაიგვიანა ევროპული დირექტივის ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტაცია[1132], რაც იშვიათი გამონაკლისი შემთხვევაა, როდესაც გერმანია ნაკისრი ვალდებულებების ვადებს არღვევს, თუმცა აღნიშნული განპირობებული იყო იმ ობიექტური რეალობით, რომ გერმანია ცდილობდა შეემუშავებინა ის ფორმა და მიდგომა მედიაციით დავების გადაწყვეტისა, რაც კარგად იქნებოდა გააზრებული და პრაქტიკაში გაამართლებდა.

მედიაციის ფორმების კუთხით გერმანიაში შემდეგი სამი ფორმა არის დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation, auβergerichtliche Mediation/extrajudicial mediation) და უშუალოდ გ)სასამართლო მედიაცია (Judicial Mediation/Gerichtsinterne Mediation), რომელიც გარდაიქმნა ახალი ფორმით, რაც ასევე განხილულია წინარე ქვეთავში.

აღსანიშნავია, რომ მხარეებს სასამართლომდე ნებისმიერ დროს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ კერძო მედიაციის სერვისი, თუმცა სასამართლოში დავის მოხვედრის შემდგომ ფაქტობრივი რეალობაა, რომ მოსამართლეები დიდად სასამართლოსთან არსებული მედიაციის პროპაგანდირებას არ სწევენ და არც მათ შორის მოდავე მხარეებს მიაჩნიათ ფაქტობრივ რომ სასამართლოში შესული სარჩელი

1130. *Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D.,* Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017, 69.

1131. *იქვე*, 69. (1992: Bundesverbands Mediation (BM);Bundes-Arbeitsgemeinschaft fur Familien-Mediation(BAFM). 1996: Bundesverband Mediation in Wirtschaft und Arbeitswelt (BMWA) ეს გახლდათ პირველი სამი კერძო საინიციატივო გაერთიანება, რასაც შემდგომში მოჰყვა სხვადასხვა მცირე და პატარა ზომის სამედიაციო ცენტრების დაფუძნება, მათ შორის სამართლის სხვადასხვა დარგის მიხედვით).

1132. *Koenig S.,* Germany in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 131.

სასამართლოს გარეთ თუნდაც შეთანხმების მიზნებისთვის უპრიანია რომ გავიდეს, შესაბამისად, ეს დღევანდელი რეალობაა გერმანიის მაგალითზე, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს, თუმცა ამას აქვს ახსნა, რაზეც გვექნება ქვემოთ საუბარი.

თუმცა ფედერალური სასამართლოს დონეზე რიგი სახის სარჩელები ექვემდებარებიან სავალდებულო მედიაციას, კერძოდ, როდესაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 750 ევროს, როდესაც სახეზე არის სამეზობლო დავა, ან თუ დავა ეხება იმ სახის დეფიმაციას, რომელიც მედიის მეშვეობით არ გაცხადებულა ან თუ დავა პირთა შორის უფლებრივ თანასწორობას ეხება, ასეთ შემთხვევაში სახეზე არის სავალდებულო სასამართლოსთან არსებული სამედიაციო დავის წინაპირობა, და საქმე გადამისამართდება მედიაციაში, თუმცა ეს არ არის სასამართლოსთვის მიმართვის ხელისშემშლელი მედიაცია, რადგან სარჩელია ამ დროს შესული და საქმე წარმოებაში აქვს სასამართლოს მიღებული[1133].

სასამართლოსთან არსებული მედიაციის საპირისპიროდ მრავალ გერმანულ მიწაზე, პოპულარობას იკრებს სასამართლო მედიაციის ფორმა, როდესაც მოსამართლეს თავად აქვს უფლება თუ ჩათვლის საქმეს სამედიაციო მიზნებისთვის შესაფერის დავად, აქვს შესაძლებლობა საქმე გადასცეს მის კოლეგა მოსამართლეს, რომელიც მედიატორის ფუნქციით იქნება დატვირთული, და შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამ დავასთან როგორც დავის განმხილველ მოსამართლეს არ ექნება შემხებლობა, ხოლო პროცესი რჩება კონფიდენციალური[1134]. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი საპილოტე პროგრამები მრავლად ფუნქციონირებს გერმანიის სხვადასხვა[1135] მიწის იურისდიქციაში[1136].

უნდა აღნიშნოს, რომ სასამართლოებთან არსებული სასამართლო მედიაციის საპილოტე პროგრამები წარმოადგენს უფასო სერ-

1133. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd Ed, C.H.Beck, Munchen, 2016, 197.*

1134. *Greger V.R.,* Gerichtsinterne Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, 2010, 793.

1135. მაგ: ბერლინი, სადაც 34 მოქმედი მედიატორი მოსამართლეა.

1136. მაგ: საქსონიის იურისდიქციაში: Regional Court of Gőttingen.

ვისს მომხმარებლებისათვის, რაზეც გერმანიის იურიდიულ პროფესიაში აზრთა სხვადასხვაობა შეიმნევა, რადგან ადვოკატთა პროფესიას მიაჩნია, რომ მსგავსი ფორმა სასამართლო მედიაციის წარმოების ხელს უშლის კერძო მედიაციის რეალურ დანერგვას, რადგან მხარეებს თუ აქვთ მედიაციის ინტერესი მიმართავენ სასამართლოს და გამოიყენებენ სასამართლო მედიაციის სერვისს, ნაცვლად კერძო სამედიაციო ცენტრებისა[1137], თუმცა მოსამართლეებს ამ ეტაპზე პირიქით მიაჩნიათ და მრავალი მათგანი მედიაციაში ფასიან კურსებს გადის, რათა შეასრულოს ეს მისთვის მეტად საპატიო მედიატორის ფუნქცია სასამართლო მედიაციის პროცესში. თუმცა ამ კატეგორიის მედიატორებს (მოსამართლეებს), სხვა ტერმინით მოიხსენიებს კანონმდებელი (Guterichter[1138]), და მათ მიჯნავს კერძო მედიატორებისგან, რათა ხელი არ შეეშალოთ კერძო მედიაციის ცენტრებს დანერგვასა და განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ თავად გერმანელი მეცნიერები ლიტერატურაში პირდაპირ უთითებენ[1139], რომ ეს ახალი მოდელი „შინაარსობრივად არის გაუგებარი“, ხოლო „საერთაშორისო კონტექსტში რთულად ასახსნელი“. ამ ტიპის მოსამართლეს საქმეზე გადაწყვეტილების მიღების რაიმე უფლებამოსილება არ გააჩნია.

თუმცა თუ კარგად ჩავუღრმავდებით გერმანული მოდელის არსს, მივხვდებით, რომ ის რეალურად სწორედ რომ მედიაციის მხარდამჭერია, ვგულისხმობ თავად იდეის, რომ მხარეებმა მიაღ-

1137. Statement of the Munich Bar Association to the pilot project `Guterichter` (Bavaria) by Neuenhahn, in R.Greger, Final Report on the Pilot Project `Guterichter`, 96. www.reinhard-greger.de/aber.gueterichter-abschlussbericht.pdf.

1138. *Moltmann-Willisch A.R.,* Der Richter als Mediator-das erweitere Guterichtermodell in der Zivilgerichtsbarkeit in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auflage, 2016, 1199, 1200.
(2013 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §278-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რის შედეგად მოქმედ მოსამართლეებს მიეცათ საშუალება განახორციელონ მხარეებს შორის შემათანხმებელი პროცედურები, გერმანიაში აღნიშნულს მედიაციის პირდაპირ ფორმად არ აღიქვამენ და აღნიშნული რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით).

1139. *Moltmann-Willisch A.R.,* Der Richter als Mediator-das erweitere Guterichtermodell in der Zivilgerichtsbarkeit in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3 Auflage, 2016, 1199, 1201.
[Der Begriff `Gűterichter` ist sprachlich nicht gelungen, inhaltlich unklar und- wichtig im internationalen Kontext – schwer űbersetzbar]

წიონ შეთანხმებას. ამ ყველაფერს აქვს პრე-ისტორია, კერძოდ, ბოლო წლებში გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გატარდა ცვლილებები, რომლის თანახმად წახალისებულია სასამართლოში მხარეებს შორის `მშვიდობის მიღწევა` (სპეციალური ტერმინი გერმანულ სამართალში „Rechtsfrieden“), რითაც მათ შორის უნდა განხორციელდეს სასამართლოს საქმისწარმოების შემსუბუქება, უფრო მეტიც 2007 წელს გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ[1140] დაადგინა, რომ „მეგობრული ფორმით დავის გადაწყვეტა,შეთანხმება“ (*amicable dispute resolution*) ზოგადად უფრო მისაღებია, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასამართლოს მითითებით დამდგარი მხარეთა შორის შედეგი[1141].

შესაბამისად, როგორც ზოგადი წესი სასამართლოს მხრიდან მცდელობა მიღწეულ იქნეს შეთანხმება წახალისებულია, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. უფრო მეტიც, როგორც წესი, ყველა მოსმენას წინ უძღვის ე.წ. კონსილიაციის პროცესი[1142], რა დროსაც მოსამართლე ცდილობს მხარეებს შორის შეთანხმება შედგეს. ამ სახით შეთანხმების მიღწევას მათ შორის მხარეთა ფინანსურ ინტერესზეც აქვს ასახვა, კერძოდ, მცირდება სასამართლოს ბაჟი, ხოლო ამის ხარჯზე იზრდება ადვოკატის მომსახურების საზღაურის ანაზღაურება ადვოკატის მომსახურების საზღაურის შესახებ კანონის სატარიფო სტანდარტის შესაბამისად, რაც დამატებითი წინაპირობაა იმისა, რომ მხარეც და ადვოკატიც იყოს დაინტერესებული დავის შეთანხმებით დასრულებაში. შესაბამისად, შეიძლება ეს ახსნა მიეცეს კიდეც იმ ფორმას ე.წ. სასამართლო მედიაციის დანერგვისა, რასაც აქვს ადგილი დღეისათვის გერმანიაში, რაზეც ამ თავის დასაწყისში გვქონდა საუბარი. შესაბამისად, რეალურად ე.წ. Guterichter ჩვენ გვევლინება არა მედიატორად, არამედ კონსილიაციის მწარმოებელ

1140. *Schmidt F., Lapp T., Monβen H.G.,* Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2012,7,8.

1141. ob. Federal Constitutional Court of Germany (BVerfG), Decision of 14 February 2007 (Docket No.1 BvR 1351/01), Neue Juristische Wochenschrift Rechtsprechungs-Report, 2007, 1073.

1142. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd* Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 194.

მოსამართლედ[1143], ხოლო ეს პროცესი კი წარმოადგენს სასამართლოს საქმისწარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ეტაპს, როდესაც სასამართლოს ზეპირ სხდომამდე მოსამართლე ცდილობს შეათანხმოს მოდავე მხარეები[1144]. გერმანიის სხვადასხვა მიწაზე აღნიშნული სახის შემათანხმებელი პროცესების სტატისტიკა ბოლო წლებში დადებით ტენდენციას ამჟღავნებს[1145].

საბერძნეთი[1146]: საბერძნეთში მედიაციის შესახებ კანონი 2010 წელს იქნა მიღებული[1147], რაც წარმოადგენდა ევროპული დირექტივის მიღების შემდგომ ქვეყნის შიგნით წარმოებული დისკუსიების[1148], კონსულტაციების და განხილვების შედეგს[1149], თუმცა დიდად მედიაციას ფაქტობრივი გამოყენება ამ ქვეყანაში არ აქვს[1150].

აღსანიშნავია, რომ მედიაციის შესახებ კანონის მიღებამდე, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალური თავების რეგულირების საგანს წარმოადგენდა.

მედიაციის ფორმების კუთხით საბერძნეთში შემდეგი ორი ფორმა იყო დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation), რა დროსაც მხარეებს

1143. *Tutzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, 2nd* Ed, C.H.BECK, Munchen, 2016, 195.
1144. *Bäumerich M.,*Űterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015, 38.
1145. *Greger R.,* Gerichtsinterne Mediation auf dem Prűfstand, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Koln, Heft 1/2013, 13, 14.
1146. *Klamiris N.K., Chronopoulou C.G.,* Mediation in Greece: A Contemporary Procedural Approach to Resolving Disputes in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 585-604.
1147. Greek Mediation Law (3898/2010)
1148. *Diamantopoulos G., Koumpli V.,* Mediation: The Greek ADR Journey Through Time, in Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediaion, Springer International Publishing, London, 2015, 313.
1149. *Anthimos A.,* Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 148.
1150. *Klamiris N.K., Chronopoulou C.G.,* Mediation in Greece: A Contemporary Procedural Approach to Resolving Disputes in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 586.

აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ნებით, დავის დაწყებამდე[1151], ისევე როგორც დავის მიმდინარეობისას მიიღონ გადაწყვეტილება დავის მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის შესახებ[1152].

აღნიშნული ფორმების პარალელურად, საბერძნეთში სასამართლო მედიაციის ფორმა არ იყო კანონმდებლობის დონეზე გათვალისწინებული[1153], თუმცა 2013 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად სასამართლო მედიაცია, როგორც მედიაციის ფორმა დაინერგა და მოსამართლეებს მიენიჭათ უფლებამოსილება შეითავსონ მედიატორის ფუნქცია და უფლებამოსილებები[1154].

საბერძნეთში მათ შორის რიგ შემთხვევებში მოქმედებს სავალდებულო მედიაციის ფორმა, კერძოდ, გაკოტრების საქმისწარმოების დავები, კოლექტიური შრომითი დავები და სამომხმარებლო დავები ექვემდებარება სავალდებულო მედიაციის გზით გადაწყვეტას[1155].

საბერძნეთის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ კანონის ამოქმედებამდე დიდი დისკუსიები გაიმართა იურიდიულ პროფესიაში, თუ რამდენად დასაშვები იყო სასამართლოს მოხელეებისა და მოსამართლის, როგორც მედიატორის არსებობა ქვეყანაში, და იმ ეტაპზე ერთიანი აზრი ჩამოყალიბდა, რომ მოსამართლის მედიატორის ფუნქციით აღჭურვა არ იყოს მისაღები სტანდარტი საბერძნეთისთვის, თუმცა როგორც განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, მედიაციის ამოქმედების შემდგომ, საბერძნეთი მივიდა იმ პრაქტიკულ საჭიროებამდე, რომ დანერგა მოსამართლეების მონაწილეობით სასამართლო მედიაციის ფორმა.

უნგრეთი:[1156] უნგრეთში ჯერ კიდევ ქვეყნის ევროკავშირში გაწევ-

1151. *Anthimos A.,* Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 150.
1152. *Klamiris N.K., Chronopoulou C.G.,* Mediation in Greece: A Contemporary Procedural Approach to Resolving Disputes in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 589.
1153. იქვე, 589.
1154. *Diamantopoulos G., Koumpli V.,* Mediation: The Greek ADR Journey Through Time, in Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediaion, Springer International Publishing, London, 2015, 318.
1155. *Anthimos A.,* Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,150.
1156. *Jessel-Holst C.,* Mediation in Hungary, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 605-627.

რიანებამდე[1157], 2002 წელს იქნა მიღებული მედიაციის შესახებ კანონი[1158], რომელიც 2009 და 2010 წელს, ევროპული დირექტივის ამოქმედების შემდგომ, დაექვემდებარა კანონმდებლის მიერ სრულ-ფასოვან რევიზიას და დღეისათვის უნგრეთში მედიაციას შეიძლება დაექვემდებაროს სამომხმარებლო, სამედიცინო სექტორში არსებული დავები, ისევე როგორც სამეწარმეო და საოჯახო შინაარსის დავები.

უნგრეთის მაგალითზე ფართო გამოყენებაშია კერძო მედიაცია, საერთოდ არ არსებობს სასამართლო მედიაცია[1159], ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექში 2008 წელს შესული ცვლილებების შედეგად, რითაც შეიცვალა 1952 წელს მიღებული საპროცესო კოდექსის მუხლები, განჩინდა დათქმა იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში სასამართლო დავის დროს, საქმე შეიძლება შეჩერდეს მაქსიმუმ 6 თვით და გადაეცეს მედიატორს, რაც წარმოადგენს სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმას[1160]. მედიაციაში მიღწეული შეთანხმება ბრუნდება უკან მოსამართლესთან, რომელიც მას ადასტურებს[1161] და მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების იდენტური იურიდიული ძალამოსილება.

უნგრეთის მაგალითზე მედიაცია აბსოლიტურად ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მხარეთა სურვილზე[1162], როგორც მედიაციის ინიცირება, ასევე მისი ამა თუ იმ კონკრეტული შედეგით დასრულება. დღეისათვის მედიაცია დიდად გამოყენებადი არ არის უნგრეთის მაგალითზე, რაც მათ შორის გამოწვეულია მედიაციის სფეროში მოქმედი ძლიერი ინსიტიტუციების სიმცირით[1163].

1157. უნგრეთი ევროკავშირში გაწევრიანდა 2004წელს.
1158. <http://www.mediationeurope.net/eng/documents/lawinhungary.pdf>.[15.05.2018]
1159. *Jessel-Holst C.,* Mediation in Hungary, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 608.
1160. *იქვე*, 608, 609.
1161. იხ. უნგრეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 148-ე მუხლის მე - 2 ნაწილი.
1162. *Jessel-Holst C.,* Mediation in Hungary, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 610.
1163. *Okanyi Z., Laszlo G.,* Hungary, in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 171.

ირლანდია: [1164] მედიაცია ირლანდიაში 1946 წელს ინდუსტრიული ურთიერთობების[1165] მომწესრიგებელი აქტიდან იწყება, რომელიც ე.წ. კონსილიაციას ითვალისწინებდა ამ კატეგორიის დავებზე, ხოლო შემდგომ უკვე 1986 წელს საოჯახო სამართლის კანონში პირველად განჩინდა ტერმინი მედიაცია[1166], რაც სრულად სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებულ პროექტს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა საოჯახო დავების სასამართლოს გარეთ გატანას.

სტატისტიკურად ირლანდია ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომ მეორე ქვეყანაა[1167], სადაც ადვოკატების რაოდენობა ყველაზე ბევრია, ხოლო სასაამართლო დავები ევროპაში ყველაზე მეტად ირლანდიაში წარმოებს, შესაბამისად დავის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ირლანდიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ მიმართულებას რაიმე სახის ინსიტიტუციური რეგულაცია 2010 წლამდე არ მისცემია.

2010 წელს ირლანდიამ შექმნა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ სამართლის რეფორმის კომისია, რომელმაც ირლანდიაში საფუძველი დაუდო მედიაციის, როგორც ინსტიტუციური მოვლენის დანერგვას, რაც თავის მხრივ 2008 წლის ევროპული დირექტივის მიღების გამოძახილს წარმოადგენდა.

2010 წელს შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები მედიაციის განვითარებასთან დაკავშირებთ, თუმცა სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით ირლანდიაში ცალკე კანონი მედიაციის შესახებ არ არის მიღებული, ხოლო მედიაციის შესახებ წესები საპროცესო კოდექსში არის ინტეგრირებული და მხარეებს მისი წარმოება დავის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს შეუძლიათ ნებაყოფილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე[1168].

1164. *Ellger R.,* Mediation in Ireland: Growing Importance of ADR Driven by Budgetary Restraints and Docket Congestion – A Cheap and Easy Way Out? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 629-665.

1165. Irish Industrial Relations Act 1946.

1166. *Ellger R.,* Mediation in Ireland: Growing Importance of ADR Driven by Budgetary Restraints and Docket Congestion – A Cheap and Easy Way Out? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 630.

1167. იქვე, 631.

1168. იქვე, 631, 632.

ირლანდიაში მოქმედებს მედიაციის შემდეგი ფორმები[1169]:

ა) კერძო მედიაცია (private mediation), რომელიც აბსოლიტურად ნებაყოფლობითია და მხარეებს აქვთ შესაძლებლობა სასამართლომდე ეცადონ დავა შეთანხმებით დაასრულონ;

ბ) სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა (court-annexed mediation), რაც ასევე ნებაყოფლობითი ხასიათისაა;

გ) სასამართლო მედიაცია (court-related mediation), რა დროსაც მოსამართლემ სავალდებულო სახით უნდა ურჩიოს მხარეებს მედიაცია[1170], როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, თუმცა ამ ფორმის გამოყენებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მხარეთა პრეროგატივას წარმოადგენს, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და სასამართლო აქტების შესახებ 2004 წლის კანონის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა[1171], როდესაც დავის ერთ-ერთი მხარის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში სასამართლოს ეძლევა უფლება მხარეებს ჩაუტაროს სამედიაციო მიზნებისთვის შეხვედრა და შეათანხმოს მხარეები, თუმცა მეორე მხარის უარის შემთვევაში ამ მხარეზე რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრების რეგულაციას კანონმდებლობა არ იცნობს, გარდა სასამართლოს დისკრეციისა პროცესის ხარჯები დააკისროს ასეთ მხარეს[1172], რაც რიგ შემთხვევაში თამაშობს ხოლმე გადამწყვეტ როლს, რათა მხარე ჩაერთოს მედიაციის პროცესში[1173].

1169. იქვე, 638,639.

1170. *Ellger R.,* Mediation in Ireland: Growing Importance of ADR Driven by Budgetary Restraints and Docket Congestion – A Cheap and Easy Way Out? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 639.

1171. იხ: Civil Liability and Courts Act 2004 (No. 31/2004).

1172. White N., Ireland, in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 181.

1173. *Ellger R.,* Mediation in Ireland: Growing Importance of ADR Driven by Budgetary Restraints and Docket Congestion – A Cheap and Easy Way Out? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 639.

იტალია[1174]**:** იტალიას მედიაციის საკანონმდებლო რეგულაციის ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, კერძოდ, 1931 წელს ჩნდება პირველად ტერმინი მედიაცია იტალიურ კანონმდებლობაში, ხოლო 1940 წელს მასზე ჩნდება დანაწესი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, როგორც შიდა სასამართლო მოხმარების პროცესი, რასაც მოსამართლეები ანხორციელებდნენ, 1960 წლიდან იტალიაში მედიაციის ფართო გამოყენება დაიწყო შრომით დავებზე, ხოლო 2003[1175] წლიდან იტალიამ მიიღო კანონი მედიაციის შესახებ და მედიაციას დაუქვემდებარა სამეწარმეო და ფინანსური დავები.

იტალიის სასამართლო სისტემა ხშირად ყოფილა კრიტიკის საგანი, რადგან უზენაესი სასამართლოს ჩათვლით დავის დასრულებას, როგორც წესი 8 წელი[1176], ხშირად მეტი სჭირდებოდა[1177], როდესაც სხვა ევროპულ ქვეყნებში ამ პროცედურას გაცილებით ნაკლები დრო მიაქვს.

თუმცა ევროპული დირექტივის ამოქმედებამდე იტალიაში მედიაციის დიდი მოხმარება და პოპულარიზაცია არ შეიმჩნეოდა, ხოლო დირექტივის ძალაში შესვლის შემდგომ იტალიამ მიიღო მედიაციის შესახებ საკანონმდებლო დეკრეტი (Decree 28/2010[1178]), რომლის თანახმად სამოქალაქო და კომერციული დავები სავალდებულო სახით დაუქვემდებარა მედიაციას, რითაც შეეცადა გადაეწყვიტა ქვეყნის შიგნით გახანგრძლივებული სასამართლო დავების პრობლემა, ხოლო აღნიშნული განმარტა ევროპული დირექტივის მე-3 მულის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმად ქვეყნებს შეუძლიათ საკუთარ იურისდიქციაში დაადგინონ სავალდებულო მედიაცია.

იტალიის ყველაზე დიდი საადვოკატო გაერთიანების[1179] მძლავრი

1174. *De Palo G., Keller L.,* Mediation in Italy: Alternative Dispute Resolution for All in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 667-696.
1175. Decree 5/2003, www.camera.it/parlam/leggi/deleghe/03005dl.htm.
1176. *Sue P.,* Access to Court? In Cortes P., The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 87.
1177. *Alpa G.,* Arbitration and ADR Reforms in Italy, in European Business Law Review, Law Journal, Vol 29, Issue 2, Wolters Kluwer International, London, 2018, 313.
1178. <www.ismed.it/doc/D_Lgs_28-2010.pdf>. [15.05.2018]
1179. Organismo Unitario dell'Avvocatura (OUA)

პროტესტის და გაფიცვის[1180] ფონზე (საერთო ჯამში შედგა ადვოკატების სამი გაფიცვა), რა დროსაც გაპროტესტდა, როგორც სავალდებულო მედიაციის დანერგვის მცდელობა, ასევე ადვოკატები აყენებდნენ მოთხოვნას არ დანერგილიყო მედიაცია, რა დროსაც მხარეებს შეეძლებოდათ წარმომადგენლის გარეშე პროცესში მონაწილეობა[1181], 2012 წელს ზემოაღნიშნულს მოჰყვა იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან საკანონმდებლო დეკრეტის შესაბამისი მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობა[1182], როგორც სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შემზღუდველი ნორმა.

იტალიის კანონმდებელმა 2013 წელს გაატარა მედიაციის კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები, თუმცა კვლავ მედიაციის სასარგებლოდ და ამჯერად დაადგინა სარჩელის შეტანის შემდგომ მცირე მნიშვნელობის დავებზე მხარეთა სავალდებულო შეხვედრა მედიატორთან, სანამ უშუალოდ დაიწყება სასამართლოს საქმისწარმოება, რითაც სასამართლოსადმი მიმართვის უფლება კანონის დონეზე დაცული დარჩა.

მედიაციის ფორმების კუთხით იტალიაში შემდეგი ორი ფორმა არის დამკვიდრებული:

ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation).

იტალიაში ფართოდ არის განვითარებული კერძო მედიაციის მოხმარება და მოდავე მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ დავის სასამართლოში წარმართვის ნაცვლად მოსინჯონ მედიაციის ეგიდით შეთანხმების მიღწევის პერსპექტივა, რა მიზნითაც შეუძლიათ მიმართონ სხვადასხვა მედიატორთა გაერთიანებებს, რომლებიც იტალიის მთავრობასთან სპეციალურ რეესტრში არიან რეგისტრირებული თავის მხრივ.

სასამართლოსთან არსებული მედიაციის ძაან საინტერესო ფორმა მოქმედებს იტალიაში, სადაც 2010 წელს მიღებული საკანონმდებლო

1180. *Sue P., Access to Court? In Cortes P.,* The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2016, 87.

1181. Marinari M., Italy in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 200, 201.

1182. იხ. Italian Constitutional Court award no 272/2012.

დეკრეტის შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციებს შეუძლიათ შექმნან ცენტრები სასამართლოების ბაზაზე და შესთავაზონ მოდავე მხარეებს მედიაცია, რაც უკვე რამდენიმე სასამართლოში მოქმედი პროექტია.

რაც შეეხება სასამართლო მედიაციას, აღნიშნული ფორმა როგორც მედიაციის ნაირსახეობა არ არსებობს იტალიაში, არამედ მსგავსი პროცედურა არის გაწერილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, კერძოდ, მოსამართლეს შეუძლია განახორციელოს მხარეებს შორის შემათანხმებელი პროცედურები შრომით, საოჯახო, და მცირე მნიშვნელობის დავებზე. თუმცა რეალურად ეს არ წარმოადგენს მედიაციის ფორმას, რადგან მას ახასიათებს უშუალოდ საქმის განმხილველი მოსამართლის მხრიდან დავის არსებითი დაწყების ეტაპამდე მხრეებთან შემათანხმებელი პროცესის გამართვა, რაც თავისი ბუნებით კონსილიაცია და სასამართლოში მორიგებაა, ვიდრე სასამართლო მედიაცია.

ნიდერლანდები[1183]: ნიდერლანდებში მედიაციის შესახებ სპეციალური დათქმები არის გაკეთებული იურიდიული დახმარების შესახებ კანონში, რომელიც 2009 წელს იქნა მიღებული და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში[1184], ხოლო ნიდერლანდების მთავრობის მიერ 2008 წლის ევროდირექტივა მედიაციის შესახებ საკმაოდ მძლავრად იქნა გაკრიტიკებული, და მთავრობისთვის პრინციპის საკითხი გახდა მედიაციის შესახებ ცალკე კანონის არ მიღება.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს ნიდერლანდებში ყოველთვის დადებითად უყურებდნენ და ევროპული დირექტივის ამოქმედებამდეც ნიდერლანდების მთავრობა ამ ფორმას დავის გადაწყვეტის ყველა დონეზე უჭერდა მხარს[1185], ჯერ კიდევ

1183. *Schmiedel L.,* Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 697-773.

1184. *Albers P.*, The Netherlands, in EU Mediation,De Palo., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 358.

1185. *Schmiedel L.,* Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 699.

1993 წელს ნიდერლანდებში დაფუძნდა ნიდერლანდების მედიაციის ინსტიტუტი[1186], რომელიც გახდა კერა მედიაციის როგორც თეორიული კვლევის, ასევე მის პრაქტიკული ინტეგრირების დავის გადაწყვეტის ნიდერლანდების სისტემაში.

ნიდერლანდებში განვითარებულია კერძო მედიაცია[1187] და მოდავე მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ მიმართონ სამედიაციო კერძო ცენტრებს, თუმცა მედიაცია რაიმე სახის წინაპირობად სასამართლომდე საქმისწარმოებისა არ გახლავთ და ის ეფუძნება სამ ძირითად მთავარ პრინციპს ნიდერლანდებში[1188]: კერძოდ, მედიაცია წარმოადგენს აბსოლიტურად ნებაყოფლობით პროცესს, მედიატორს, რომელიც არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე პირი არ გააჩნია რაიმე უფლებამოსილება მიიღოს მხარეთა დავის შესახებ გადაწყვეტილება და მედიაციაში გაჟღერებული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას, როგორც მედიაციის მსვლელობის, ასევე მისი დასრულების შემდგომ.

სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია ასევე არსებობს ნიდერლანდებში შემდეგი ფორმით: სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე მოსამართლეს აქვს უფლება ურჩიოს მხარეებს მედიაცია, რეკომენდაციის სახით, რაც მოსამართლემ შეიძლება გააკეთოს, როგორც წერილობით ასევე ზეპირი ფორმით სხდომის მიმდინარეობისას[1189], იმ შემთხვევაში თუ ჩათვლის რომ დავა მედიაციის მიზნებისთვის შესაბამისია და მხოლოდ მხარეთა თანხმობის შეთხვევაში შესაძლებელია მედიაციის პრაქტიკული ინიცირება, წინააღმდეგ შემთხვევაში დავას სასამართლო აგრძელებს, თუმცა თავად მხარეებს სასამართლოში საქმის ინიცირების შემდგომ დამოუკიდებლად მედიაციის ინიცირების შესაძლებლობა არ გააჩნიათ და

1186. Netherlands Mediation Institute, NMI, <www.nmi-mediation.nl>. [15.05.2018]
1187. *Albers P.*, The Netherlands, in EU Mediation,De Palo., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 361.
1188. *Schmiedel L.,* Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 701.
1189. *Albers P.*, The Netherlands, in EU Mediation,De Palo., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 361.

მხოლოდ მოსამართლის შეფასებაზე არიან დამოკიებული. იმ შემთხვევაში თუ მხარეები გაიზიარებენ მოსამართლის რჩევას და საქმე გადაეცემა მედიაციას, მედიატორის ფუნქციით მოსამართლე არ გამოდის, არამედ საქმე გარე მედიატორს გადაეცემა მხარეთა შერჩევის შესაბამისად, თუმცა მედიაცია უნდა ჩატარდეს სასამართლოს შენობაში[1190].

სასამართლო მედიაცია ნიდერლანდებში არ არსებობს და ეს გახლდათ იუსტიციის სამინისტროს მკაცრი მოთხოვნა[1191], რათა არ მომხდარიყო დავის ალტერნატიული საშუალებების სასამართლოსთან გაიგივება და ზღვარი ამ ორ პროცესუალურ შესაძლებლობას შორის მკვეთრად ყოფილიყო გავლებული.

პოლონეთი[1192]: პოლონეთში მედიაციის დანერგვას ძალზედ საინტერესო და მათ შორის ქართული რეალობისთვის ფაქტობრივად მსგავსი ისტორია გააჩნია, კერძოდ, პოლონეთში არსებობს რეგულაციები 1991 წლიდან, რითაც კოლექტიური შრომითი დავები რეგულირდება მედიაციის გამოყენებით, ხოლო 1997 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აისახა განრიდება მედიაციის შესახებ შესაბამისი დათქმები, ხოლო ევროდირექტიცის ამოქმედების შემდგომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილებები, რითაც მითითება გაკეთდა მედიაციის შესახებ და ძირითადად დარეგულირდა მედიაციის წარმოების სასამართლო ხარჯებთან და პროცესუალურ რეგულაციებთან დაკავშირებული საკთხები პრიმა მუხლების საშუალებით, კერძოდ, 183^{1} მუხლიდან 183^{15} პრიმა მუხლის ჩათვლით[1193], რაც ნამდვილად გვაგონებს ქართულ რეალობაში განვლილ გზას.

პოლონეთში გარდა საკანონმდებლო დონეზე გაწერილი წესებისა

1190. *Schmiedel L.,* Mediation in the Netherlands: Between State Promotion and Private Regulation in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 706

1191. იქვე, 706.

1192. *Morek R.,* Rozdeiczer L., Mediation in Poland: Time for a Quiet Revolution? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 775-807.

1193. იქვე, 778.

მედიაციის შესახებ, გასათვალისწინებელია რამდენიმე სამედიაციო ცენტრი, რომელიც კანონმდებლობასთან შესაბამისობაში საქმიანობს და აქვს შემუშავებული საკუთარი მედიაციის წესები, რომელიც გამოიყენება მათ ცენტრში მედიაციის წარმოების დროს, კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მედიაციის ცენტრს წარმოადგენს პოლონეთის სავაჭრო პალატასთან არსებული საარბიტრაჟო სასამართლოს მედიაციის ცენტრი[1194], რომელიც საკუთარი გაწერილი წესების შესაბამისად ანხორციელებს მედიაციას და ასევე მეორე ყველაზე მსხვილი სამედიაციო გაერთიანებას წარმოადგენს პოლონეთის საარბიტრაჟო ასოციაციის მიერ დაფუძნებული ბიზნესის მედიაციის ცენტრი[1195].

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოაღნიშნული სამედიაციო ცენტრებისა მედიაციას აქტიურად უჭერს მხარს თავად სახელმწიფო, იუსტიციის სამინისტროს მაგალითზე, კერძოდ, შექმნილია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სამოქალაქო საბჭო[1196], რომელიც გარდა პრაქტიკული მედიაციისა შეიმუშავებს მედიაციის წარმოების პრაქტიკულ წესებს და სტანდარტებს, რასაც პრატქიკაში იყენებენ, როგორც სამედიაციო ცენტრები ასევე პრაქტიკოსი მედიატორები[1197].

პოლონეთში საპროცესო კანონმდებლობით კერძო მედიაცია მოქმედებს და მხარეებს სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე თავად შეუძლიათ დავის მედიაციით გადაწყვეტა. სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმაც რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, თუმცა სასამართლოს მხრიდან ფორმალური ჩარევით, კერძოდ, სასამართლო მხარეთა ინტერესის შემთხვევაში ახდენს დავის მედიატორთან გადამისამართებას, და შეთანხმების მიღწევის

1194. იხ: <http://sakig.pl/en/mediation/about-mediation>.[15.05.2018]
1195. *Morek R.,* Rozdeiczer L., Mediation in Poland: Time for a Quiet Revolution? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 779.
1196. იხ: <http://ms.gov.pl/pl/dzialalnosc/mediacje/>.[15.05.2018]
1197. *Morek R.,* Rozdeiczer L., Mediation in Poland: Time for a Quiet Revolution? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 779.

შემთხვევაში ახდენს შეთანხმების დამტკიცებას[1198].

პოლონეთში საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის სასამართლო მედიაცია, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-186-ე მუხლებით გათვალისწინებული კვაზი მედიაციის შესაძლებლობისა, როდესაც მოსამართლეს აქვს უფლება მხარეებს შეხვდეს შეთანხმების მიღწევის მიზნით ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნით, რაც უფრო კონსილიაციაა ვიდრე მედიაციის ფორმა[1199].

ყოფილ მოსამართლეებს პოლონეთში არ აქვთ უფლება იყვნენ მედიატორები, გარდა კერძო მედიაციის შემთხვევებისა, რასაც შემხებლობა სასამართლოსთან არ აქვს[1200].

პორტუგალია[1201]: მედიაცია პორტუგალიაში განვითარებულია და სახელმწიფო მას როგორც სასამართლოების განტვირთვის კარგ საშუალებას ისე განიხილავს. ჯერ კიდევ 2001 წელს იქნა მიღებული „სასამართლო მშვიდობის აქტი"[1202], რომელმაც გაწერა მედიაციის შესაძლებლობა საოჯახო, შრომით და სისხლის სამართლის დანაშაულიდან გამომდინარე სამოქალაქო მოთხოვნების დავებზე, რა დროსაც ე.წ. „მშვიდობის სასამართლოებში" მედიატორი აწარმოებს მხარეებს შორის მედიაციას ზემოაღნიშნული კატეგორიის დავებზე[1203].

ევროპული დირექტივის ამოქმედებასთან ერთად ბევრს მიაჩნდა რომ პორტუგალია მიიღებდა ცალკე კანონს მედიაციის შესახებ, თუმცა ქვეყნის მთავრობამ მხოლოდ ცვლილებები და დამატებები შეიტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემდეგი ოთხი

1198. Gmurzynska E., Morek R., Poland in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 271.
1199. იქვე, 271.
1200. *Morek R.,* Rozdeiczer L., Mediation in Poland: Time for a Quiet Revolution? in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 781.
1201. Schmidt J.P., Mediation in Portugal: Growing Up in a Shelteerd Home in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 809-837.
1202. Peace Courts Act (Lei dos Julgados de Paz)
1203. *Goncalves A.M.M., Gaultier T.,* Portugal in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 273, 274.

მიმართულებით[1204]: გაწერა კანონით მედიაციაში მიღწეული შეთანხმების დამტკიცების პროცედურა, გაითვალისწინა საქმისწარმოების შეჩერების შესაძლებლობა მედიაციის ინიცირების დროს, გაწერა სასამართლოს უფლებამოსილება მოახდინოს საქმის მედიატორისათვის გადამისამართება და დაარეგულირა მედიაციის კონფიდენციალურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დონეზე[1205].

დღეისათვის პორტუგალიაში ფუნქციონირებს კერძო და სასამართლოსთან დაკავშირებული ნებაყოფლობითი მედიაციის ფორმები.

ესპანეთი[1206]: ესპანეთმა 2012 წლის 6 ივლისს მიიღო მედიაციის შესახებ სპეციალური კანონი[1207], როგორც ევროპული დირექტივის ერთგვარი გამოძახილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებით მოდავე მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის კულტურა ესპანეთში არ არის დიდად ჩამოყალიბებული[1208].

ქვეყანაში დანერგილია კერძო მედიაცია და მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა დავის სასამართლოში ინიცირებამდე მიმართონ მედიაციას, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც მხარეებს შორის სახელშეკრულებო დონეზე დავის გადაწყვეტის ფორმად მედიაცია არის შეთანხმებული სასამართლოს საქმის წარმოებაში მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია[1209].

მედიაცია ესპანეთში ემყარება ნებაყოფლობითობის პრინციპს და არის კონფიდენციალური, ხოლო მასში ჩართული მედიატორი უნდა

1204. Schmidt J.P., Mediation in Portugal: Growing Up in a Shelteerd Home in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 811.
1205. *Goncalves A.M.M., Gaultier T.,* Portugal in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford University Press, Oxford, 2012, 274.
1206. Lopez M.L.V., Mediation in Spain: Dealing with its First National Regulation in Hopt K.J., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 839-865.
1207. Law on Mediation, RD5/2012.
1208. *Monzonis C.A., Redondo P.Q.,* Mediation in Spain: Novelties Derived from the Boost of the European Legislator in New Developments in Civil and Commercial Mediation, Esplugues C., Marquis L., Springer International Publishing, London, 2015, 693.
1209. *Sanchez-Pedreno A.,* Spain in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 332.

იყოს მიუკერძოებელი და ნეიტრალური მესამე პირი, ხოლო მედიაციაში ჩართულ მხარეებს ეკისრებათ ურთიერთპატივისცემის და კონსტრუქციულად პროცესში ჩართულობის ვალდებულება[1210].

ესპანეთში სასამართლო მედიაციის ფორმა არ არის კანონის დონეზე გათვალისწინებული, თუმცა რამდენიმე სასამართლოს მაგალითზე ფუნქციონირებს სასამართლოსთან არსებული მედიაციის პილოტური ფორმა[1211], როდესაც სასამართლოს მხარეთა თანხმობის შემთხვევაში შეუძლია საქმის მედიაციაში გადამისამართება, თუმცა მოსამართლეს არ შეუძლია იყოს მედიატორი და არც სასამართლო მედიაცია არის კანონით გათვალისწინებული.

ლატვია: მედიაციის შესახებ დირექტივის მიღების შემდგომ ინტერესი დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის მიმართ ლატვიაში გაიზარდა, მათ შორის განხორციელდა ქვეყნის შიდა კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის მოთხოვნებთან[1212], თუმცა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, როგორც ასეთი დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა ლატვიაში და არც დღეის მდგომარეობით არის დიდი მოთხოვნა მის გამოყენებაზე საზოგადოების მხრიდან[1213].

ლატვიაში მოქმედებს ნებაყოფლობითი კერძო მედიაცია და სასამართლოსთან არსებული მედიაციის ნებაყოფლობითი ფორმა. აღსანიშნაცია, რომ იურიდიული პროფესიის გააქტიურება იზრდება ლატვიაში მედიაციის გამოყენებისადმი, რაც სავარაუდოდ უნდა გახდეს მისი მოხმარების სტატისტიკის ზრდის წინაპირობა[1214].

ლიტვა: ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ლიტვა იყო ერთერთი პირველი ვინც მედიაციის შესახებ ევროპული დირქტივის მიღებიდან ორ თვეში მიიღო კანონი მედიაციის შესახებ სამოქალაქო

1210. *Monzonis C.A., Redondo P.Q.,* Mediation in Spain: Novelties Derived from the Boost of the European Legislator in New Developments in Civil and Commercial Mediation, Esplugues C., Marquis L., Springer International Publishing, London, 2015, 698.
1211. *Sanchez-Pedreno A.,* Spain in EU Mediation, De Palo G., Trevor B.M., Oxford Mediation Press, Oxford, 2012, 339.
1212. *Bertaitis S., Matjusina R., Olevska I.,* Latvia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,204.
1213. იქვე, 204, 205.
1214. იქვე, 205.

დავებში[1215], რომელიც 2011 წელს დაექვემდებარა დამატებით ცვლილებებს და დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტთან.

აღნიშნულით ლიტვამ ღიად დააფიქსირა მზაობა და დიდი ინტერესი მედიაციის დანერგვის მიმართულებით ქვეყანაში[1216], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო მედიაციის წარმოების წესები ჯერ კიდევ 2005 წელს ჰქონდა შემუშავებული ლიტვის იუსტიციის საბჭოს, რომლის შესაბამისად მიმდინარეობდა კანონის მიღებამდე სასამართლოში მოდავე მხარეებს შორის შემათანხმებელი დავის გადაწყვეტის პროცედურები[1217].

ლიტვაში მოქმედი მედიაცია წარმოადგენს აბსოლიტურად ნებაყოფლობით პროცესს და განვითარებულია, როგორც კერძო კომერციული მედიაცია, ასევე სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა, თუმცა ორივე შემთხვევაში მოდავე მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული მედიაციის ინიცირება, თუ მხარეებს შორის არ არსებობს რაიმე სახელშეკრულებო დათქმა, რითაც კონფლიქტის მხარეები შებოჭილები იქნებიან სავალდებულო სახით მედიაციის გზით ეცადონ დავის გადაწყვეტას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვაში სასამართლო მედიაცია ჯერ კიდევ 2005 წელს იქნა დანერგილი, როდესაც რამდენიმე მსხვილი რაიონული სასამართლოს მაგალითზე დაიწყო საპილოტე პროგრამები მედიაციაში, რამაც ბიძგი მისცა მედიაციის შემდგომ პოპულარიზაციას და დანერგვას ლიტვაში, ისევე როგორც მოამზადა კარგი ნიადაგი მედიაციის შესახებ კანონის შემდგომი მიღებისთვის[1218], თუმცა მედიაცია ლიტვაში, ლატვიის მსგავსად არ სარგებლობს დიდი პოპულარობით და გამოყენებით მოდავე მხარეებს შორის.

1215. Law on Conciliatory Mediation in Civil Disputes of the Republic of Lithuania, 2008, no 87-3462.
1216. Valancius V., Lithuania in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,220.
1217. იქვე, 221.
1218. Valancius V., Lithuania in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,236.

სლოვენია[1219]: სლოვენია გახლდათ ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა ლიტვასთან ერთად, რომელმაც ევროპული დირექტივის მიღებიდან ორ თვეში[1220] შეძლო და მიიღო კანონი მედიაციის შესახებ[1221].

სლოვენიური მედიაციის შესახებ კანონმდებლობა იცნობს კერძო მედიაციის და სასამართლოსთან არსებული მედიაციის ნებაყოფლობით ფორმებს[1222] კომერციული, ისევე როგორც საოჯახო და შრომითი დავებისთვის, თუმცა მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში მედიაციას შეიძლება დაექვემდებაროს ნებისმიერი ხასიათის სამოქალაქო დავა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლოსთან არსებული მედიაციის ფორმა სლოვენიის მაგალითზე ფეხს იკიდებდა ლუბლიანის სასამართლოსთან ინიცირებული საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ჯერ კიდევ 2005 წელს ევროკავშირის მიერ ინიცირებული სპეციალური პროგრამის ფარგლებში[1223], რა პროგრამაც ევროკავშირში გაწევრიანებამდე ამზადებდა მომავალ წევრ სახელმწიფოებს, რომლის დასრულების შემდგომ სლოვენიური პილოტი ერთ-ერთ საუკეთესო წარმატებულ მაგალითად იქნა შეფასებული მედიაციაში[1224].

მედიაციის შესახებ კანონის მიღების პარალელურად სლოვენიაში გატარდა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რის თანახმად სასამართლო უფლებამოსილია მის წარმოებაში არსებული დავის მხარეებს შესთავაზოს დავის მედიაციის გზით გადაწყვეტა, და მხოლოდ მხარეთა თანხმო-

1219. *Hrastnik B.J.,* Slovenia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,317.

1220. კანონი მიღებულ იქნა 2008 წლის 23 მაისს, გამოქვეყნდა 2008 წლის 6 ივნისს და ამოქმდედდა 2008 წლის 21 ივნისიდან.

1221. The Mediation in Civil and Commercial Matters Act.

1222. *Knez R., Weingerl P.,* Mediation in Slovenia: A Fruitful and Widespread Tool for Resolving Disputes in New Developments in Civil and Commercial Mediation, Esplugues C., Marquis L., Springer International Publishing, London, 2015, 648.

1223. Phare Program, წარმოადგენს სპეციალურ პროგრამას, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებელ სახელმწიფოებში ხორციელდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რათა მომხდარიყო სახელმწიფოების ევროკავშირის წევრობისთვის მომზადება.

1224. *Hrastnik B.J.,* Slovenia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 324.

ბის დაფიქსირების შემდგომ სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა მითითების შესაბამისად მოახდინოს საქმის სასამართლოსთან არსებული მედიაციის[1225] ან ნებისმიერი სხვა მედიაციის პროგრამისთვის გადამისამართება[1226], ისევე როგორც სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება დავის დაწყებამდე დანიშნოს მხარეებისთვის ე.წ. „საინფორმაციო სესია", რა დროსაც უშუალოდ მოსამართლე ან მოსამართლის თანაშემწე ახდენს მხარეებისთვის მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო უმიზეზოდ მასში მონაწილეობაზე მხარის მიერ უარი, იწვევს სასამართლოს მხრიდან მსგავსი მხარისთვის მეორე მხარის მიერ გაწეული საპროცესო ხარჯების დაკისრებას[1227].

1225. *Knez R., Weingerl P.,* Mediation in Slovenia: A Fruitful and Widespread Tool for Resolving Disputes in New Developments in Civil and Commercial Mediation, Esplugues C., Marquis L., Springer International Publishing, London, 2015, 648.

1226. *Hrastnik B.J.,* Slovenia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 319.

1227. *Knez R., Weingerl P.,* Mediation in Slovenia: A Fruitful and Widespread Tool for Resolving Disputes in New Developments in Civil and Commercial Mediation, Esplugues C., Marquis L., Springer International Publishing, London, 2015, 649.

თავი VIII

მედიაციის ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ სივრცეში

8.1. მედიაცია ქართულ ისტორიულ წყაროებში

მართალია მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება დღეს იდგამს ფეხს საქართველოში, თუმცა ეს უფრო თანამედროვე სამართლებრივ ჭრილში, რადგან აღნიშნული ინსტიტუტის და ტერმინი „მედიაციის" არსებობა არ არის უცხო[1228] ქართული სახელმწიფოსთვის და სამართლებრივი ისტორიისთვის, უფრო მეტიც, მედიაცია და ამ ფორმით ადამიანებს შორის დავის შეთანხმებით დასრულების გამოცდილებას საუკუნოვანი წარსული გააჩნია საქართველოში. რა თქმა უნდა, წყარო იმისა, რომ მედიაცია ქართულ ისტორიულ წარსულში სასამართლო ინსტიტუტს[1229] ან კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მექანიზმს[1230] წარმოადგენდა არ მოგვეპოვება, თუმცა ფაქტი მისი ისტორიული არსებობისა დადასტურებული და უდავოა.

მიუხედავად აღნიშნული ეფექტური ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულაციების არ არსებობისა მედიატორი, როგორც ასეთი და მედიაციის პრაქტიკული გამოყენება მრავალ ქართულ გეოგრაფიულ მხარეში წლებია დანერგილი ტრადიციაა, თუმცა წავაწყდებით შემთხვევებს, სადაც მედიატორი ისტორიულ წყაროებში სხვა დასახელებით თუმცა იგივე ფუნქციონალური დატვირთვით გვხვდება: მსაჯული, რჯულის კაცი[1231], მახვში[1232], ბჭე-მედიატორი, ხევისბერი, მორვი[1233] (მედიატორის მნიშვნელობა სვანეთში)[1234], შუაკაცი[1235], ხო-

1228. *ტყემალაძე ს.*, მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბ., 2016,10.

1229. *კეკელია მ.,* რედ, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბ. 1993, 165.

1230. ისტორიული წარსული გამოცდილებით მედიაციით უფრო მეტად სისხლის სამართლებრივი საკითხები წყდებოდა.

1231. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2004, 34.

1232. *აღაბეგოვი ყ.*, ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი" მ.კეკელიას რედაქტორობით, 1993, 89.

1233. *დავითაშვილი გ.,* თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი #2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბ, 2011, 287.

1234. *წულუკიანი ა.*, სვანური ბჭემედიატორული სასამართლო, ჟურნალი: სახელმწიფო და სამართალი, 1990, 60.

1235. საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ტომი 4, 39, 415. იხილეთ: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/Kartuli-Literaturisistoria_Tomi_IV.pdf>.[15.05.2018]

ლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ტერმინის „მედიატორი“-ს და „სამედიატორო სასამართლოს[1236]“ გამოყენება ასევე შეინიშნება[1237] და მკვიდრდება საქართველოში[1238] (მათ შორის სვანეთის კუთხეში[1239]). აღსანიშნავია, რომ ყველა ტერმინი, რაც მედიაციასთან იყო დაკავშირებული ისტორიულ ქართულ ტრადიციულ წყაროებში არ უკავშირდება საამართლო მოხელეს და ოფიციოზს, ის უფრო მეტად ხალხის რჩეულის მნიშვნელობით გამოიყენება, ვისაც მოქალაქეები საკუთარი დავის გადაწყვეტას ანდობდნენ[1240].

აღნიშნულმა ტერმინმა საინტერესო ისტორია განვლო და მისი არსობრივი დანიშნულებით სხვადასხვა დროს სხვადასხვა ტერმინი გამოიყენებოდა, როგორც უკვე აღინიშნა. ტერმინი მედიატორი მომრიგებელი შუამავლის, შუაკაცის[1241], საქმის გამრჩევი კაცის[1242] მნიშვნელობის მატარებელ ტერმინს წარმოადგენდა, ხშირი იყო მისი შინაარსობრივი დატვირთვით ტერმინი ბჭე[1243]-ს გამოყენება, რაც ჩვეულებით

1236. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაციასთან და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში, „ქართული სამართლის ისტორია“, პირველი გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011, 86, 91.

1237. *წულაძე ა.*, ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2017, 176.

1238. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2004, 4, 5.
დადგენილია, რომ ძველ საქართველოში საქმის გამრჩევი მედიატორი მოსამართლის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინია „ბჭე“, VIII-XVIII საუკუნეებში ტერმინები „ბჭე“, „მსაჯული“ და „მოსამართლე“ ერთნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა, არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას თუ ვინ არჩევდა საქმეს - მოდავეთა მიერ ამორჩეული პირი, ე.ი. სამედიატორო სასამართლო თუ მოხელე - მოსამართლე. XVIII საუკუნიდან ქართლ-კახეთში „ბჭე“, მხოლოდ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მხარეთა მიერ ამორჩეული მოსამართლის აღმნიშვნელი ტერმინია, იმერეთის სამეფოში კი „ბჭე“ ეწოდება საქმის გამრჩევ ყოველ პირს.

1239. *მახარაძე ა.*, კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011, ტომი III, 44.

1240. *ონიანი ს.*, ტერმინი „ბჭი“ მნიშვნელობისთვის ძველ ქართულ სამართალში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, #2, 2013, 16.

1241. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2014, 130.

1242. *კეკელია მ.*, ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართულ სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ #4, თბ., 1973, 169.

1243. *კეკელია მ.*, ქართული ჩვეულებითი სამართლის სათავეებიდან, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1988, 36.

სამართალში სწორედ მედიატორის მნიშვნელობით იხმარებოდა; თუმცა, როგორც სამეცნიერო ლიტერატურასა და წერილობით წყაროებში ჩანს, ბჭე არა მხოლოდ მხარეთა მიერ არჩეულ მედიატორს ნიშნავდა საქართველოში, არამედ საერთოდ მოსამართლეს, მსაჯულს[1244]; შესაბამისად, ბჭის დამკვიდრებული ორმაგი შინაარსიდან გამომდინარე, წყაროების მიხედვით რთულდება ამ ორი გაგების ერთმანეთისგან ნათლად გამიჯვნა[1245].

აღსანიშნავია, რომ მედიატორი გარდა შუამავლისა, მომრიგებელ მოსამართლის მნიშვნელობასაც ითავსებდა, რომელთა უფლებამოსილება სამოქალაქო სამართლის კატეგორიის საქმეებზე[1246] ვრცელდებოდა, ამასთანავე არაერთ ისტორიულ წყაროში, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულის მაგალითზე მედიატორს რჯულის კაცის[1247] ანუ მოსამართლის მნიშვნელობითაც იხსენიედნენ[1248].

საინტერესო და მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება,

1244. *დავითაშვილი გ.*, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2004, 5.

1245. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, 354.

1246. *გორგაძე ი., გურგენიძე ნ.,* ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, „მეცნიერება“, თბ., 1987, 48.

1247. *დავითაშვილი გ.*, სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბ., 2001, 14. *„... უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამედიატორო სასამართლოს ხევსურეთში ჰქვია „რჯული“, ძალზედ საინტერესოა ის გარემოება, რომ ხევსურები რჯულს უწოდებენ ასევე სამართალსაც. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ „რჯული“ ხევსურეთში ეს იყო უშუალოდ ხევსურული სამართალი, ხევსურული ჩვეულებითი სამართლის ნორმების ერთობლიობა. ამ იდენტურობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხევსურული „რჯულის“, სამართლის გამოყენების ასპარეზი სწორედ სამედიატორო სასამართლოა, იგივე „რჯულია“. აქ არჩეული მედიატორი მოსამართლეები სადავო საქმეებს ხევსურული „რჯულის“ სამართლის ნორმების რეალიზაციის მეშვეობით წყვეტენ. ხევსურული სამართლის გამოვლინება სწორედ აქ ხდება...“*

1248. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბ., 2014, 130. *მედიატორთა სასამართლოს შუამავალი მოსამართლეები ანუ „აძბცა“ უძღვებოდა, თვით მოსამართლეებს აფხაზები ქართველების მსგავსად მედიატორებს უწოდებდნენ. მედიატორი ტერმინი, აფხაზი მოსამართლეების მიმართ მე-19 საუკუნეში, ლიტერატურაშიც არის დადასტურებული. მედიატორი, მოსამართლის აღსანიშნავად, საქართველოში ადრეული პერიოდიდან უნდა გავრცელებულიყო, რადგან იგი ყველა კუთხის დიალექტში გვხვდება. მედიატორი „მედიანადან“ უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ლათინური სიტყვაა და „შუას“ აღნიშნავს.*

რომ მედიაცია ტრადიციულ ჩვეულებით ქართულ სამართალში დღევანდელი გაგებით მედიატორისგან განსხვავებით გარდა მხარეთა შორის შემათანხმებლის ფუნქციის შესრულებისა, უფრო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა, მათ შორის მიმდინარე კონფლიქტზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებით აღჭურვილ პირს წარმოადგენდა და მედიატორი (ბჭე) სწორედ ამ მიზნით ერთვებოდა მხარეთა შორის არსებულ კონფლიქტში, რათა ერთი მხრივ, მომხდარიყო მხარეებს შორის კონფლიქტის აღმოფხვრა და განეიტრალება, თუმცა მეორე მხრივ, მიღებულიყო სადაო საკითხზე გადაწყვეტილება და დადგენილიყო მხარეთა შორის სიმართლე[1249], რომელსაც მხარეები საბოლოოდ დაემორჩილებოდნენ[1250], რადგან მედიაციის და მედიატორის მიმართ დიდი პატივისცემა და მოწიწება არსებობდა საზოგადოებაში და ამ პროცესით დადგენილი ჭეშმარიტების პატივისცემა ყველას ევალებოდა, აღსანიშნავია, რომ ისტორიულად მედიატორის ფუნქციას საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნებები ითავსებდნენ, რომელთა მიმართ მაღალი იყო საზოგადოების ნდობა და მოწიწება. აღნიშნული ავტორიტეტის და საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის გამო საქართველოს ახლო წარსულის მაგალითზე მედიატორის, იმ ეპოქისთვის მომრიგებელი მოსამართლის შესანიშნავი მაგალითია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტს დადებითად აფასებდა და საზოგადოების სამართლებრივი პრობლემების დროულად მოგვარების მექანიზმად აღიქვამდა[1251];

დიდი ილია არაერთ თავის ნაწარმოებში წერდა მედიაციის დადებით მხარეზე და იმ გამოწვევებზე[1252], რაც მართლმსაჯულების მომხმარებელთათვის დღესაც ხშირ შემთხვევაში დაუძლეველი გამოწვევაა, სასამართლოში გახანგრძლივებული საქმისწარმოებები და მაღალი

1249. *მაკალათია ს.,* ფშავი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1985, 80.

1250. *ტყემალაძე ს.*, მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბ., 2016, 11.

1251. *ჭავჭავაძე ი.,* მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი „ივერია“, #86, 22 აპრილი (სამშაბათი) 1886.

1252. *ჭავჭავაძე ი.*, მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექვსე, პუბლიცისტური წერილები, ტ.IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ., 1987, 358, 360.

საპროცესო ხარჯები, რომლის ალტერნატივად დღეს უკვე სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე ინერგება XXI- ე საუკუნის მართლმსაჯულება - მედიაციის სახით.

8.2. მედიაციის თანამედროვე ინსტიტუციური მოდელი მოქმედი საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში

8.2.1. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი

დღეისათვის საქართველო შეუერთდა იმ ევროპული ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც შემუშავებულია და მოქმედებს „მედიაციის შესახებ“ კანონი[1253].

კანონი მოიცავს ოთხ თავს და 19 მუხლს და სრულ შესაბამისობაშია მედიაციის სფეროში არსებულ ევროპულ სტანდარტებთან.

„მედიაციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია, რომ კანონის მოქმედება ვრცელდება მედიაციის თაობაზე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე წარმართულ მედიაციასა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXI[1] თავით გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავისებურებათა გათვალისწინებით, ხოლო კანონის მოქმედება არ ვრცელდება „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით და კოლექტიური დავის განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსით“ განსაზღვრულ მედიაციაზე.

1253. ნაშრომის ავტორი წარმოადგენს შემუშავებული კანონის პროექტის ერთ-ერთ ავტორს, რაც კანონის სახით იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. კანონზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნა UNDP-ს საქართველოს ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით და დაკომპლექტდა დარგში მოღვაწე სპეციალისტებისგან, რომელთაც 2016-2017წწ შეიმუშავეს კანონის პროექტი, რომელიც UNDP-საქართველოს ოფისის მიერ გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შემდგომი რეაგირებისთის, ხოლო 2019 წლის 18 სექტემბერს მიღებული იქნა შესაბამისი კანონი.

„მედიაციის შესახებ“ კანონის თანახმად გაიწერა მედიაციის, მედიატორის ცნებები, რაც მისასალმებელია, ისევე როგორც კანონის დონეზე დაინერგა სასამართლო და კერძო მედიაციის ფორმები, რა დროსაც ორივე ფორმის შედეგად წარმოებული მედიაციის საბოლოო შედეგი - სამედიაციო მორიგება ექვემდებარება სასამართლოს ძალით აღსრულებას, რაც მათ შორის შესაბამისობაშია მედიაციის შესახებ ევროდირექტივის სტანდარტთან.

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონმა გაითვალისწინა და 2019 წლის 14 დეკემბერს კანონის საფუძველზე დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“, რომელიც წარმოადგენს კანონის საფუძველზე დაფუძნებულ ერთადერთ ქოლგა ორგანიზაციას, რომელიც გახდა პასუხისმგებელი მედიაციის ინსტიტუციონალურ განვითარებაზე, ისევე როგორც მედიატორთა პროფესიაში მიღებასა და მათ პროფესიულ გადამზადებაზე, მასვე დაექვემდებარა მედიატორთა ერთიანი რეესტრის მართვა.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის კანონმა გაწერა მედიაციისათვის მახასიათებელი პრინციპები, კერძოდ, კანონმდებლობაში გაჩნდა ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), კეთილსინდისიერების, თანასწორობის, კონფიდენციალურობის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესში წამოჭრილი საკითხები, რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, უნდა გადაწყდეს ამ პრინციპების შესაბამისად.

კანონის დადებითი მახასიათებელია, რომ გაიწერა მედიაციის სრული პროცესი და მისი რეგულირება, რაც პროცესის მსვლელობის წესების საბაზისო სტანდარტის დადგენის კუთხით მისასალმებელი მოვლენაა. ამასთანავე, კანონს ის უნიკალურობა ახასიათებს, რომ უზრუნველყოფს სამედიაციო პროცესში მიღწეული სამედიაციო მორიგების აღსრულების შესაძლებლობას[1254] და კერძო მედიაციის

1254. იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13

მიზნებისათვის პროცესში ჩართული მხარეების ერთმანეთის მიმართ მოთხოვნების სასამართლო წესით დაყენების ხანდაზმულობის პერიოდის შეჩერების გარანტიებს ქმნის კერძო მედიაციის მსვლელობის ვადით[1255], რაც მედიაციის პროცესისადმი მეტი სანდოობის, უსაფრთხოების განცდას აჩენს მომხმარებელში, ისევე როგორც იცავს და გარანტირებულს ხდის მხარეების სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურ უფლებას.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კანონის პროექტზე მომუშავე ჯგუფში შეინიშნებოდა აზრთა ძირითადი სხვადასხვაობა მედიატორთა ასოციაციის როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის ფორმით დაფუძნებასთან დაკავშირებით და მედიატორთა ერთიანი რეესტრის წარმოების წესთან დაკავშირებით, და უნდა ითქვას, რომ აღნიშნილ მოსაზრებებს აქვთ არსებობის უფლება, ისევე როგორც მათ შორის ეფუძნებიან ევროპულ გამოცდილებას, და კერძოდ, ევროპის უმრავლეს ქვეყნებში მედიატორთა ასოციაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით თითქმის არც - ერთ ქვეყანაში არ ფუნქციონირებს, თუმცა მეორე მხრივ, დადებითი ამ ასოციაციის ფორმით მედიატორთა ერთობას მართლაც გააჩნია, რადგან შეიქმნა ერთიანი მარეგულირებელი ინსტიტუცია, რომელიც ორიენტირებულია მედიატორთა და მედიაციის განვითარებაზე, ისევე როგორც გაჩნდა თვითრეგულირებადი პროფესია დამოუკიდებელი ყველა სხვა სახელმწიფო რგოლისა თუ ინსტიტუციისაგან, რაც ასევე გამოარჩევს ქართულ მოდელს პროფესიის მოწყობის სხვა ქვეყნების რეალობისგან.

8.2.2. სასამართლო და კერძო მედიაციის ინსტიტუტი საქართველოში

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება 2012 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს საქართველოში (ჯერ კიდევ „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე) და მოდავე მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა კონფლიქტის ამოწურვის

1255. იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 12

მიზნებისათვის გამოიყენონ აღნიშნული შესაძლებლობა; კერძოდ, 2011 წლის 20 დეკემბრის #5550 საქართველოს კანონით ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში[1256], რომლის თანახმად კოდექსს დაემატა XXI[1] თავი (187[1]–187[9] მუხლები), რომლის თანახმად სასამართლო მედიაცია ხელმისაწვდომი გახდა ქართული საზოგადოებისათვის[1257].

მოქმედი ნორმატიული ბაზის საფუძველზე საქართველოში მოქმედებს სასამართლო მედიაცია, რომლის თანახმად საოჯახო სამართლებრივ დავებზე (გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან,აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა), სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე, სამეზობლო სამართლებრივ დავებზე და მოდავე მხარეების თანხმობის შემთხვევაში, ნებისმიერი კატეგორიის სამოქალაქო დავაზე შესაძლებელია მედიაციის წარმოება[1258]. აღსანიშნავია, რომ მედიაციას დაქვემდებარებულ საქმეთა კატეგორიის ჩამონათვალი 2019 წლის 18 სექტემბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გატარებული ცვლილების საფუძველზე საგრძნობლად გაფართოვდა და ზემოაღნიშნული კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს დაემატა ინდივიდუალური შრომითი დავები, საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული დავები, 20, 000 ლარს ქვემოთ ყველა ქონებრივი დავა, არაქონებრივი დავები, 10, 000 ლარს ქვემოთ არსებული სასესხო დავები და შესაბამისად, იოლი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდ მოცულობას დავების მოიცავს უახლოეს პერიოდში მედიაცია და მარტივი წარმოსადგენია, რომ მისი იურისდიქცია მრავალ ადამიანს და იურიდიულ პირს მოიცავს, რაც ნიშნავს, იმას, რომ ავტომატურად ცნობადობა დავის გადაწყვეტის ამ ახალი ალტერნატიული ფორმისა გაიზრდება.

1256. *Austermiller S., Swenson D.,* Alernative Dispute Resolution: Georgia, Meridiani Publishers, Tbilisi, 2014, 95.

1257. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, XXI[1] თავი, 187[1]–187[9] მუხლები.

1258. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[3].

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კატეგორიის დავები სამართლებრივი ნორმატიული აღქმით ექვემდებარება სავალდებულო მედიაციას, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს და მათ შორის საზოგადოებაში არ სარგებლობს დიდი ნდობით და მოხმარების კოეფიციენტით, სასამართლო ხელისუფლებას ამ ეტაპზე არ აუმოქმედებია მედიაცია სავალდებულო ფორმით, რაც მეორე მხრივ, თვით ამ ინსტიტუტის დიდი გამოწვევაა, რადგან მისი გამოყენების და ცნობადობის ზრდა არ ხდება იმ ტემპით და მოცულობით, რაც შეიძლება იყოს საჭირო, თუმცა სასამართლომ თავის მხრივ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სახით, შეიმუშავა ის კრიტერიუმები, რაც მოსამართლეს მისცემს საშუალებას მოახდინოს დავის მედიაციისადმი დაქვემდებარება და მედიაციაუნარიანობის განსაზღვრა.

დღეისათვის საქართველოში არსებობს სასამართლო მედიაცია, თუმცა ის ფაქტობრივ წარმოადგენს სასამართლოსთან არსებული მედიაციის ევროპულ მოდელს, რადგან ქართულ რეალობაში მოსამართლე და სასამართლო მოხელე მედიატორის სტატუსით არ სარგებლობს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან, ქუთაისის, გორის, რუსთავის, მცხეთის, ბოლნისის რაიონულ, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებთან დაფუძნებულია მედიაციის ცენტრები[1259], რომლის ბაზაზე მედიატორები უშუალოდ სასამართლოდან გადმოგზავნილი მედიაციის საქმეებს იღებენ წარმოებაში, ხოლო ცენტრის მედიატორები არ წარმოადგენენ სასამართლოსთან რაიმე სახით დაკავშირებულ ან ანგარიშვალდებულ პირებს, არამედ არიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული მედიატორები და წევრები სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“.

დღევანდელი რეგულირების თანახმად, კერძოდ, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ, საქართველოში უკვე არსებობს და ფუნქციონირებს კერძო მედიაცია; რა თქმა

1259. 2020-2023 წლებში, იუსტიცის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, უნდა მოხდეს ყველა რაიონული და სააპელაციო სასამართლოს ბაზებზე მედიაციის ცენტრების ამოქმედება.

უნდა, ყველას აქვს იმის უფლება სასამართლოს გარეშე მოახდინოს შეთანხმების მიღწევის მიზნით მედიაციის პროცესის წარმოება, აკრედიტირებული მედიატორის ჩართულობით, და მედიაციაში მიღწეული შეთანხმებისადმი მოქმედებს აღსრულების ის სტანდარტი, რაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სასამართლო მედიაციის დროს გამოიყენება[1260], რაც თავის მხრივ, კერძო მედიაციის დანერგვის და ფართო პოპულარიზაციის ერთგვარი მასტიმულირებელი გარემოებაა.

გასათვალისწინებელია, რომ თუ სასამართლო არ იქნა დარწმუნებული კერძო მედიაციის წარმოების სამართლებრივ საფუძვლებში და რეალობაში მედიაციის წარმოების, რისი სამართლებრივი გარანტიებიც ამ ეტაპზე კანონით არსებობს, მისაღებია ლოგიკა, რომ სასამართლო უარს იტყვის ასეთი სამედიაციო მორიგების დადასტურებაზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით თუ არა საკანონმდებლო ჩარჩო რეგულაციების შემოღება, კერძო მედიაციის დანერგვას რეალური განვითარება არ იქნებოდა შესაძლებელი საქართველოში.

საქართველოში სასამართლო და კერძო მედიაცია აბსოლიტურად ნებაყოფლობითია მხარეებისთვის, რაშიც იგულისხმება მედიაციაში შეთანხმების მიღწევის კუთხით მხარეთა ნების თავისუფლება, თუმცა ინიცირებული მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღება კანონმდებლობის თანახმად მხარეების საპროცესო ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის დარღვევა, სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, მხარის ფინანსურ სანქციონირებასაც კი იწვევს[1261].

მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ისევე როგორც, მხარეს ან მის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო თუ კერძო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის

1260. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[7]. იხ. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

1261. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[6].

პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნული რეგულაცია მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მედიაციის დანერგვის პირველ ეტაპზე, რათა არ მოხდეს არაკეთილსინდისიერი მხარის მხრიდან მედიაციაში გაჟღერებული ინფორმაციის და თავად მედიაციის პროცესის საკუთარი ინტერესებისთვის, და მეორე მხარის ინტერესების უგულვებელყოფით, გამოყენება, რითაც შეიძლება მედიაციისადმი ნდობა დაეკარგოს მომხმარებელს, ისევე როგორც აღნიშნულით უზრუნველყოფილია მედიატორის საპროცესო გარანტიები და მის საქმიანობაში რაიმე სახის ჩარევა, თუნდაც მოკვლევის ორგანოების მხრიდან გამორიცხულია.

8.2.3. მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და ეთიკური სტანდარტები

საქართველოში „მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებით შეიქმნა დამოუკიდებელი თვითრეგულირებადი პროფესია - მედიატორის პროფესია, კერძოდ, კანონით დადგინდა და გაიწერა აღნიშნული პროფესიული სტატუსის მიღების წინაპირობები, ისევე როგორც დაფუძნდა პროფესიული გაერთიანება, რომელიც კანონის საფუძველზე ანხორციელებს მედიატორის პროფესიის რეგულირებას და შესაბამისად, როგორც ყველა თვითრეგულირებად პროფესიას ახასიათებს, დღის წესრიგში დადგა და 2021 წლის 24 აპრილის შემდგომ კანონის მოთხოვნების თანახმად ასოციაციის ფარგლებში ფუნქციონირებს მედიატორთა ეთიკის კომისია, ისევე როგორც პროფესიულმა გაერთიანებამ შეიმუშავა და აამოქმედა მედიატორთა პროფესიული ეთიკის კოდექსი[1262] და მედიატორთა დისციპლინური საწმისწარმოების დებულება[1263]; ამ ყველაფრის საბოლოო მიზანი კი მაღალ ღირებულებებზე დაფუძნებული მედიაციის განვითარებაა საქართველოში.

მედიატორთა ეთიკის კოდექსმა განსაზღვრა მედიატორთა პროფესიული ქცევის წესები და ხელი უნდა შეუწყოს მედიატორთა საქ-

1262. იხ. https://mediators.ge/uploads/files/60a4d7fd3f27f.pdf
1263. იხ. https://mediators.ge/uploads/files/60a4db1cc692f.pdf

მიანობის მაღალ სტანდარტებს, შექმნას პროფესიული ქცევისა და პასუხისმგებლობის ჩარჩო და პროფესიული საქმიანობის კრიტერიუმები მოქმედი მედიატორებისათვის, ისევე როგორც განაპირობოს საზოგადოების მხრიდან აღნიშნული პროფესიისადმი და მედიაციის პროცესისადმი ნდობა; ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის სავალდებულო ნორმებს მოქმედი მედიატორებისათვის ანუ პროფესიული გაერთიანების მოქმედი წევრებისათვის.

ასეთი საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი მომართვის დროს, პროფესიული ეთიკის სტანდარტთა დასაცავად, იწყება დისციპლინური წარმოება, რომლის მიზანია მედიატორის სადავო ქცევის შემოწმება, ასევე, დადგენა, რამდენად იცავს მედიატორი პროფესიული ქცევის პრინციპებს.

თუ დადგინდება გადაცდომა მედიატორის მხრიდან, მის მიმართ გამოიყენება პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები, რაც გაწერილია შესაბამისი დისციპლინირების საქმისწარმოების დებულების თანახმად[1264]. საქმის გამოკვლევა, მედიატორის პასუხისმგებლობის განხილვა და სახდელის შეფარდება დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილია. აღსანიშნავია, რომ ეთიკის კომისიის როლი არ არის მედიატორის „დასჯა“, ან განცხადების წარმდგენისა და მედიატორის მორიგება, ეთიკის კომისიის უმთავრესი დანიშნულებაა მედიატორის პროფესიის დაცვა და პროფესიულ სტანდარტთა ამაღლება; ასევე, დისციპლინურ გადაცდომათა პრევენცია და მედიატორისთვის სამართლიანი დისციპლინური სამართალწარმოების უზრუნველყოფა; საზოგადოებაში ეთიკის კომისიას განსაკუთრებული როლი აქვს თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა თვითრეგულირების ხელშეწყობასა და პროფესიული ეთიკური სტანდარტების დამკვიდრებაში, რაც საუკეთესოდ გამოვლინდა მედიატორთა ასოციაციის მიერ შერჩეულ დისციპლინური სამართალწარმოების წესში[1265], სადაც განისაზღვრა, რომ „დისციპლინური განხილვის მხარეები არიან მედიატორთა ასოციაცია და მედიატორი, რომლის მიმართაც დაწყებუ-

1264. ხუბულური თ, მედიატორთა დისციპლინური წარმოების გზამკვლევი, 2022, გვ.6
1265. ხუბულური თ, მედიატორთა დისციპლინური წარმოების გზამკვლევი, 2022, გვ.6

ლია დისციპლინური დევნა[1266]“. პროფესიული ქცევის სტანდარტთა დაცვა იმ პროფესიის პასუხისმგებლობაა, რომელმაც დაადგინა ეს ეთიკური ღირებულებები და თვითბოჭვის პრინციპები. პროფესიული ეთიკის ნორმებისა და დისციპლინური სამართალწარმოების მოწესრიგებული, სამართლიან წარმოებაზე დამყარებული სისტემა საუკეთესო გარანტია მედიატორთა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საქმიანობისთვის, ხოლო მეორე მხრივ, საუკეთესო შესაძლებლობაა სამოქალაქო საზოგადოებაში მედიაციისადმი ნდობის მოპოვების მნიშვნელოვან საქმეში.

8.2.4. საქართველო და მედიაციის შესახებ გაეიო-ს (სინგაპურის) კონვენცია[1267]

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 07 აგვისტოს საქართველო მედიაციის შესახებ გაერო-ს კონვენციას („სინგაპურის კონვენცია“) შეუერთდა[1268], რითაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნისკენ, რომელიც რეგიონში საქართველოს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმების ცენტრად ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი.

კონვენციის მიზანი კომერციული და ვაჭრობასთან დაკავშირებულ დავებზე მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების აღსრულებისთვის ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაა, რაც ხელს შეუწყობს მედიაციის, როგორც დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის განვითარებას. კონვენცია მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, მარტივად დაეყრდნონ და აღასრულონ მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების ხელშეკრულებები კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ბიზნესურთიერთობის განვითარებას და წაახალისებს მედიაციის გამოყენებას სავაჭრო და ბიზნეს დავე-

1266. იხ. მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება, მუხლი 16.1. 2021 წლის 24 აპრილის რედაქცია.

1267. კონვენციის ტექსტი 2018 წლის 20 დეკემბერს გაერო-ს ასამბლეაზე დამტკიცდა. დღეისათვის კონვენციას, საქართველოსთან ერთად, შეერთებულნი არიან გაეროს 40-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის: სინგაპური, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ისრაელი, ირანი, თურქეთი, უკრაინა, ბელარუსი, ყაზახეთი.

1268. ოფიციალური ცერემონია გაიმართა 2019 წლის 07 აგვისტოს სინგაპურში.

ბის გადაწყვეტისას, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიულ საშუალებას.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ კონვენციის რატიფიცირების შემდგომ მოქმედ კანონმდებლობაში გატარდა თანმდევი ცვლილებები, შედეგად საქართველოში სრულიად შესაძლებელი შეიქმნა კონვენციის წევრ ქვეყნებში მიღწეული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების აღსრულება განხორციელდეს, კერძოდ,:

- „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლს დაემატა ორი პრიმა მუხლი[1269], რომლის თანახმად გაიწერა რომ საერთაშორისო სამედიაციო მორიგება, თუ იქნება ამაზე მხარეთა შეთანხმება, შეიძლება ცნოს და აღასრულოს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, ისევე როგორც დეტალურად დარეგულირდა კანონით თუ რა ტიპის შეთანხმებები არ ექვემდებარება ცნობას და აღსრულებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან[1270].
- „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს" დაემატა სპეციალური თავი, რომელმაც გაითვალისწინა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების თაობაზე" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2019 წლის 07 აგვისტოს კონვენციის (სინგაპურის კონვენცია) შესაბამისად დადებული საერთაშორისო სამედიაციო მორიგების ცნობა და აღსრულების პროცედურა და ვადები საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ[1271].

1269. იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13^1, მუხლი 13^2
1270. იხ. „მედიაციის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 13^2
1271. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი," თავი XLIV^{16}

თავი IX

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ახალი ინსტიტუტის, შემდგომი განვითარების საჭიროებების ანალიზი საქართველოში

მედაიციას, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმს, მრავალი უპირატესობა გააჩნია, რაც დეტალურად იქნა გაანალიზებული სახელმძღვანელოში, თუმცა მოკლედ მიმოვიხილოთ ის კონკრეტული დადებითი მხარეები, რაც მედიაციის ამოქმედებამ მრავალ ქვეყანაში შედეგის[1272] სახით მოიტანა და მათ შორის უნდა მოიტანოს საქართველოში, ისევე როგორც მოვახდინოთ მედიაციის, როგორც დარგის შემდგომი განვითარების საჭიროებების ანალიზი:

- დავების შეთანხმებით დასრულების სტატისტიკა იზრდება, რაც ყველასთვის, როგორც სასამართლო სისტემისთვის, ასევე სასამართლოში წარმოდგენილი მოდავე მხარეებისთვის და რა თქმა უნდა ადვოკატებისთვის დადებით შედეგს წარმოადგენს;
- იმის გათვალისწინებით, რომ მედიაცია არ იმართება სასამართლო დარბაზში და მხარეებს შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში წაგებული-მოგებული მხარის სტატუსი არ ენიჭებათ, მედიაციის პროცესი ფსიქოლოგიურად ეხმარება მოდავე მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას[1273].
- მედიაცია იძლევა შესაძლებლობას კონფლიქტის მხარეებს შორის დავის გადაწყვეტის შეთანხმებული პირობებით შედგეს შეთანხმება, ანუ გადაწყვეტილება საკითხის გარშემო იყოს მხარეების წინასწარ შეთანხმებული პროდუქტი[1274], რაც წარმოუდგენელი და ხელმიუწვდომელი შესაძლებლობაა სასამართლო და საარბიტრაჟო[1275] საქმისწარმოების შემთხვევაში.
- მედიაციის დანერგვით ადვოკატებს ეძლევათ საშუალება საკუთარი უნარების და შრომის გამოყენებით მიიღონ დამატებითი შემოსავალი, ხოლო ამის ხარჯზე კლიენტებს, მედიაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, რა თქმა უნდა ეზოგებათ ფინანსები და დრო.

1272. *Hollander J.,* Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, 2013, 3, 4.
1273. *McLaren H.R., Sanderson J.,* Innovative Dispute Resolution: The Alternative, Carswell, Toronto,2006, 4-1.
1274. *Willis T.,Wood W.*, Alternative Dispute Resolution in Golden J., Lamm C., International Financial Disputes, Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015, 73.
1275. *Horton D.*, Arbitration about Arbitration, Stanford Law Review, Stanford, California, Volume 70, #2, February 2018, 440.

- მედიაციამ რიგ ქვეყნებში დაზოგა სასამართლოს დრო, რადგან მედიაციაში შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საქმის სასამართლოში გადაგზავნის შედეგად, მოსამართლეებს შეუძლიათ პირდაპირ მთავარი სხდომა დანიშნონ, რაც საქმისწარმოების ვადების კონტროლის და შემცირების ეფექტური საშუალებაა, სისტემის გამართულად და სწორედ მუშაობის შემთხვევაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში და ამ მიმართულებით ქართული სასამართლო სისტემა უნდა დაფიქრდეს და გამოიყენოს ეს კარგი გამოცდილება.
- მედიაციის ამოქმედებით მხარეებს უწევთ შეთანხმებაზე ფიქრი და მუშაობა დავის რეალურად დაწყებამდე, რაც ზრდის შეთანხმების მიღწევის და დავის აღმოფხვრის შესაძლებლობას.
- მედიაციის ამოქმედებით საზოგადოებას მოემატა ნდობა სახელმწიფო მართლმსაჯულებისადმი, რადგან აღიქვამენ აღნიშნული ინსტიტუტის ამოქმედებას, როგორც სახელმწიფოს ჩართულობით დავის ნაკლები დანახარჯებით გადაწყვეტის მექანიზმის მომხმარებლებისთვის შეთავაზებას, რაც რეალობას წარმოადგენს.
- მედიაციის გამოყენებით საზოგადოება ახერხებს სოციალური დიალოგის კულტურის დანერგვას და ცივილური ურთიერთოებების პრიორიტეტულობის მეტად აღქმას, რაც მედიაციის თანმდევი შედეგია და ესოდენ გამოსაყენებლი ქართულ რეალობაში.

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენების უპირატესობები ნათელი და ცალსახაა, თუმცა მის სწორ იმპლემენტაციას და გამოყენებას სწორი ანალიზი და მათ შორის დაგეგმარება სჭირდება, ყურადღება არის მისაქცევი ყველა თუნდაც უმნიშვნელო დეტალისთვის და კერძოდ:

- ანალიზი აჩვენებს, რომ დავები, რომელიც სასამართლო მედიაციის ამა თუ იმ სქემის მიხედვით იწარმოება რიგ შემთხვევაში შეიძლება არ იყოს კონკრეტული შეთანხმებით დასრულებული, ამას აქვს თავისი ახსნა, რადგან ძირითადში შესაძლებელია ეს იყოს მხარეთა ინტერესი, რათა დავა შეთანხმებით არ დაასრულონ, არამედ მათ უწევთ ამ ეტაპის გავლა ან მათ შორის ანგარიშს უწე-

ვენ სასამართლოს მიხედულობას რიგ შემთხვევაში ან პირიქით თავად იყენებენ ამ მექანიზმს დროის გასაჭიანურებლად, რასაც შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი ესაჭიროება პერიოდული და გამოვლენილი პრობლემატიკის წინაპირობების აღმოსაფხვრელი შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რა ტიპის განზოგადებამ შესაბამისი აქტორების მხრიდან (მოსამართლეები, ადვოკატები, მედიატორები) უპრიანია სისტემური ხასიათი მიიღოს ქართულ რეალობაში.

- ანალიზი აჩვენებს, რომ დავები, რომელიც მედიაციაში ხვდება არასასამართლო მედიაციის ან სასამართლო მედიაციის გზით, ოღონდ ორივე მხარის კონკრეტული ნებით, პერსპექტივა წარმატებით შეთანხმებისა მაღალია, რადგან მხარეების მიერ გამოვლენილი ნება - დავის მედიაციაში გადამისამართების, წინაპირობაა იმისა, რომ მხარეებს კონკრეტული ხედვები აქვთ იმისა, თუ როგორ უნდა დაასრულონ დავა შეთანხმებით. შესაბამისად, ამ მიმართულებით ნათელია და აღნიშნული სტატისტიკის ზრდის უებარი წამალი თვით მედიაციის შესახებ მის პოტენციურ მომხმარებლებში ცნობადობის ზრდა და დანერგვა, ისევე როგორც მედიაციისადმი სანდოობის ზრდა არის საჭირო.
- ანალიზი აჩვენებს, რომ იმ კატეგორიის ქონებრივ დავებზე, სადაც მხარეებს ფიზიკური რესურსი ფულადი რესურსის გაღების არ გააჩნიათ არ არის მედიაციის მიზნებისთვის წარმატებული, რადგან მხარეებს შეიძლება აქვთ ინტერესი შეთანხმების, მაგრამ მეორე მხარის ინტერესის მიზნებისთვის საჭირო ფინანსური სახსრის უქონლობა[1276] შეიძლება აღმოჩნდეს შეუთანხმებლობის ობიექტური მიზეზი, რაც მათ შორის სასამართლოში მიმდინარე საქმისწარმოების მოსამზადებელ ეტაპზეც ვლინდება და სასამართლოს აქვს შესაძლებლობა აღნიშნულის იდენტიფიცირების, რა დროსაც მსგავსი საქმის მედიაციაში წარმართვის რჩევა, შეიძლება საერთოდ უადგილო აღმოჩნდეს სასამართლოს მხრიდან, და ამ მიმართულებით მათ შორის

1276. *Genn H.,* Judging Civil Justice, Cambridge University Press, New York, 2010, 111.

უპირველესად სასამართლოს ინტერესშია შესაბამისი პრაქტიკის დანერგვა მოსამართლეების მხრიდან სიტუაციის მართვისა, ისევე როგორც ადვოკატთა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების კურსებში მსგავსი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მოდელების შექმნა არის საჭირო, რაც ამ ეტაპზე არ ხორციელდება საქართველოში და არაერთი მსგავსი საქმე სასამართლოს რჩევის გათვალისწინებით მაინც მიდის მედიაციაში, თუმცა ვერ სრულდება წარმატებით ზემოაღნიშნული მიზეზით, რის გამოც ერთი მხრივ, ფუჭად იხარჯება მხარეთა დრო და მეორე მხრივ, მედიაციის სტატისტიკა უარესდება ქვეყანაში.

- ანალიზი აჩვენებს, რომ იმ კატეგორიის ქონებრივ დავებზე, სადაც ერთ-ერთ მხარეს აქვს დარწმუნებული განცდა, რომ ის მართალია, მედიაციის მიზნებისთვის რთული კატეგორიის საქმე შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ასეთ შემთხვევებში ფსიქოლოგიური პრობლემა ხდება მეტ წილად ობიექტური მიზეზი მედიაციაში შეუთანხმებლობის, როდესაც მხარეს, რომელსაც აქვს განცდა, რომ მას რაიმე სახის დათმობის გაკეთება არ უნდა უწევდეს, უჭირს დათმობის მიზნებისთვის ნაბიჯის გადადგმა. ამ კუთხითაც ზემოაღნიშნული რჩევა გასათვალისწინებელია სასამართლოს და ადვოკატურის წარმომადგენლების მხრიდან.
- მნიშვნელოვანია რომ იურიდიულმა პროფესიამ მედიაცია არ განიხილოს თავის კონკურენტად[1277] და იყოს პროპონენტი მედიაციის ვიდრე ოპონენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში მედიაციის პრაქტიკაში რეალური დანერგვა გაჭირდება, მინიმუმ დროში ძალზედ გახანრძლივდება, რადგან ადვოკატია ის ფიგურა ვინც მხარის მრჩეველია და შესაბამისად თუ ადვოკატის მხრიდან და პროფესიის მხრიდან მედიაცია არ იქნა ქვეყანაში მხარდაჭერილი, მედიაციის რეალური დამკვიდრება პრაქტიკულად გამორიცხული იქნება საქართველოში.
- მედიაცია განსაკუთრებით მისი დანერგვის სტადიაზე მხარდა-

1277. იქვე, 110.

ჭერილი უნდა იყოს სასამართლო და ადვოკატთა კორპუსის მხრიდან, ეს ორი მთავარი ინსტიტუცია გადამწყვეტია მედიაციის დანერგვის პროცესში[1278].

- აქვე აღსანიშნავია, რომ დიდი მნიშვნელობა ექცევა იმას ზოგადად მედიაცია წარმოადგენს იურიდიულ საქმიანობას თუ არის ჩვეულებრივი მომსახურება, რადგან იმ შემთხვევაში თუ სახეზე იქნება იურიდიული მომსახურების კუთხით მედიატორის საქმიანობის მიკუთვნება, მაშინ მასზე პროფესიული ეთიკა უნდა გავრცელდეს[1279]. ამ მიმართულებით მედიაცია უპრიანა მიეკუთვნოს იურიდიულ საქმიანობას, რადგან მედიაციის გამოყენებით საბოლოო ჯამში იქმნება სამართლებრივ ნორმებს დაქვემდებარებული აღსრულებადი აქტი, თუმცა აღნიშნული კომპლექსურ საკითხს წარმოადგენს და მასზე გარდა ცალკე სამეცნიერო კვლევის საჭიროებისა, სავალდებულოა გაიხსნას ღია დისკუსიები იურიდიულ პროფესიაში, რაც დღეს საქართველოში არ ხდება და ეს თემა საერთოდ არ არის იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა დღის წესრიგში, თუმცა მედიაციის დანერგვის პარალელურად აღნიშნულზე სავალდებულოა მიდიოდეს მსჯელობა.
- იმისთვის, რათა მედიაციამ უზრუნველყოს მასში ჩართული მხარეების ინტერესების გატარების რეალურობა, საჭიროა დარეგულირდეს საკითხი, რათა პროცესში ჩართული მხარეთაგან ერთ-ერთის მიერ არ იქნეს ბოროტად გამოყენებული მისი ძალამოსილება და გავლენა მეორე მხარისადმი, აღნიშნულის პრევენცირება, ფაქტობრივ ან მედიატორს უნდა მივანდოთ, ან უპრიანია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს საკითხის რეგლამენტირება, მინიმუმ მსგავსი საჭიროების არსებობის დროს სავალდებულო სახით განხორციელდეს მედიაციაში წარმომადგენლის გარეშე მონაწილე მხარის ადვოკატით უზრუნველყოფა.

1278. აღნიშნულ საკითხებზე ცალკე თავი არის მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში.

1279. *Hartung A.M.*,Weder Sozietät noch Bűrogemeinschaft des Anwalts mit Mediator oder Berufsbetreuer, Neue Juristische Wochenschrift (NJW), C.H.BECK, Műnchen, 2018, (5April,#15)1102.

- მედიაციის სწორედ აღქმისთვის მნშვნელოვანია მხარეებს კარგად ესმოდეთ, რომ მედიაციით ისინი მუდამ სარგებელს იღებენ, კერძოდ, შესაძლოა მედიაცია კონკრეტული შეთანხმებით ვერ დაასრულონ, თუმცა მათ იმაზე კარგად ეცოდინებათ კონფლიქტის მიზეზების და დავის შესახებ ვიდრე ეს მედიაციის დაწყებამდე იყო მხარისთვის ცნობილი, რაც შესაძლოა შემდგომში გახდეს წინაპირობა დავის დასრულებისა.

შესაბამისად მედიაციის პროცესში მონაწილეობას მხარეებისთვის ყოველთვის მოაქვს დადებითი თუ მხარეს ესმის მედიაციის შინაარსი და როგორ გამოიყენოს ის ინფორმაცია რაც ამ პროცესმა მისცა მას[1280].

9.1. სასამართლოს როლი მედიაციის განვითარებაში

მედიაციის დანერგვასა და განვითარებაში მნიშვნელოვანია სასამართლოს როლი და ფუნქცია საქართველოში. იმის გათვალისწინებით, რომ სავალდებულო სასამართლო მედიაცია საქართველოში ფაქტობრივ ახლა იკიდებს ფეხს და აღნიშნული დავის ალტერნატიული საშუალების შესახებ საზოგადოებაში არსებული ცნობადობა დაბალია, გადამწყვეტია, რათა სასამართლომ უზრუნველყოს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა მედიაციისადმი მომხმარებლის ინტერესის ზრდაში, მათ შორის უმთავრესია თავად მოსამართლეთა ცოდნის დონის და მედიაციის შესახებ ცნობადობის ამაღლება, მით უფრო ისეთ ქვეყნებში, სადაც სასამართლოსთან არსებული მედიაცია ფუნქციონირებს[1281], რაც საქართველოს მაგალითზე გასათვალისწინებელი ფაქტორია.

ამ მიზნით თბილისის საქალაქო სასამართლოს ბაზაზე 2013 წელს შეიქმნა სამედიაციო ცენტრი[1282], რომელიც უშუალოდ ანხორციელებს სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში მხარე-

1280. *Ahmed M.,* An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol.7, intersentia,Cambridge-Antwerp-Portland, 2017, 216, 217.
1281. *De Palo G., Trevor B.M.,* EU Mediation, Oxford University Press, Oxford, 2012, 44.
1282. იხ. <http://www.tcc.gov.ge/index.php?m=586>.[18.05.2018]

თა შორის სამედიაციოდ გადაცემული საქმეების მოსამართლეთა-გან მიღებას და განაწილებას ცენტრის ბაზაზე მოქმედ მედიატორებს შორის[1283], ისევე როგორც ცენტრის ბაზაზე ხორციელდება სასამართლო მედიაციის სესიები და ცენტრი კურირებს აღნიშნული მედიაციების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და შენახვას[1284].

სასამართლო ხელისუფლების მხრიდან მედიაციის დანერგვის პირველ წლებში ნებაყოფლობითი მედიაციის დანერგვით და მხოლოდ გარკვეული გამოცდილების დაგროვების შემდეგ სავალდებულო მედიაციის ამოქმედებაზე ფიქრი, გამართლებულ ნაბიჯს წარმოადგენდა სასამართლოს მხრიდან[1285], თუმცა ამ ეტაპზე ალბათ უკვე შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის მედიაციის შემდგომი ეფექტური განვითარების მიზნებისათვის სავალდებულო მედიაციის კანონით დადგენილი მექანიზმის ამოქმედებისთვის შესაფერისი დრო მოდის, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მედიაციის გამოყენების ზრდა საქართველოში უნდა გახდეს წინაპირობა საზოგადოებაში კომპრომისის წესით საკითხების გადაწყვეტისა, რა დროსაც საზოგადოება ისწავლის იტვირთოს პირადი პასუხისმგებლობა მიმდინარე კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნებსიათვის[1286]. კერძოდ, უპრიანი ხდება სასამართლომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამოქალაქო კატეგორიის დავებზე, ძირითად შემთხვევაში მოახდინოს საქმეთა სავალდებულო სახით მედიაციაში რეფერირება, რაც ერთი მხრივ, მედიაციის მომხმარებელთა ზრდას და მედიაციის თაობაზე ცნობადობას გაზრდის, თუმცა მეორე მხრივ, ნამდვილად არ მოახდენს მხარეთა ნების იგნორირებას, რადგან უშუალოდ მედიაციის პროცესის გზით დავის რეგულირება მხარეთა ნებას

1283. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 29 მაისის ცნობა (მოწოდებული ინფორმაციის თანახმად 2018 წლის 29 მაისისათვის სასამართლო მედიაციის სტატისტიკის თანახმად 2013 წლის დეკემბრიდან 2018 წლის 29 მაისამდე მედიაციის ცენტრს გადმოეცა 133 საქმე).

1284. მსგავსი ცენტრები ფუნქციონირებს ასევე გორის, რუსთავის და 2019 წლის ზაფხულიდან მცხეთის რაიონული სასამართლოს ბაზაზე.

1285. *წულაძე ა.,* ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ.2017, 201.

1286. *Austermiller S., Swenson D.,* Alernative Dispute Resolution: Georgia, Meridiani Publishers, Tbilisi, 2014, 96, 97.

წარმოადგენს და თუნდაც სავალდებულო ფორმით მედიაციაში რეფერირებული წარმოების მხარეთა მხრიდან შეწყვეტა და სასამართლო წარმოებაში დაბრუნებას ალტერნატივა არ აქვს, მხარეთა მსგავსი ნების შემთხვევაში. ასევე, ფაქტია ყოველდღიურად[1287] იზრდება სასამართლო მედიაციის ცენტრების რიცხვი და უახლოეს პერიოდში სასამართლო მედიაციის ცენტრი უნდა გაიხსნას ქვეყნის ყველა რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რაც მედიაციის სტაბილურად განვითარების და მასზე მოთხოვნის ზრდის წინაპირობა გახდება.

ნიშანდობლივია, რომ სასამართლო ხელისუფლება დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შესახებ ინსტიტუციურად ფიქრობს და მუშაობს, რაც მათ შორის აისახა სასამართლოს მიერ 2017-2021 წლებისთვის შემუშავებულ სისტემის სტრატეგიაში[1288], კერძოდ, სტრატეგიის დოკუმენტში ცალკე თავი აქვს დათმობილი დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას, რომლის თანახმად მედიაციის განვითარებით სასამართლოს მიაჩნია, რომ მოხდება სასამართლოს ხელმისაწვდომობის გაზრდა, სასამართლოებისა და მოსარჩელეების დროისა და ხარჯების დაზოგვა, მართლმსაჯულებით კმაყოფილებისა და სასამართლო სისტემის მოქნილობის საკითხების მოწესრიგება, ასევე, მოსამართლეთა გადატვირთულობისა და საქმეთა გაჭიანურების პრობლემის მოგვარება.

აღნიშნულის მისაღწევად სასამართლოს მნიშვნელოვანად მიაჩნია:

- ჩამოყალიბდეს მედიაციის ცენტრები მსხვილ სასამართლოებში (ეს პროცესი შეუქცევადად მიმდინარეობს);
- ხელი შეეწყოს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების (მედიაცია, არბიტრაჟი) განვითარებას;
- განვითარდეს და გააქტიურდეს სასამართლოს მორიგების ინსტიტუტი;

1287. დღეისათვის ფუნქციონირებს თბილისის, რუსთავის, მცხეთის, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების, ქუთაისის, ბოლნისის და გორის რაიონული სასამართლოების სასამართლო მედიაციის ცენტრები.

1288. იხ: სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(54)17, თბ.2017,5.

- დაინერგოს მედიაცია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს განვითარების სტრატეგიაში ჩნდება მითითება[1289] მედიაციის ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებაში დანერგვის შესახებ, რაც აღნიშნული დავის ალტერნატიული გადაწყვეტის მექანიზმის კიდევ უფრო მეტად გამოყენებადობის წინაპირობა უნდა გახდეს საქართველოში.

სასამართლოს მის მიერ სტრატეგიაში გაწერილი ამოცანების მიღწევის კონკრეტული გზები და მექანიზმები გაწერილი აქვს სასამართლო სტრატეგიის განხორციელების შესაბამის სამოქმედო გეგმაში[1290], რომლის თანახმად უახლოეს წლებში დაგეგმილია მსხვილ გაერთიანებულ სასამართლოების ბაზაზე სამედიაციო ცენტრების შექმნა და მედიაციის სწავლების კურიკულუმების შემუშავება მოსამართლეებისა და მედიატორებისათვის, ისევე როგორც მედიაციის შესახებ ინფორმაციის და ცნობადობის ზრდის მიზნით სასამართლოს წარმომადგენელის მხრიდან საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა და ჩატარება[1291].

9.2. ზოგადი განათლების სისტემის, სამართლის სკოლების როლი საქართველოში მედიაციის სწავლების, კვლევის ხელშეწყობის და დავის გადაწყვეტის კულტურის განვითარებაში

მედიაციის საქართველოში მძლავრად და ინსტიტუციურად დამკვიდრებისთვის მნიშვნელოვანია მისი როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების სწავლება საქართველოში მოქმედ საშუალო სკოლებსა და სამართლის ფაკულტეტებზე, რადგან სწორედ, ერთი მხრივ, სასკოლო მერხთან იმეცნებენ პირველად განათლებას ქვეყნის მომავალი მოქალაქეები და მათ კარგად უნდა ესმოდეთ,

1289. იხ: სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #2(54)17, თბ.2017,29.

1290. იქვე, 49.

1291. იქვე, 75, 76.

რომ ნებისმიერი ტიპის დავის წარმოშობის შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა სრულიად კანონიერი მექანიზმით, საკუთარი უშუალო ჩართულობით შეძლონ და მიაღწიონ მათ ინტერესზე მორგებულ იმგვარ შეთანხმებას, რომელსაც ქვეყნის სახელით, იგულისხმება სასამართლოს მხრიდან სამედიაციო მორიგების დადასტურების კანონით გათვალისწინებული მექანიზმი, აღსრულებას დაუქვემდებარებენ და რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია საუნივერსიტეტო დონეზე, მათ შორის განსაკუთრებით სამართლის სკოლებში მედიაციის სავალდებულო დისციპლინის სახით სწავლება, რადგან სწორედ უნივერსიტეტები გლობალურად ამზადებენ მომავალ მოქალაქეებს პრაქტიკული ყოველდღიურობისთვის და სპეციფიკურად, სამართლის სკოლები ამზადებენ მომავალ იურისტებს და მათთვის გაცილებით სწორი იქნება მედიაციის შესახებ, როგორც მათი პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთი შესაძლო მიმართულების თაობაზე შეიტყონ და შეიმეცნონ საუნივერსიტეტო მერხთან, ვიდრე ეს მოხდეს მათი პრაქტიკული საქმიანობის დროს დამდგარი კონკრეტული პრაქტიკული საჭიროების გადაწყვეტის სტადიაზე.

აღნიშნულ საკითხს ფუნდამენტური მიდგომა სჭირდება მათ შორის საშუალო განათლების და საუნივერსიტეტო სწავლების სასწავლო გეგმაში აღნიშნული დისციპლინის სავალდებულო სახით ყველა საშუალო სკოლასა თუ უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის პროგრამებში ინტეგრირების სახით, რაც რეალურად გახდება მედიაციით დაინტერესებული ახალი თაობის მოქალაქეების, მათ შორის მომავალი იურისტების ზრდის წინაპირობა, რომელთაც ექნებათ ყოველმხრივი მზაობა აქციონ მედიაცია ცხოვრების წესად, ხოლო დიალოგის კულტურის დამკვიდრებით საქართველოში, გახადონ ჩვენი ყოველდღიურობა შეთანხმებაზე ორიენტირებული საზოგადოების ერთობად.

უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია, რათა სამეცნიერო თვალსაზრისით მედიაციის დამუშავებისა და შესწავლის კუთხით საუნივერსიტეტო ბაზებზე ფუძნდებოდეს მედიაციის შემსწავლელი ცენტრები. ამ მხრივ, ნამდვილად პირველი მერცხალია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2011 წელს დაფუძნებული დავის ალტერ-

ნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, რომლის მთავარ მისიას სწორედ მედიაციის სწავლება და მედიაციაში სამართლის პროფესორებისა და სტუდენტებისათვის უნარ-ჩვევების დანერგვა და დახვეწა წარმოადგენს[1292].

ამ მიმართულებით მისასალმებელია სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის" ინიციატივა ქვეყანაში მოქმედ ყველა საუნივერსიტეტო სასწავლო დაწესებულებასთან გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი[1293], რაც კიდევ ერთი დამატებითი ბიძგი უნდა გახდეს მედიაციის საუნივერსიტეტო დონეზე სწავლების დანერგვისთვის, რასაც თავისი შედეგი მოაქვს, რისი აღნიშვნა ნამდვილად შესაძლებელია დღითი დღე მზარდ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით.

9.3. პროფესია ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში

მედიაცია წარმოადგენს ნოვაციას ქართულ სამართლებრივ რეალობაში[1294], რომლის გამოყენებით დავაში მყოფ მხარეებს ეძლევათ საშუალება მათი კონფლიქტი საკუთარი ხელით აღმოფხვრან და მიაღწიონ შეთანხმებას, რაც გახდება წინაპირობა მათი შემდგომი მშვიდობიანი თანაცხოვრების და თანამშრომლობის მეორე მხარესთან.

იმისთვის, რომ ქვეყანაში ეფექტურად დაინერგოს მედიაცია, უმთავრესია ამ ყველაფერში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლი და დანიშნულება, რადგან ეს გახლავთ ერთადერთი კანონის დონეზე შექმნილი[1295] და მოქმედი გაერთიანება ადვოკატების საქართველოში[1296], რომელიც დღეისათვის აერთიანებს 10, 000 -მდე რეგისტრირებულ ადვოკატს, პირებს, რომლებიც წარმოადგენენ და-

1292. იხ. <ncadr.tsu.ge>.[18.05.2018]
1293. იხ. https://mediators.ge/ka/partners/2/
1294. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული; თბ., 2014, 200-208.
1295. იხ: საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ", მუხლი 1.
1296. იხ: < www.gba.ge>.[18.05.2018]

ვაში მყოფი მხარეების პირველ იურიდიულ მრჩევლებს და რომლის აზრს ითვალისწინებენ მხარეები საკუთარი სამართლებრივი დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის[1297], შესაბამისად, რაც უფრო ფართოდ ხდება ადვოკატების მხრიდან მედიაციის მხარდაჭერა და ადვოკატირება, მით უფრო გაიზრდება და გაფართოვდება მედიაციის პრაქტიკაში გამოყენების არეალი[1298].

გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე, როდესაც საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო კერძო მედიაციის ფორმამ და შესაბამისად მედიაციის მეშვეობით მხარეთა შორის არსებული დავის გადაწყვეტის შესაძლებლობას მხოლოდ სასამართლოში სარჩელის შეტანა აღარ წარმოადგენს, ავტომატურად გაიზარდა ადვოკატის როლი დავების მედიაციის გზით გადამისამართების და გადაწყვეტის პროცესში.

ნიშანდობლივია, რომ ადვოკატთა ასოციაციის, როგორც ინსტიტუციის პოზიცია მედიაციის, როგორც საადვოკატო საქმიანობის „ჯვარედინი პროცესისადმი" ავტომატურად იქონიებს გავლენას მედიაციაში ადვოკატების ჩართულობისადმი მასობრივი თვალსაზრისით, რადგან პროფესიული გაერთიანების მიდგომას და ნოვაციის სწორ აღქმადობას ექნება გადაწმყვეტი გავლენა, ხოლო ადვოკატებში მედიაციისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოვლინებით ან მასში საკუთარი პროფესიული საქმიანობის კონკურენტის დანახვით, შეიძლება დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალება შეფერხდეს განვითარების ესოდენ მნიშვნელოვან დასაწყის სტადიაზე.

მისასალმებელია, რომ მედიაციის ფაქტობრივი დაწყების პირველი დღიდან საქართველოში ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალებისადმი არ შენელებულა ინსიტუციური მხარდაჭერის კონკრეტული საქმით გამოვლენილი მხარდამჭერი პოზიციის ფიქსირება, ისევე, როგორც იზრდება მოლოდინი სსიპ „საქართვე-

1297. *ყანდაშვილი ი.*, მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი", N2-3, თბ., 2016,19-24.

1298. *Ginter C.,* Estonia in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012, 95.

ლოს ადვოკატთა ასოციაციასა“ და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციას“ შორის აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ 2019 წლის 14 დეკემბერს გამართულ სადამფუძნებლო ყრილობაზე ასოციაციის პირველ თავმჯდომარედ სწორედ მოქმედი ადვოკატი აირჩიეს დამფუძნებელმა მედიატორებმა[1299].

❖ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საფუძვლები მედიაციის ჭრილში

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2006 წლის 15 აპრილის ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე მიღებულ იქნა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი[1300], რომელიც განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის[1301].

ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსი ამკვიდრებს კლიენტის ინტერესების დაცვის პრიმატს[1302] საქართველოში და ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ადვოკატის საქმიანობას საადვოკატო პროფესიული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად ადგენს[1303].

1299. იხ. https://mediators.ge/ka/association. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ პირველ თავმჯდომარედ 2019 წლის 14 დეკემბერს, სადამფუძნებლო ყრილობამ აირჩია ირაკლი ყანდაშვილი, რომელიც იმ ეტაპზე იყო მოქმედი ადვოკატი და მედიატორი და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი და საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე.

1300. იხ:< http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.[18.05.2018]

1301. იხ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულა.<www.gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf >.[18.05.2018]

1302. იქვე, მუხლი 1.

1303. იქვე, მუხლი 5.

პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას თითოეული ადვოკატი ვალდებულია დაემორჩილოს ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებას[1304], რომელიც დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2010 წლის 11 დეკემბერს, და რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურას, ადვოკატებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადვოკატებისათვის პროფესიული ეთიკის საკითხებზე რეკომენდაციის გაცემის წესს[1305].

აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის თანახმად ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით[1306], შესაბამისად ადვოკატის მხრიდან პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტების დაუცველობა მისი დისციპლინური წესით სანქციონირების წინაპირობაა, ანუ სხვასიტყვებით რომ ითქვას ყველა ადვოკატმა უნდა დაიცვას ეთიკის კოდექსი, მათ შორის მისი მე-8 მუხლის მე-11 პუნქტი, რომელიც ცვლილებების სახით აისახა პროფესიული ეთიკის კოდექსში 2012 წლის 8 დეკემბერს ადვოკატთა საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით და რომლის თანახმად ადვოკატმა კლიენტს უნდა ურჩიოს საქმის მორიგებით დასრულება ან დავის ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტა[1307].

შესაბამისად, ცალსახაა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, მედიაციის საქართველოში დანერგვის პირველი დღიდან უზრუნველყოფს მედიაციის ხელშეწყობას, ხოლო საკუთარ პროფესიულ ეთიკის კოდექსში კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის განმსაღვრელ მუხლში მედიაციის შესახებ კლიენტისთვის

1304. იხ: <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/debuleba.pdf>.[18.05.2018]
1305. იხ: ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 1.
1306. იქვე, მუხლი 2.
1307. იხ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.11. <www.gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.[28.06.2018]

სავალდებულოდ რჩევის მიცემის ვალდებულების დადგენის სტანდარტით მინიმუმ მედიაციის შესახებ ფართოდ ინფორმაციის გავრცელების წინაპირობა შეიქმნა ადვოკატთა კორპუსში და რა თქმა უნდა საზოგადოებაში, კერძოდ, საადვოკატო სერვისით მოსარგებლე კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის.

❖ ადვოკატთა ასოციაციის ინსტიტუციური მხარდაჭერა მედიაციის განვითარებაში

ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების - მედიაციის მხარდაჭერა მათ შორის ვლინდება მედიაციის ინსტიტუციური მხარდაჭერის კონკრეტულ ქმედებებში ასოციაციის მხრიდან, კეროდ:

ა) 2018 წლის 12 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება[1308] მედიაციის განვითარების კომიტეტის დაფუძნების შესახებ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე[1309], რაც მედიაციის უპრეცენდენტო მხარდაჭერის ნაბიჯია ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან, რადგან ასოციაცია აღნიშნულით მოქმედ ადვოკატებს ღიად უფიქსირებს პოზიციას, რომ მედიაცია საადვოკატო საქმიანობისთვის მისაღებია, ის არ წარმადგენს პროფესიისთვის კონკურენტ საქმიანობას და მასში აქტიური ჩართულობით ადვოკატებმა უნდა მოიძიონ საკუთარი პროფესიული საქმიანობისთვის ახალი შესაძლებლობები.

ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის განვითარების კომიტეტის მიზნებს და ამოცანებს წარმოადგენს[1310]:

- ხელი შეუწყოს მედიაციის განვითარებას საქართველოში;

1308. იხ: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება: <http://gba.ge/uploads/resolutions/2018/01/31/3d51dfa83d-2ce7ffffc515d101375fb3.pdf>.[18.05.2018]

1309. იხ: მედიაციის განვითარების კომიტეტის დებულება, დამტკიცებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 12 იანვარს: <http://gba.ge/uploads/files/reestri/mediaciis_ganvitarebis_komitetis_debuleba.pdf>. [18.05.2018]

1310. იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის განვითარების კომიტეტის დებულება, მუხლი 2,3.

- ხელი შეუწყოს ადვოკატთა ასოციაციის როლის გამოკვეთას და დამკვიდრებას მედიაციის პროცესში;
- ქვეყანაში მიმდინარე მედიაციის სისტემის დანერგვის და რეფორმის პროცესში ადვოკატთა კორპუსის ჩართულობისა და მონაწილეობის გაძლიერება და უზრუნველყოფა;
- საკანონმდებლო დონეზე მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავებაში აქტიური როლის შესრულება და ადვოკატთა კორპუსის როლის სწორი ასახვა მედიაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში.

ბ) 2018 წლის 28 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რის საფუძველზე საკუთარ საქმიანობაში ფაქტობრივ ასახა მედიაცია, როგორ დავის გადაწყვეტის საშუალება[1311], კერძოდ, საბჭოს გადაწყვეტილებით, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის[1312] ეფექტიანად ამოქმედების მიზნით საბჭომ დაამტკიცა დებულება[1313] აღმასრულებელი საბჭოს მიერ ადვოკატებს, ისევე როგორც ადვოკატებსა და კლიენტს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მორიგების წარმართვის წესის შესახებ.

აღნიშნული დებულების მე-2 მუხლის თანახმად მედიაცია შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ დავაზე მხარეთა ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, როცა არსებობს დავა ასოციაციის წევრებს შორის ან წევრსა და მის კლიენტს შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

1311. იხ: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება:
http://gba.ge/uploads/resolutions/2018/04/02/9b5c84003fd3bbf88271957f65b512b4.pdf. [18.05.2018]

1312. იხ. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილის „რ“ პუნქტი: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი.

1313. იხ. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ დებულება, დამტკიცებული ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით: <http://gba.ge/uploads/files/reestri/morigebis_debuleba.pdf>.[18.05.2018]

მხარე ითხოვს წევრის დისციპლინირებას[1314] (ანუ ყველა შემთხვევაში გარდა ისეთი შემთხვევისა თუ დავის ფორმად მხარე აირჩევს ეთიკის კომისიისთვის მიმართვას).

ზემოაღნიშნული ნაბიჯების გადადგმით საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთი მხრივ, ღიად აფიქსირებს მედიაციისადმი ინსიტიტუციურ მხარდაჭერას, ხოლო მეორე მხრივ, პრაქტიკული ქმედებებით ხელს უწყობს აღნიშნული ინსტიტუტის ფართო პროპაგანდირებას და დანერგვას ადვოკატებში, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მედიაციის დანერგვის პირველ სტადიაზე საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან მედიაციის მხარდაჭერა და ინსტიტუციური კუთხით მის განვითარებაში ჩართულობა, მრავალი ევროპული ქვეყნის მაგალითზე, მედიაციის დანერგვის ეტაპზე, არსებული გამოცდილებაა[1315] და სასიხარულოა, რომ საქართველოს მაგალითზე საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ანალოგიური პოზიციონირებით გამოირჩევა.

❖ მედიაცია, როგორც ადვოკატთა განგრძობადი იურიდიული განათლების ნაწილი

2009 წელს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები[1316], რომლის თანახმად კანონის მე-5 მუხლს დაემატა დათქმა ადვოკატების განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამაში სავალდებულო მონაწილეობის მიღების შესახებ[1317], რომლის საფუძველზე 2012 წელს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ აამოქმედა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების გავლის შესახებ წესი მოქმედი ადვოკატებისათვის, რომლის თანახ-

1314. იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ დებულება, მუხლი 2.

1315. *Esplugues C., Marquis L.,* New Developments in Civil and Commercial Mediation, Vol. 6, Springer International Publishing, London, 2015, 275.

1316. იხ. საქართველოს 2009 წლის 17 ნოემბრის კანონი # 2040 - სსმ I, #38, 01.12.2009 წ., მუხ.280.

1317. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5, პუნქტი „ვ“: ადვოკატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში.

მად ყველა მოქმედი ადვოკატი ვალდებულია კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს სავალდებულო სასწავლო პროგრამა და დააგროვოს სასწავლო კრედიტ საათები[1318].

მედიაციის ქვეყანაში დანერგვის და პოპულარიზაციის მიზნით იურიდიულ პროფესიაში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, კერძოდ, მისმა მმართველმა ორგანომ აღმასრულებელი საბჭოს სახით, 2017 წლის 10 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება[1319] და ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების 2017-2018 წლებში (რაც ამის შემდგომ პერიოდში ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს) მთავარ პრიორიტეტად ადვოკატებისათვის მედიაციის სწავლება მიიჩნია, რაც მედიაციის იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებში დანერგვის და სწავლების უპრეცენდენტო ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია აერთიანებს 10,000 - მდე მოქმედ ადვოკატს საქართველოში და თითოეულ მათგანს აღნიშნული გადაწყვეტილებით ეძლევა საშუალება მიიღოს საბაზისო ინფორმაცია მედიაციის თემაზე და მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროგრამებში დავის გადაწყვეტის აღნიშნული ალტერნატიული საშუალების თაობაზე.

ისევე როგორც აღსანიშნავია, რომ მედიაცია, როგორც დისციპლინამ წლებია დაიკავა ადგილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამაში, შესაბამისად, მედიაციის თაობაზე ინფორმაციის გაცნობა და სწავლა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდით დაინტერესებულ ყველა პირს უწევს საქართველოში.

მსგავსი ნაბიჯების გადადგმით ადვოკატთა ასოციაცია ფაქტობრივ ხელს უწყობს ადვოკატებში, ვინც არიან პირველი იურიდიული მრჩევლები დავაში მყოფი მხარეების, მედიაციის ცნობადობის ზრდას და მათ დაინტერესებას ჩაერთონ მედიაციაში და კლიენტებს ურჩიონ მედიაციის გზით და საშუალებით გადაწყვიტონ საკუთარი სამართლებრივი პრობლემები.

1318. იხ: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების წესები: http://edu.ge/რეგულაციები/განგრძობადი-იურიდიული-გა/. [18.05.2018]

1319. იხ. ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2017 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება:< http://gba.ge/ka/resolutions/list/330>.[18.05.2018]

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

აღაბეგოვი ყ., ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, მითითებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“ მ.კეკელიას რედაქტორობით, 1993,89.

ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბ.2014,130.

გორგაძე ი., გურგენიძე ნ., ილია ჭავჭავაძე: ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, ბიბლიოგრაფიული ქრონიკა 1837-1907, „მეცნიერება“, თბ.1987, 48.

დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 2004.

დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.2001.

დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაციასთან და პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ასპექტები ქართულ ჩვეულებით სამართალში, „ქართული სამართლის ისტორია“, პირველი გამოცემა, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა,თბ, 2011.

კეკელია მ., ტერმინ „ბჭის“ შინაარსისათვის ქართულ სამართლის წიგნებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“ #4, თბ.1973.

კეკელია მ., ქართული ჩვეულებითი სამართლის სათავეებიდან, კრებული „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ, 1988, 36.

კეკელია მ., რედ, ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ.4, მთავარი გამომცემლობა მეცნიერება, თბ. 1993.

მაკალათია ს., ფშავი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ.1985.

მახარაძე ა., კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2011.

ონიანი ს., ტერმინი „ბჭი“ მნიშვნელობისთვის ძველ ქართულ სამართალში, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, #2, 2013.

სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისთვის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტ.I, თბ. 1952.

ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბ.2016.

ყანდაშვილი ი., მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება: შრომითი მედიაციის მაგალითზე, ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, სტატიათა კრებული; თბ., 2014.

ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი", N2-3, თბ., 2016.

ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #1, 2016.

ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #2, 2016.

ჩიტაშვილი ნ., სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვეობის საფუძველი, ჟურნალი „წელიწდეული", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ცერცვაძე გ., მედიაცია, გამომცემლობა მერიდიანი,თბ. 2010.

წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო", თბ.2017.

წულუკიანი ა., სვანური ბჭემედიატორული სასამართლო, ჟურნალი: სახელმწიფო და სამართალი, 1990.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი „ივერია", #86, 22 აპრილი (სამშაბათი) 1886.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექვსე, „პუბლიცისტური წერილები", ტ.IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ.1987.

უცხოურ ენაზე:

Abramson I.H., Mediation Representation, Second Ed., Oxford University Press, Oxford, 2011.

Abramson I.H., Mediation Representation, Third Ed., Wolters Kluwer, Aspen Casebook Series, New York, 2013.

Ahmed M., An Investigation into the Nature and Role of Non-Settled ADR in International Journal of Procedural Law, Vol. 7, Intersentia,Cambridge-Antwerp-Portland, 2017.

Alexander N., Global Trends in Mediation, 2nd Ed, Kluwer Law International, the Netherlands (Alphen aan den Rijn), 2006.

Alexander N., International and Comparative Mediation: Legal Perspectives, Austin, Wolters Kluwer, 2009.

Alexander N., Four Mediation Stories from Across the Globe, Rabels Zeitschrift fur Auslandisches und Internationales Privatrecht (the Rabel Journal), Mohr Siebeck, Tűbingen, *No. 4, 2010.*

Alexander N., Steffek F., Making Mediation Law, International Finance Corporation (IFC), World Bank Group, Washington D.C. 2016.

Alpa G., Arbitration and ADR Reforms in Italy, in European Business Law Review, Law Journal, Vol 29, Issue 2, Wolters Kluwer International, London, 2018.

Andrews N., Andrews -on civil process, Arbitration&Mediation, Vol. II, Intersentia,-Cambridge, 2013.

Andrews N., Mediation Agreements: time for a more creative approach by the English courts, Uniform Law Review, Revue de droit uniforme, Vol. 18, Number 1, Oxford University Press, Unidroit, Oxford, 2013.

Andrews N., Landbrecht J., Schiedsverfahren und Mediation in England, C.H.Beck, Műnchen,2015.

Andrews N., The Modern Civil Process, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008.

Alfini J.J, Press S.B, Sternlight J., Stulberg J.B., Mediation Theory and Practice, 2001.

Alfini J.J., Press Sh. B., Stulberg J.B., Mediation Theory and Practice, Reporter's Notes, 3rd Ed, LexisNexis, 2013.

Austermiller S., Swenson D., Alternative Dispute Resolution: Georgia, Meridiani Publishers, Tbilisi, 2014.

Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P., Zivilprozessordnung, C.H.BECK, Munchen, 76.Auflage, 2018.

Bäumerich M., Gűterichter und Mediatoren im Wettbewerb, Duncker&Humblot, Berlin, 2015.

Behme C., Probst R., Die neuen Mediationsregelungen der ICC –ein Meilenstein fur die administrierte Mediation? Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang. Heft 1/2014, Januar/Februar, PVSt 47561, Berlin, 2014.

Bergen, J.M.V., Gerichtsinterne Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008.

Berkel G., Deal Mediation: Erfolgsfaktoren professioneller Vertragsverhandlungen, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 1/2015, Kőln, 2015.

Berkel G., Zur Diskussion gestellt: Deal Mediation als Konfliktbeilegung, Zeitschrift fűr Konfliktmanagement (ZKM), Verlag Otto Schmidt, Kőln, 2018.

Bhatia K.V., Candlin C., Gotti M., Discourse and Practice in International Commercial Arbitration, Ashgate, Farnham, 2012.

Biard A., Monitoring Consumer ADR Quality in the EU: A critical Perspective, European Review of Private Law, Law Journal, Vol. 26, No.2, Wolters Kluwer International, The Netherlands, 2018.

Blake S., Browne J.,Sime S., The Jackson ADR Handbook, 2nd Ed, Oxford University Press, Oxford, 2016.

Brand J., Steadman F., Todd C., Commercial Mediation, Second Ed., JUTA, Cape Town, 2016.

Brooker P., Mediation Law, Routledge, London, 2013.

Brown J.H., Marriott A., ADR Principles and Practice, Third Ed., Sweet&Maxwell, Thomson Reuters, London, 2011.

Bőlten K., Dispute Resolution Mechanisms in Merger and Acquisition Transactions, Legal, Istanbul, 2016.

Boulle L., Kelly J.K., Mediation, Butterworths, Toronto, 1998.

Boulle L., Field R., Australian Dispute Resolution: Law and Practice, LexisNexis, Butterwoths, 2017.

Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S.,Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2018.

Buhring-Uhle C., Kirchhoff L., Scherer G., Arbitration and Mediation in International Business, Kluwer Law International, London, 2006.

Burduli I., Nekrorezeption in Transformationsgesellschaften, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln,2018.

Buono C., Poli A., Tietze N., Wieviorka M., Die Mediation: ein Europäischer Vergleich, DIV Publishing, Saint-Denis, 2002.

Caponi R., „Just Settlement" or „Just About Settlement"?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 79, Heft 1, Mohr Siebeck, 79.Jahrgang, Tűbingen, 2015.

Carroll E., Mackie K., International Mediation: The Art of Business Diplomacy, Kluwer Law International, Tottel Publishing, London, 2006.

Carvalho J.M., Carvalho C., Online Dispute Resolution Platform in Alberto de Franceschi (ed), European Contract Law and the Digital Single Market –The Implications of the Digital Revolution, Intersentia, 2016.

Carvalho J.M., Nemeth K., Implementation of the Consumer ADR Directive in the EU Member States, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018.

Chanturia L., Die Europäisierung des georgischen Rechts – bloβer Wunsch oder groβe Herausforderung?, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2010.

Chern C., International Commercial Mediation, Informa London, 2008.

Chern C., The Commercial Mediator's Handbook, Informa Law, New York, 2015.

Cooley W.J, Mediation Advocacy, 2nd Ed, NITA, Notre Dame, 2002.

Cortes P., The New Regulatory Framework for Consumer Dispute Resolution, Oxford University Press,Oxford, 2016.

Cortes P., The Law of Consumer Redress in an Evolving Digital Market,, Cambridge University Press, Cambridge, 2018.

Cortes P., Consumer ADR in Spain and the United Kingdom, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018.

Cremer K., Die Vertraulichkeit der Mediation, Schneider Verlag Hohengehren GmbH, Germany (Baltmannsweiler), 2007.

Creutzfeldt N., Vertrauen in Auβergerichtliche Streitbeilegung, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 1/2016, Kőln, 2016.

Czernich D., Geimer R., Streitbeilegungsklauseln im Internationalen Vertragsrecht, C.H.BECK, Műnchen, 2017.

Davydenko D.L., Amicable Dispute Resolution in the European Legal Tradition, Infotropic Media, Moscow, 2013.

Deguchi M., Das flexible Streitbeilegungsmodell zwischen Zivilprozess und ADR in Japan, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln,2018.

Deixler-Hűbner A., Schauer M., (Hrsg) Alternative Formen der Konfliktbereinigung, MANZ'sche Verlags- und Universitätsbuchhandlung, Wien, 2016.

De Palo G., Trevor B.M., Arbitration and Mediation in the Southern Mediterranean Countries, Kluwer Law International, Alphen aan den Rijn, 2007.

De Palo G., Trevor B.M., EU Mediation: Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.

Dieter A., Montada L., Schulze A., Gerechtigkeit im Konfliktmanagement und in der Mediation, Campus Verlag, Frankfurt/New York, 2000.

Diez H., Krabbe H., Thomsen C.S., Familien – Mediation und Kinder, Bundesanzeiger Verlag, 3.uberarbeitete und aktualisierte Auflage, Kőln,2009.

Dingle J., Kelbie J., The Mediation Handbook, 2nd Ed, Unity Press, 2014.

Dingle J., Sephton J., Practical Mediation, Law Brief Publishing, Somerset, 2017.

Duve C., Eidenműller H., Hacke A., Mediation in der Wirtschaft, 2 Auflage.,Verlag Dr.Otto Schmidt, Kőln,2011.

Eberhardt U., Rechrsschutzversicherung und auβergerichtliche Konfliktslősung, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Heft 3/2014, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2014.

Effer-Uhe D., Schiedsrichterliche Unabhängigkeit bei wissenschaftlichen Äußerungen in SchiedsVZ (Zeitschrift fűr Schiedsverfahren/German Arbitration Journal), Verlag C.H.Beck, Műnchen,16.Jahrgang,Heft 2, März/April 2018.

Eidenmuller H., Alternative Streitbeilegung, Verlag C.H.Beck Munchen, 2011.

Eidenműller H., Verhandlungsmanagement durch Mediation, in Henssler L.K (Hrsg) Mediation in der Anwaltspraxis, Deutscher Anwaltverlag, 2.Aufl, 2004.

Eidenműller H., Wege aus der Sackgasse: Wie lassen sich Blockaden in Mediations- und Gűteverfahren lősen?, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 1/2013, Kőln, 2013.

Eidenműller H., Wagner G., Mediationsrecht, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2015.

Englert K., Franke H., Grieger W., Streitlősung ohne Gericht, Werner Verlag, Amersfort, 2006.

Esplugues C., Iglesias J.L., Palao G., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I., Intersentia, Cambridge, 2013.

Esplugues C., Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. II., Intersentia, Cambridge, 2014.

Esplugues C., Barona S., Global Perspectives on ADR, Intersentia, Cambridge, 2014.

Esplugues C., Marquis L., New Developments in Civil and Commercial Mediation:- Global Comperative Perspectives, Springer, New York, 2015.

Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Spon Press, Abingdon, 2012.

Fenn P., Commercial Conflict Management and Dispute Resolution, Routledge, New York, 2017.

Ferz S., Filler E., Mediation Gesetzestexte und Kommentar, Universitatsverlag, Wien, 2003.

Ferz S., Lison A.,Wolfart E.M., Zivilgerichte und Mediation, Universitätsverlag, Wien, 2004.

Filler E., Commercial Mediation in Europe, Wolters Kluwer, Law& Business, London, 2012.

Fischer C., Ungerath H., Grundlagen und Methoden der Mediation, C.H.BECK, Műnchen, 2014.

Fischer E., Sozialwissenschaftliche Theoriebildung und das Problem der Mediation, Peter Lang Verlag, Frankfurt, 2006.

Fisher R., Ury W., Getting to Yes: Negotiating Agreement Without Giving In, 2nd Ed, 1981.

Frascogna X.M., Hetherington H.L., The Lawyer's Guide to Negotiation, Second Ed., American Bar Association, Chicago, 2009.

Fritz R., Pielsticker D., Handbuch zum Mediationsgesetz, Luchterhand Verlag, Wolters Kluwer, 2020.

Fritz R., Das Gűtesiegel `Zertifizierter Mediator`, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang,Heft 2/2014, Januar/Februar, Seiten PVSt 47561, Berlin, 2014.

Fuchshuber C., Mediation in Zivilrecht: neue wege der Konfliktlosung, LexisNexis ARD Orac, Wien, 2004.

Genn H., Judging Civil Justice, Cambridge University Press, Cambridge, 2010.

Germund R., Auβergerichtliche Streitbeilegung durch Co-Mediation, Pro Business GmbH, Berlin, 2012.

Gläßer U., Mediation und Beziehungsgewalt, Nomos, Baden-Baden, 2008.

Gläßer U., Schroeter K., Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungserfahrungen und Zukunftsperspektiven, Nomos, Baden-Baden, 2011.

Glaßer U., Klowait J., Mediationsgesetz, Handkommentar, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2018.

Glenewinkel W., Mediation als ausergerichtliches Konfliktlosungsmodell, Ibidem-Verlag, Stuttgart, 1999.

Gőksu M., Civil Litigation and Dispute Resolution in Turkey, Banka ve Ticaret Hukuku Arastirma Enstitusu, Ankara, 2016.

Golann D., Mediating Legal Disputes, American Bar Association, Chicago, 2009.

Goldberg S., Sander F., Rogers N., Cole S.R., Dispute Resolution: Negotiation, Mediation, Arbitration and other Processes, Aspen Casebook Series, Wolters Kluwer Law&Business, Six Ed., New York, 2012.

Golden J., Lamm C., International Financial Disputes: Arbitration and Mediation, Oxford University Press, Oxford, 2015.

Goodman A., Basic Skills for the New Mediator, Solomon Publications, 2nd Ed, Maryland, 2005.

Goodman A., Mediation Advocacy, Nova Law and Finance, London,2010.

Greger R., Unberath H., Die Zukunft der Mediation in Deutschlad, C.H.BECK, Műnchen, 2008.

Greger R., Gerichtsinterne Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2010.

Greger R., Unberath H., MediationsG:Recht der alternativen Konfliktlosung, Kommentar, C.H.BECK, Műnchen, 2012.

Greger R., Gerichtsinterne Mediation auf dem Prűfstand, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 1/2013, Kőln, 2013.

Greger R., Unberath H., Steffek F., Recht der alternativen Konfliktlősung, 2.Auflage, C.H.BECK, Műnchen, 2016.

Groß M., IP-/IT- Mediation, Verlag Dt.Fachverl, Frankfurt am Main, 2013.

Hale T., Between Interests and Law, Cambridge University Press, Cambridge, 2015.

Haft F., Grafin von Schlieffen K., Handbuch Mediation, C.H.BECK, Műnchen, 2016.

Hartung A.M., Weder Sozietät noch Bűrogemeinschaft des Anwalts mit Mediator oder Berufsbetreuer, Neue Juristische Wochenschrift (NJW), C.H.BECK, Műnchen, 2018.

Haynes J., Haynes G., Mediating Divorce, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 1989.

Heetkamp S.J., Online Dispute Resolution bei grenzuberschreitenden Verbraucherverträgen, V&R Unipress, Universitatsverlag Osnabruck, 2018.

Herrman M.S., The Blackwell Handbook of Mediation, Blackwell Publishing, Malden, 2006.

Hilber M., Die Sicherung der Vertraulichkeit des Mediationsverfahrens, Verlag Dr.Kovac, Hamburg, 2006.

Hinrichs U., Praxishandbuch Mediationsgesetz, Verlag Walter de Gruyter, Berlin, 2014.

Hodges C., Stadler A., Resolving Mass Disputes: ADR and Settlement of Mass Claims, Elgar Publishing, Cheltenham UK, 2013.

Hodges C., Mass Collective Redress: Consumer ADR and Regulatory Techniques,

European Review of Private Law, Vol 23.No.5-2015.Wolters Kluwer Law&Business, London, 2015.

Hofmeister L., Slopek D.E.F., Schutzfähigkeit von Online Dispute Resolution Verfahren, Verlag Otto Schmidt, Heft 1/2013, Kőln, 2013.

Hollander J., Mediation for Civil Litigators, Irwin Law Inc, Toronto, 2013.

Honorati C., Ohly A., Padovini F., Hirsch G., Picotti L., Knauer C., Patentrecht ADR Wirtschaftsstrafrecht, Műller Verlag, Heidelberg, 2017.

Hopf V.G., Gerichtsexterne Mediation Erfahrungen mit dem ősterreichischen Mediationsgesetz, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2010.

Hopt J.K., Mediation – Eine Einfűhrung, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2010.

Hopt J. K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.

Hornung U,. Rechtliche Rahmenbedingungen fur die Tatigkeit freier Mediatoren, Carl Heymanns Verlag, Koln, 2006.

Horton D., Arbitration about Arbitration, Stanford Law Review, Vol. 70, #2, Stanford, California, 2018.

ICLG - The International Comparative Legal Guide to: Litigation & Dispute Resolution, Six Ed., A practical cross-border insight into litigation & dispute resolution work. Published by Global Legal Group, in association with CDR, London, 2013.

Ingen-Housz A., ADR in Business, Vol. II, Wolters Kluwer Law&Business, the Netherlands (Alphen aan den Rijn), 2011.

Jeong S., Kritische Betrachtung űber die Gerichtsmediation in Korea, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln,2018.

Jones G., Pexton P., ADR and Trusts: An International Guide to Arbitration and Mediation of Trust Disputes, Spiramus Press, London, 2015.

Kaiser P., Gabler A.M., Prozessqualität und Langzeiteffekte in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 6/2014, Kőln, 2014.

Kajkowska E., Enforceability of Multi-Tiered Dispute Resolution Clauses, Hart Publishing, Oxford, 2017.

Katsh E., Rifkin J., Online Dispute Resolution: Resolving Conflicts in Cyberspace, Jossey-Bass Publishing, 2001, 93.

Kolodej C., Settingtechniken und Prozessgestaltung bei (hoch) eskalierten Konflikten, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang, Heft 1/2014, Januar/Februar, PVSt 47561, Berlin, 2014.

Klowait J., Gläβer U., Berlin C., Mediationsgesetz, 1.Aufl, Nomos, Baden-Baden, 2014.

Klowait J., Gläβer U., Berlin C., Berning D., Dendorfer R., Goltermann N., Mediationsgesetz, 2.Aufl, Nomos, Baden-Baden, 2018.

Kőksal T., Contract Management & Dispute Resolution in International Construction Business, BILGE, Ankara, 2016.

Kovach K.K., Mediation in a Nutshell, 2nd Ed, West a Thomson Reuters Business, USA, 2010.

Krabbe H., Werkstattbericht –Hochstrittige Parteien in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, PVSt 47561, Berlin, 2014.

Kreindler R., Wolff R., Rieder S.M., Commercial Arbitration in Germany, Oxford University Press, Oxford, 2016.

Kumar A., Alternative Dispute Resolution System: Global And National Perspective, K.K. Publications, New Delhi, 2016.

Längsfeld A., Anwaltspflichten und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2015.

Lee J., Lim M., Contemporary Issues in Mediation, World Scientific Publishing, Singapore, 2016.

Lee R.T., Mouritsen C.S., Judging Ordinary Meaning, The Yale Law Journal, Vol. 127, #4, New Haven, Connecticut, 2018.

Lindblom P.H., Progressive Procedure, Iustus, Schweden, 2017.

Loer L., Umsetzung des Guterichtermodells in der Praxis, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, PVSt 47561,36, Berlin, 2014.

Mak I.K.L., Alternative Dispute-Resolution of Shareholder Disputes in Hong Kong,, Cambridge University Press, Hong Kong, 2017.

Malacka M., Mediation als Appropriate Dispute Resolution im Tschechischen und Slowakischen Rechtssystem in Osteuropa Recht Zeitschrift, Nomos, Baden-Baden, 2018.

Mantle M., Mediation: A practical guide for lawyers, Dundee University Press, Dundee, 2011.

McLaren H.R., Sanderson J., Innovative Dispute Resolution: The Alternative, Carswell, Toronto,2006.

Meller-Hannich C., Hőland A., Krausbeck E., „ADR" und „ODR": Kreationen der europaischen Rechtspolitik. Eine kritische Wűrdigung, Zeitschrift fur Europaisches Privatrecht (ZEuP), Verlag C.H.BECK, Műnchen, 2014.

Menkel-Madow J.C., Love P.L., Schneider K.A., Sternlight R.J., Dispute Resolution:Beyond the Adversarial Model, Aspen Publishers, Second Ed., New York, 2011.

Menkel-Meadow C., Developments in `A`DR in the United States, Verlag Otto Schmidt, Heft 4/2013, Kőln, 2013.

Moore C.W., The Mediation Process: Practical Strategies for resolving conflict, 3rd Ed., Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2003.

Őslein F., Private Macht, Mohr Siebeck, Tűbingen, 2016.

Nehf J.P., The Impact of Mandatory Arbitration on the Common Law Regulation of Standard Terms in Consumer Contracts, The George Washington Law Review, Volume 85, No 6, Washington, 2017.

Neuner J., Natűrlicher und freier Wille in Archiv fűr die civilistische Praxis, 218.Band, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2018.

Nelson M.R., NELSON on ADR, Thomson Carswell, Scarborough, 2003.

Niedostadek A., (Hrsg) Praxishandbuch Mediation, Richard Boorberg Verlag, Stuttgart, 2010.

Niedostadek A., Mediation bei Arbeitsplatzkonflikten und der Grundsatz der Freiwilligkeit, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), 17 Jahrgang, Heft 2/2014, Januar/Februar, PVSt 47561, Berlin, 2014.

Nőlting H., Mediatoren- verträge, Verlag Centrale fur Mediation, Kőln, 2003.

Olakanmi J., ADR Alternative Dispute Resolution, Panaf Press, Abuja, Nigeria, 2013.

Oldenbruch H., Die Vertraulichkeit im Mediationsverfahren, Wissenschaftlicher Verlag Berlin / WVB, 2006.

Partridge V.B.M., Alternative Dispute Resolution, Oxford University Press, Oxford, 2009.

Picker B., Mediation Practice Guide: A Handbook for Resolving Business Disputes, American Bar Association, 2nd ED, Washington, 2003.

Pinto-Ferreira J.P., Carvalho J.C., Consumer ADR in Portugal, EuCML Journal of European Consumer and Market Law, C.H.BECK, Vol 7, 2/2018.

Ponschab R., Vehandlungsfuhrung: Mutter aller Konfliktlosungen ADR-Verfahren im Vergleich, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgang, Heft 1/2014. Januar/Februar, PVSt 47561,Berlin, 2014.

Ponte L., Cavenagh T., Alternative Dispute Resolution in Business, West Educational Publishing, Ohio, 1999.

Poon G.P., The Corporate Counsel's Guide to Mediation, First Chair Press, American Bar Association, Chicago, 2010.

Posch W., Schleifer W., Ferz S., Konfliktlosung im Konsens, Schiedsgerichtbarkeit, Diversion, Mediation, Leykam BuchVerlag, Graz, 2010.

Pramhofer K., Gerichtsnahe Mediation beim Handelsgericht Wien-ein Erfolgsprojekt, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Heft 3/2014, Verlag Otto Schmidt, Kőln, 2014.

Pratt S., Niculita V.A., The Lawyer's Business Valuation Handbook, American Bar Association, Chicago,2010.

Pruckner M., Recht der Mediation, Linde Verlag, Wien, 2003.

Pryles M., Dispute Resolution in Asia, 3rd Ed, Kluwer Law International, the Netherlands (Alphen aan den Rijn), 2006.

Rana R., Alternative Dispute Resolution:A Handbook for In-House Counsel in Asia, Lexis Nexis, Singapore, 2014.

Roberts M., Mediation in Family Disputes: Principles of Practice, Fourth Ed., Ashgate, Aldershot, 2008.

Roebuck D., Mediation and Arbitration in the Middle Ages, Holo Books, The Arbitration Press, Oxford, 2013.

Rogers H.N., Bordone C.R., Sander E.A.F., Mcewen A.C., Designing Systems and Processes for Mediation Disputes, Aspen Coursebook Series, Wolters Kluwer Law&Business, New York, 2013.

Rőthemeyer P., Die Zertifizierungsfiktion, 17 Jahrgang, Zeitschrift fur Konflikt-Management (ZKM), Verlag Otto Schmidt, Heft 2/2014, Januar/Februar, Kőln, 2014.

Rovine A.W., Contemporary Issues in International Arbitration and Mediation, Martinus Nijhoff Publishers, Leiden, 2013.

Rule C., Online Dispute Resolution for Business, Jossey-Bass Publishing, San Francisco, 2002.

Rule C., Rogers V., Del Duca F.,L., Designing a Global Consumer Online Dispute Resplution (ODR) System for Cross-Border Small Value –Hign Volume Claims-OAS Developments in Uniform Commercial Code Law Journal (UCCLJ) 2010.

Rutherglen A.G., Transnational Civil Litigation: Principles and Prospects, Foundation Press, St.Paul, 2016.

Rűtzel S., Wegen G., Wilske S., Commercial Dispute Resolution in Germany, Second Ed., C.H.BECK, Műnchen, 2016.

Schiffer K.J., Mandatspraxis, Schiedsverfahren und Mediation, 2.neu bearbeitete und erweiterte Auflage, Carl Heymanns Verlag, Kőln, 2005.

Schmidt F., Lapp T., Monβen H.G., Mediation in der Praxis des Anwalts, Verlag C.H. Beck, Műnchen, 2012.

Schmidt N., Das Verwertungsverbot aus dem Mediationsverfahren fur das Schiedgerichtsverfahren, Verlag Dr. Kovac, Hamburg, 2011.

Schreiber A., Obligatorische Beratung und Mediation, Duncker&Humblot, Berlin, 2007.

Schűtze R.A.., Die Bestimmung des schiedsrichterlichen Verfahrens, insbesondere bei Anwendung dem deutschem Prozessrecht unbekannter Beweisformen in SchiedsVZ (Zeitschrift fűr Schiedsverfahren/German Arbitration Journal), Verlag C.H.Beck, Műnchen,16.Jahrgang,Heft 2, März/April 2018.

Schwarz K., Mediation-Collaborative Law-Collaborative Practice, Schriften der Johannes-Kepler-Universitat Linz, Trauner Verlag, Linz, 2010.

Spencer D., Brogan Michael., Mediation Law and Practice, Cambridge University Press, New York, 2006.

Spencer D., Principles of Dispute Resolution, Second Ed., Lawbook Co, Sydney, 2016.

Steffek F., Rechtsvergleichende Erfahrung fűr die Regelung der Mediation, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Band 74, Heft 1, Mohr Siebeck, Tűbingen, 2010.

Steffek F., Mediation, in The Max Planck Encyclopedia of European Private Law, Vol. II, Basedow J., Hopt J.K., Zimmermann R., Stier A., Oxford University Press, Oxford, 2012.

Steffek F., Mediation und Justiz, in Das Neue Mediationsgesetz, Fischer C., Unberath H., Verlag C.H.Beck, Műnchen, 2013.

Steffek F., Prinzipiengeleitete Regelung der Konfliktlősung, Zeitschrift fűr Konflikt-Management (ZKM), #5, Verlag Dr.Otto Schmidt, Kőln, 2013.

Steffek F., Mediation und Gűterichterverfahren, Zeitschrift fűr Europäisches Privatrecht, (ZEuP) #3, Verlag C.H.Beck, Műnchen, 2013.

Steffek F., Unberath H., Genn H., Greger R., Menkel-Meadow C., Regulating Dispute Resolution: ADR and Access to Justice at the Crossroads, Hart Publishing, Portland, 2013.

Steffek F., Skizzen einer Gerechtigkeitstheorie fűr das Privatrecht –Individuen, Interessen, Kohärenz, Konsens und Ausgleich in Gedächtnisschrift fűr Hannes Unberath, Arnold Stefan, Lorenz Stephan., C.H.Beck, Műnchen, 2015.

Steffek F., The Relationship between Mediation and Other Forms of Alternative Dispute Resolution in The Implementation of the Mediation Directive, (Compilation of in-depth Analysis) European Parliament Directorate-General for Internal Policies, http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses, 2016.

Susskind R., The End of Lawyers? Oxford University Press, Oxford, 2010.

Susskind R., Tomorrow's Lawyers: An Introduction to Your Future, Oxford University Press, 2013.

Tochtermann P., Die Unabhängigkeit und Unparteilichkeit des Mediators, Mohr Siebeck, Tűbingen, 2008.

Tőpel E., Pritz A., Mediation in Osterreich: Die Kunst der Konsensfindung, LexisNexis Verlag, Wien, 2005.

Trams K., Die Mediationsvereinbarung –eine vertragsrechtliche Analyse, Tectum Verlag, Marburg, 2008.

Trenczek T.M.A., Berning D., Lenz C., Will H.D., Mediation und Konfliktmanagement, Handbuch, 2.Auflage, Nomos, Baden-Baden, 2017.

Trossen A., Mediation (un)geregelt, Win-Management Verlag, Műhlberg, 2014.

Vallender H., Mediation in Nationalen und Grenzűberschreitenden Insolvenzverfahren, in Brinkmann M., Effer-Uhe D.O., Vőlzmann-Stickelbrock B., Wesser S., Weth

S., Festschrifr fur Hanns Prűtting, Dogmatik im Dienst von Gerechtigkeit, Rechtssicherheit und Rechtsentwicklung, Carl Heymanns Verlag, Kőln,2018.

Van Gelder E.M., Biard A.B., The Online Dispute Resolution Platform after one Year of Operation: A Work in Progress with Promising Potential, Legal Journal Consumenten &Recht, TvC UITGEVERIJ, Paris, 2018.

Walker S., Smith D., Advising and Representing Clients at Mediation, Wildy, Simmonds &Hill Publishing, London, 2013.

Ware S., Principles of Alternative Dispute Resolution, Third Ed., West Academic Publishing, USA, 2016.

Waring M., Commercial Dispute Resolution, College of Law Publishing, Guildford, 2016.

Warne J., International Commercial Dispute Resolution, Tottel Publishing, Haywards Heath, 2009.

Warrier S.V., Arbitration,Conciliation and Mediation, Lexis Nexis, India,2015.

Wendenburg F., Der Schutz der schwächeren Partei in der Mediation, Mohr Siebeck, Tűbingen, 2013.

Wendenburg F., Differenzierte Verfahrensentscheidungen in zivilrechtlichen Konflikten, Verlag Otto Schmidt, Heft 1/2013, Kőln, 2013.

Wendenburg F., Mediation –flexible Gestaltung iinerhalb fester Strukturen, ADR-Verfahren im Vergleich, Zeitschrift fur Konflikt Management (ZKM), 17 Jahrgan, Heft 2/2014, Januar/Februar, PVSt 47561, Berlin, 2014.

Wendland M., Mediation und Zivilprozess, Mohr Siebeck, Tubingen, 2017.

Wentzel C., Internationale Mediation, Logos Verlag, Berlin, 2016.

Windisch K., Fair und/oder gerecht? Fairnesskriterien in der Mediation, Zeitschrift fur Konflikt-Management, Verlag Otto Schmidt, Heft 2/2015, Kőln, 2015.

Wode M., Rabe C.S., Mediation, Springer, Berlin, 2014.

Woolf H., Access to Justice, 2nd Ed, Stationery Office, London, 1996.

Yaacob H., Alternative Dispute Resolution (ADR), International Shari'ah Research Academy, Kuala Lumpur, 2012.

Zalar A., Managing Judicial Change Through Mediation – Part 1, ADR Bulletin, Vol. 6, No. 8, 2004.

Zenk K., Mediation im Rahmen des Rechts, Nomos, Baden-Baden, 2008.

საკანონმდებლო აქტები

ქართულ ენაზე:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997წ.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, 2002.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2006.

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, 2010.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მორიგების პროცედურის წარმართვის შესახებ დებულება, 2018.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის განვითარების კომიტეტის დებულება, 2018.

უცხოურ ენაზე:

REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL AND THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE. Brussels 26.8.2016. COM (2016)542 FINAL on the application of Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council on certain aspects of mediation in civil and commercial matters. (https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=COM%3A2016%3A542%3AFIN).

ელექტრონული მასალები / ინტერნეტ წყაროები:

საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ტომი 4, იხილეთ: <http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/Kartuli-Literaturisistoria_Tomi_IV.pdf>

<http://eur-lex.europa.eu/eli/dir/2013/11/oj>.

<http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>.

<www.aija.org.au>.

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52002DC0196&-from=EN>.

<http://ec.europa.eu/civiljustice/adr/adr_ec_code_conduct_en.pdf>.

<www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/pdf/practice_directions/pd_pre-action_conduct.pdf>.

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2002/com2002/com2002_0196en01.pdf>. <www.europarl.europa.eu/document/activities/cont/201105/20110518ATT19592/20110518ATT19592EN.pdf>.

<http://www.risolvionline.it>.

<http://eur-lex.europa.eu/eli/reg/2013/524/oj>.

<http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>.

<http://www.uncitral.org/pdf/english/workinggroups/wg_3/26th_WG_III/wp_117_e.pdf>.

<www.acrnet.org>.

<https://www.judiciary.gov.uk/wp-content/uploads/2015/02/Online-Dispute-Resolution-Final-Web-Version1.pdf>.

<http://www.iccwbo.org/drs/english/adr/pdf_documents/adr_guide.pdf>.

<www.ulr.oxfordjournals.org>.

<http://www.corteconstituzionale.it/actionSchedaPronuncia.do?anno=2012&numero=272>.

<www.ulr.oxfordjournals.org>.

<http://m.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof;oso/9780199653485.001.001/acprof-9780199653485-chapter-4>.

<www.mediationinlaw.org>.

<http://www.academia.edu/download/37348802/alternative_dispute_resolution_approaches.pdf>

<www.ulr.oxfordjournals.org>.

<http://www.adbadalet.gov.tr/arabulucu>.

<http://www.mediationadvocates.org.uk>.

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:136:0003:0008:En:PDF>.

<http://wcd.coe.int/com.instranet.InstraServlet?command=com.instranet.CmdBlobGet&InstranetImage=1153972&SecMode=1&DocId=450792&Usage=2>.

<http://wcd.coe.int/ViewDoc.

jsp?p=&Ref=Rec(99)19&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorInternet=eff2fa&BackColorLogged=clcbe6&direct=true>.

<http://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2001)9&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColor-Logged=clcbe6&direct=true>.

<http://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?p=&Ref=Rec(2002)10&Sector=secCM&Language=lanEnglish&Ver=original&BackColorInternet=eff2fa&BackColorIntranet=eff2fa&BackColor-Logged=clcbe6&direct=true>.

<www.unicitral.org>.

<http://www.uncitral.org/pdf/english/texts/arbitration/ml-conc/03-90953-Ebook.pdf>.

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>.

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:32008L0052>.

<http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>.

<http://www.europarl.europa.eu/supporting-analyses>.

<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=COM%3A2016%3A542%3AFIN>

<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32013L0011>.

<http://m.oxfordscholarship.com/view/10.1093/acprof;oso/9780199653485.001.001/acprof-9780199653485-chapter-4>.

<www.oebm.at>.

<www.justice.government.bg/MPPublic-Web/default.aspx?id=2>.

<www.adrcenter.com//jamsinternational/civil-justice/Mediation_Country_Report_Bulgaria.pdf>.

<www.cedr.com>.

<http://www.mediationeurope.net/eng/documents/lawinhungary.pdf>

<www.ismed.it/doc/D_Lgs_28-2010.pdf>.

<www.nmi-mediation.nl>

<http://sakig.pl/en/mediation/about-mediation>.

<http://ms.gov.pl/pl/dzialalnosc/mediacje/>

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/3003/1/Kartuli-Literaturisistoria_Tomi_IV.pdf>.

<http://www.tcc.gov.ge/index.php?m=586>.

<http://gba.ge/uploads/files/reestri/kanonproekti_mediaciis_shesaxeb.pdf>

<www.gba.ge>

<http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

<http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/debuleba.pdf>.

<http://gba.ge/uploads/resolutions/2018/01/31/3d51dfa83d2ce7ffffc515d101375fb3.pdf>.

<http://gba.ge/uploads/files/reestri/mediaciis_ganvitarebis_komitetis_debuleba.pdf>

<http://gba.ge/uploads/resolutions/2018/04/02/9b-5c84003fd3bbf88271957f65b512b4.pdf>

<http://gba.ge/uploads/files/reestri/morigebis_debuleba.pdf>

<http://gba.ge/ka/resolutions/list/330>.

<http://ncadr.tsu.ge/#>.

<http://gba.ge/uploads/files/reestri/GBA_mosazrebebi_mediaciis_shesaxeb.pdf>.

პროფ. ირაკლი ყანდაშვილი – არის „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ერთ-ერთი თანა-ავტორი, 2019 წლიდან სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ პირველი თავმჯდომარე. CEDR-ს (დავების ეფექტურად გადაწყვეტის ცენტრი / ლონდონი) საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მედიატორი.

პროფ. ირაკლი ყანდაშვილი არის მოქმედი ადვოკატი, რომელიც უკვე 16 წელია წარმოადგენს კლიენტებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოსა და ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.

პროფ. ირაკლი ყანდაშვილი არის იურიდიული ფირმა „K&K Consulting“-ს პარტნიორი, არის „საქართველსო ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი (2013-2021წწ) და ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს ხელმძღვანელი (2013 წლიდან), არის ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემისა და ადვოკატის პროფესიაში შესვლის სტანდარტების კონცეფციის ერთ-ერთი ავტორი საქართველოში.

პროფ. ირაკლი ყანდაშვილი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი და ჩიკაგო კენტის სამართლის სკოლის (ჩიკაგო / აშშ) მაგისტრის ხარისხის მქონე (LL.M.).

პროფ. ირაკლი ყანდაშვილი არის 3 მონოგრაფიის და არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი სამართლის დარგში.

ISBN 978-9941-8-4719-6

9 789941 847196